

12.6863

№ 2

ბეოგბიკი

6

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წ ი გ ნ ი XVIII

გეორგიკა ტ. VI

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
источников о Грузии

Институт
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VI

Греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил
С. Г. Каухчишвили

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA
AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VI

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ — 1966

SUMPTIBUS „MECNIEREBA“
TBILISIS, MCMLXVI

9(აპ) (001)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული
ეტიმოლოგიური წყაროების კომისია

აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

919:73(აპ)

გეორგიკა

გიოგრაფიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

კ 26863
2

ტომი მეექვსე

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო
სიმონ ჟაუხრიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი—1966

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთუჩაძე, ს. ქაუხჩიშვილი,
გ. წმინთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიძია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი
ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

VI ტომისა

წინასიტყვაობა

მიქელ კსელოსი

ცხოვრება და მოღვაწეობა 1. --- შესავალი 9. --- იბერთა ჯარი 10. --- იბერიელთა საგანძურების დაცალიერება 13. --- იბერიის თემი 13. --- მარიამ დედოფალი და კონსტანტინე 16. --- მიხეილ VII ღუკა პარაპიხაის მეუღლე 16. --- მარიამის ვაჟი კონსტანტინე 17.

მიხეილ ატალიატე

იბერიელთა წარმოშობა 21. --- იბერიელთა მონაწილეობა ბიზანტიის ჯარში. ლიპარიტ ორბელიანი 23. --- იბერიის სოფლები 26. --- აბაზკების აჯანყება მეფის წინააღმდეგ 27. --- იბერია. ხალდია. ანისი 31.

ანნა კომნენე

ცხოვრება და მოღვაწეობა 33. --- მარიამი შეირთო ნიკიფორე ბოტანიატემ 37. --- მიხეილ ღუკა და მისი შვილი კონსტანტინე 38. --- მარიამის ვაჟი კონსტანტინე ალექსი კომნენოსის თანაკეისარია 43. --- უედოფალი მარიამი და ბოტანიატე 46. --- დედოფალი მარიამი და ალექსი კომნენოსი 47. --- ნიკიფორე ბოტანიატეს ჩამოგდება და დედოფალი მარიამი 61. --- მარიამ დედოფლის ვაჟი კონსტანტინე 70. --- მარიამის ვაჟი კონსტანტინე და ანნა კომნენე 72. --- იბერიული წარმოშობის სიოში 73. --- გრიგოლ ბაკურიანი, მისი ურთიერთობა ალექსი კომნენოსთან 79. --- გრიგოლ ბაკურიანი იგზავნება სკვირების წინააღმდეგ საბრძოლველად 85. --- ალექსი კომნენოსი და მარიამის ვაჟი კონსტანტინე 88. --- დედოფალ მარიამის მონაწილეობა ნიკიფორე დიოგენეს შეთქმულებაში 92. --- იოანე იტალიოსი 93. --- პეტრიწონი 106. --- ხალიბები 108. --- იბერიელი მოლოზნეები 110. --- ხალდიის თემი. ტრაპეზუნტი 110. --- ქალაქი ბაიბურთი 111. --- შენიშვნები: ანნა კომნენეს ცნობები მარიამ დედოფლის შესახებ 112. --- ანნა კომნენეს ცნობები იოანე იტალიოსის შესახებ 119.

ნიკეტა ხონიატე

ბიზანტიელი წარჩინებულის ჩაცმულობა 123. --- მუჰამედს დაპყრობილი აქვს იბერია 126. --- იბერიელები ბიზანტიის ჯარში ალექსი II კომნენოსის დროს 127. --- იბერიელები ბიზანტიის ჯარში ისაყ კომნენოსის დროს 128. --- ფაზისის სანაპიროებზე მცხოვრები იბერიელები 130. --- ფოთი სავაჰრო ქალაქია 132. --- ბიზანტიის კეისრის ტიტული 133. --- იბერია ჯგაროსანთა ომების დროს 137.

V

I

20

33

182

იოანე კინამოსი	140
ცხოვრება და მოღვაწეობა 140, — შესავალიდან 142. — იბერიელები ბიზანტიის ჭარში 143. — იბერიელთა და აბაზგთა ელჩეზი 144. — რიზე 145. — მიხეილ გაბრა 146.	
გიორგი კოლინე	154
მარიამ დედოფალი 155. — სამეფო წალა 156.	
იოველის ქრონოგრაფია	159
მიხეილ VII დუკა, მისი მეუღლე მარიამი და მათი ვაჟი კონსტანტინე 159.	
იოანე სკილიცეს გამგრძელებელი	161
იბერია — მდიდარი ქვეყანა 162. — მწველებლობა იბერიაში 162. — მარიამ მართა-ყოფილი 163. — მარიამის ვაჟი კონსტანტინე 165 მიხეილ VII, მარიამი და კონსტანტინე 165. — ფარესმანე იბერი 116.	
კონსტანტინე მანასე	169
ბარდას აჯანყება და იბერები 171. — მიხეილ VII პარაბინაკი და მისი მეუღლე მარიამი 172.	
დამატებები	175
დამატება პირველი.— იოანე ზონარა (175—240). დამატება მეორე მიქელ პსელოსის ორი ტრაქტატი (241—263).	
საკუთარ სახელთა საძიებელი	264
Addenda et corrigenda	304
ილუსტრაციები	305

წინასიტყვაობა

წინამდებარე VI ტომში „გეორგიისა“ შევიდა, ისევე როგორც V, ტომში, XI—XII საუკუნეთა მასალა, სახელდობრ, მიქელ პსელოსის, მიხეილ ატალიატეს, ანნა კომნენეს, ნიკეტა ხონიატეს, იოანე კინამოსის, გიორგი კოდინეს და სხვათა ცნობები საქართველოს შესახებ. ამ მწერალთა შორის თავისი ცნობების სიუხვით გამოირჩევა ანნა კომნენე, რომლის „ალექსიადა“ XI—XII საუკუნეთა ბიზანტიის პოლიტიკური, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ უაღრესად მნიშვნელოვან მატრიანეს წარმოადგენს.

ანნა კომნენე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მარიამ დედოფლის როლს ბიზანტიის სამეფო კარზე. საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასული მართა, ბიზანტიაში გათხოვების შემდეგ „მარიამად“ წოდებული (ქართული წყაროების მიხედვით „მართა-ყოფილი“), XI საუკუნის სამოცდაათიანსა და ოთხმოციან წლებში ბიზანტიის სამეფო კარზე კარდინალურ სახელმწიფო საკითხებს წყვეტდა: მან სამეფო ტახტზე გამოიცვალა ორი ქმარი (მიხეილ VII დუკა, ნიკიფორე III ბოტანიატე), რომლებიც რიგრიგობით ბერებად აღკვეცა, ხოლო მესამე ქმრად გათვალისწინებული ალექსი I კომნენოსი მხოლოდ მისი, მარიამის, წყალობით ავიდა სამეფო ტახტზე: თვითონ მარიამი კი იმის ცდაში იყო, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა თავისი ვაჟისათვის, კონსტანტინესათვის, რომელიც ალექსის თანაკეისრად დასვა.

მარიამ დედოფლის როლს სახელმწიფო ცხოვრებაში ის ფაქტიც აღასტურებს, რომ ანნა კომნენეს გარდა იმდროინდელი და შემდეგდროინდელი სხვა ბევრი მწერალიც ენება მარიამს (მიქელ პსელოსი, გიორგი კოდინე, იოველი, სკილიცეს გამგრძელბელი, კონსტანტინე მანასე).

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე მიქელ პსელოსზე, რომლის მოღვაწეობა დაკავშირებულია ბიზანტიის რენესანსულ მოძრაობასთან და, მაშასადამე, ქართულ რენესანსთანაც. მიქელ პსელოსის შესწავლასთან დაკავშირებით შევეჩეთ პსელოსის კვალს ძველქართულ მწერლობაში და, რადგან ძველქართულ ტექსტებს

შორის აღმოჩნდა ორი ტრაქტატი, რომელთაც ქართული ხელნაწერები მიქელ პსელოსს მიაკუთვნებენ, ხოლო თვით ბიზანტიურ მწერლობაში ისინი ცნობილი არ არიან, ამიტომ დამატების სახით ეს ორივე ტრაქტატი დავბეჭდეთ (იხ. გვ. 241—263).

დამატების სახით დავბეჭდეთ აგრეთვე განსვენებულ მ. კახაძის შრომა „იოანე ზონარა“, რის შესახებაც ვწერთ 176 გვერდზე.

ს. ყაუხჩიშვილი

თბილისი

1966 წლის 10 დეკემბერი

მიქელ პსელოსი

მიქელ პსელოსი (1018—1077), ერისკაცობაში კონსტანტინე, XI საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალია. მისი ბიოგრაფია შეგვიძლია აღვადგინოთ მისივე თხზულებების მიხედვით და აგრეთვე იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება XI საუკუნის მწერალთა (მაგ., ანნა კომნენეს) ნაწერებში.

1018 წელს ერთი ღარიბი კაცის ოჯახში, კონსტანტინებოლში, დაიბადა ვაჟი კონსტანტინე. ხუთი წლისა იყო, რომ წერაკითხვის შესწავლას შეუდგა. ნათესავეები მოითხოვდნენ და მამაც ეთანხმებოდა მათ, რომ პატარა კონსტანტინეს ესწავლა რამე ხელობა და მალე შესდგომოდა ფულის შოვნას, ხოლო დედის, თეოდოტას, დაჟინებით და ენერგიით პსელოსმა მიიღო კარგი განათლება: შეისწავლა რიტორიკა, ფილოსოფია, სამართლის მეცნიერება; გაიწვრთნა აგრეთვე ფილოლოგიაში, ლოგიკაში, მათემატიკასა და ასტრონომიაში. თავისი მეცნიერებით პსელოსმა იმას მიაღწია, რომ გახდა უნივერსიტეტის პროფესორი და მიიღო წოდება *πρῶτος τῶν φιλοσόφων* („ფილოსოფოსთ-უხუცესისა“).

მეცნიერული კარიერის პარალელურად პსელოსი წარმატებით მიიწვედა წინ სახელმწიფო სამსახურშიც. ჯერ კიდევ 19 წლის იყო, რომ მდივნის (ასიკრიტის) თანამდებობა მიიღო. მალე დაინიშნა მოსამართლედ მესობოტამიის პროვინციაში. ოთხი წლის შემდეგ კონსტანტინებოლში გადავიდა და მსახურობდა კეისრის კანცელარიაში.

პსელოსმა მიიქცია კეისრის (კონსტანტინე მონომახოსის) ყურადღება. 25 წლის ჰაბუკი იყო, რომ პსელოსმა თავისი სიტყვებით მოხიბლა წარჩინებული მოქალაქეები, რომლებმაც მერე უქქეს იგი კეისარს და წარუდგინეს მას. კონსტანტინე მონომახოსს ძალიან მოეწონა მჭევრმეტყველი პსელოსი.

მალე პსელოსი დაინიშნა კეისრის კანცელარიის უფროსად — *πρωτοσημιαρχης*. როგორც ამ თანამდებობის პირი, იგი ხშირად

ხედებოდა კეისარს: მისი სახელით უგზავნიდა წერილებს უცხოელ მეფეებს, ადგენდა სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებსაც შემდეგ კეისარი აწერდა ხელს. ისედაც, პსელოსი ძალიან დაუახლოვდა მონომახოსს, რომელიც მას შინაურულად ექცეოდა, ოჯახში პყავდა როგორც „საკუთარი“. პსელოსიც არ იშურებდა სახოტბო სიტყვებს, მისთვის, მისი ცოლისთვის (ზოია) და მისი საყვარლისათვის (სკლირენა). გულში პსელოსს სძულდა კეისარი მისი უქკუობისათვის, მისი გარყვნილობისა და მფლანგველობისათვის.

კეისრის წყალობით პსელოსმა დიდძალი ქონება შეიძინა. ჯამაგირით ის, რასაკვირველია, ვერ გამდიდრდებოდა, მაგრამ დიდ თანამდებობას თან სდევდა კეისრის წყალობა, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაძლებელ ქრთამებზე.

მომდევნო კეისრების დროსაც მიქელ პსელოსი ახერხებდა თავისთვის სასარგებლო მდგომარეობის შექმნას: თეოდორა (1054—1056), მიხეილ VI (1056—1057), ისააკ I კომნენოსი (1057—1059), კონსტანტინე X დუკა (1059—1067), რომანოზ IV დიოგენე (1067—1071), მიხეილ VII დუკა (1071—1078)—ყველანი სწყალობდნენ მიქელ პსელოსს.

მიქელ პსელოსის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საუნივერსიტეტო მუშაობა ფილოსოფიის დარგში. მისი მუშაობა ამ დარგში საფუძველი შეიქმნა იმ დიდი მოძრაობისა, რომელსაც „ფილოსოფიური რენესანსი“ ეწოდება. ბიზანტიაში გამეფებული სქოლასტიკა საშუალებას არ იძლეოდა ადამიანს გაეშალა თავისუფალი მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ ეტაპზე აწუხებდნენ ფილოსოფიურად განწყობილ წრეებს. და, აი, ჩნდება მიმდინარეობა, რომელიც ეძებს გზებს გამოიყვანოს აზრი სქოლასტიკური გონება-დახშულობისაგან. მიქელ პსელოსი და მთელი მისი სკოლა ამ გზას პოულობს ანტიკური სამყაროდან იქ არსებული აზრის თავისუფლების მეთოდის მოშველიებაში. თავის ლექციებზე მიქელ პსელოსი ქრისტიანული ფილოსოფიის საკითხებს უდგება არა დოგმატების რწმენის პოზიციებიდან, არამედ ამ დოგმატური დებულებების საბუთიანობის თვალსაზრისით. პსელოსის შეხედულებით „არსებობს ორი სახე ფილოსოფიისა, ერთის საგანია მიღმა სამყარო, რომელიც შესაძლებელი ცდების საზღვრების გადაღმაა; მის წყაროს წარმოადგენს მისტიკა და ინტუიცია. ეს ფილოსოფია თავის დებულებებს კი არ ამტკიცებს, არამედ მოითხოვს, რომ იგინი ირწმუნოს კაცმა. მეორე სახე ფილოსოფიისა მიზნად ისახავს

გამოიკვლიოს ყველა არსის ბუნება და ცდილობს ყველა თავისი დებულება დაამტკიცოს, ე. ი. იქცევა ისე, როგორც მათემატიკა. პსელოსი სცნობს ფილოსოფიის მხოლოდ ამ მეორე სახეობას და უარყოფს ყოველგვარ ინტუიციასა და მისტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეთოდს: ინტუიციასა და მისტიკას ის უთმობს ადგილს მხოლოდ ღვთისმეტყველებაში, რელიგიური აზროვნების დარგში. ამ თვალსაზრისს პსელოსი ერთგულად იცავს საკუთარ ფილოსოფიურ ნაწერებში: მათში არ არის არავითარი ინტუიცია, ის ცდილობს თავისი მკითხველი დაარწმუნოს დამტკიცებათა მეშვეობით და ძალიან ხშირად მიმართავს სილოგიზმს“.

ამგვარად, პსელოსი იმ აზრისაა, რომ ფილოსოფია, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება თავის მიზნად ნივთთა და საგანთა ბუნების გამოკვლევას უნდა ისახავდეს. ამიტომ მისთვისაც ისევე სავალდებულოა ზუსტი დამტკიცებები, როგორც მათემატიკისათვის, კერძოდ ყველაზე მაღლა აყენებს ის გეომეტრიულ მეთოდს. სილოგიზმსაც პსელოსი სავალდებულოდ თვლიდა ფილოსოფიისათვის. იმავე თვალსაზრისით უდგება პსელოსი ღვთისმეტყველებასაც, ხოლო აღნიშნავს მის ორმაგ ხასიათს: ღვთისმეტყველება ერთი მხრით დამტკიცებებს ემპირება, მეორე მხრით — ზემოთაგონებას. რამდენადაც იგი ცდილობს თავისი მოძღვრება დაამტკიცოს, ამდენად ის გვერდს ვერ აუხვევს სილოგიზმსაც. „მე—ამბობს პსელოსი—არ უგულვებელყოფდი სილოგიზმს, რადგან მინდოდა აშკარად მეხილა უფალი და არა საიდუმლო გამონათქვამების საშუალებით. სილოგიზმების მეშვეობით დასკვნების გაკეთება არ ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას, სილოგიზმები წარმოადგენენ ჭეშმარიტების იარაღს, საძიებელი საგნის მოპოვების საშუალებას“¹.

ფილოსოფიური მსჯელობის ასეთ გზას წინააღმდეგობას უწევენ კონსერვატიულად განწყობილი წრეები: უმაღლესი სამღვდელთა და კეისრის კარზე მოკალათებული რეაქციონერები.

მიქელ პსელოსი აიძულეს უკან დაეხია: მან აღიარა თავისი „შეცდომები“ და გადადგა (შემდეგ მის საქმეს განაგრძობს, როგორც ცნობილია, იოანე იტალოსი).

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მიქელ პსელოსის საისტორიო ნაშრომი *Χρονογραφία*, რომელიც შეიცავს 976 — 1077 წლე-

¹ P. Вальдеберг, Философские взгляды Михаила Пселла: Византийский сборник, М.-Л. 1945, стр. 252—253; შდრ. П. Безобразов, Византийский писатель и государственный деятель М. Пселл. М. 1890, стр. 156

ბის ისტორიას. პსელოსი იწყებს თავის ისტორიას იმით, რითაც ლეონ დიაკონი ათავენს, ესე იგი იოანე ჩიმისხის გარდაცვალებით (976 წ.). „ქრონოგრაფიის“ შესავალში სწერია:

ქრონოგრაფია, შედგენილი უალრესად ბრძენი (παισθηφ) მონაზონის ზემთა-პატივოსანი (ἀπαρχήμα) მიქელის მიერ: [ეს ქრონოგრაფია] მოგვითხრობს მეფეთა მოღვაწეობას: ბასილი და კონსტანტინე პორფიროგენეტებისას, მათ შემდეგ რომანოზ არგიროპოლიჩას, ამის შემდეგ მიხეილ პაფლაგონელისას, მის შემდეგ მისი ძმისწულის მიხეილისას, რომელსაც კესაროსის პატივი ჰქონდა (ἀπὸ καίσαρος ἀρχαυτος); ამათ მოსდევდნენ ორნი დანი პორფიროგენეტი, დედოფალი ზოე და დედოფალი თეოდორა, და მათთან ერთად კონსტანტინე მონომახოსი, შემდეგ იმ ორ დათაგან ერთმმართველი დედოფალი თეოდორა, [ხოლო ამის შემდეგ მიხეილ მონუცი], ამის შემდეგ კი ისააკ კომნენოსი და [თხრობა მოტანილია] ვიდრე კონსტანტინე დუკას გამეფებამდე. ამ შესავალს მოსდევს საკუთრივ „ისტორია“.

მიქელ პსელოსის „ქრონოგრაფია“, რომლის მეორე ნაწილი დაწერილია მიდგომით და არა პირუთვნელად, მაინც მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. მისი ცნობებით უხვად სარგებლობენ ნიკიფორე ვრიენიოსი, ანნა კომნენე, იოანე ზონარა და სხვები.

„ქრონოგრაფიის“ გამოცემანი. პირველი გამოცემა ეკუთვნის კ. სათას (1874). ეს გამოცემა განმეორებულია 1899 წელს: *The History of Psellus. Edited... by Constantine Sathas. London 1899.* დაწერილებითი რეცენზია ამ გამოცემაზე დაბეჭდა Ed. Kurtz-მა (BZ IX [1900], 492—515). რეცენზენტი უარყოფითად აფასებს კ. სათას გამოცემას (*das klägliche Machwerk von Sathas*).

1926—1928 წლებში „ქრონოგრაფია“ გამოიცა ფრანგულ სერიაში *Collection byzantine*, ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით და გამოკვლევით: *Michel Psellos, Chronographie ou Histoire d' un siècle de Byzance. Texte établi et traduit par Emile Renaud. Paris. „Les belles lettres“, Tome I—1926; Tome II—1928.* თუმცა ვილ რენომ თავისი ორი მონოგრაფიით (*Étude sur la langue et le style de Michel Psellos* და *Lexique choisi de Michel Psellos*), რომლებიც 1920 წელს გამოქვეყნდა, ისევე როგორც 1905 წელს გამოქვეყნებული შრომით *Notes et observations critiques sur la Chronographie de Psellos* (*Revue des études grecques* 18, 224—252) და სხვა შრომებით სახელი გაითქვა როგორც პსელოსის მცოდნემ, მაგრამ „ქრონოგრაფიის“ გამოცეხს სამეცნიერო პრესა უარყოფითად შეხვდა. ბერძენმა ფილოლოგმა იოანე სიკუთრიმ გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია (BZ 27 [1927], 99—105), რომელიც ასე დაამთავრა; „ტექსტის გამოცემა სუსტია, თარგმანი არ არის სანდო. პსელოს ბიზანტიელისათვის იშვიათი ბედნიერება ხვდა—50 წლის მანძილზე სამი გამოცემა; მით უმეტეს სამწუხაროა. რომ არც ერთი ამ გამოცემათაგანი მეცნიერულ მოთ-

ხოვნებს არ შეეფერება. დილეტანტს მედიცინის სტუდენტს კ. სათას ჩვენ ამახადვილად ვაბატებთ: რენოსაგან კი ჩვენ სულ სხვანაირ გამოცემას მოველოდითო¹. ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა „პრონოგრაფიის“ ინგლისური თარგმანი: *The Chronographia of Michael Psellus. Translated from the greek by E.R. A. Sewter with an Introduction by J. N. Hussey, Leiden 1952*

მიქელ პსელოსი ქართულ მწერლობაში. მიქელ პსელოსის სახელით ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულია ორი ძეგლი.

1. ერთი მათგანი არის ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ: ძველ პანუპერტიმოსისა მონაზონისა კსელოსისა თქუჟული განმარტებაჲ საადუმლოსა საუფლოსა წმიდათა დღესასწაულთასა (ხელნ. A—67, გვ. 19a). ეს ტრაქტატი მოიპოვება ხელნაწერში A—67, გვ. გვ. 19a—29b: ხელნაწერი XV საუკუნისად ითვლება. სიტყვა „ქსელოსისა“, ცხადია, პალეოგრაფიულ ნიადაგზე აღმოცენებული მცდარი დაწერილობაა სიტყვისა „ფსელოსისა“ (Φ → Ψ) და, მაშასადამე, ტრაქტატი მიეწერება მიქელ პსელოსს, რომელიც ატარებდა საპატიო სახელწოდებას *παυσπεριμωσις*¹.

ეს ნაშრომი („დღესასწაულთა განმარტება“) მიქელ პსელოსის სახელით ცნობილ ნაშრომთა შორის არსად არ იხსენიება. მაგრამ რომ ის ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლია და რომ ბერძნულშიც მას მიქელ პსელოსს მიაკუთვნებდნენ, ჩანს შემდეგიდან: ათონის ერთი ბერძნული ხელნაწერი (სპ. ლამბროსის კატალოგით № 3599), შეიცავს პირველ ნაწილში „დავითს“, რომელსაც წინ უძღვის უსათაურო (*ἀνεπίγραφος*) თხზულება. კატალოგში მოყვანილია ამ ტრაქტატის დასაწყისი, რომელიც მთლიანად ემთხვევა ქართული ხელნაწერის პსელოსის „განმარტების“ დასაწყისს:

Σάμβαιον μὲν ἔστιν ἀπὸ τοῦ κα- შაბათი არს ბეროტთაგან უქმება
κῶν ἀργεῖα καὶ ἀποχῆ. [Ν]εομῆσια δὲ და განყენება, ხოლო ახალთთუე განახ-
τὸ αἰεὶ νεάζειν τοὺς ἀγαθοὺς ἔργους. ლება კეთილთა საქმეთა შინა.

სპ. ლამბროსის Catalogue-ში სხვა არაფერია მოყვანილი ამ ძეგლიდან; არც ის ჩანს, თუ რა მოცულობისაა ეს ძეგლი. მაგრამ დასაწყისის მიხედვით ამ ორ ძეგლს შორის, ბერძნულსა და ქართულს შორის, არავითარი განსხვავება არ არის. სათაური, რომელიც ქართულ თარგმანს მოეპოვება, არ შეიძლება მთარგმნელის ან გადამწერის მიერ იყოს მოგონილი: გამოთქმა „პანუპერტიმოსისა“

¹ შდრ. მისი ერთ-ერთი შრომის ხელნაწერი; *Μιχαὴλ παυσπεριμωσιου μοναχοῦ τοῦ Ψελισῶν...* სპ. ლამბროსის Catalogue... № 3816, გვ. 401, 48 (ფ. 110a).

არც ისე ხშირად იხმარებოდა ბერძნულში, რომ ქართველს მივაწეროთ იმის ხმარება საკუთარი დასკვნის მიხედვით; ჩანს ასეთი სათაური ჰქონდა თვით ბერძნულ ტექსტს.

ამგვარად, ქართული ტექსტი ტრაქტატისა „დღესასწაულთა“ შესახებ, რომელიც A—67 ხელნაწერშია დაცული, მიქელ პსელოსის ნაშრომად იყო ცნობილი და მისი ბერძნული დედანი მოცემული უნდა იყოს ათონის ბერძნულ ხელნაწერში № 3599.

2. მიქელ პსელოსის მეორე შრომის ქართული თარგმანი შემონახული უნდა იყოს გელათის ხელნაწერში (№ 23)¹ და თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციისაში (S—1463)². ამ ძეგლს სათაურად უწერია:

„დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას ღმრთისმეტყუელისასა მუტუჳლსა: „ვითარცა იქმნა ჰ. რმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე ჰირმშო მკუდართაგან“ ღირს იჩინა კოფად“³,

ძეგლი ასე იწყება: „თქუენ ვიდრემე მრავალთა ძმათა შორის პირმშოებაჲ, თუ რასა ცხად ჰყოფს სახელი ესე. გამომწულიღველთა იკითხეთ...“⁴.

როგორც გელათის № 23 ხელნაწერი ისე S—1463, ხელნაწერთა აღწერილობის მიერ დათარიღებულია XII—XIII საუკუნით, ხოლო მთელი ხელნაწერი S—1463 აღწერილობაში დასათაურებულია: „არსენ ვაჩეს ძე. დოღმატიკონი. XII—XIII“. ასევე გელათის № 23-ს სათაურად უზის „დოღმატიკონი [XIII]“. ამგვარად, ორსავე ნუსხაში (გელათის № 23 და S—1463) ეს ძეგლი შეტანილია არსენი იყალთოელის „დოღმატიკონში“. აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ეს ტრაქტატი შემდეგ შეუტანია ვილაცას არსენ იყალთოელის „დოღმატიკონის“ ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია გელათის მონასტერში (№ 23, ფ. 361—364)“⁵. კ. კეკელიძეს არა

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა), ტომი I, შედგენილი ვ. ნიკოლაძის მიერ. თბ. 1953, გვ. 106 (ხელნ. № 23, გვ. გვ. 361 v — 364 v).

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S-კოლექციისა). ტომი II, თბ. 1961, გვ. 219, 38 (ხელნ. № 1463, გვ. 247 v — 288 r).

³ გელათის № 23: მკვდრთაგან.

⁴ იბ. კ. კეკელიძე. უცხო ავტორები ძველ ქართულ წწერლობაში: ეტიუ-ღები V (1957), გვ. 101.

⁵ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I (1960), გვ. 292.

აქვს გათვალისწინებული, რომ იგივე ტრაქტატი მოიპოვება სხვა ნუსხაშიც (S—1463)¹. მართალია, არსაიდან ჩანს, რომ ეს ორი ნუსხა (XII—XIII საუკუნისა) ერთიმეორისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ შესაძლებელია ეს ორივე ნუსხა საერთო წყაროდან მომდინარეობდეს და რომ იმ წყაროში შემთხვევით მიაწერა კრებულის შემდგენელმა თუ ხელნაწერის გადამწერმა არსენ იყართოელს.

ამჟამად ჩვენთვის შემდეგი საკითხია გადასაწყვეტი: მართალია თუ არა, რომ ეს შრომა მიქელ პსელოსის ნაწარმოებს წარმოადგენს და რომ ის არსენი იყართოელის მიერ არის გადმოთარგმნილი? ამ საკითხის გარშემო შემდეგი მოსაზრებებია წამოყენებული:

ა) აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ტრაქტატი, რომელსაც სიმოკლისათვის შეიძლება ვუწოდოთ «პირმოხსათჳს», შემთხვევით არის მიჩნეული მიქელ პსელოსის ნაწარმოებად და რომ „სელოსის შრომათა შორის, რომელნიც ამჟამად ცნობილია, ვერ ვპოულობთ“. ამავე დროს კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ტრაქტატი „იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომი უნდა იყოს; ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იმაში განმეორებულია მრავალი ისეთივე აზრი და დებულება, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის საკუთარ კომენტარებში და ნემესიოს ემესელის [შრომის «ბუნებისათჳს კაცისა»] თარგმანში“².

ბ) აკად. შ. ნუცუბიძის აზრით ტრაქტატი „პირმოხსათჳს“, პირიქით, მიმართულია იოანე პეტრიწის წინააღმდეგ და „თავისი შინაარსით და საპოლემიკო მიზანდასახულობით არსენი იყართოელის დაწერილი უნდა იყოს“³. „ზედწერის მიხედვით — ამბობს შ. ნუცუბიძე, ეს ტრაქტატი ვითომც მიქელ პსელოსს ეკუთვნოდა. საფიქრებელი იყო, რომ არსენ იყართოელმა ეს ტრაქტატი გადმოთარგმნა პსელოსის ნაწერებიდან და თავის «დოღმატიკონსა» ასეთივე ნათარგმნი ნაშრომების კრებულს, დაუმატა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ასეთი ნაშრომი მიქელ პსელოსის ნაწერთა ნუსხაშიაც კი არ აღმოჩნდა. ამან საბუთი მოგვცა გვეფიქრა, რომ აღნიშნული ნაშრომი ორიგინალურია და, ბუნებრივია, რამდენადაც

¹ თუმცა სხვა ადგილას (კ. ლიტ. ისტ. I, 1960, გვ. 465) კ. კეკელიძე ამ ნუსხასაც (S—1463) ასახელებს.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I (1960) გვ. 292. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სხვა ადგილას (გვ. 464—465) კ. კეკელიძე მიქელ პსელოსს თვლის ავტორად და იოანე პეტრიწს მთარგმნელად.

³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია II (1958), გვ. 225.

იგი არსენის «დოღმატიკონის» შემადგენლობაში აღმოჩნდა, მას ეკუთვნოდა¹.

ამგვარად, კ. კეკელიძეც და შ. ნუცუბიძეც ფიქრობენ, რომ ტრაქტატი, „პირმშოახსათჳს“ ორიგინალური ნაწარმოებია და არა ნათარგმნი, ხოლო კ. კეკელიძის აზრით ის იოანე პეტრიწის ნაწარმოებია, შ. ნუცუბიძის აზრით კი — არსენი იყალთოელისა. მათ, ორივეს, გამორიცხულად მიაჩნიათ, რომ ეს ტრაქტატი მიქელ პსელოსისა იყოს ქართულად გადმოთარგმნილი, ვთქვათ, არსენი იყალთოელის მიერ. იმის საბუთად, რომ ის მიქელ პსელოსს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, იმ გარემოებას მიიჩნევენ, რომ მიქელ პსელოსის ნაწერთა ნუსხაში ის არსად არ მოიხსენიება.

ზემოთ ჩვენ გვქონდა შემთხვევა დაგვეჩინა, რომ ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ, რომელიც ქართულ ხელნაწერში მიქელ პსელოსს მიეწერება, აგრეთვე არ მოიხსენიება პსელოსის ნაწარმოებთა ნუსხაში მაგრამ ექვმიუტანლად მტკიცდება ამ ტრაქტატის დასაწყისი თავის მიხედვით («რად შაბათი და რად ახალთთუე»), რომ ის ბერძნულიდან არის ნათარგმნი, იმ ბერძნული ძეგლიდან, რომელიც ბერძნულ ხელნაწერში უაეტოროდ (ἀνεπίγραφον) არის მოყვანილი. თუ ეს გამოირკვეა, რომ ქართველ მწიგნობარს უსაბუთოდ არ მიუკუთვნებია ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ მიქელ პსელოსისათვის, რა საბუთით არის ყალბად გამოსაცხადებელი ქართული ძეგლის მოწმობა, რომ «პირმშოახსათჳს» არის ნაწარმოები «დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისა». რამდენადაც ეს ასეა და რამდენადაც ჯერჯერობით არც ერთი ამ ძეგლთაგანი გამოცემული არ არის, ხოლო ერთი მათგანის („დღესასწაულთა“ შესახებ) ბერძნული ტექსტის მხოლოდ დასაწყისია ცნობილი და არა მთელი ტექსტი, რომლის შედარება ძველქართულ თარგმანთან სანათლეს შეიტანდა საქმის ვითარებაში, ამდენად, ვფიქრობთ, არ არის ჯერჯერობით ექვის ქვეშ დასაყენებელი ძველქართული ხელნაწერების მოწმობა, რომ ეს ორივე ტრაქტატი მიქელ პსელოსს ეკუთვნის².

¹ შ. ნუცუბიძე, იქვე, გვ. 154.

² მიქელ პსელოსის ეს ორივე ტრაქტატი («დღესასწაულთა განმარტებამ» და «პირმშოახსათჳს») დავამზადეთ გამოსაცემად და ამ წიგნის ბოლოში ვურთავთ „დამატების“ სახით.

შესავალი

Χρονογραφία πνευθεῖσα τῶν
 πανσόφῳ μοναχῶ Μιχαήλ τῶ
 ὑπερτίμῳ, ἱστοροῦσα τὰς πράξεις
 τῶν βασιλέων, τοῦ τε Βασιλείου
 καὶ Κωνσταντίνου τῶν Πορφυρο-
 γεννήτων, τοῦ τε μετ' αὐτοὺς
 Ῥωμανοῦ τοῦ Ἀργυροπώλου, τοῦ
 μετ' ἐκείνων Μιχαήλ τοῦ Παφλα-
 γόνος, τοῦ ἀπὸ καισάρων ἄρξαν-
 τος μετ' αὐτὸν ἀνεψιοῦ τοῦτου
 Μιχαήλ, τῶν ἐξῆς δὲ αὐταδέλ-
 φων καὶ πορφυρογεννήτων τῆς
 τε κυραῆς Ζωῆς καὶ τῆς κυραῆς
 Θεοδώρας, τοῦ σὺν αὐταῖς Κων-
 σταντίνου τοῦ Μονομάχου, τῆς
 μονοκρατορίσσης φιατέρας τῶν
 δὲ ἀδελφῶν κυραῆς Θεοδώρας,
 | τοῦ μετ' ἐκείνην Μιχαήλ τοῦ
 Γέροντος, | τοῦ μετ' ἐκείνων
 Ἰσαακίου τοῦ Κομνηνοῦ, καὶ
 ἕως τῆς ἀναρρήσεως Κωνσταντι-
 νου τοῦ Δούκα (ed. Renauld I, 1).

ქრონოგრაფია, შედგენილი
 უაღრესად ბრძენი მონაზონის
 ზემთა-პატივოსანი მიქელის მიერ;
 ეს ქრონოგრაფია მოგვითხრობს
 მეფეთა მოღვაწეობას: ბასილი
 და კონსტანტინე პორფიროგე-
 ნეტებისას, მათ შემდეგ რომანოზ
 არგიროპოლისას, ამის შემდეგ
 მიხეილ პაფლაგონელისას, მის
 შემდეგ მისი ძმისწულის მიხეი-
 ლისას, რომელსაც კესაროსის
 პატივი ჰქონდა. ამათ მოსდევდ-
 ნენ ორნი დანი პორფიროგენეტ-
 ნი, დედოფალი ზოე და დედო-
 ფალი თეოდორა, და მათთან
 ერთად კონსტანტინე მონომა-
 ხოსი. შემდეგ იმ ორ დათავან
 ერთმმართველი დედოფალი თეო-
 დორა. [ხოლო ამის შემდეგ მი-
 ხეილ მოხუცი,] ამის შემდეგ კი
 ისააკ კომნენოსი და თხრობა მო-
 ტანილია ვიდრე კონსტანტინე
 დუკას გამეფებამდე¹.

¹ აქ ჩამოთვლილი კეისრები და დედოფლები არიან:

ბასილი II (976—1025)

კონსტანტინე VIII (1025—1028)

რომანოზ III არგიროსი (1028—1034)

მიხეილ IV პაფლაგონელი (1034—1041)

მიხეილ V (1041—1042)

ზოე და თეოდორა (1042)

კონსტანტინე IX მონომახოსი (1042—1055)

თეოდორა (მარტო) (1055—1056)

მიხეილ VI [სტრატოტიკი] (1056—1057)

ისააკ I კონნენოსი (1057—1059)

კონსტანტინე X დუკა (1059—1067).

იბერთა ჯარი

I, 10. Ὁ δὲ γε Φωκᾶς Βάρδας τῷ βασιλεῖ Ῥωμαίων ἐπαναζεύγυσσι, καὶ τῆς τε τροπαιοφόρου ἐτεταχῆκει πομπῆς, τοῖς τε περὶ τὸν βασιλέα συναρίθμιος ἐτύγγα-
 νεν ὦν. Οὕτω μὲν οὖν ἡ πρώτη τυραννὶς καταλέλυσται, καὶ ὁ βασιλεὺς Βασίλειος ἀπηλλάχθαι πραγμάτων ἔδοξε· ἡ δὲ δόξασα αὕτη κατάλυσις ἀρχὴ πολλῶν ὠδίνων οὕσα ἐτύγγανεν. Ὁ γάρ τοι Φωκᾶς πρῶτα μὲν μειζόνων ἀξιώθεις, ἔπειτα ἑλαττόνων, καὶ ἀνθὶς ὑπορρεούσας αὐτῷ τὰς ἐλπιδας ὁρῶν, ἄμα δὲ καὶ μὴ προδεδωκέναι τὴν πίστιν αἰόμενος, ἐπὶ ῥητοῖς προσβᾶσαν καὶ φυλαχθεῖσαν, σὺν τῷ κρατίστῳ μέρει τοῦ στρατοπέδου βαρυτέραν τε καὶ χυλεπωτέραν κατὰ τοῦ Βασιλείου τυραννίδα ἀνίστησι· καὶ τὰ πρῶτα γένη τῶν τότε θυναμένων ἀναρτησάμενος, καὶ εἰς ἀντίπαλον μείραν ἀποκριθεὶς στρατεύμα τε Ἰβηρικὸν ἀπολεξάμενος ἑαυτῷ (ἄνδρες δὲ οὗτοι τό τε μέγεθος εἰς δέκατον πόδα ἀνεστηκότες καὶ τὴν ὄφρυν σοβαρὰν ἔλκοντες), οὐκ ἔτι ἐν ὑπονοίαις, ἀλλὰ μετὰ τῆς βασιλικῆς τιμᾶς καὶ τοῦ ἐπισήμου χρώματος τὴν τυραννικὴν στολὴν ἀμφιέννυται.

I, 15. Αἱ μὲν οὖν τάξεις εἰστήχασαν ἑκατέρωθεν, ἀπὸ μὲν τῶν

რაც შეეხება ბარდა ფოკას, ის კვლავ რომელითა მეფეს დაუბრუნდა, მოიპოვა ჩინებული და სახეიმი მიღება და მეფის მახლობელთა რიცხვში ჩაითვალა. ამგვარმდ, პირველი აჯანყება ჩაიშალა და მეფე ბასილიმ გადაწყვიტა გასცლოდა საქმეებს; ხოლო ეს მოხვედრებითი ჩაშლა შეიქმნა მრავალი ტანჯვის დასაბამი. მართლაც, ფოკა ჯერ უაღრესად აღზევებული, შემდეგ კი დამცირებული, ხედავს, რომ მისი იმედები კვლავ იმსხვრევა, ამავე დროს ფიქრობს, რომ არ უღალატა რწმენამ, რომელიც გარკვეულ პირობებში მიღწეულია და დაცული, — ამიტომ ის თავისი ჯარის უძლიერესი ნაწილით აწყობს ბასილის წინააღმდეგ უფრო მწვავე და უფრო მძიმე აჯანყებას. მის შემდეგ რაც ჯერ დაიკავშირა მაშინდელ დიდებულთა გვარები, მან მტრული გეზი აიღო და თავისთვის შეკრიბა იბერიელთა ჯარი (ეს ხალხი სიმაღლით მეათე ფუტს აღწევს და წარბებიც ქედმაღლურად აქვთ შეჭმუხნილი); ეს აჯანყება საეგებოდ სავარაუდებელი კი არ იყო, არამედ ჰგულისხმობდა სამეფო გვირგვინს და ნიშნეული ფერის ტანსაცმელს ტირანისას.

ამგვარად, ორივე მხრით დადგნენ ჯარები: სანაპირო მხა-

παραλίων μερῶν ἢ βασιλική, ἀπὸ δὲ τῶν ὑψηλοτέρων ἢ τυραννική, καὶ πολὺ μεταξὺ τὸ μεταίχμιον.

Ὁ τοίνυν Φωκᾶς, ὡς καὶ τοὺς βασιλεῖς διατεταγμένους ἐμαυθήκει εἰς τὴν παράταξιν, οὐκ ἔτι [ἐν] ἀναβολαῖς τοῦ μάχεσθαι ἦν, ἀλλὰ τὴν ἡμέραν ἐκείνην κρίσιν τοῦ πολέμου δημοτελεῖ ἔθιμο, καὶ τῷ τῆς τύχης ἑαυτὸν ἐπέτραψε πνεύματι· οὐ μὴν κατὰ σκοπὸν τοῖς περὶ αὐτὸν ἐποίητο μάντεσιν· οἱ μὲν γὰρ ἀπειργον τοῦ μάχεσθαι, τῶν θυμαίων αὐτοῖς τοῦτο διασαφούντων, ὁ δὲ ἀντεπεχειρεῖ ἄλλην ἀριεὶς τὴν ἡμίαν τῷ Ἰππῳ.

Λέγεται μὲντοι καὶ σημεῖα φανῆναι· οἱ ἀπαίσια· ὡς γὰρ ἰππάζετο, εὐθύς αὐτῷ διωλισθη· καὶ ὁ Ἰππος, καὶ ἐπεὶ μετέβη εἰς ἕτερον, καὶ οὕτως βραχὺ τι προκληλυθὼς ταῦτό ἐπεπόνθει· ὁ τε χρῶς αὐτῷ ἐτέτραπτο, καὶ ἀχλὺς μὲν τὴν γνώμην, δὲ τὴν κεφαλὴν διετάραξαν.

Ὡς δὲ πρὸς οὐδὲν ἐνδόσιμος ἦν, ἀπαξ ἑαυτὸν καταστήσας εἰς τὸν ἀγῶνα, ἐπειδὴ ἐνεβέβηκει τῷ μετώπῳ τῆς φάλαγγος, καὶ ἦδη πού πλησίον τῆς βασιλείου ἐγεγόνει δυνάμει, πεζὴν τινα περὶ αὐτὸν συλλεξάμενος δύναιμι, Ἰβήρων τοὺς μαχηματώτους

რეზე — სამეფო ჯარი, ხოლო მღვდლებზე იდგა აჯანყებულთა ჯარი; ორივეს შუა დიდი მანძილი იყო.

როდესაც ფოკამ შეიტყო, მეფის რაზმები უკვე განლაგებული არიან, აღარ ჩასთვალა შესაძლებლად გადაედო ბრძოლის დაწყება, და გადაწყვიტა რომ ის დღე ომის დასაწყებად ხელსაყრელი იყო, და თავისი თავი მიანდო ბედის სუნთქვას. რასაკვირველია, მიზნისდა მიხედვით, ის მის გარშემო მყოფ მისნებს არ მიჰყვებოდა: ისინი მას აკავებდნენ ბრძოლისაგან, რადგან ამას მსხვერპლშეწირვები უჩვენებდნენ მათ, ხოლო მან, პირობით, მთლად მიუშვა ალვირი ცხენს.

ამბობენ, რომ მას მაინც საბედისწერო სამისნო ნიშნები მოეცლინა: რამეთუ როგორც კი ცხენზე შეჯდა, მაშინვე ცხენი მის ქვეშ გაიშლართა, და როდესაც ის მეორე ცხენს შეაჯდა, მასაც, რამდენიმე ნაპიჯის შემდეგ, იგივე ბედი ეწია: თვითონაც ფერი ეცვალა, გონებას ბინდი გადაეფარა, ხოლო თავს ბრუდაგსხა.

ის ისეთი კაცი იყო, რომ არაფრის წინაშე არ შედრკებოდა ხოლმე, რაკი ერთხელვე ბრძოლაში ჩაებმებოდა, როდესაც ის თავის ფლანგს წინ მიუძლოდა, და ახლა, როდესაც ის სამეფო ჯარის ახლოს აღმოჩნდა, მან თავის გარშემო შეაგროვა ქვეითა

φημί, ἀρτιφύεις πάντας τὸ γένειον καὶ αὐτὸ δὴ τὸ νεοτήσιον ἀποφύοντας ἄνθος, ὑψηλοὺς καὶ ἰσομέτρους ὡς περ ὑπὸ κανόνα τὸ μέγεθος, ξίφει καθῶπιςμένους τὴν δεξιάν καὶ τὴν ἑρμὴν ἀνυποστάτους τυγχάνοντας, τοὺτους δὴ μεθ' ἑαυτοῦ ἢφ' ἐνὶ κινήσας συσπῆματι, τῆς φάλαγγος προπηδῶ, καὶ τὸν χαλινὸν ἐνδοὺς σὺν ἀλαλαγμῷ εὐμῦ τὸν βασιλέως χαιρεῖ, τῷ δεξιῷ βραχίονι μετέωρον τὴν τοῦ ξίφους ἐπέχων λαβὴν, ὡς εὐτίκα τοῦτῃ τὸν βασιλέα διαχειρισόμενος (ed. Renauld I, 9—10).

გაეჟანა: მარჯვენა ხელი ეღო მახვილის ბუნხე, თითქოს იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ გაეგმირა მეფე.

[XVI თავში მოთხრობილია, რომ ფოკას იმის წინ, ბასილისთან ხელჩართულ ბრძოლაში გასვლას რომ აპირებდა, საწამლაგი დააღვივინეს და იგი უცბად უსულოდ დავარდა.]

I, 17. Πίπτει γοῦν ὁ τέως ἄτρωτος καὶ ἀνάλωτος, θάμα μὲν ἔλεεινὸν καὶ δακρῦν ἄξιον. Εὐμῦς δ' οὖν ὡς εἶδον αἱ φάλαγγες ἑκατέρωθεν, ἡ μὲν εὐμῦς διαίρειθεις καὶ τὸ τῆς θύμαιχμίας συνεχῆς διακόψασα, ὅπισσά τε ἔγειναι, καὶ φυγάδες ἅπαντες ὤφθησαν. οἱ δὲ περὶ τὸν βασιλέα, εὐμῦς πεσόντι τῷ τυράννῳ ἐπεισπηδῆσαντες, τῶν Ἰβήρων διασχεδασθέντων, πολλὰς κοπίσι διαμελίξουσι, καὶ τὴν κεφαλὴν ἔκτεμόντες τῷ Βασιλεῖα προσάγουσι (ed. Renauld I, 11).

კუწვებად აქციეს დანის რტყმით,

ჯარი, მე ვგულისხმობ უმამაცესად მებრძოლ იბერიელებს; ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი, და თვით გაფურჩქვნილ ყვავილს ჰგვანდნენ; მაღალი ტანისა იყვნენ და თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი, შეიარაღებული იყვნენ მახვილით, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირათ და შემართვით იყვნენ უძლველნი; ესენი რომ თავისთან ჰყვანდნენ, ის მათ მართავდა ერთნაირი გეზით, ფალანგს წინ მიუძღოდა, აღვირი მიუშვა თავის ცხენს და საბრძოლო შეძახილით უმაღ მეფესკენ

ლო შეძახილით უმაღ მეფესკენ

რომ დაეცა ის კაცი, რომელიც მანამდე უძლველი იყო და მოუწყველელი, — ეს წარმოადგენდა საცოდავ სანახაობას, ცრემლების ღირსს. მაშინვე როგორც კი მოწინააღმდეგეთა ფალანგებმა, ორივემ, დაინახეს ეს, ერთი მაშინვე დაიქსაქსა და, რადგან საბრძოლო კავშირი დაიშალა, უკუიქცნენ, და ყველანი ლტოლვილებად გახდნენ; ხოლო მეორენი, მეფის გარშემო რომ იყვნენ, მაშინვე ეცნენ დაცემულ ტირანს (ე. ი. ფოკას), გათანტეს იბერიელები, თვით იგი ნაკუწვებად და მიუტანეს ბასილის.

იბერიელთა საგანძურების დაცარიელება

I, 31. Ἄπο τοῖνυν ὑπερηφάνου καὶ βασικάνου τύχης τὴν βασιλείαν καταβιβάσας, οὐ μόνον λείαν ἑαυτῷ τὴν δδὸν εὐτρέπισε τῆς ἀρχῆς, ἀλλὰ καὶ τὰς ἐξαγωγὰς τῶν διδομένων ἀποφράξας χρημάτων, πολυτάλαν ἑαυτῷ τὸν ἄλβον τῆς βασιλείας πεποιήκαε, τὰ μὲν μὴ διδοῦς, τὰ δὲ καὶ προστιθεὶς ἕξωθεν· ἐς γὰρ μυριάδας εἴκοσι ταλάντων ἔμπλεω τὰ τῶν ἀνακτόρων ταμεία πεποιήκαε. Τὸν δὲ λοιπὸν χρηματισμὸν τίς ἂν εὐπορήσει τῷ λόγῳ συναγαγεῖν; ὅσα γὰρ ἐν Ἰβηρσί τε καὶ Ἀραψι, καὶ ὅσα ἀποτεθησαύριστο εἰς Κελτούς, δπόσα τε ἡ Σκυθῶν εἶχε γῆ, καί, ἵνα συντόμως εἶπω, τὸ περίξ βαρβαρικόν, πάντα ἐς ταυτὸ συνενηνοχῶς τοῖς βασιλικοῖς ταμείοις ἀπέθετο· ἀλλὰ καὶ τῶν καταστασιζάντων αὐτόν, εἶτα δὴ καθαιρεθέντων, τὴν ἐν χρήμασιν εὐδαιμυσίαν ἔκείσε φέρων ἀπεθησαύρισε (ed. Renauld I, 19).

ამგევარად, სახელმწიფო რომ ჩააყენა პირქუში და მოშურნე ბედის საფარ-ქვეშ, მან არა მხოლოდ შეამზადა თავისთვის მოსწორებული გზა ძალაუფლებისა, არამედ მან დახშა გამოსასვლელი კარები შემოსული თანხებისა, შექმნა თავისთვის მრავალტალანინანი სამეფო საგანძური: ხან იქიდან არაფერს აძლევდა, ხან გარედან უმატებდა; რამეთუ მან ორას-ათას ტალანტამდე ააგსო სასახლის ხაზინა. ვის შეუძლია სიტყვით აღრიცხოს დანარჩენი სიმდიდრე? მართლაც, მთელი ის სიმდიდრე, რაც იბერიელებში ი და არაბებში მოიპოვა, რაც კელტებში მოაგროვა, რაც ებადა სკვითების ქვეყანას და, მოკლედ რომ ვთქვა, მთელ ბარბაროსთა სამყაროს, ყველაფერი ერთად შეაგროვა და დასდო სამეფო სალაროებში. მაგრამ იმათი ქონებაც, რომელნიც მას აუჯანყდნენ, ხოლო შემდეგ დამარცხებულ იქმნენ, — იმათი ფულადი სიმდიდრეც იქვე მიიტანა და შეინახა.

იბერიის თემი

VI, 100. Τῷ αὐτοκράτορι Κωνσταντίνῳ ὄνῃ ἐγεγόνεισαν ἀδελφαί, Ἐλένη μὲν ἡ πρεσβυτέρα τὸ ὄνομα, Εὐπρεπία δὲ ἡ μετ' ἐκείνην· τῆς μὲν οὖν Ἐλέ-

თვითმპყრობელ კონსტანტინეს¹ ჰყავდა ორი და: უფროსს ერქვა ელენე, ხოლო უმცროსს — ევპრეპია. და, აი, ელენეს ის არავითარ ყურადღებებს არ აქ-

¹ ეს არის კონსტანტინე IX მონომახოსი (1042—1054).

νης οὐδένα ἐπεποίητο λόγον, [τὴν δ' ἑτέραν]¹ οὐτε τι λαμπρὸν ἐξ ἀρχῆς κομῶσαν καὶ εἰς περιφάνειαν τύχης ἐλήλυθειαν, φρονήματός τε πλήρη τυγχάνουσαν, καὶ γυναικῶν ἀπασῶν ὧν ἐγὼ τεθέσμαι σταθιροτάτην τε οὖσαν καὶ δυσπαράγωγον, ταύτην τοιγαροῦν εὐλαβεῖτο μὲν ἔ ἀδελφός, ὧς μοι εἴρηται, οὐκ ἔσπεργε δὲ παραγωγόν, ἀλλ' ἐδεδῖει μάλλον ἢ περιείπεν.

უფრო ეშინოდა, ვიდრე პატვისცემდა.
 Ἀὐτὴ τοιγαροῦν τῶν ἐπὶ τῷ ἀδελφῷ διημαρτησιῶν ὑπερηφάνων ἐλπίδων, βουλεύεσασθαι μὲν τι κατὰ τοῦ ἀτοκράτορος τῶν ἀτοπωτάτων ἀπειχε παντάπασιν, οὐ πολλάκις δὲ τούτω προσήει, οὐδ' ἐμάρρει ἀδελφικῶς, ἀλλὰ καὶ εἰς ἑμίλιαν ἐκείνῳ ἑαυτὴν καταστήσασα, ὑπερηφάνως τε διελέγετο καὶ μετὰ τῆς ἀρχαίας ὀφρύος ἀπήλεγχε τε τὰ πολλὰ τοῦτον καὶ προσωεῖδιζε, καὶ ὅπότε μιμούμενον ἴδοι, ὑπανεχώρει καταφρονοῦσα, τὴν ἐπ' αὐτὸν ἕβριον τοῖς χεῖλεσιν ὑποτονθορῶζουσα· καὶ ἐπειδὴ ἦδει τὸν ἀδελφὸν πρὸς τὸν ἦδη ῥηθέντα Τορνίκιον ἀστόργως πάντῃ ἢ ἀπεχθῶς ἔχοντα, τοῦτον ἐκείνῃ ἐδειξιῦστο καὶ φίλτατον εἶχε, καὶ θάμὰ προσωμίλει, οὐχ οὕτως ἀσπαζομένη τὸ πρότερον.

ცევადა; რაც შეეხება მეორეს, რომელიც დასაწყისში ვერ დაიკვებდა ბრწყინვალე მდგომარეობას და არც მიაღწია ბრწყინვალე ბედამდე, იგი იყო აღსავსე სათნოებითა, ყველა ქალთა შორის, რომლებიც მე მინახავს, ყველაზე მედგარი და ძნელად შესაცდენი, — აი ამას, მაშასადამე, როგორც ვთქვი, მისი ემა უფრო თხილდებოდა, ხოლო კი არ უყვარდა გამორჩევით(?) არამედ

ეს ქალბატონი, მაშასადამე, ძმაზე დამყარებულ ზვიად იმედებში გაცრუებული, რასაკვირველია, სრულიად თავს იკავებდნ განიზრახოს თვითმპყრობელის წინააღმდეგ რამე უჯერო, მაგრამ არ მიდის მის სანახავად ხშირად, არც ენლობა მას ძმურად, არამედ, როდესაც მას ხვდებდა, ელაპარაკება მას ამყად და ძველებური სიამაყით ბევრ რამეში არ უთმობდა მას და კიდევაც ჰქიცხავდა; და როდესაც ის მას გაჯავრებულს ნახავდა, ის აიკრიფებოდა ზიზლით და ტუჩებით ბუზლუნებდა მისი გამკიცხავი; როდესაც ის სცნობდა, რომ მისი ემა უკვე ჩემ მიერ ხსენებულ თორნიკეს სრულიად უსიყვარულოდ ან მტრულად ეყვრობა, ის ამას სიყვარულით მიესალმებოდა და ხშირად მოინახულებოდა და ხშირად მოინახულებოდა.

¹ τὴν δ' ἑτέραν Sathas, τὴν δ' Renauld.

Ὁ δὲ γε βασιλεὺς ἐμεμήνει
 μέν, βαθεῖς δὲ εἶχε περὶ τούτου
 τοὺς λογισμοὺς· οὐπω γὰρ οὐδὲ
 προφάσεις ἔσχεν ἀρκούσας εἰς
 κάκωσιν· ὅθεν ἴνα πόρρωθεν ἀπ'
 ἀλλήλων γένοιτο, ἐκείνη μὲν τέως
 ἔκρυψε τὸ ἀπόρητον, αὐτὸν δὲ
 τῆς Πόλεως μεμιστᾶ μετ' εὐπρε-
 πούς σχήματος· τὴν γὰρ Ἰβη-
 ρικὴν ἐπιτρέψας ἀρχήν, ἐπί-
 δοξον ὑπερορίαν τούτῳ κατεσ-
 κευάκει (ed. Renauld II, 12 – 13).

VI, 105. Ἀμέλει καὶ πρὶν ᾗ
 προσπελάσαι τοῖς τείχεσι, πολλή
 τις αὐτοῖς μερὶς κατὰ τὴν πο-
 ρείαν ἐψελουσίως ὄρμαῖς προσε-
 τίθετο, πληθὺς τε στρατιωτικῆ
 ἀπὸ τῶν ὑψηλοτέρων μερῶν προ-
 σεγίνετο, καὶ τὰ μέχρι τῆς Πό-
 λεως κατάντη πάντα πρὸς τὸν
 σκοττὸν καὶ ἐπίφορα.

Καὶ τὰ μὲν ἐκείνων τοιαῦτα,
 τῷ δὲ αὐτοκράτορι εἰς τούτων-

ხოლო მეფე განრისხებული
 იყო, მაგრამ მის შესახებ თავს
 იკავებდა: რამეთუ არ ჰქონდა
 საკმარისი საბაზი მის წასახდე-
 ნად; ამიტომ, რათა შორს ყო-
 ფილიყვენ ერთმანეთისაგან, თა-
 ვის დას ერთხანს უმაღავდა საი-
 ლუმლოებას და იგი (თორნიკე)
 კონსტანტინეპოლს მოაშორა სა-
 პატიო მიზეზით: რამეთუ მას
 იბერიის გამგებლობა მი-
 ანდო და ამით სახელოვანი გაძე-
 ვება მოუწყო მას¹.

მართლაც, სანამ ისინი ზღუ-
 დეებს მიუახლოვდებოდნენ, მრავალრიცხოვანი ბრბო შეუერთდა
 მათ გზაში შემართებული აღდრ-
 თოვანებათ, და მეგრძოლთა სი-
 მრავლაც შეუერთდა მათ მალ-
 ლობი ადგილებიდან, და მთელი
 მხარე ზემოდან ქვევით ვიდრე
 კონსტანტინეპოლამდე² მათ გეგ-
 მებს მხარს უჭერდა.

ასეთი იყო მათი საქმეების ვი-
 თარება, ხოლო თვითმპყრობე-

¹ ამ ნაწყვეტში ლაპარაკია იმ ლეონ თორნიკეზე, სომეხ სარდალზე, რომელმაც კონსტანტინე მონომახოსს აჯანყება მოუწყო 1047 წელს. ამ ლეონ თორნიკეს, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა კონსტანტინე მონომახოსის უმკროსი და ევპოპია, რასაკვირველია, კისრის რისხვა უზომოა, მაგრამ ის თავს იკავებს და ჯერჯერობით ლეონ თორნიკეს გზავნის იბერიის მმართველად. თუ რა სახისაა თორნიკეს თანამდებობა, ეს კიდევ სარკვევია. ზემოთ მოყვანილ ტექსტში სწერია, რომ თორნიკეს «იბერიის გამგებლობა (ἀρχή)» მიანდო კონსტანტინემ. გ. შლომბერჟე მიქელ პსელოსის ცნობის შინაარსს რომ გადმოგვეცემს, ამბობს, რომ კონსტანტინემ თორნიკე გაგზავნა „იბერიის სტრატეგოსად“: C'est dans ce but qu'il l'avait nommé stratigos dans la lointaine Géorgie («ამ მიზნით მან დანიშნა იგი სტრატეგოსად შორეულ საქართველოში»: G. Schumberger, L'Épopée byzantine. III [1905], p. 505). მაშასადამე, აქ ლაპარაკი უნდა იყოს ე. წ. «იბერიის თემზე»: სტრატეგოსის სახელს ატარებდნენ სწორედ თემების უფროსები, მმართველები.

² ე. ი. მთელი თრაკია.

τίον περιεστῆχει τὰ πράγματα· οὔτε γὰρ οἰκτεῖον στρατεύμα, οὔτε συμμαχικὸν αὐτοῦ που συνέλεχτο, εἰ μὴ τις ὀλίγη μερίς Ξενική, ὁπόση τις εἴωθεν ἐφέπεσθαι ταῖς βασιλείοις πομπαῖς· ὃ γέ τοι τῆς ἐφ᾽ αὐτῶν ἔφατος οὐδὲ κατεσκήγουσιν ἐφ' ἑαυτῶν ἕκαστοι, ἵνα δὴ τι καὶ κατὰ σύνθημα ταχὺ συλλεγόντες βιοηθήσασιν τῷ αὐτοκράτορι κινδυνεύοντι, ἀλλ' ἔς τὰ βασιύτερα τῆς Ἰβηρίας ἐστρατοπεδεύκειςαν, ἐπιδρομὴν τινος βαρβάρου ἀνακρουόμενοι· διὰ ταῦτα ἀπολώλειςαν τῷ βασιλεῖ αἰ ἐλπιδες, καὶ τοσοῦτον μόνον ἀνέπνει, ὁπόσον αὐτὸν ἢ τοῦ τείχους περιβολῆ διεζώνυσεν· ἔθεν περὶ τοῦτο ἐπόνει, τὰ τε κατεργασίμημένα τῶν μερῶν ἀνακτῶμενος καὶ λιθοβόλοις καταπυκνῶν μηχανήμασιν (ed. Renauld II, 19).

მორტყმობდა გარშემო. ამიტომაც იმის ზრუნვა, რომ აღედგინა დაუდევრობით დაკარგული ნაწილები და შეეცა ქვისმტყორცნელი მანქანებით.

ლის საქმეები საპირისპირო მდგომარეობაში იყო: რამეთუ არც საკუთარი ჯარი, არც მოკავშირეთა (დაჭირავებული) ჯარი ჰყავდა შეგროვილი, თუ არ ჩავთვლით უცხოელების ერთ პატარა განაყოფს, რომელიც ჩვეულებრივ სამეფო ზეიმებს თანახლდა; რაც შეეხება აღმოსავლეთის ჯარს, ისინი, თითოეული მათგანი, თავიანთ ქვეყანაში კი არ ბანაკობდნენ, რათა მოცემული ნიშნის მიხედვით სწრაფად შეკრებილნი დახმარებოდნენ საფრთხეში მყოფ თვითმპყრობელს, არამედ დაბანაკებული იყვნენ იბერიის სიღრმეში და ბარბაროსების იერიშებს იგერიებდნენ: ამის გამო მეფის იმედები დაღუპული იყო, და მხოლოდ იმდენად სულდგმულობდა, რამდენადაც კედლის გალავანი მას შტამის გარშემო ტრიალებდა მისი იმის გარშემო ტრიალებდა მისი

მარიამ დედოფალი და კონსტანტინე

მიქელ პსელოსს თავის „ქრონოგრაფიაში“ ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მიხეილ VII დუკა პარაპინაკის დახასიათებისათვის. როგორც ცნობილია, მიქელ პსელოსი მიხეილის აღმზრდელი იყო და იგი არ ზოგავს სიტყვებს მის შესაქებად. „ქრონოგრაფიის“ ამ ნაწილიდან ჩვენ მოგვყავს ის აღვლები, რომლებიც ეხება მიხეილის შეუღლეს მარიამს, მართა-ყოფილს (თუმცა ისტორიკოსს არ მოჰყავს მისი სახელი) და მის ვაჟს კონსტანტინეს.

მიხეილ VII დუკა პარაპინაკის შეუღლე

VII, 9. 'Αλλ' ἐπιτέμνοντα მაგრამ მე მოკლედ ვჭრი
τὴν λόγον πολλὰ με δὲλεσθε, τὸ სიტყვას და ამიტომ ბევრი რამ

περὶ τὴν γυναῖκα φίλτρον, οἷον
 εἴς ἐκείνης ἀποτέκoi παιδίον¹, τὸ
 περὶ τοῖν ἀδελφοῖν², ὧν θυμα-
 σίων ὑποκειμένων θυμασώτερος
 ἐκαίνοσ γνωρίζεται. Καὶ ἴνα μὴ
 παρὰ τὸ γένος ἐπαινοῖην τὴν
 βασιλῖδα, εὐδαιμονία καὶ ἀρχαιο-
 τητι πᾶσαν ὑπεραίρον ἀρχήν,
 ἀρκεῖ αὐτῇ ἀντὶ πάντων τὸ ἦθος
 οἷον οὐχ ἑτέρας εἴξεωσ, καὶ τὸ
 εἶδος οἷον οὐχ ἑτέρας δόξωσ· εἰ
 δὲ γυναιξὶ κόσμον ἢ σιγῇ φέρει⁴,
 κατὰ τὸν τραγῳδόν, κόσμου παν-
 τὸσ αὐτῇ τιμωτέρα καμῖσθηκεν,
 ὅτι μῆδενί τῳ ἄλλῳ ἢ τῷ ἀνδρὶ
 τὴν γλῶτταν ἐγνώρισεν, αὐτομά-
 τωσ καλλίων τυγχάνουσα ἢ δπό-
 τε ἀναγκαιώσ εἶχοι κοσμήσασθαι
 (ed. Renauld II, 177).

იგი ყოველგვარ სამკაულზე უფრო უმატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ გააცნობდა, და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც საჭიროება მოითხოვდა მოკმაზულიყო.

იგი

გამომრჩხა. მაგალითად: მისი (ე. ი. მიხეილ დუკას) ტრფობა ცოლისადმი³, რომელი ტრფობისაგანაც მას შეეძინა ბავშვი⁴; შემდეგ მისი ორი ძმისადმი², რომლებიც განსაცვიფრებელი პიროვნებები იყვნენ, მაგრამ იგი უფრო განსაცვიფრებელი ჩანდა. და რომ დედოფლის ქება არ გამოვიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, ეყოფა მას (ე. ი. მის ქებას) ყველაფერში ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე, მისი სახის სიმშვენიერე; თუ კი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, თანახმად ტრაგიკოსისა⁴,

მარიამის ვაჟი კონსტანტინე

Κωνσταντῖνος ὁ τοῦ Δούκα τοῦ
 Μιχαήλ τοῦ βασιλέωσ υἱὸσ

VII, 12. Τὸν τοῦ Μιχαήλ τοῦ Δούκα βασιλέωσ υἱὸν Κωνσταντῖνον βρεφύλλιον ἐγὼ καὶ ἐν ἀγκάλαισ γαλακτοτροφοῦμενον ἐπαράκειν καὶ ταινίῃ βασιλικῇ ἀναδεδεμένον τὴν κεφαλῇν· γρά-

მეფე მიხეილ დუკას ვაჟი კონსტანტინე

მეფის მიხეილ დუკას ვაჟი კონსტანტინე მე მინახავს, ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი, მისი ძიძის მკერდზე, თავზე მეფური ბავთი ჰქონდა შემოკრული; მე არა ვწერ მის შესახებ არც რამე სიტყვებს,

¹ იგულისხმება ვაჟი კონსტანტინე დუკა, რომელსაც მიქელ პსელოსი ცალკე პარაგრაფს უძღვნის (იხ. ქვემოთ, აქვე).

² იგულისხმებიან მიხეილ VII-ის ძმები ანდრონიკე და კონსტანტინე.

³ ე. ი. მარიამისადმი.

⁴ იგულისხმება სოფოკლეს „იანტი“ ტ. 293: *γυναῖ γυναιξὶ κόσμου ἢ σιγῇ φέρει* „ქალო! ქალებისთვის დუმილი სამკაულია“.

φω δὲ αὐτῶ οὔτε λόγους τινάς, οὔτε πράξεις, οὔτε γὰρ ἔπραξέ τι οὔτε οὐπω ἐφθίγγετο· ἀλλὰ καὶ τὸ εἶδος καὶ τὸ ἐμφαινόμενον ἦθος, ὡς οἶόν· τε καὶ ἀπὸ τούτων [ἐμφαίνειν] τὴν ἐγκαθημένην ψυχὴν, οὐπω γὰρ οἶδα τοιοῦτον κάλλος ἐπίγειον· τὸ μὲν γὰρ πρόσωπον αὐτῶ εἰς ἀκριβῆ κύκλον ἀποτετέργεσθαι, οἱ δὲ ὀφθαλμοὶ γλαυκοὶ καὶ εὐμεγέθεις καὶ γαλήνης μεστοί, αἶ τε ὀφρύες εὐθείαι γραμμαὶ ἀτέχνως, περὶ μὲν τὴν βάσιν τῆς ῥινός βραχὺ τι διεστῶσαι, περὶ δὲ τοὺς κροτάφους ἡρέμα κάμπτους· ἡ δὲ ῥίς ἐλευθέρα μὲν τοὺς μυχτῆρας, ἀλλ' ἀρχομένη μὲν βραχὺ τι ἐγείρεται, προΐουσα δὲ ἐς ἄκρον ἐμφαίνει τι τοῦ γρυποῦ· τῆς τε κεφαλῆς ἠλιώσα φριξέξανθε· καὶ τῶ χελεῖ¹ λεπτῶ τε τούτῳ, καὶ [τὸ ὄμμα] βλέπον ἡδὺ καὶ ἀγγέλων ἡδύτερον, καὶ τὴν ψυχὴν ἀπὸ τούτου ἐμφαίνον οὔτε καταβεβλημένην οὔτε ἐπιβεβλημένην, ἀλλὰ πράξειαν μὲν, φείψ δὲ διεγχευμένην κινήματι. აფორთაქებულს, არამედ მიზიდველს, ღვთაებრივი ძრაობით გამხვევებულს.

VII, 13. Τὸν μὲν οὖν Τελαμώνιον Αἰάντα τιθηνούμενον ἔτι τὸν Ἡρακλέα φασὶν ἰδεῖν καὶ τῆ λεοντῆ περιβαλεῖν, ἐγὼ δὲ ἡγκαλισάμην πολλάκις καὶ θνασθαί μου τῶν λόγων ἡδξάμην· ἐναγκαλισομαι δὲ καὶ ἀνθις, καὶ

¹ გ. ი. ხელი.

არც საქმეებს, რამეთუ მას არაფერი გაუკეთებია, არც ხმა ამოუღია; არამედ რაც შეეხება გარეგნობას და გამოძეღვენებულ ხასიათს, რამდენადაც ამათ მიხედვით არის შესაძლებელი მასში ჩაქსოვილი სულიერი თვისებების შემჩნევა, უნდა ვთქვა, რომ არ მინახავს ამგვარი მიწიერი სილამაზე; მისი სახე სრულყოფილ წრედ იყო ჩამონაკეთილი; მისი მსხვილი ცისფერი თვალები სიმშვიდით იყო სავსე, მისი წარბები პირდაპირ სწორ ხაზს ქმნიდნენ, ცხვირის ძირთან პატარა მანძილით იყვნენ დაშორებული, ხოლო საფეთქლებთან ოდნავ მოღუნული; ცხვირი თავისუფლად ეშვებოდა ნესტოებთან, მაგრამ, დასაწყისში ოდნავ ამოხნიქილი, ბოლოს რომ უახლოვდებოდა არწივისებურად კაუჭდებოდა; თავის თმა მზისებურად ბრწყინავდა; ტუჩები თხელი ჰქონდა მას, თვალი იცქირებოდა სასიამოვნოდ, ანგელოზებზე უფრო ნახად, და სულსაც, ამის გამო, ამჟღავნებდა არც დაცემულს არც ამბობენ, რომ აიქს ტელამონის ძემ, ჯერ კიდევ ძუძუთაბავშვმა დაინახა ჰერაკლე და მის ლომის ტყავში გაეხვია; ხოლო მე ხშირად მკერია ხელში უფლისწული და მე შევედრებოვარ ღმერთს, რათა მას (უფლის-

τοῦτο πλειστάκις, καὶ ὀναίμην
αὐτοῦ ἐνόησε εἰς ἡλικίαν ἔλθῃσι καὶ τὸ
δύνασθαι λάβοι παρὰ τοῦ πατρὸς.

‘Ὁ μὲν οὖν Νέστωρ ὁ Πύλιος
μετὰ τὴν τῆς Τροίας ἀλώσιν
ὑποτίθεται Νεοπτολέμῳ τῷ Ἀχιλ-
λέως υἱῷ ἃ δεῖ πράττοντα ἄνδρα
γενέσθαι δεξιόν, ἐγὼ δὲ τοσοῦτον
αὐτῷ ὑποθείμην (ἴσως γὰρ ἐφ’
ἤβης γενόμενος ὁ βασιλεὺς οὗτος
ἀναγνώσεται μου τὸ σύγγραμμα),
πρὸς παράδειγμα τὸν πατέρα
δράν, καὶ κείθεν ἑαυτὸν ἱστορεῖν
καὶ ὁμοιωθεῖν, παιδίον, τῷ φρ-
σαντι, καὶ γένοιο ἂν οὐ κακός·
εἰ μὲν οὖν περαιτέρω τῆς καθέ-
στῆς ἡλικίας προβήσομαι, ἔτε-
ρόν σοι λόγον συγγράψομαι, ὁπ-
νίκα καὶ αὐτὸς ἀφορμὰς τοῦ
γράφειν παράσχοις ἐμοί· εἰ δ’
οὖν, ἀποχρῶν σοι τοῦτο τὸ γράμ-
μα, ἐτέρους ὑπόμνησις τῶν ἐπι σοὶ
συγγραμμάτων ἐσόμενον (ed. Re-
naud II, 178—179).

¹ უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, რომ მიქელ პსელოსის „ქრონოგრაფია“, რომელიც ლეონ დიკონის „ისტორიის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელიც 1059 წლამდე მოტანილი, ავტორის სიცოცხლეშივე იყო გამოქვეყნებული შვიდ ტომად, როგორც ჩანს, 1062—1063 წელს, და შეიცავდა ტომების მიხედვით:

I. ბასილი II (976—1025)

II. კონსტანტინე VIII (1025—1028)

III. როჰანოზ III (1028—1034)

IV. მიხეილ IV (1034—1041)

V. მიხეილ V (1041—1042) და თეოდორა (1042)

VI. ზოე და თეოდორა (1042).

კონსტანტინე IX (1042—1055)

VII. მიხეილ VI (1056—1057)

ისააკ კომნენოსი (1057—1059)

„ქრონოგრაფიის“ გაგრძელებას (1059—1078) მიქელ პსელოსი შეუდგა 1075 წელს მიხეილ VII პარაპინაკის დროს, როგორც ჩანს, თვით მიხეილის თხოვნით და ამით აიხსნება, შედარებით პირველ ნაწილთან, ავტორის არაობიექტურობა, პირმოთხეობა კეისრისადმი. ამ მეორე ნაწილში აღწერილია 1059—1077 წ.წ. ამბები. იხ. J. Sykutris, Zum Geschichtswerk des Psellos: BZ 30 61—67.

წულს) ჩემი სიტყვებისათვის ეს-
მინა; მე კვლავაც ავიყვან მას ხელ-
ში, და ხშირადაც, და გამოვიყენებ
მიიღებს მამისაგან ძალაუფლებას.

პილოსელი ნესტორი ტროა-
ლის ალების შემდეგ ურჩევდა
ნეოპტოლემოსს, აქილევსის ძეს,
თუ რა უნდა გააკეთოს ვაჟკაცმა,
რომ გახდეს ყოჩაღი; ხოლო მე
მას მხოლოდ იმას ვურჩევდი
(იქნებ მან, ჰასაკში რომ შევა და
მეფე გახდება, წაიკითხოს ჩემი
წიგნი), ნიმუშად აელო თავისი
მამა და იქიდან შეეცნო თავისი
თავი: და შენ, ყმაწვილო, მზო-
ბელს თუ დაემსგავსები, ცუდი
კაცი არ დარჩები; თუ მე კიდევ
მოვესწრები შემდეგი ჰასაკის
დადგომას, სხვა ამბავს შევთხზავ
შენთვის, რამდენადაც შენც თვი-
თონ მომცემ შესაძლებლობას;
თუ არა და, ამ წერილმაც იკმა-
როს და გახდეს საფუძველი სხვე-
ბისათვის, რომლებიც შენზე და-
სწერენ თხზულებებს¹.

მიხეილ ატალიატე

მიხეილ ატალიატე XI საუკუნის ისტორიკოსია. იგი წარმოშობით მცირეაზიელია (ქალ. Attaleia, პამფილიაში)¹. XI საუკუნის ორმოციან წლებში კონსტანტინეპოლში დასახლდა და ვეჭილობას მიჰყო ხელი, დიდძალი ქონებაც შეიძინა. მალე მიიქცია მთავრობის ყურადღება და მიწვეულ იქმნა სხვადასხვა თანამდებობაზე: კონსტანტინე X დუკას (1059—1067) დროს სახელმწიფო საბჭოში მუშაობს და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელია; რომანოზ IV დიოგენეს (1067—1071) ლაშქრობებში მონაწილეობას იღებდა როგორც სამხედრო სასამართლოს ხელმძღვანელი და პატრიკიოსის პატივიც მიიღო; მიხეილ VII დუკა პარაპინაკის (1071—1078) და ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078—1081) დროს კიდევ უფრო მეტად იქმნა აღზევებული: მიიღო პატივი მაგისტროსისა და პროედროსისა.

მიხეილ ატალიატეს გარდაცვალების დრო უცნობია². მისი მოღვაწეობის ბოლო ხანები 1080 წლის ამბებს ემთხვევა. მისი ნაშრომებიდან ცნობილია: 1) მიხეილ VII პარაპინაკის დავალებით 1072 წელს შედგენილი იურიდიული სახელმძღვანელო Πόνημα νομικόν ἔχει: σύνταξις παραγραμμάτων. 2) მის მიერ 1077 წელს დაარსებული მონასტრისა და ქსენონისათვის შედგენილი წესდება: Διάταξις ἐπιτοῦ πατρ᾽ ἀποσῆν σφραγίσαι παρχοτεριφείη και τοῦ μοναστηρίου. 3) მიხეილ ატალიატეს მთავარი ნაწარმოებია მისი „ისტორია“, რომელშიაც აღწერილია 1034—1079 წლების ამბები და რომელიც მან უძღვნა ნიკიფორე ბოტანიატეს.

¹ ჯერ კიდევ სათა ვარაუდობდა (*Μεσαιωνική Βιβλ.* 1. გვ. 5'), რომ მიხეილ ატალიატე კონსტანტინეპოლში უნდა იყოს დაბადებული, ხოლო 1965 წელს ბერძენმა მეცლევარმა ვ. თ. ცოლაკიმ კვლავ დასვა საკითხი, რომ *Διάταξις*-ის ცნობის მიხედვით იგი, მართლაც, კონსტანტინეპოლშია დაბადებული 1030—1035 წ. წ. (BZ 58, 5—6).

² თითქოს სავარაუდებელია, რომ მას უნდა ეცხოვრა 1085 წლის მარტამდე (იხ. Tsolakis, გვ. 10).

მიხეილ ატალიატეს „ისტორია“ გამოიყენეს სკილიცეს გამგრძელბელმა, ნიკიფორე ვრიენიოსმა, ანნა კომნენემ და იოანე ზონარამ¹.

ქვემოთ მოყვანილი ექსცერპტები ამოღებულია იმ. ბეკერის გამოცემიდან: *Michaëlis Attaliatae Historia, Opus a Wladimiro Bruneto de Presle, instituti gallici socio, inventum, descriptum, correctum. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnae 1853.*

იბერიელთა წარმოშობა²

Οἱ γὰρ Ἰβηρες ἐκ τῆς Κελτικῆς ἀνεφάνησαν γῆς. Ἡ γὰρ Ἰβηρία κυρίως καὶ αὐτὴ ἡ Κελτικὴ Ἰβηρία πρὸς τὰ δυσμικὰ μέρη τῆς Ῥώμης διάκεινται, πρὸς τὸν ἐσπέριον ἠκεανόν, ἥτις νῦν Ἰσπανία κατονομάζεται. (CB 220—221).

Οἱ οὖν τὴν Ἰβηρικὴν οἰκουνοῦντες, ἀνδρες ἀνδρειότατοί τε ὄντες καὶ ἰσχυρῶς παλαμῶμενοι, διὰ παντὸς τοῖς Ῥωμαίοις ἀντεπολέμουν, καὶ καρτερίας ἕργα καὶ ἀρετῆς κατ' αὐτῶν ἐπεδείκνυντο καὶ δυσχερῶς αὐτῶν οἱ Ῥωμαῖοι μεγίστω καὶ ἀνυποίστω θάρσει καὶ ἀνεκδιηγῆτοις δρμαῖς ἐκურύευσαν, ὡς διὰ χρόνου σπονδὰς ἐπιτελεσθῆναι τούτοις καὶ ἀναμιῆσύνθεσιν ἐξ ἐπιγαμφρείας καὶ μετοικιῶν πρὸς ἀλλήλους· διὸ καὶ

იბერიელები კელტური ქვეყნიდან გამოჩნდნენ. რამეთუ იბერია, ნამდვილად რომ ვთქვათ, და თვით კელტ-იბერია მდებარეობენ რომის (ე. ი. რომის იმპერიის) დასავლეთ ნაწილებში. დასავლური ოკეანის გასწვრივ: ამ მხარეს ახლა ისპანია ეწოდება.

იბერიის მცხოვრებლები, რომლებიც უმამაცესი ვაჟაკები არიან და მეტად მკლავ-მაგარი, დიდი ხნის განმავლობაში რომაელთა წინააღმდეგ ომობდნენ და მათთან ბრძოლების დროს გამოაჩინეს დიდი გამძლეობა და ვაჟაკობა; და ძლივს დაინორჩილეს ისინი რომაელებმა უდიდესი და უძლეველი გამბედაობით და ენითუთქმელი შემართებით, ისე რომ დროთა ვითარებაში ხელშეკრულებაც დადვენ

¹ იხ. K. Krumbacher GBL¹ (1897), 269—271 (რუსულად: B. Берешевич 37—39); G. Moravcsik, Byzantinoturcica I² (1958), 427—429; E. Th. Tsolakidis, Aus dem Leben des Michael Attaliates (seine Heimatstadt, sein Geburts- und Todesjahr): BZ 58 (1965), 3—10.

² ეს ნაწყვეტი მოყვანილი აქვს K. Dieterich-ს: Byzantinische Quellen zur Länder- und Völkerkunde. Teil I. Leipzig 1912, გვ. 49, შენიშვნა.

ὁ μέγας ἐν βασιλευσι καὶ πανασι-
 δμιοσ Κωνσταντῖνος μοῦραν οὐκ
 ἐλαχίστην ἐκείθεν, ἐκ τῶν ἐσπε-
 ρίων Ἰβήρων, ἀποτεμέμενος εἰς
 τὴν ἑρᾶν μετῴκισεν ἐν τοῖς τῆς
 Ἀσσυρίας μέρεσι, καὶ ἔκτοτε τὴν
 κληθεῖσιν τῆς Ἰβηρίας ἢ δε-
 ξαμένη τούτους χῶρα προσέλαβεν.
 Πρῶτερον γὰρ Ἀσσύριοι καὶ ταύ-
 την ᾠκουν τὴν χῶραν, ἔπειτα
ყველაფერი ეს თავთავის ალაგას მოთხოვნილი აქვს ანნა კომნენეს თავის «ალექსიადში» (იხ. ამ წიგნის ბოლოში „საძიებელი“). გარდა ამისა მასა-ჰების მიხედვით ბერძენი სხვა დეტალიც ირკვევა, მაგალითად: 1) ალექსი კომნენოსის გამეფებისას ძლიერი იყო ტენდენცია კომნენოსების დინასტია შეეერთებინათ ღუკების გვართან; ამიტომ განზრახული იყო შეეუღლებინათ ალექსი და მარიამი, მიხეილ VI ღუკას მეუღლე და კონსტანტინე ღუკას დედა; 2) ამავე მოსაზრებებით კონსტანტინე ღუკაზე დანიშნეს ანნა კომნენე (ალექსი კომნენოსის ასული), რომელიც სიყრმიდანვე ითვლებოდა მომავალ მემკვიდრედ ბიზანტიის ტახტისა¹.

ბიზანტიაში გათხოვილი მართა-ყოფილი მარიამის შესახებ ძველ ქართულ წყაროებშიც მოიპოვება საგულისხმო ცნობები, რომლებიც აქვე მოგვყავს:

დედოფალი მართა, ბერძენთა მეფის მიხეილ ღუკას მეუღლე

«ხოლო დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თჳსი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა» (მატიანე ქართლისა: ქ. ცხ. I, 308, 6—7).

მართას ჩახვლა კონსტანტინეპოლში

«მას ჟამსა, ოდეს იგი თეოდორა დედოფალსა ეპურა ბერძენთა მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თჳსი მართა და შეილად თჳსად აღზარდოს.

«ხოლო მეფემან ბაგრატ სისარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა; ხოლო მათ დღეთა შინა, განგებითა საღმრთოჲთა, თეოდორა დედოფალი აღესრულა, და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო, და წმიდაცა ესე მამა ჩუენი² მუნვე იყო, მიზეზითა რათამე საქმეთათა.

«ხოლო, ვითარცა ვთქუთ, მი-რა-იცვალა თეოდორა დედოფალი, მეუუსეულად მართა, ასული ბაგრატისა, სამეუფოდ შემოიყვანეს, და, ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენელად ყოველთა წინასწარმეტყუელა და თქუა, ვითარმედ. „უწუოდეთ ყო-

¹ იხ. Ф. Успенский, История византийской империи, III (1948), 171—172.

² იგულისხმება გიორგი მთაწმინდელი.

ველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა¹. ხოლო მაშინ დაყო მცირელი ქაში და კუალად ზემოვე წარიყვანეს მართა, ხოლო ოდეს მოიწია ქაში, კუალად მოსთხოვა დუკიწმან¹ და სძლად თვსად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა.

«მაშინ, რომელთა ასნიოდა წინასწარი მეტყუელებამ ბერისა, ისილეს რამ აღსრულებულად, ყოველთა დაუკვრდა და მადლობდეს ღმერთსა, რომელი წინასწარ ყოველსავე განოუცხადებს ნების-მყოფელთა თვსთა, და ეგრეთვე მარიამ დედოფალმან რჩუა წმიდასა მას. იყო რამ იგი აღმოსავლეთს, ვითარმედ: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელებამ შენი, რამ იგი ოდესმე წინასწარმეტყუელე მართას თვს“» (ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: ათონის კრებულნი, გვ. 306, 26—307, 11). (ეს ტექსტი შეტანილია „მატიანე ქართლისაჲს“, თეიმურაზისეულ ნუსხაში. იხ. გ. ცხ. I [965] გვ. 307—308).

მართა უფლისწული კონსტანტინე დუკიწის რძალი

(ბაგრატ IV-ის მიერ მოწვეული გიორგი მთაწმიდელი უკან ბრუნდება ბიზანტიაში. ბაგრატმა) «სამეფოთა წიგნთა მიერ და მანდატურთა წინაშე დეთისმსახურისა კონსტანტინე დუკიწისა წინაშე წარგზავნა [გიორგი] მრავლითა ნიჭითა და საფასითა თვთ მეფემან და ყოველთა მთავართა თვსთა და ეპისკოპოზთა, და აღიესო ყოველთა სამეფო მისი მწუხარებითა და ურვითა...»

«ხოლო წარმოვემართენით მას ქამსა, ოდეს მართა უფლისწული სძლად თვსად კონსტანტინე დუკიწმან მოიყვანა დედოფლად სამეფოსა ქალაქსა და, ვითარცა დაგვწერია პირველვე წინასწარმეტყუელებისათვს ბერისა: რამეთუ ოდეს წარმოჰყვანდა პირველ ჩუენსა, ჰრჩუა მარიამ ბაგრატის დედამან ბერსა, ვითარმედ: „აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელებამ შენი მართას ზედა!“ და ესრეთ წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა სამეფოად; ხოლო მეფისა მიერ წარმოვლინებულ იყო ჰრონი², ხოლო თვსისა მამისა მიერ ჰყვეს ნეტარი ბერი პეტრე პატრიკ ყოფილი და იოანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი და სუნველოზი და სხუამ ერი ფრიადი, რომელნი პირველ ჩუენსა მისრულ იყვენეს» (ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: ათონის კრებულნი, გვ. 330, 22—331, 2).

მართა კონსტანტინებოლში 1066 წელს

A—134 ხელნაწერის 591 გვერდზე არის ანდერძ-მინაწერი, სადაც იხსენიება ბაგრატის ასული მართა, მისი ჩასვლა კონსტანტინებოლში.

¹ დუკიწმან (ქ. ცხ.).

² ჰრონი (?)

«მადლითა და შეწევნითა წა მამისა ჩუენისა ილარიუნისითა, მე უღირსი გლახაკი ჰრომანელი მამად გ ე ლ ა ს ი ჩემსა წინამძღუ[რო]ბასა ღირს ვიქმენ აღწერ(ებ)ად წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა კლემენტისა და ცხოვრებასა წსა და მოციქულთა სწორისა ბ ა გ რ ა ტ ი ს ა საღიდე-ბელად და სალოცველად დეთივ დაცვოლისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისთვის და ძისა მათისა გ ი ო რ გ ი კურა-პალატისათვის—ადიდენ ღმერთმანი!—და სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათვის და ყოველთა მამათა და ძმათა ჰრომანელთათვის. დაიწერა ჳელითა სუმეონ დვალისაძეთა სოხასტერსა¹ შინა ჰრომანაძისასა ანა წმიდას, მეფობასა დოკისასა მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მ ა რ თ ა სამეფოს იყო ქრონიკონსა სჰჳ (286 = 1066) (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, Описание I, 1ა1—142; ბ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი: ათონის კრებულებ. 337, შენ. **)».

მართას ძმა არის გიორგი მეორე

«ითარგმნა უკუე² წიგნი ესე მეტაფრასტი³ ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლეს⁴ მონასტერსა შინა ყოველად-შუენიერსა ტრიანდაფ-ლიუს⁵, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს⁶ რეცა⁷ ხუცეს-მონაზონისა, და⁸ მათე ჳელთა⁹ მიერ დაინუსსა¹⁰ დასაბამითგანთა წელთა ექუსათას ხუთას ოთხმოცდამეცხრესა¹¹, ინდიკტიონსა ოთხსა¹² ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოლუაწებითა¹³ ვიწყე თარგმნად¹⁴ წიგნთა საღმრთოთა¹⁵ ელენურისაგან¹⁶ ქართულად: მიეცინ¹⁷ ღმერთმან სრულე-

¹ იონასტერსა — ჯანაშვილი.

² უკუე < Blake.

³ მეტარფა ი კ. კ ე ე ლ ი ძ ე .

⁴ კონსტანტინეპოლს (ცაგარელი, ჟორდანია).

⁵ ტრიანდაფლიუს (ცაგარელი, ჟორდანია), ტრიანდაფლიუს BL.

⁶ თეოფილესა (ცაგარელი, ჟორდანია).

⁷ რეცა < (ცაგარელი, ჟორდანია).

⁸ და < (ცაგარელი, ჟორდანია).

⁹ ჳელთა (ცაგარელი, ჟორდანია).

¹⁰ დაინუსსა (ცაგარელი, ჟორდანია).

¹¹ 6589 წელი უდრის 1081 წელს (6589 + 5508 = 1081).

¹² ბერძნული IV ინდიკტიონი უდრის 1081 წელს.

¹³ და მოლუაწებითა < (ცაგარელი, ჟორდანია).

¹⁴ თარგმანად BL.

¹⁵ საღმრთოთა < (ცაგარელი, ჟორდანია).

¹⁶ ელენურისაგან (ცაგარელი, ჟორდანია).

¹⁷ მიეცინ — საუკუნოდ < (ცაგარელი, ჟორდანია).

ბაჲ კეთილთაჲ აქაცა და საუკუნოდ! სოლო საბერძნეთს დედოფლო-
ბასა მართა¹ მისეჲ² გიორგის დისასა, და მეფობასა ნიკიფორე ბოტო-
ნიოტისა³ და ალექსი კომნინოსისა⁴, მას ქამსა ოდეს ბაგრატიის
აღული, მარიაჲ დედოფალი, აღმოსავლეთით კოსტანტინეპოლეს შემო-
ვიდაჲ (ათონის ივერთა მონასტრის XI საუკუნის ხელნაწერის მინაწერი: აღ. ცა-
გარელი, Сведения I, გვ. 80; თ. ჟორდანიია, ქრონიკები I. გვ. 228—229;
R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de
la Laure d' Iviron au mont Athos, Paris 1932—1934, გვ. 118—121; კ. კეკელიძე,
ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია: თსუ შრომები
XXX ს, 1947, გვ. 25; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I,
1960, გვ. 245).

მარიაჲ დედოფალი დავით აღმაშენებლის მეფობას მოხწრებაი

ღირს ვიქმენ მე უღირსი ეგნატი სახელით ოდენ ხუცესმონაზონი,
ბოლო საქმითა და გონებითა უღები, აღწერად წმიდასა ამას წიგნსა,
თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა, განმანათლებელსა ყოველთა ეკლე-
სიათასა, ღთივ აღშენებულსა უდაბნოსა შინა წყაროხსთავს, სენაკსა
შინა ნეტარისა ბერისა ეფთჳმესსა, რომლისაცა ფერჯთა თანა აღზრდილ
ვაჟავ, და შეეწირე ეკლესიასა წყაროხსთავისასა აღსადგომელსა მქსნე-
ლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჴ ქა, საღიღებელად და სალოცველად
ღთივ გურგუნოსანთა მეფეთა ჩუენთა სულითა განათლებულისა კურთ-
ხეულისა დედოფლისა მარიაჲმისა⁵ და ძმისა მათისა გიორგი
მეფეთა-მეფისა და კესაროსისა, და ძისა მათისა დავით მეფისა და
სევესტოსისა და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა და
გამზრდელისა ჩემისა მამისა ეფთჳმესა⁶ (ხელნაწერი A — 136, გვ. 391a;
ხელნაწერი შეიცავს წყაროხსთავის „მათეს სახარების თარგმანებას“).

¹ მართა[ესა] (კეკელიძე).

² მისივე (ცაგარელი, ჟორდანიია).

³ ბოტანატისა (ცაგარელი, ჟორდანიია).

⁴ კომნინოსათა (ცაგარელი), კომნინოსასა (ჟორდანიია).

⁵ თ. ჟორდანიია: ეკ. მუხ. № 134, მართა-ყოჟილა მარიაჲ.

⁶ თ. ჟორდანიია ურთავს შენიშვნას: „აქედან ჩანს, რომ მეფენი გიორგი და
დავით ერთად მეფობდნენ. ეს მტკიცდება აგრეთვე ჩვენის ქრონიკით... ელენე
დედოფალი აქამომდე უცნობი პირი იყო ჩვენის ისტორიისა. რომ დავით აღმა-
შენებლის დედას ერქვა ელენე, ეს ჩანს აგრეთვე შიო-მღვიმის ტყავზე ნაწერი
ტიბიკონისგან და საველ. მუხუფში დაცულის გელათის გულანისაგან“ (ქრონი-
კები I, 234).

1103 წელს მარიამ დედოფალი ცოცხალია

«ძეგლის წერაში, რუის-ურბნისის 1103 წლის კრების დადგენილების ბოლოში დასახლებულ პირთა შორის მოხსენებულია მართა-ყოფილი მარიამ დედოფალიც, როგორც ჯერ კიდევ ცოცხალი».

«ძეგლის წერაჲ წმიდისა და ღთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა...» (თ. ყორდანიას, ქრონიკები II, 56)

«კეთილად მსახურისა და ღთის დაცვულისა მეფისა ჩუენისა. გიორგი მეფეთა მეფისა, და უოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წელნი».

«კეთილად მსახურისა და ღთის მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა [ავღუსტინიას]ნი მრავალმცა არიან წელნი და ქამნი».

«დავით ღთის მსახურისა [და ღთივ დაცვულისა] მეფისა [ჩუენისა] აფხაზთა და ქართველთაჲ, რანთა და კახთა თუთმპურობელისა, მრავალმცა არიან წელნი» (ქრონიკები II, 70; A—76, გვ. 494 b)¹.

მარიამ მართა-ყოფილი

«თუესა ნოენებრსა: კა: ალაპი არს დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა-ყოფილისა და ძისა მათისა კოსტანტინე პოროფიროგენისაჲ: დიდთა და მრავალთა ქველის მოქმედებათა მათ-

¹ აქ მოხსენებულ მართა დედოფლის შესახებ თ. ყორდანიას შენიშნავს: «ეს მართა ბაგრატ IV-ის ქალი და იმპერატორის მიქელ დუკის ცოლი (შეირთა 1071 წ.), ბერძენთაგან „მარიამად“ წოდებული, ქმრის სიკვდილის შემდეგ (1078 წ.) დაბრუნებული საქართველოს, ხოლო 1081 წელს სელჯუკთაგან საქართველოს აოხრებისა გამო ისევ საბერძნეთს წასულა; და რა ქართველობა ისევ გაძლიერებულია, ისევ სამშობლოში დაბრუნებულია და 1103 წლის კრებასა დასწრებია».

თ. ყორდანიას ამ შენიშვნებში ზოგიერთი რამ კორექტივს საჭიროებს:

1) «ძეგლის წერაში» მოხსენიება ამა თუ იმ პირისა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ის ამ კრებას დაესწრო.

2) მარიამ დედოფალი თავის ქმრის მიხეილ დუკას გარდაცვალების შემდეგ ცოლად გაჰყვა ნიკიფორე ბოტანიატეს და არ არის დასაჯერებელი, რომ ის ბიზანტიიდან წამოსულიყო. მას შეეძლო წამოსულია 1081 წელს, როდესაც ნიკიფორე ბოტანიატე გადააყენა ალექსი კომნენოსმა, რასაც ჰგულმსხმობს, ალბათ, ზემოთ მოყვანილი მინაწერი «მე უაფრასის» ხელნაწერისა: «მას უამაა ოდეს ბაგრატის ასული, მარიამ დედოფალი, აღმოსავლეთით კოსტანტინეპოლეს შემოვიდა» (იხ. ზემოთ გვ. 116).

ათაჲს, რომელ აჩუენნეს ჩუენ ზედა: პირველად განგუათავისუფლნეს სიკრიტონისაგან რომელნი მესოლიმნისათჲს გუთხოვდეს ზუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განძი ესე და აღმოჴოცეს მისოლიმნი სიკრიტონისაგან. და კუალად სხუათა პრასტინათაჲს და მელინძათათჲს ღიად ილუაწეს მეფეთა თანა, და მერმე მოსცეს ძმათა გასაყოფლად ლიტრაჲ: ვ. ამის ყოვლისათჲს გარდაიწღებოდის ალაბი მათი, ვითარცა მამის დედისა მათისათჲს სწერია მით წესითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინის ცემითა ძმათაჲთა, ეწლიოს მწუხრსაა გ და სამხრად ზუთხუთი» (ათონის კრებული გვ. 259, № 133).

ზემოთ მოყვანილი ქართული ცნობებიდან ირკვევა შემდეგი:

1) ბაგრატ IV-ის ასული მართა დედოფალ თეოდორას მოთხოვნით აღსაზრდელად ჩაუყვანიათ კონსტანტინეპოლში გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება 306). ვინ იყო ეს თეოდორა? იგი იყო კონსტანტინე VIII-ის ასული, ბასილ II ბულგართმელეტის ძმისწული. ჯერ მეფობდა 1042 წელს, ხოლო კონსტანტინე VIII-ის შემდეგ (იგი გარდაიცვალა 1051 წელს), იგი, უკვე მოხუცებული, გაამეფეს (1054—1056 წ. წ.). გარდაიცვალა 72 წლისა.

2) თეოდორას გარდაცვალების შემდეგ (1056 წ.) დუკიწმან მოითხოვა მართა რძლად, და, როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, კონსტანტინე დუკიწმან რძლად მოიყვანა მართა.


რომელია ეს დუკიწი, ანუ კონსტანტინე დუკიწი? ეს შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტანტინე X დუკა, რომელიც მეფობდა 1059—1067 წლებში. რლად მოიყვანაო რომ ამბობს ისტორიკოსი, ესე რგი მოიყვანა მიხერლის საცთლედ: ეს იყო კონსტანტინე X-ის და ევდოკიას უმცროსი ვაჟი; მისი მასწავლებელი იყო მიქელ პსელოსი.

3) ქართველთა მეფის ასული მართა-ყოფილი მარიამი არ იკიწყებს თვისტოვით ბიზანტიის დედოფლად ყოფნის დროს და ათონის ივერთა მონასტრის მიმართ მრავალ ქველისმოქმედებას აჩუენებს (ათონის კრებული, გვ. 250; ალაბი № 133)¹.

ამ უკანასკნელ სალაპო ცნობასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ მარიამ მართა-ყოფილს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს პეტრიწონთანაც. ანნა კომნენეს «ალექსიადში» (IX, 5) ვკითხულობთ, რომ მარიამ დედოფალს მამულები აქვს პეტრიწონშიც (იხ ზემოთ გვ. 89, 107—108). ააღაც ერთხელ თავი შეაფარა მარიამის მახლმ, ნიკიფორე დოგენემ (მიხედ VII დუკას ნახევარ-ძმამ):

¹ ამ ალაპის ცნობის მნიშვნელობის შესახებ იხ. ნელი მახარაძე, ტერმინ „მისოლიმნი“ გაგებისათვის: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1964 წ., გვ. 247—254.

ევლოკია მაკრემვოლიტისა¹



ნიკიფორე დიოგენეს შესახებ ანნა კომნენეს მიერ აღწერილი ეს ამბები (მისი გამოსდომა ალექსის წინააღმდეგ, ამ ცდის დამარცხება და მისი თავშეფარება პეტრიწონში) თარიღდება 1094 წლით, როდესაც, მაშასადამე, პეტრიწონის სავანე უკვე მოწყობილია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ (1083 წელს).

II

ანნა კომნენეს ცნობები იოანე იტალოსის შესახებ

თუმცა ის ნაწყვეტები ანნა კომნენეს შრომიდან, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ გვ. გვ. 93—99, უშუალოდ არ ეხება საკართველოს, მაგრამ ისინი ეხება იოანე იტალოსს, რომლის მოღვაწეობა მკიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის ფართოდ გაშლილ რენესანსულ მუშაობასთან ამავე დროს, ანნა კომნენეს მიერ V, 8—9 თავებში წარმოდგენილი დახასიათება გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსისა სანართლიანად ითვლება მეცნიერებაში XI საუკუნის ბიზანტიის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საუკეთესო მიმოხილვად.

ამ მიმოხილვაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილები:

1) ანნა კომნენეს თქმით (V, 8; იხ. ზემოთ გვ. 96) იოანე იტალოსი აღრმად შეიჭრა დიალექტიკაში და ყოველდღიურ არევ-დარევას იწვევდა შიგროვებულ ხალხში იმით, რომ სოფისტიკურ აბღა-უბღას თხზავდა და ყველაფერს, რაც კი რამეს ასეთს წამოაყენებდა, მაშინვე მიუყენებდა ამნაიოსავე დასაბუთებას. მართალია, ანნა კომნენე, რაგორც შვილი ალექსი კომნენოსისა, რომელიც არ იზიარებდა იოანე იტალოსის მეთოდებს, იოანეს დებულებებს „სოფის-

¹ ეს ცხრილი მოგვეყვას იმიტომ, რომ გამოთქმულია აზრი, თითქოს მიხეილ VII დუკა და ნიკიფორე დიოგენე დედით-ერთი ძმები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ გერი-ძმები. იაკ. ლიუბარსკის მიერ ნათქვამი (გვ. 254: Мария пригласила к себе Никифора как сводного брата прежнего императора, сө мужа Михаила Дука) უნებლიე ლაფსუსი უნდა იყოს, რადგან ბერძნულში ნათლად სწერია ἀδελφὸν παῖα μητρεσίην („ძმა იყო დეის მზრით“), ხოლო შემდეგ თვით იაკ. ლიუბარსკი წერს: они были единопутробными братьями от разных отцов. რუსული „сводных брат“ არ ნიშნავს „ნახევარ-ძმას“, ის ნიშნავს „გერი-ძმას“, რომელიც მოჰყვა ან დედინაცვალს, რომელიც მეორე-ჯერ გათხოვდა, ან მამინაცვალს, რომელმაც მეორე ცოლი შეირთო.

ტიკურ აბდა-უბდას (*σφοδραία δεισιχέλιος*) უწოდებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ის არის ზახვასმული, რომ იოანე იტალოსი ყველაფერს (იგულისხმებ დოგმატიკურ საკითხებს) «დასაბუთებდას მიუყენებდა» ხოლმე. ე. ი. არ კმაყოფილდებოდა ამ დებულებათა რწმენით და, მსგავსად მიქელ პსელოსისა, დოგმატიკის დასაბუთების მოითხოვდა (იხ. ზემოთ გვ. 2—3).

2) მართალია, ალექსი კომნენოსი ძალიან ზრუნავდა მეცნიერების განვითარებაზე და, როგორც ამბობს ანნა კომნენე, მან «საჩუქროდ მიიღო ზომები, რომ მოეგროვებინა ეს ნაპერწკლები და ვისაც კი მეცნიერებისადმი მიღრევილება ჰქონდა, მათ დაუცხრომლად აქეზებდა სწავლისათვის» (იხ. ზემოთ გვ. 103—104), მაგრამ ეს სწავლა მას ისე კი არ ესმოდა როგორც იოანე იტალოსს (და წინათ მიქელ პსელოსს), არამედ ის მოუწოდებდა ახალგაზრდებს «საღვთო წიგნების შესწავლისათვის მიეცათ უპირატესობა», ხოლო ელინური განათლებებისათვის ნაკლები ყურადღება მიექციათ (იქვე, გვ. 104), ე. ი. ნაკლები ყურადღება მიექციათ იმისათვის, რასაც იოანე იტალოსი ქადაგებდა

რადგან იოანე იტალოსი განაგრძობდა აეკლესიის დოგმატების მასხარად აგდებას (პატრიარქ ევსტრატე გარიდას დროს). იგი, იოანე იტალოსი, გასამართლებს და, ანნა კომნენეს თქმით, «თერთმეტ თავად იქმნა იტალოსის ბიროტი დოგმატები ჩამოყალიბებული» (იხ. ზემოთ გვ. 105).

3) დასასრულ, შეეჭრდებით «ალექსიადის» ტექსტის იმ ადგილზე. სადაც ანნა კომნენე იწყებს თხრობას იოანე იტალოსის შესახებ. სახელობრ, ეს თხრობა იწყება შემდეგი სიტყვებით:

Ἐπὶ τοῦτοις γὰρ καὶ τὰ κατὰ τὸν Ἴταλον ἐβλάστησαν μεγάλως τὴν ἐκκλησίαν συνταράσσοντα — «ამ ხანებში აღმოცენდა და გავრცელდა იტალოსის მოძღვრება, რომელმაც ძალიან შეაშფოთა ეკლესია» (იხ. ზემოთ გვ. 93), ასე არის «ალექსიადის» ყველა ნუსხაში, ხოლო, როგორც გადმოგვეცეს «ალექსიადის» პირველი ტომის გამომცემელი Ludovicus Schopenus, ერთ-ერთ ხელნაწერში (G) ეს ადგილი ასე იკითხება: *Ἐπὶ τοῦτοις γὰρ καὶ τὰ κατὰ τὸν Ἴταλον παρὰ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικοῦ ἐβλάστησαν μεγάλως τὴν ἐκκλησίαν* — «ამ ხანებში იტალოსის მოძღვრება [შესახებ იტალიელთა წვალებისა] აღმოცენდა და გავრცელდა, რომელმაც ძალიან შეაშფოთა ეკლესია». ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ G-ხელნაწერს, სხვა ნუსხებთან შედარებით, ზედმეტ აქვს *παρὰ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικοῦ* («შესახებ იტალიელთა წვალებისა»), და მართალი იყო გამომცემელი L Schopenus, რომელმაც ეს სიტყვები ფრჩხილებში ჩასხა და თქვა: ეს მთელი პარაგრაფის სათაურია, რომელიც ხელნაწერის გადამწერს ტექსტში შეუტანიო და ფრჩხილებში ვათავსებო (*ego indicem capituli, qui in textum irrepsit, uncis inclusi*; იხ. *Annae Comnenae Alexiadis libri XV. Volumen I. Bonnae, 1839, p. 256*).

მთელ ამ მსჯელობაში საგულისხმოა ის, რომ ხელნაწერის გადამწერს (თუ რედაქტორს, ან იქნებ თვით ავტორს) ცალკე თავად გამოუყვია თხრობა იოანე იტალოსის შესახებ და ამ თავისათვის დაურქმევია; *παρὰ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικοῦ* — «შესახებ იტალიელთა წვალებისა», ანუ, როგორც ძველი ქართული იტყვოდა, «შესახებ იტალიელთა წვალებისა». ამ გარემოებას ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას შემდეგი მიზეზის გამო:

იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში სწერია: «...ვინა სადა ყოველმან იტალიელთა წვალებამან ვითარ ქალწულსა პატივსცა და

მიემსახურა» (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II [1937], გვ. 217, 26—27). ამის შესახებ ჩვენ ვწერდით: „უკანასკნელ წინადადებაში უნდა იგულისხმებოდეს იოანე იტალოსის მიმდევართა («იტალიელთა») რომელიღაც მწვალებლური აზრი, რომელიც «ქალწულს» ეხებოდა. რომ საქმის ვითარება სწორედ ასეთია და რომ აქ იოანე იტალოსი უნდა იგულისხმებოდეს, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ იოანე იტალოსისა და მისი სკოლის წინააღმდეგ წამოყენებულ 11 ბრალდებაში ერთი (მეექვსე ბრალდება) მართლაც «ქალწულის» საკითხს ეხება (იხ. *Ф. Успенский, Синодик в неделю православия, Одесса 1893*, გვ. 16, § 61“ (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I [1937—1940], გვ. XV).

ეს ჩვენი შეხედულება განიარებულ იქნა, კერძოდ, აკად. კ. კეკელიძის მიერაც (იხ. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I [1940]) ხოლო შემდეგ, 1955 წელს, გ. ბ. თევზაძემ თავის გამოკვლევაში „პეტრიწის ბოლოსიტყვაობის ერთი ადგილის გაგებისათვის“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 9) აღნიშნული გამოთქმა «იტალიელთა წვალება» მიაკუთვნა პითალორელებს. ამის კვალობაზე კ. კეკელიძემაც დასწერა („ქართული ლიტერატურის ისტორია“ I [1960], გვ. 296): „ამდენან გავრცელებული იყო შეხედულება, თითქო «იტალიელთა წვალება» აღნიშნავს იოანე იტალის მწვალებლობას. ნამდვილად კი ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვს იოანე იტალთან და მის წვალებასთან. აქ იგულისხმებიან პითალორელები, რომელნიც ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილი არიან იტალიელებად“.

ჩვენ ისევ ჩვენს ძველს აზრს ვადგივართ, რომ გამოთქმა «იტალიელთა წვალება» იოანე იტალოსის მწვალებლობას ეხება: ამ აზრის სისწორეში კიდევ უფრო დაგვიარწაუნა ანნა კომნენეს *С-ხელნაწერში* შეტანილმა სათაურმა: *πᾶσι τῆς ἀντιόχειας τῶν Ἱταλικῶν*, რაც ზედმიწევნით უდრის იოანე პეტრიწის გამოთქმას «იტალიელთა წვალებაძან», ე. ი. იოანე იტალოსის მწვალებლობამ.

ნიკეტა ხონიატე

ნიკეტა ხონიატე XII საუკუნის შუაწლების ისტორიკოსია, დაიბადა ხონეში (Χῶνας, ძველი „კოლოსე“). ბავშვობა გაატარა კონსტანტინეპოლში, სადაც სწავლობდა თავისი ძმის, მიხეილ ხონიატეს, ხელმძღვანელობით. სწავლის დასრულების შემდეგ იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა და ისააკ ანგელოსის (1185—1195) დროს კეისრის მდივანი იყო, ხოლო 1189 წლიდან ფილიპოპოლის თემის სტრატეგოსი. 1204 წლის წინ მან მიაღწია ლოგოთეტის პატივს, ხოლო 1204 წელს დატრიალებული კატასტროფის შემდეგ ვაიქცა და თავი შეათარა ნიკეას, სადაც თეოდორე ლასკარის კარზე მსახურობდა. გარდაიცვალა 1213 წელს.

მრავალმხრივი იყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა:

1) მისი მთავარი ნაშრომია 21 წიგნისაგან შემდგარი „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1180 - 1206 წლების ამაეის.

2) თხზულება იმ „ქანდაკებათა შესახებ“, რომლებიც დაამსხვრიეს ლათინებმა (1204 წელს) მხოლოდ ხელნაწერის სახით არის მოღწეული.

3) მასვე ეკუთვნის 1185 წელს დაწერილი პოემა ისააკ ანგელოსისა და მარგარიტას (უნგრეთის მეფის ბელა III ის ასულის) ქორწინებაზე¹.

ნიკეტას „ისტორია“ (Ἱστορία Νικήτης) სრულად არის მოღწეული და იქ აღწერილია: იოანე II კომნენოსის (1118—1143), მანუილ I კომნენოსის (1143—1180), ალექსი II კომნენოსის (1180—1183), ანდრონიკე I კომნენოსის (1183—1185), ისააკ II ანგელოსის (1185—1195), ალექსი III ანგელოსის (1195—1203), ალექსი IV-ის (1203—1204) და ალექსი V დუკა მურზუფლეს (1204) ისტორია. შრომის ბოლოს მოთხრობილია ამბები კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ.

მასალების მოკრეფის დროს ხელთ გვექონდა:

Nicetae Choniatae Historia. Ex recensione Imm. Bekkeri (CB), Bonnae 1835.

Nicetae Choniatae Historia. PG, 139, 319 - 1039.

¹ იხ. K. Krumbacher GBL¹ (1897), 231—286; G. Moravcsik, Byzantinoturcica I² (1958), 444—450.


Никиты Хониата История, начинающаяся с царствования Иоанна Комнина. Том I (1118—1185). Перевод В. И. Долоцкого. СПб 1860. Том II (1186—1206). Перевод Н. В. Чельцова. СПб 1862.

Byzantinische Geschichtsschreiber. Band IX: Die Kreuzfahrer erobern Konstantinopel (აქ არის ნიკეტა ხონიატეს „ისტორიის“ ის ადგილები ვადმოთარგმნილი, რომლებიც ჯვაროსანთა ლაშქრობას ეხება. თარგმნილი და განმარტებულია Franz Grabler-ის მიერ). Graz, 1958.

ბიზანტიელი წარჩინებულის ჩაცმულობა

[1180 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის კეისარი მანუილ I (1143—1180). მას დარჩა ვაჟი ალექსი (ალექსი II კომნენოსი, 1180—1183 წ. წ.), რომლის მკირეწლოვანობის გამო -- იგი მხოლოდ 13 წლისა იყო -- სახელმწიფოს მართავდნენ დედოფალი მარიაში (მარიაშ ანტიოქიელი, წარმოშობით ფრანგი) და პროტოსევესტოსი ალექსი. მათი პოლიტიკა იყო ლათინოფილური და, ამიტომ, გასაგებია ეროვნულად განწყობილი მოსახლეობის პროტესტანტული სულისკვეთება. ამ უკანასკნელთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ანდრონიკე კომნენოსი, მანუილ კეისრის ბიძაშვილი, 67 წლის მოხუცი.

ალექსი I კომნენოსი (1081—1118)



1182 წელს მოხდა აჯანყება ფრანგი (ფრანკი) მარიაშის წინააღმდეგ და სამეფოს მხსნელად დასახეს ანდრონიკე კომნენოსი. ჯერ ანდრონიკე გამოაცხადეს თანაკეისრად. ხოლო მალე ნორჩი მეფე ალექსი II მოაშთვეს და მეფედ აკურთხეს ანდრონიკე.

ქვემოთ მოგვყავს ის ადგილი, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ანდრონიკესთან მოღის დღეღვატია პატრიარქ თეოდოსის (1178—1183) მეთაურობით, რათა სთხოვონ ანდრონიკეს უპატრონოს სახელმწიფოს]

Πάντων δ' ἐς Ἀνδρόνικον διαπορθμευομένων, λοιπῶς ἐς αὐτὸν περαιοῦνται ὁ πατριάρχης Θεοδοσίος μετὰ τῶν λογίμων τοῦ βήματος¹. Ὁ μὲν οὖν εἰς τὴν ἑαυτοῦ ἐγγίξειν σκηνὴν τὸν μέγαν ἀρχιερέα ἐνωτισάμενος ἔξεισιν εὐθύς πρὸς ἑπάντησιν, στολὴν ἡμφιεσμένους σχιστὴν ἰοβάφινον ἰφῆς τῆς Ἰβηρικῆς, εἰς γόνατα καὶ γλουτοὺς καταβαίνουσιν καὶ ψυχάζουσιν τὰ ἕως βραχίονος, καὶ πυραμιδοσμένην καλύπτραν τῆ κεφαλῆ περικεύμενος, καπνηρὰν τὴν χροίαν² καὶ πρὸς τῶν ἰππέων χηλῶν βαλῶν ἑαυτὸν ἔκειτο τεταυσομένου μέγας μεγαλωστί (CB 328, 6—14).

[ასეთივე ჩაცმულობა აღწერილი აქვს ისტორიკოსს მაშინაც, როდესაც გადმოგვცემს მეფედ კურთხევის ამბავს]

Τοῦ δ' Ἀνδρόνικου καταβάντος ἀπὸ τοῦ τυραννεῖου ἐς τὸ ἐν Βλαχέρναις βασιλείῳ, καὶ γενομένου κατὰ τὸν ἐντὸς τοῦτῳ ἰπηρεφῆ δόμον ὧς Πολύτιμος λέγεται, ἐπίσταται καὶ ὁ βασιλεὺς Ἀλέξιος² ἐκ τῶν ἔξωθεν, ὅμοις

მის შემდეგ, რაც ყველანი გადავიდნენ გაღმა ანდრონიკესთან, ბოლოს გადავიდა მასთან პატრიარქი თეოდოსიც, თან ახლდნენ წარჩინებული სასულიერო პირები¹. ანდრონიკემ რომ შეიტყო, რომ მის კარავს უახლოვდებოდა დიდი არქიელი, მაშინვე მიეგება მას; ჩაცვა იისდერი საზოსი, წინ ჩაქრილი, იბერიული ქსოვილისაგან შეკერილი, რომელიც მუხლამდე დაღუნდულებამდე სწვდებოდა და ჰფარავდა ტანს ვიდრე მკლავამდე; თავზე ეხურა პირამიდული საბურავი, კვამლის ფერისა: ასე ჩაცმული ცხენის ჩლიქებთან დავარდა და ამხელა კაცი გრძლად გადაჭიმული იწვა.

როდესაც ანდრონიკე ტირანთა სახლიდან ჩავიდა ვლახერნის სასახლეში და მის შიგნით მყოფ ერთ მაღალჭერიან ოთახში რომ იყო, რომელსაც პოლიტიმოსი (ე. ი. ძვირფასი) ეწოდება, მოვიდა აგრეთვე მეფე ალექსიც,

¹ სიტყვა *βήμα*, რომელიც ჩვეულებრივ „საყდარს“, „დალიქს“, „ტახტს“ ნიშნავს, გვიან ბერძნულში და ბიზანტიურში იზმარება აგრეთვე „სამღვდელოებას“ აღსანიშნავად. იხ. Sophocles s. v.

² ე. ი. ყრმა მეფე ალექსი II.

παιάνων τε καὶ στεναγμάτων (აბ
 γὰρ πάντες τῷ καιρῷ παρεσύρη-
 σαν) ἐνῶν μεστὰ τὰ ἀνάκτορα,
 καὶ αὐτὸν Ἀνδρόνικον ἄς βασι-
 λέα σχεδὸν παρὰ πάντων κατα-
 λαβῶν εὐφημούμενον. Ἐκὼν τοί-
 νυν ἀέκοντί γε θυσμῷ τοῖς τελοῦ-
 μένοις ἐπευδοκῆσας ἐκολάκευε
 ἀκχείνος ἐν τοῖς λοιποῖς τὸ γε-
 ρόντιον, Ἀνδρόνικον εἰς τὸ συμ-
 βασιλεύειν ἐπεγείρων, καὶ προθυ-
 μοποιῶν εἰς τὸ ἐνεστὸς ἔργον τὸν
 ἀκρατῶς εἰς τοῦτο πάλαι φερό-
 μενον.
 მოდგინებდა მას იმ საქმეში, რომლისთვისაც ის დიდი ხანია და-
 უცხრომლად იღწვოდა.

Τὸ δὲ τῆς Ἀνδρονίκου φατ-
 ρίας θερμότερον καὶ ἀκκιζόμενον
 Ἀνδρόνικον καὶ τὴν συνεδρίαν
 εἰρωνεύόμενον ἀμφοτέραις συσ-
 χόντες εἰς τὴν χρυσόπαστον κλί-
 νην ἐφῆκαν ἐφ' ἧς ὁ βασιλεὺς
 ἴζανεν. Ἄλλοι δὲ τὴν καπνηρὰν
 καὶ πυρραμοειδῆ ἔβραν² τῆς κεφα-
 λῆς ἀφελόμενοι πυρσὴν αὐτῷ πε-
 ρέθειντο, καὶ στολὴν βασιλικὴν
 ἐνέδυσαν ἕτεροι.

რომელსაც გარეთ სმენოდა სა-
 სახლიდან ერთსა და იმავე დროს
 პეანებიც¹ და კენესაც (ვინაიდან
 ყველანი ხომ არ გაუტაცნია მე-
 დროვეობას), გაიგონა აგრეთვე
 თვით ანდრონიკეს როგორ მე-
 ფედ აცხადებდნენ თითქმის ყვე-
 ლანი. ამიტომ, თუმცა უნებური
 სულისყვეთებით, მან თავისი ნე-
 ბით ანგარიში გაუწია მომხდარ
 ამბავს და თვითონაც სხვებთან
 ერთად უბირმოთნეა მოხუცს, და
 ანდრონიკეს სთხოვდა ჩემი თანა-
 მეფე იყავიო; და ამით ის უგულ-

ანდრონიკეს მიმდევრებმა
 ორივე ხელი სტაცეს ანდრონი-
 კეს, რომელიც ძალიან იპრანჭე-
 ბოდა და კრებულსაც დასცი-
 ნოდა, და დასვეს ოქროქსოვილ
 სარეცელზე, რომელზედაც მეფე
 ჯდებოდა. სხვებმა კიდევ მოხა-
 დეს თავიდან კვამლის ფერი პი-
 რამიდული ქული² და მოახვიეს
 მას ცეცხლის-ფერი, სხვებმა კი-
 დევ ჩააცვეს სამეფო ტანსაცმელი.

¹ პეანები — სამადლოზელო საზეიმო შეძახილები.

² სიტყვას ზრდა აზრის მიხედვით ვთარგმნით „ქული“, ისე კი იგი ნიშნავს „მატყლს“. შესაძლებელია ის „მატყლის ქულს“, „ნაბდის ქულსაც“ ნიშნავდეს.

ზენათ წარმოდგენილი აღწერა ბიზანტიელი დიდებულის ჩაცმულობისა, ტან-
 საცმელისა და თავსაბურავისა, დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს სამეცნიერო წრეებში,
 განსაკუთრებით მის შემდეგ. რაც იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე
 აღმოჩნდა შოთა რუსთაველის პორტრეტი.

პროფ. შ. ამირანაშვილი ამის შესახებ წერს: „თამარ დედოფალს
 ესტუმრა თავისი მეუღლით და შეიღებთ ანდრონიკე კომნინო, ბიზანტიის კეის-
 რის ძმისწული, რომელსაც შემდეგ მოკლეს ხნით კეისრის ტახტი ეკავა (1183—1185);
 მისი შვილი ალექსი I თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერატორის ტახტზე დასვა.“

Τῆ δὲ ὑστεραία ἐπὶ τῆς Με-
γάλης ἐκκλησίᾳς ἀρξάμενης τῆς
τῶν βᾶσιλέων ἀναρχίσεως γίνεσ-
θαι Ἄνδρόνικος ἀνηγορεύετο πρῶ-
τερον, ὁ δὲ Ἄλέξιος ὑπεβίβαστο.
μεταπεισιστής τῆς τὰξῆως (CB
351, 1i—352, 9).

ხოლო მეორე დღეს, როდესაც დიდ ეკლესიაში დაიწყეს მეფეების გამოცხადება, ჯერ ანდრონიკე დაასახელეს, ხოლო ალექსი ქვევით გამოაცხადეს, ასე შეცვალეს რიგი.

მუშაინდს დაპყრობილი აქვს იბერია

[იოანე კომნენოსი სალაშქროდ გაემგზავრა არმენიაკთა თემში შეჭრილი მტრის წინააღმდეგ]

Προβέμενος δὲ μεταλθεῖν τοὺς
κατὰ τὸ πῆμα τῶν Ἀρμενιᾶκων
παραιοφθαρέντας βάρβαρους, ἄμα
δὲ καὶ Κωνσταντῖνον τὸν Γαργᾶν

რადგან მან (ე. ი. იოანე კომნენოსმა) გადაწყვიტა დაესაჯა არმენიაკთა თემში შეჭრილი ბარბაროსები და ამავე დროს შე-

ანდრონიკე კომნენა, უებრო რაინდი, ულამაზესი ვაჟაკი, რომელიც გასაოცარი გენოვნებით იცვამდა. ბერძენი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატე, რომელიც მისი თანამედროვე იყო, ამბობს, რომ იგი ყოველთვის ატარებდა ქართულ მაღალ თავსაბურავს და იისფერ-ქართული ქსოვილისაგან შეკერილს ზედა სარბაჯს. «შპერატორო მანუელ კომნინის გარდაცვალების შემდეგ, დღეუცადა პატრიარქ თეოდოსის ნეთაურობით წარსდგა ანდრონიკეს წინაშე, რათა მას ეყოსა იმპერატორის მოვალეობის შესრულება: ანდრონიკემ გაიგო რა, რომ მღვდელმთავარი მიუახლოვდა მის კარავს, მაშინვე მიეგება მას და თან ჩაიცვა იისფერი წამოსასხამი—წინ გაჭრილი, იბერიული ქსოვილიდან შეკერილი, რომელიც მუხლამდე წვდებოდა და უკან ეშვებოდა, ხოლო თავზე დაიხურა მაღალი წვეტიანი რუხი თავსაბურავი». კურთხევის დროს, როგორც იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, მას მოხადეს «მაღალი წვეტიანი თავსაბურავი». მაღალ წვეტიან მომრგვალებულ თავსაბურავს ატარებდნენ საქართველოში ერისთავთ-ერისთავები» (ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1961, № 4).

„ანდრონიკე კომნინი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზეიმო შემთხვევის დროს ატარებდა საქართველოში დამზადებული ქსოვილიდან შეკერილ მუქი წითელი ფერის სკარამანგიონს და ქართულ თავსაბურავს“ (შ. ამირანაშვილი, იქვე, გვ. 67).

ასეთსავე ტანსაცმელსა და თავსაბურავს ხედავს პროფ. შ. ამირანაშვილი შოთა რუსთაველის იერუსალიმურ სურათზე: „რუსთაველის გამოსახულების ფერადი სურათის შესწავლა სასიხშირით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას ტანს აცვია ქართველი ვახირისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი, ქართული ქსოვილიდან შეკერილი, და თავზე აქვს მაღალი ქართული თავსაბურავი“ (შ. ამირანაშვილი, იქვე, გვ. 68).

κατασχεῖν χρόνον ἤδη συχὸν τὴν Τραπεζοῦντα ὑποποιησάμενον καὶ ἤθεσι τυρρανικοῖς αὐτὴν δι-εξάγοντα, διὰ τῆς τῶν Παφλαγῶ-νων συναγκείας τὴν περιεῖαν τί-θησιν αἰεὶ τῶν τοῦ Πόντου παρα-λλῶν τόπων βαδίζειν ἔχόμενα, δυοῖν ἕνεκα. τοῦ τ' ἐκ τῆς οἰκείας χώρας τὴν στρατιάν οἱ πορίζεσθαι τὰ βίωσιμα, καὶ εἰ δεήσει συρρηθῆαι πόλεμον, κατὰ μίαν μοῖραν ἔχειν αὐτὸν ἐπιχει-μενον, ἀλλ' οὐκ ἔξ ἑκατέρων με-ρῶν περιχειμένον κἀντεῦθεν πρὸς περιεὐκλωσιν ἐπιτήρῃσιον.

არა ორივე მხრიდან თავდასხმა მოტყმა.


Ἦν γὰρ ὁ τῆς Καισαρείας τότε κρατῶν Μουχοῦμετ, περὶ οὗ εἰπεῖν ἔφοιγμεν, πλείστην ὄτι περιβεβλημένος ἰσχύν, μέρος τε τῆς Ἰβηρίας ὑπαγαγόμενος καὶ ἕναι τῆς τῶν ποταμῶν μέσης παραστησάμενος (CB, p. 45, 10—23).

ეპყრო კონსტანტინე გაბრა. რომელსაც უკვე კარვა ხანია დემოტიჩილებიანა ტრაპეზუნტი და ნართავდა მას ტირანული წესე-ბით, ის აწყობს გამგზავრებას პათლაგონიის ხელობით და სულ პონტოს სანაპირო ადგილებით ზიდის, ორი რამის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ საკუთარი სამფლობელოდან მოემარაგებინა მას ჯარი სურსათით; მეორე კი-დევ ის იყო, რომ თუ ომის გა-ჩაღება დასჭირდებოდა, მხოლოდ ერთი მხრით შესძლებოდა მტერს მის წინააღმდეგ შემოტევა და და აქედან ადგილად გარსზე-

კესარიას მაშინ ფლობდა მუ-ხუმედი, რომლის შესახებაც უკვე ვთქვით, რომ იგი უდიდესი ძა-ლით იყო აღჭურვილი, იბე-რიის ნაწილიც უკვე დაეოთ-ჩილებინა და შეამდინარეთის ზოგიერთი ადგილებიც დაეჭვემ-ლებდარებინა.

იბერიელები ბიზანტიის ჯარში ალექსი II კომნენოსის დროს

[1180—1183 წლებში დიდი მღელვარებაა სამეფო კარზე. მანუილ I კომნენოსის გარდაცვალების (1180 წ.) შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი ალექსი, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობა ხელში ჩაიგდეს დედოფალმა მარიაშმა და აროტო-სევასტოსმა ალექსიმ (მცირეწლოვანი მეფის ბიძაშვილმა). მაგრამ ამ რეგენტების გარდა სამეფო კარზე არიან მეფის და მარიაში (არა ლეილი და, არამედ მანუილ I ის ქალიშვილი პირველი ცოლი-საგან) და მისი ქმარი.



და, აი, სამეფო კარზე ინტრიგების ქსელს აბამს მეფის და მარიამი თავისი ქმრით კესაროს რაინარით, რომლებიც ცდილობენ რეგენტი პროტოსევესტოსი ალექსი მოსპონ და ამ მიზნით შეთქმულებას აწყობენ. საქმე გამომჟღავნდა: მარიამის მიერ დაქირავებული მკვლელები შეიპყრეს. მარიამი თავისი ქმრით კესაროს რაინარით შეიხიზნა დიდ ეკლესიაში და გაავრცელა ხმები, თითქოს მას სდევნიდნენ დედინაცვალი მარიამი (დედოფალი) და მისი საყვარელი (რეგენტი ალექსი). თუმცა მეფემ ბრძანება გასცა, რომ ისინი ტაძრიდან გამოსულიყვნენ, მაგრამ აჯანყებულმა მარიამმა მოახერხა და დარაჯები დააყენა ეკლესიის შესასვლელის დასაცავად და შეუღლა ჯარის შედგენასაც.]

Ἄει δ' ἐπεκτεινομένη τοῖς χεῖροσι καὶ προβίαιουσα τοῖς οὐκ ἐπαινετέοις, καὶ ξυμμαχιὸν τὰ γυμνα ξενολογεῖ καὶ ἑπιθεσι στρατῶν πεδον τὸν θῆσον περίβολον· καὶ Ἰταλιώτας γὰρ συναγῆοχεν ἐπιλομάχους, καὶ μεγαθύμους ἔρωσες ἐστρατολόγησεν Ἰβηρας κατ' ἐμπορίαν τῇ πόλει παραβιάζοντας, καὶ Ῥωμαίων ἐπλιτεύουσαν ἐπεσπάσατο φάλαγγα (CB, p. 303, 17—23).
 იმხრო რომაელთა შეიარაღებული ფალანგი.

ის (მარიამი) ცუდი რამეებისკენ მიისწრაფოდა და არა საქებურ საქმეებისკენ წინ მიიწევდა: მოკავშირე რაზმს ქირაობს და საბრძოლო ბანაკად აქცევს ღვთაებრივ ვალაფანს; მან შეაგროვა მძიმეშეიარაღებული იტალიელები და დაიქირავა მამაცი აღმოსავლელი იბერიელები, სავაჭრო დავალებებით სატახტო ქალაქში მყოფნი, აგრეთვე მი-

იბერიელები ბიზანტიის ჯარში ისააკ ანგელოზის დროს

[მიმდინარეობს ბრძოლა ალექსი ვრანასთან, რომლის წარმატებებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო კეისარი ისააკ ანგელოზი: კეისარი იმის მაგიერ რომ ეზრუნა სამხედრო ღონისძიებათა მისაღებად, დროს ატარებდა ლოცვაში და მონაზონთა შემოკრებაში თავის ვარშემო. კესაროსი კონრადი¹ მოსვენებას არ აძლევს ისააკს და აიძულებს მიიღოს ზომები ჯარების დასარაზმავად.]

¹ კონრადი, მონთერატელი მარკიზის შვილი, იყო ისააკ ანგელოზის სიძე, მისი დის თეოდორას ქმარი.

Οἷς δὴ τοῦ Καίσαρος λόγοις καθάπερ ἐνδεδεχεῖ βουπλήγι τιτρώμενος ἀνένηφέ τε τοῦ κάρου καὶ τῆς ἀκηδῆας μεθῆρμωστο, καὶ ἤρξατο συλλέγειν συμμαχίαν. Μὴ εὐπορεῖν δὲ λέγων χρυσίνων, ἐκ τῶν βασιλικῶν ταμείων ἀργύρεα σιεύη ἀνελόμενος παρακατέθετο ταῦτα τοῖς χρυσοῦ εὐποροῦσι ταμένεσι, καὶ τὰ ἐκείθεν πορισθέντα χρήματα εἰς συλλογὴν διέδωκε στρατιᾶς, κἄν ὕστερον μετὰ τῆν νίκην καὶ τὸ χρυσοῖον οὐκ ἀπέδωκε καὶ τὰ παρακατατεθέντα ἀνείλετο.

ჯგვბა რომ მოიპოვა, ოქრო აღარ მიუცია უკან, დაგირავებული ჭურჭელი კი წამოიღო.

Ἄμειν καὶ ἐν βραχεῖ καιρῷ ὁ μὲν Κορράδος ἀπὸ τῶν κατὰ τὴν πόλιν συναγῆοχε Λατίνων ἑπτότας περὶ τοὺς δὶς ἑκατὸν καὶ πεντήκοντα, πάντας ἀρειμανίους, καὶ πεζοὺς πεντακοσίους. Οὐκ ὀλίγοι δ' ἔστρατολογῆθησαν καὶ ἀπὸ Ἰσμαηλιτῶν καὶ τῶν ἑφῶν Ἰβήρων, κατ' ἔμπορίαν στείλαμένων τὴν ἐς τὴν βασιλίδαν τῶν πόλεων (CB, p. 499, 7—20).

კესაროსის (ე. ი. კონრადის) ამ სიტყვებით განგმირული მეფე (ისააკ ანგელოსი), თითქოს განუწყვეტილად დეზით ჩხვლეტდნენო, გამოფხიზლდა საღათას ძილისაგან, უზრუნველობა გადააგდო და დაიწყო მოკავშირეებისაგან ჯარის შეკრება. რადგან უჩივოდა სახსრების ნაკლებობას, სამეფო საგანძურებიდან გამოიღო ვერცხლის ჭურჭელი და ჩააბარა ისინი ოქროთი მდიდარ საყდრებს, და იქიდან გამოტანილი ფული¹ მისცა ჯარის შესაკრებად, თუმცა შემდეგ, გამარჯვებამდე, თუმცა შემდეგ, გამარჯვებამდე, თუმცა შემდეგ, გამარჯვებული

მართლაც, სულ მოკლე ხანში კონრადმა შეკრიბა ქალაქში მყოფი ლათინთაგან ცხენოსნები დაახლოებით ორას ორმოცდაათამდე, ყველანი მამაცი, და ხუთასი ქვეითა ჯარისკაცი. არა მცირედნი ჩაეწერნენ ჯარში ისმაელითაგან და აღმოსავლელი ბერებიც², რომლებიც სამეფო ქალაქში სავაჭროდ იყვნენ გამოგზავნილი³.

¹ ესე იგი: სამეფო საგანძურებიდან გამოტანილი ჭურჭელი გირაოდ შეიტანა ეკლესიებში, საიდანაც ფული წამოიღო.

² ისტორიკოსი სპიროლ თვისი თქვას «აღმოსავლელ იბერიელთაგან», რათა განასხვავოს ისინი „დასავლელ იბერიელთაგან“ (ე. ი. ისპანიის იბერიელთაგან).

³ შეიძლება გვეთქვას „იყვნენ ჩამოსული“. მაგრამ რამდენადაც ბერძნულად სწორია *στείλαμένων*, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონსტანტინეპოლში ჩასული იყვნენ იბერიელები არა მარტო თავისი ინიციატივით როგორც კერძო პირები, არამედ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ან სათანადო სავაჭრო კორპორაციების დავალებითაც. ასე დასმა საკითხისა მით უფრო საფიქრებელია, რომ ასევე ამბობს ისტორიკოსი ნიკეტა ხონიატე მეორე შემთხვევაშიც, როდესაც მეფის

ფაზისის სანაპიროებზე მცხოვრები იბერიელები

[1204 წლის კატასტროფის შემდეგ მცირე აზიაში, ნიკეის მხარეში, ცდილობენ გადაარჩინონ ბიზანტიური მმართველობა (შემდეგში აქ შეიქმნება ნიკეის სამეფო). ძალუფლებისათვის იბრძვიან მანუილ მავროზომი, მეანდრის დაბლობის მფლობელი, თეოდორე ლასკარი, და დავითი, ბითონიის მფლობელი და ძმა ტრაპეზუნტის მეფის ალექსისა (1204—1222)]

‘Ο μὲν γὰρ Μαυροζώμης Μαυροῦ τὸν Καίχοσρόην ἵποδῶς, οὐ πᾶνυ πρὸ πολλοῦ τῆ σφετέρᾳ θυγατρὶ συναφθέντα καὶ τῆς Ἰκονιαρχίας ἀνθὺς λαβόμενον, ἧς εἶχε πρότερον ἐκπεσών, πᾶντα ἦν μηχανώμενος, εἰ πῶς ἀντὶ συναϊρομένου τοῦ βασιλείου τύχῃ ὀνόματος, καὶ τῆν ὄσσην ποτιζέει Μαλιανδρος ἐπὶν μετὰ Τούρκων ἐφθιρέ τε καὶ ἔκαιρεν.

მანუილ მავროზომი, რომელსაც სწყალობდა ქაიხოსრო (ამან წინათ მისი ქალიშვილი შეირთო და იკონიის ტახტი, რომელიც დაკარგული ჰქონდა, კვლავ დაიბრუნა) და რომელიც ყველა ზომას ღებულობდა, რომ რამენაირად მისი დახმარებით მეფის სახელი ჰღირსებოდა, და რასაც კი მეანდრი რწყავს, იმ ადგილებს დასხმობდა თურქთა ჯარით და არბევდა და სრავდა.

ალექსი II-ის (1180—1183) წინააღმდეგ აჯანყებულმა ნისმა დამ მარიამმა ჯარი შეაგროვა და იქ ჩარიცხა კონსტანტინეპოლში მყოფი იბერიელი ვაჟრები (იხ. აქვე ზემოთ გვ. 126). საგულისხმოა როგორ ერთნაირი სიტყვებით არის აღწერილი იბერიელების მონაწილეობა ბიზანტიურ ჯარში ორსავე შემთხვევაში:

ალექსი II-ის დროს

Καὶ Ἰταλιώτας γὰρ συναγῆοσεν ὀπλομάχοუს, καὶ μεγαθύμοუს ἐφόου ἐστρατολόγησεν Ἰβηρασ καὶ ἔμποριαν τῆ πόλει παραβαλόντας (CB 303).

ისააკ II ანგელოსის დროს

‘Ο μὲν Κοροδόος ἀπὸ τῶν κατὰ τῆν πόλιν συναγῆοξε Λατίνων ἰππότας... Ὅθκ ὀλίγοι ἐστρατολογήθησαν καὶ ἀπὸ Ἰωμαηλιτῶν καὶ τῶν ἐρωῦ Ἰβηρων, καὶ ἔμποριαν στείλαμένον αὐ τῆν ἐς τῆν βασιλίδα τῶν πόλεων (CB 499).

საკირთა, ჩვენი აზრით, ყურადღება მიექცეს იმას, რომ ორსავე შემთხვევაში კონსტანტინეპოლში ქართველების ყოფნის მიზეზი და მიზანი გამონატულია ისეთი ხმებით, რომლებიც გულისხმობენ ქართველების ჩასვლას ბიზანტიის სატახტო ქალაქში არა თავისი კერძო ინიციატივით; *παραβαλόντας* და *στείλαμένον* — ორივე გამონატავს იმ ვაჟრების მოსვლას „დავალებით“ (*παραβαλλάω*) ან „მივლინებით“ (*στέλλω*).

‘Ο δὲ Λάσκαρις Θεόδωρος, ἄς γένει εὐπρεπέστατος καὶ κήδει βασιλείῃ περιόδῃος¹, ἀποκρουσάμενος ἔκεινον τὸ ἐρῦθρον πέδιλον ὑποδύεται καὶ βασιλεὺς Ῥωμαίων ὑφ’ ἔλων τῶν ἐρίων ἀναγορεύεται πόλεων. ‘Ο δ’ ἐκ Κομνηνῶν Δαβίδ στρατολογήσας Παφλαγόνας καὶ οἱ τὴν Ποντικὴν οἰκοῦσιν Ἡράκλειαν, καὶ μοῖραν μισθωσάμενος Ἰβήρων τῶν πινόντων τοῦ Φάσιδος, κώμας καὶ πόλεις ὑπεποιεῖτο, καὶ τὸν οἰκείον μεγαλύνων κασίγητον ἢ ἡ κλῆσις Ἀλέξιος³, πρὸδρομος ἔκεινου καὶ προκῆρυξ ἐγένετο (CB, 827, 16—828, 9).

ხოლო თეოდორე ლასკარიმ, წარმოშობით უდიდებულესმა და სამეფო გვართან ნათესაობით ცნობილმა, მოიგერია იგი, ჩაიცვა წითელი წალები და რომაელთა მეფედ იქმნა გამოცხადებული ყველა აღმოსავლური ქალაქების მიერ. ხოლო კომნენოსთაგან დავითმა² დარაზმა პაფლაგონელები და ისინიც, რომლებიც ცხოვრობენ პონტოს ერაკლიაში, აგრეთვე დაიქირავა იბერიელთა რაზმეული, იმ იბერიელთა, რომელნიც ფაზისის წყალს სვამენ⁴, დაიმორჩილა სოფლები და ქალაქები და ადიდებდა თავის ძმას, რომელსაც ალექსი ეწოდება: მის წინამორბედად და მაცნედ გამოდიოდა⁵.

¹ ეს სიტყვა (პერიოდῃος) ძველს ბერძნულში არ იხმარება, ბიზანტიური პერიოდის ბერძნულშიც იშვიათია.

² დავითი იყო კეისარ ანდრონიკე I-ის ვაჟის, მანუელის, შვილი.

³ ეს არის დავითის ძმა, ტრაპეზუნტის მეფე ალექსი (1204—1222), რომელსაც არ სურდა ტრაპეზუნტის დატოვება და ამიტომ უარი განაცხადა ნიკეის პრეტენზიებზე.

⁴ ე. ი. მდინარე ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ.

⁵ აქ მოყვანილი მასალა კიდევ ერთხელ სვამს საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ქართველ ტომებთან ერთად იბერიელებიც ცხოვრობდნენ. რამდენჯერმე არიან მოხსენებული ის იბერიელები, რომლებიც კონსტანტინეპოლში ჩასულან სავაჭრო მიზნებით; საჭირო შემთხვევაში ისინი ბიზანტიელებს დაუჭირავენთან ჯარისკაცებად:

1) დავით კომნენოსმა დაიქირავა იბერიელები, რომელნიც ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ (CB 828);

2) ალექსი II კომნენოსის დროს დაჭირავებულ იქმნენ იტალიელები და აღმოსავლელი იბერიელები (CB 303).

3) კონრად მონფერატელმა ისააკ ანგელოსისათვის დაიქირავა ისმაელიტები და ის აღმოსავლელი იბერიელები, რომელნიც კონსტანტინეპოლში იყვნენ ჩასული სავაჭრო მიზნით (CB 499),

თუმცა მხოლოდ ერთ ადგილას სწერია იბერიელები. რომელნიც ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ (ე. ი. რომ აქ ლაპარაკია დასავლეთ საქართველოს იბერიელებზე), მაგრამ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ყველგან ლაპარაკია იბერიელთა დაჭირავებაზე ერთნაირი ფრაზეოლოგიით (იხ.

ფოთი სავაჭრო ქალაქია

[ისტორიკოსი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ალექსი III ანგელოსის (1195—1203) დროს შავ ზღვაზე მეკობრეები თარეშობდნენ და სავაჭრო ხომალდებს სძარცვავდნენ. ერთ ასეთ შემთხვევაზე შემდეგს გადმოგვცემს:]

‘Αλλ’ οἶον καὶ τὸδ’ ἔρρεξεν
 οὐτως ὁ βασιλεύς. Ἄνδρ’ τινι
 παρὰ τοὺς τριήρεις ἔξ, ᾧ ἦ μὲν
 κλήσις ἦν Κωνσταντίνος ἡ δ’
 ἐπίκλησις Φραγγόπουλος, ἐς τὸν
 Εὐξείνιον Πόντον ἐξέπεμψε, τῷ
 μὲν δοκεῖν περὶ φορτίου πλοίου
 τινὸς ἐξετάσσοντα, ἐκ Φάσιδος
 κατὰ ῥοντος εἰς Βυζάντιον, περὶ
 δὲ Κερασσοῦντα ναυαγῆσαντος, τῷ
 δὲ ὄντι ταῖς ἐς πόλιν τὴν Ἄμιν-
 σογ¹ καταπλευροῦσαις δλκᾶσι ἐπι-
 θησόμενον καὶ τοῦτων τὰ ἀγώ-
 γιμα προνομύσσοντα. Ὁ δὲ κατ’
 ἐπίταγμα τὸ βασιλικὸν ἐς τὸν
 Εὐξείνιον ἀναπλευσας οὐδεμιᾶς
 φειδεται νηὸς, ἀλλὰ πάσας σχυ-
 λήσας, ὄσαι τε ἐς Βυζάντιον
 ἐμπορευμάτων πλήρεις κατήγοντο,
 καὶ ὄσαι ἀμύις ἀτήγοντο ἀποδι-
 δόμενα: τὰ ἐαυτῶν καὶ ἄλλ’ ἄττα

მაგრამ, აი, რა საქმე ჩაიდინა თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერი ჩააბარა ერთ კაცს, რომლის სახელი იყო კონსტანტინე, ხოლო მეტსახელი ფრანგოპულოსი, და გაგზავნა იგი ევქსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ¹ დაეძებნა ტვირთი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიმსხვრა, ნამდვილად კი უნდოდა თავს დასხმოდა სატვირთო ხომალდებს, რომლებიც ქალაქ ამინსოში¹ მისცურავდნენ, და მათი ტვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულების მიხედვით მან გასცურა ევქსინის პონტოში და არც ერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდები გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მოდიოდ-

ნემოთ გვ. 130, შენიშვნა), და, მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ყველგან ლაპარაკია იმ იბერიელებზე, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ჩადიოდნენ კონსტანტინეპოლში სავაჭრო მიზნებით.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს უკანასკნელი ფრაგმენტი („ფოთი სავაჭრო ქალაქია“), სადაც ლაპარაკია იმ ვაჭრებზე, რომელთაც საქონელი მოჰქონდათ ფაზისიდან (ე. ი. ფოთიდან) კონსტანტინეპოლში.

ასე რომ, დღეს უკვე განკალკეებულად აღარ დგას ის ცნობა, რომელიც ჩვენ მოვითავაშეთ „გეორგიკის“ II ტომში და რომელიც გადმოგვცემს იმის შესახებ, რომ ქართლის მეფეს (არჩანეს დროისათვის, II საუკ.) უკვე დაკავებული ჰქონია შავი ზღვის სანაპირო აფსარონის სამხრეთით (იხ. „გეორგიკა“ II, 1965 წ. გვ. 25—26).

¹ „ამინსოს“ ან „ამისოს“ — დღევანდელი სამსუნო.

ἐνθήμεναι, μετὰ δὲ ἄλλοις ὑπὲρ
 ἑστέρας, τινὰς τῶν ἐμπόρων μα-
 χαίρα ὑποδικάσας καὶ τῶν βυθῶν
 παραπέμψας, ἃν τὰ χρεῖματα
 αὐτὸς ἰδίῳσατο, τοὺς δ' ἄλλους
 ὑπὲρ ἑστέρας ὑποδικάσας (CB 699, 7—21).

რები მახვილით გაასამართლა და
 ქონება მიითვისა, სხვები კიდევ
 როდინის ქვაზე უფრო ტიტვლები
 გაისტუმრა.

ნენ, საქონლით დატვირთულები,
 და ისინიც, რომლებსაც ჩაებარე-
 ბინათ თავისი საქონელი და სხვა
 საქონელი ჩაელაგებინათ და უკან
 ბრუნდებოდნენ,—და ორი თვის
 შემდეგ ის (ე. ი. ფრანგოპულოსი)
 უკან დაბრუნდა; ზოგიერთი ვაჭ-
 რები კვესკენელში გაისტუმრა, და მათი
 ქონება მიითვისა, სხვები კიდევ
 როდინის ქვაზე უფრო ტიტვლები
 გაისტუმრა.

ბიზანტიის კეისრის ტიტული

Μαουηλ ἐν Χριστῶ τῶ Θεῶ
 πιστὸς βασιλεύς Πορφυρογέννη-
 τος, Ῥωμαίων ἀυτοκράτωρ εὐσε-
 βέστατος, ἀεισέβαστος, Ἀγγυσ-
 τος, Ἰσαυρικὸς, Κιλικικὸς, Ἀρμε-
 νικὸς, Δαλματικὸς, Ουγγρικὸς,
 Βοσθνικὸς, Χροβατικὸς, Δαζι-
 κὸς, Ἰβηρικὸς, Βουλγαρικὸς,
 Σερβικὸς, Ζεαχικὸς, Χαζαρικὸς,
 Γοთικὸς, Φεოკυβέργητος, κληρο-
 νόμος τοῦ στέμματος τοῦ μεγά-
 λου Κωνσταντίνου, καὶ ψυχῆ
 νεμόμενος πάντα τὰ τούτου δι-
 καια· ὡς τινῶν ἀποστατησάντων¹
 τοῦ κράτους ἡμῶν, τοῖς τοῦ
 φιλοχρίστου ἡμῶν παντὸς λαοῦ
 τῆς Φεοφυλάκτου ἡμῶν βασιλίδος
 πόλεως, ἔτι δὲ καὶ πᾶσι τοῖς
 τῶν ἐπὶ τῆν τῆς ἡμετέρας βασι-
 λείας ἐξουσίαν χαρῶν ἡπειρωτι-

ქრისტე ღმერთის შემწეობათ
 მორწმუნე მეფე მანუელი, პორ-
 ფიროგენეტი, რომაელთა თვით-
 მპყრობელი, კეთილსათნო, მუდამ
 სათნო, ავეუსტოსი, ისავრიელი,
 კილიკიელი, არმენიელი, დალმა-
 ტიელი, უნგრელი, ბოსთნიელი,
 ხორვატიელი, ლ ა ზ თ ა, ი ბ ე რ -
 თ ა, ბულგართა, სერბთა, ჯიქთა,
 ხაზართა, გუთთა ღვთიენმართ-
 ველი, მემკვიდრე დიდი კონსტან-
 ტინეს გვირგვინისა, ყველა მის
 სამართალთა სულით მწყემსავი;
 თუმცა ზოგიერთნი გადაუდგენ
 ჩვენს ძალაუფლებას, მაგრამ მთე-
 ლი ჩვენი ღვთიე დაცული სამე-
 ფო ქალაქის ქრისტესმოყვარე
 ხალხისთვის, ისევე როგორც
 ჩვენი სამეფოს ძალაუფლების
 ქვეშ მყოფ მხარეთა, როგორც

¹ შდრ. Fr. Dölger, Corpus der griechischen Urkunden... 2. Teil (1925), გვ. 65. აქ 1146 წლის თარიღით დასახელებულია ერთი უცნობი წინაარ-
 სის ხროსობული ((Chrysobull unbekanntes Inhalts), რომლის დასაწყისი
 სიტყვებია: Ὡς τινῶν ἀποστατησάντων.

ⲁⲓⲛ ⲡⲉ ⲁⲓ ⲙⲁⲗⲁⲧⲏⲁⲥ ⲟⲓⲁⲓⲧⲟⲣ- სახმელეთო ისე საზღვაო მხა-
 ⲥⲓⲛ (Nicetae Choniatae Thesau- რეთა ყველა მცხოვრებლებისა-
 rus orthodoxae fidei, lib. XXV: თვის მზრუნველია.
 PG 140, 273).

ზემოთ მოყვანილი მასალა მოიპოვება ნიკეტა ხონიატეს თეოლოგიურ ნაშრომში *Ⲑⲓⲱⲥⲁⲣⲉⲥ* 'Ⲑⲣⲱⲓⲃⲟⲓⲛⲥⲓⲁⲥ („განძი მართლმადიდებლობისა“), რომლის XXV თავი მიძღვნილი აქვს 1166 წლის კრებას, სადაც ირჩეოდა ერთი დებულება შესახებ ქრისტეს ბუნებისა. სახელდობრ: სახარებაში¹(იოანე 14,28) ქრისტე ეუბნება მოწაფეებს: «გესმა, რამეთუ გარქუ თქუნ, ვითარმედ: მივალ და მოვალ თქუნდა, უკუეთუმცა გიყუარდი მე, იხარეთ სამემცა, ვითარმედ მე მამისა მივალ, რამეთუ მამაჲ ჩემი უდიდეს არს ჩემსა (ⲃⲡⲁⲧⲓⲣⲉ ⲙⲉⲓⲛⲥⲱ ⲙⲟⲥ ⲛⲟⲩⲱ)». ოთხთავის ეს უკანასკნელი სიტყვები (რომ „მამა ჩემზე უფრო დიდია“) საკამათოდ გაიხადეს კლერიკალებმა და მანუელ კეისარმა (1143—1180) საეკლესიო კრება მოიწვია 1166 წელს, რომელზედაც განხილულ იქმნა ეს დებულება¹. ნიკეტა ხონიატე თავის შრომაში ამ საეკლესიო კრების მეორე სხდომის (4 აპრილის, მე-14 ინდიქტიონს) ანგარიშს რომ გადმოგვცემს, მას მოჰყავს ამ კრების სულისჩამდგმელის, მანუელ კეისარის ტიტული, სადაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ბიზანტიის კეისარის მოხსენიება როგორც აგრეთვე „ლ ა ზ თ ა და ი ბ ე რ თ ა“ მწყემსავისა.

ნიკეტა ხონიატეს მიერ მოყვანილი ეს ტიტული ემყარება საკანონმდებლო აქტების კრებულს, სადაც 1166 წლის საეკლესიო კრების დოკუმენტები იყო გამოქვეყნებული². ც ა ხ ა რ ი ა ფ ო ნ - ლ ი ნ -

¹ თ. უსპენსკი წერს: „В двадцать третий год Мануила народился церковный вопрос, который начавшись с малого, подобно небольшой искорке, раздутый ветром, развился до громадных размеров, увлек не только высшие духовные чины, но и низшие, коснулся сената и дворца и перешел к простым людям. Вопрос был о словах Христа, сказанных ученикам в ночь перед страданиями: Иду к Отцу. ибѡ Отец мой больше Меня — в каком смысле пужно понимать эти слова? — Одни тольковали эти слова так, другие иначе. После уразумения истинного смысла этого вопроса, неправильные мнения были преданы осуждению“ (Ф. Успенский и, Очерки по истории Византийской образованности. СПб 1891, гл. 225).

² ნიკეტა ხონიატეს შრომა (*Ⲑⲓⲱⲥⲁⲣⲉⲥ* Დⲣⲱ.) დაწერილია 1204—1210 წლებში.

გენთაღის მიერ გამოცემულ კრებულში იგი მოთავსებულია როგორც 70. ნოველა¹.

ბიზანტიის კეისრის ეს ტიტული ოფიციალურ აქტებში, როგორც ჩანს, იხმარებოდა, ხოლო ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საჭირო მასალები იმისათვის, რომ ზედმიწევნით ვილაპარაკოთ, თუ რომელი აქ მოხსენიებულ ხალხთაგან როდის იქმნა შეტანილი ბიზანტიის კეისრის ტიტულატურაში. ეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგიერთი აქ დასახელებული ტომი ჯერ კიდევ X საუკუნემდე ყოფილა ბიზანტიის ქვეშევრდომი. აქ უნდა გავიხსენოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი ტომები ბიზანტიის მმართველთა წრეების აქწარობისა და გულუბრყვილობის წყალობითა ჩამოშორებიან ბიზანტიას. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

Τῆς δὲ τῶν Ῥωμαίων βασιλείας διὰ τῆς τῶν τότε κρατούντων ἰσχυρότητος καὶ ἀφέλειαν εἰς τὸ μῆδὲν παρῶσαν μικροῦ δεῖν ἐναπονευσίσης, καὶ μάλιστα δὲ ἐπὶ Μιχαὴλ τοῦ ἐξ Ἄμοριου, τοῦ Τραυλοῦ, οἱ τὰ τῆς Δεληματίας κάστροι οἰκοῦντες γεγόνασιν ἀυτοκέφαλοι, μῆτε τῶ βασιλεῖ Ῥωμαίων, μῆτε ἐτέρῳ τινὶ ὑποκείμενοι, ἀλλὰ καὶ τὰ ἐκείσε ἔμνη, οἱ τε Χρωβάτοι καὶ Σέρβλοι καὶ Ζαχλοῦμοι καὶ Τεθβουσῶται τε καὶ Καραλίται καὶ Διοκλήτιανοὶ καὶ οἱ Παγανοί, τῆς δὲ τῶν Ῥωμαίων βασιλείας ἀφροῦσαντες γεγόνασιν ἰσχυροῦσιν καὶ ἀυτοκέφαλοι, τινὶ μὴ ὑποκείμενοι — „როდესაც რომაელთა სახელმწიფოს სახლვრები მაშინდელი მმართველობის აქწარობისა და გულუბრყვილობის წყალობით. და განსაკუთრებით მიხეილ ამორეველის (ზედწოდებით ჩლიფინას) დროს, თითქმის სრულიად შეიჩუა, დალმატიის ციხე-ქალაქების მცხოვრებნი გახდნენ თვითთავადნი, არც რომაელთა მეფეს ექვემდებარებოდნენ, არც სხვა ვინმეს, და იკაჟური ტომები, როგორც მაგალითად, ხროვატები და სერბლები, და ზახლუმები და ტერვუნოტები. ისევე როგორც კანალიტები და დიოკლეტიანები და პაგანები, მის შემდეგ რაც მათ მოიშორეს აღვირი რომაელთა სამეფოსი, გახდნენ თვითმმართველნი და თვითთავადნი და არავის არ ექვემდებარებოდნენ“ (Constantine Porphyrogenitus, De administrando imperio, Greek text edited by Gy. Moravcsik. Budapest 1949, p. 124).

ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არიან ჩამოთვლილი იგივე ტომები, რომლებიც მანუელ კეისრის 1166 წლის ნოველაში არიან მოხსენიებული. აქ არიან მოხსენიებული ის ტომები, რომლებიც მაშინ (X საუკუნის წინა ხანებში) გადამდგარან; არ არიან აქ მოხსენიებული „ლაზები და იბერები“.

¹ Jus Graeco-romanum. Pars III. Novellae constitutiones. Edidit C. E. Zachariae a Lingenthal. Lipsiae 1856, გვ. 485—486.

კონსტანტინე პორფიროგენეტის მასალას უნდა ემყარებოდნენ თეოფანეს გამგრძელებელი და გიორგი კედრენე; უკანასკნელს უწერია:

...ἔτι δὲ καὶ τῶν ἐν Παννονίᾳ καὶ Δαλματίᾳ, καὶ τῶν ἐπέκεινα τούτων διακειμένων Σκυθῶν, Χρωθᾶτων φησὶ καὶ Σεβῶν καὶ Ζαχλοῦβων, Τεβισουατῶν τε καὶ Κιναλιτῶν καὶ Διοκλήτιανῶν καὶ Πεντανῶν, τῆς ἀνέκαθεν Ρωμαίων ἐπιχειρήσεως ἀφηναισασταῶν καὶ αὐθιγῶν καμψοστομάτων (Cedrenus, ed. Bonnæ II, 218, 21 შდ.) — როდესაც პანონიასა და დალმატიაში მცხოვრებლებმა და ამათ გადაღმა მცხოვრებმა სკვითებმა. ხროვატებმა — ვამბობ მე — და სერბებმა და ხაზლუმებმა, ისევე როგორც ტერვუნოტებმა და კანალიტებმა, დიოკლეტიანებმა და რენტანებმა, რომელნიც ძველითგან რომაელთა ქვეშევრდომები იყვნენ, გადააგდეს რომაელთა უღვლი და თვითთავადნი გახდნენ...“.

ამგვარად, არ არის საეჭვო, რომ ნიკეტა ხონიატეს მიერ მოყვანილი ტიტული ბიზანტიის კეისრისა ემყარება მტკიცე წყაროს: სამართლის ძეგლში, 70-ე ნოველაში, მოთავესებული ტიტული მანუელ კეისრისა წარმოადგენს ოფიციალურ წყაროს და მას, როგორც დავინახეთ, მხარს უჭერს როგორც X საუკუნის (კონსტანტინე პორფიროგენეტი და თეოფანეს გამგრძელებელი), ისე XI საუკუნის (კედრენე — სკილიცა) თხზულებებში არსებული ცნობები. ამ თხზულებებში მოხსენებული არიან როგორც ბიზანტიისაგან გადამდგარნი:

კონსტანტინე პორფ.	კედრენესთან
	პანონია
დელმატია	დალმატია
	სკვითები
ხროვატები	ხროვატები
სერბლები	სერბები
ხაზლუმები	ხაზლუმები
ტერვუნოტები	ტერვუნოტები
კანალიტები	კანალიტები
დიოკლეტიანები	დიოკლეტიანები
არენტანები	რენტანები
პაგანები	

არა მარტო შინაარსით, არამედ ჩამოთვლილ ხალხთა თანამიმდევრობითაც ეს ორი ცნობა ერთიმეორეს ფარავს, რაც გვაგულისხმევინებს, რომ ისინი ერთისა და იმავე წყაროდან მომდინარეობენ.

თუ კი ზემოთ მოყვანილი ტიტული ბიზანტიის კეისრის ოფიციალური ტიტული იყო იმ საუკუნეებისათვის, როდესაც ეს წყაროებია წარმოშობილი, რატომ არ იხსენიებიან აქ არც ლაზები და არც იბერები? ერთი შეხედვით, საფიქრებელია, რომ ისინი

ან 1) არ გადამდგარან ბიზანტიისაგან, 2) ან არ ითვლებოდნენ ბიზანტიის ხელქვეითებად. კერძოდ, ლაზების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი:

1204 წელს, როგორც სწერია თამარ მეფის ისტორიაში, თამარი ღვანრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიპონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილია¹. როგორც აქედან ჩანს, ლაზეთი 1204 წლის წინა ხანებში ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა და, მაშასადამე, 1166 წლის ბიზანტიურ ნოველაში მისი მოხსენება გამართლებულია.

რაც შეეხება „იბერთა“ მოხსენებას ბიზანტიის კეისრის ტიტულში, ძნელია იმის თქმა, თუ როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მათი ჩათვლა ბიზანტიის კეისრისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში. იქნებ ამის საბუთი მისცა ბიზანტიის კეისარს იმ გამწვავებულმა ურთიერთობამ. რომელიც 1023 წლის წინა ხანებში შეიქმნა ბასილ II კეისარსა და გიორგი I-ს შორის, როდესაც «ბასილი მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა» (ქ. ცხ. I [1955], 287) და რის შედეგადაც «გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, კუალადცა მეოტ იქმნნეს სპანიქართველთანი და წამოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახვლისათა, და რომელნიმე ტყუე იქმნნეს და წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სამეფო, რომელი ჰქონდა თანა» (ქ. ცხ. I [1955], 287—288).

იბერია ჯვართსანთა ომების დროს

᾿Ως δὲ καὶ κλήρουσ πόλεωσ
καὶ χարῶν ἡρξάντο βάλλει, ἦν
ἐδέσθαι καὶ θέσθαι ὅτι δὲ πλείσ-
του τοῦ θάσματος ἀνδρῶν τροφο-
μαγῶν μῆ ξυσμῆτην ἀπόνισαν.
εἴτ' οὖν παράνοισαν εἰπεῖν οἰκισ-

როდესაც იმათ² დაიწყეს წილის ყრა ქალაქებისა და ქვეყნების გასანაწილებლად, უნდა გენახათ და გაგვირგებოდათ ან ბისტგადაკრულ კაცთა შეუღარებელი უფუნურება, უფრო შე-

¹ ქათლის ცხოვრება, ტ. II (1959), გვ. 142; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია II (1965), გვ. 272—273.

² ე. ი. ჯვართსნებმა, რომელთაც 1204 წელს ბიზანტია აიღეს.

τερον. Ὡς γὰρ βασιλέων ἦδη βασιλεῖς καθεστῶτες καὶ τὸ περιγεῖον ἔπαν ἐν χερσὶν ἔχοντες. τοῖς μὲν Ῥωμαῖκοῖς σχοινίσμασιν ἀπογραφεῖς ἐπέστησαν, γυνῶναι πρότερον τὰς ἐπετειοῦς ἀποφραγὰς θέλοντες, εἰμ' οὕτω κατὰ πάσους ἀπὸ τὰ μερίσασθαι, τὰς δὲ παρ' ἄλλοις ἔθνεσι καὶ βασιλεῦσι καρποῦμένους ἀρχὰς καὶ ἔξουσίας ἐκ τοῦ ἀντίκα διείλοντο. Ἡ τε οὖν ἐν πόλεσιν ἐνθαίμων καὶ πρὸς τῷ Νεῖλῳ κειμένη Ἀλεξάνδρεια τῷ τε κλήρῳ ὑπέκειτο καὶ Λιβύῃ, καὶ Λιβύης τὰ ἐς Νομάδας καὶ Γάδειρα παρατείνοντα, Πάρθῳ τε καὶ Πέρσαι, ἐπὶ δὲ Ἰβηρῆς ἔθου καὶ Ἀσσυρίᾳ γῆ καὶ Ὑρανοῖ, καὶ ἄλλα οἱ πρὸς ἕω μέγιστοι ποταμοὶ τοῖς ἔθνεσι διεκλήφασιν (CB, p. 787,10—788,1).

კანელები და რაც კი აღმოსავლეთით უდიდესი მდინარეების წყლებით არის შემოსაზღვრული.

საფერისად რომ ვთქვათ, სიგიჟეთითქოს უკვე მეფეთა-მეფეები გამხდარიყვნენ და მთელი დედამიწა ხელში ჰქონოდეთ, რომაელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სცოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ, და ამრიგად შემდეგ ისინი გაეყოთ ერთმანეთში წილისწოთ, ხოლო სხვა ტომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და საქელოები მაშინვე გაინაწილეს; ასეთ ბედში მოხვდნენ: მდიდარი და ნილოსის ვასწვრივ მდებარე ალექსანდრია და ლიბია, ლიბიიდან ნუმადიამდე და ლადირთამდე გადაჭიმული მხარეები, პართები და სპარსელები, შემდეგ აღმოსავლელი იბერები და ასირიის ქვეყანა, ჰირ-

ნიკეტა ხონიატე აქ განასხვავებს ჯვაროსანთა პოლიტიკას 1) თვით ბიზანტიის მიმართ და 2) ბიზანტიისაგან დამოკიდებულებას იმყოფ ქვეყნების მიმართ. ამ ცნობით:

1) ჯვაროსნებმა 1204 წელს მათი გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის პროვინციებში მოხელეები დაგზავნეს, რათა აღეწერათ ეს მხარეები ყოველწლიური გადასახადების შეწერის მიზნით, ხოლო

2) ის მხარეები, რომლებიც ბიზანტიის იმპერიას კი არ ეკუთვნოდნენ, არამედ მის მოხარკე სამფლობელოებად (καρποῦμένους ἀρχὰς καὶ ἔξουσίας) ირიცხებოდნენ, მაშინვე გაინაწილეს. ამ უკანასკნელთა რიცხვში დასახელებულია აღმოსავლეთი იბერია (Ἰβηρῆς ἔθου: — აღმოსავლელი იბერები).

თუ რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს, ძნელია ამის თქმა, რამდენადაც სხვა არც ერთი წყარო ამაზე არათერს ლაპარაკობს. ჩვენ იმდენად ვაქცევთ ყურადღებას ამ ცნობას, რამდენადაც იქ მოხსენებულია იბერია, როგორც ერთგვარად დამოკიდებული ბიზანტიისაგან, და ამდენად შეიძლება ეს ცნობაც გამოვიყენოთ იმის გასაგებად, თუ რატომ არის იბერიაც მოხსენებული ბიზანტიის კეისრის ტიტულში (იხ. ზემოთ გვ. 134 — 136).

რაც შეეხება ფაქტიურ მდგომარეობას, თუ რამდენად სარწმუნოა, რომ ჯვაროსანთა მიერ ერთმანეთში განაწილებულ ქვეყნებს შორის იბერიაც იყო, ამის შესახებ ნებას მივცემთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ სარატოველი პროფესორის ნ. პ. სოკოლოვის აზრი; მკვლევარს მოჰყავს ნიკეტა ხონიატეს ჩვენ მიერ ზემოთ მოთავსებული ცნობა ჯვაროსანთა მიერ ბიზანტიის მოხარკე მხარეების ერთმანეთში განაწილების შესახებ და დაასკვნის: *Нужно сказать, что во всем этом нет ни слова правды, — ни одна из этих территорий в договоре¹ не упомянута².*

¹ იგულისხმება ის ხელწვერულება, რომელიც დადევს ჯვაროსნებმა 1204 წლის მარტში, გ. წ. „განაწილების აქტი“.

² Н. П. Соколов, Образование Венецианской колониальной империи, Саратов 1963, გვ. 397.

იოანე კინამოსი

იოანე კინამოსი (Ἰωάννης Κίναμος) დაიბადა 1143 წლის მახლობელ ხანებში. ამის შესახებ ის თვითონ წერს თავის საისტორიო შრომაში: «ჩვენ გამოვავლენთ ორი მეფის მოღვაწეობას, რომელთაგან ერთმა თავისი სიცოცხლე დაამთავრა, ვიდრე ჩვენ დავიბადებოდით, ხოლო მეორე ჩვენ დროს ყვაოდა და გარდაცვალების შემდეგ სამეფო დაუტოვა თავის მცირეწლოვან ვაჟს. ეს მეფეები არიან იოანე და მანუელ კომნენოსები». აქ მოხსენებულ მეფეთაგან იოანე II კომნენოსი გარდაიცვალა 1143 წელს (და, მაშასადამე, იოანე კინამოსი დაბადებულია 1143 წლის შემდეგ), ხოლო მანუელ I კომნენოსი 1143—1180 წლებში მეფობდა და 1180 წელს სამეფო ტახტი გადავიდა მცირეწლოვან ალექსი II კომნენოსის ხელში.

ამგვარად, იოანე კინამოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მანუელ I კომნენოსის დროს (1143—1180). როგორც იოანე კინამოსის შრომის სათაურიდან ჩანს, იგი იყო „სამეფო მდივანი“ (βασίλειος γράμματάρχης), და კეისრის მახლობელი ადამიანი. ის ახალგაზრდობაში მონაწილეობდა მანუელ კეისრის ლაშქრობებში. მისი შრომიდან ჩანს, რომ სამხედრო საქმეების საფუძვლიანი ცოდნა ჰქონია და, მაშასადამე, სამხედრო განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული.

იოანე კინამოსს ეკუთვნის 1180—1183 წლებში დაწერილი საისტორიო შრომა, რომლის სათაურია: Ἐπιτομή τῶν κατ'ἰστορίαν τῶν μαχαρίτη βασιλέων καὶ πορφυρογεννητῶν αὐτῶν Ἰωάννη τῶν Κομνηνῶν καὶ ἀφ' ἑῶν τῶν παραχθέντων τῶν ἀσπίδων σὺν ἀπὸς τῶν βασιλέων καὶ πορφυρογεννητῶν αὐτῶν Μανουήλ τῶν Κομνηνῶν ποιεῖσθαι Ἰωάννη βασιλεὺς γράμματάρχης τῶν Κωνσταντῶν — ამოკლე მიმოხილვა ნეტარისა და პორფიროგენეტ მეფის უფალ იოანე კომნენოსის წარმატებებისა და მოთხრობა მისი სახელოვანი ვაჟის, მეფისა და პორფიროგენეტ უფალის მანუელ კომნენოსის საქმეებისა, თხზულება სამეფო მდივნის კინამოსისა. ამ სათაურიდან ჩანს, რომ იოანე კინამოსის შრომა შეიცავდა 1118—1180 წლების ისტორიას, ე. ი.

იოანე II კომნენოსის (1118—1143) მეფობის მოკლე მიმოხილვას (*Ἐπιτομή*) და მანუელ I კომნენოსის (1143—1180) მეფობის ისტორიას (*Ἱστορία*).

იოანე კინამოსის შრომა მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (*Codex Vaticanus*), რომლის ბოლო ძალიან დაზიანებულია: თხრობა წყდება 1176 წლის ამბებზე.

დიდ ღირსებად იოანე კინამოსის საისტორიო შრომისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი დაწერილია პირველწყაროების მიხედვით. კერძოდ, ჯვაროსანთა მეორე ომის ამბებისათვის გამოყენებულია საარქივო მასალები. ან როგორ შეიძლებოდა, აღნიშნავს ფრ. დელგერი, სამეფო მდივანს (*γραμματέας*), რომელიც მეფის კარზე მსახურობდა და მეფესაც თან ახლდა ლაშქრობებში, არ სცოდნოდა მეფისა და მეფესთან მიწერ-მოწერა და ის არ გამოეყენებინა¹.

იოანე კინამოსი ფრიად განათლებული კაცია; ის კარგად იცნობს ქსენოფონტს, მის „კიროპედიას“, რომლითაც სარგებლობს თავისი ისტორიის პირველ თავში; იცნობს ეზოპესაც; ანნა კომნენეს „ალექსიადა“, რასაკვირველია, წაკითხული აქვს და მას თვლის მიუდგომლად დაწერილ თხზულებად². წყაროებში მოპოებულ ცნობებს ის კეთილსინდისიერად გადმოგვცემს, რაც მის თხზულებას, რომელსაც ის ერთ ადგილას ეძახის *χρυσὴν ἱστορίαν* („ქამთაალწერას“), დიდ ნდობას აკუთვნებს.

გამოცემები და თარგმანები:

Ioannis Cinnami Epitome rerum ab Ioanne et Alexio Comnenis gestarum. Ad fidem Codicis Vaticani recensuit Augustus Meineke, Bonnæ 1836.—პირველი გამოცემა ეკუთვნის დიუკანეს (1670; პარიზის კორპუსში, CP), რომელმაც ვრცელი განმარტებებიც დაურთო. ეს განმარტებები განმეორებულია ა. მაინეკის გამოცემაშიც (*Caroli du Fresne in Historiam Ioannis Cinnami notae*).

Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов. Труд Иоанна Киннама. Перевод под редакцией профессора Карпова. СПб 1859.

¹ იხ. K. Krumbacher, *GBL*², გვ. 280; Fr. Dölger, *Corpus d. gr. Urkunden... Regesten* 2 (1925), გვ. V—VI.

² N. Jorga, *Mémoires d'histoire littéraire byzantine: Byzantion* 2 (1926), 283—284.

³ უნდა იყოს: Manuele.

შესავალიდან

I, 1. Οὐδὲ τὸ τῆς ἱστορίας ἔργον ἀφιλότημον τοῖς πάλαι ἐνομίσθη σοφοῖς. Πλείστους μὲν οὖν αὐτῶν καὶ ἐντενθεὺν εὐδοκίμηκεναι ξυνέβη. Ὁ μὲν γὰρ τὰ Ἑλλήνων εἰς ἱστορίαν ἔλαβεν ἔργα, ὁ δὲ Κύρου διεξήλθεν ἀγαγὴν τε τὴν ἐκ παίδων καὶ πράξις, ὅσαι εἰς ἀνδρας ἦκοντι τοῦτω ἐξεπονήθησαν.

Χρὴ γὰρ οἶμαι τοὺς γε μὴ πάνυ ἀναξίως τοῦτω ἐπιχειρήσοντας εἰδήσεως τε τῆς περὶ ἕκαστα εἰ ἦκειν καὶ πραγμάτων ἄς ἐπιπαν ἀφροσύναι ὅσα βίῃ τῶνδε συνῆξυχαται διηγεσέσθαι ὧν οὐδέτερον ὅπως οἶμαι χρεῶν ἡμῖν πάρεστιν.

Οὐκ οὐκ οὐδὲ διὰ τοῦτο παντάπασιν ἔργα συγχεῖν, ἀ τῶν ἡμετέρων ὀνήσους συνέπεσεν αἰῶνι, ἐπιμελητέον δ' ὅπως μὴ καὶ τῆς ἐνοούσης ἄρα εὐκαιρίας κατόπιν ἡμῖν ἐλθεῖν γένοιτο.

Γένοιτο δ' ἄν, εἰ τῶν ἄλλων καθάπαξ ἀπάντων καὶ ὅσα ἐς τὸν κοινόν ἦκει τῶν ἀνθρώπων βίον τὴν ἀφήγησιν ὑπερβάντες θυεῖν ἔργα παρασθησόμεθα βασιλέοι, ὧν δ' μὲν ἔφθη πρὸ τῆς εἰς τὸν βίον ἡμῶν προόδου τὸ ζῆν ἀπολιπῶν, ἄτερος δὲ ἡμασέ τε ἐφ' ἡμῶν καὶ ἀπῆγε: τοῦ βίου

ძველი ბრძენი კაცები არასაპატიოდ არ თვლიდნენ ისტორიის შესწავლის საქმეს, ის კი არა: ბევრმა მათგანმა სწორედ ამით გაითქვა სახელი. ერთმა ელინთა საქმეები აიღო ისტორიაში შესატანად; ხოლო მეორემ კიროსის აღზრდა გვიამბო, მისი ბავშვობიდან, და მისი საქმეები, რომლებიც მას უღვაწნია ვაჟკაცობის ასაკში შესულს.

ჩემის აზრით, ვინც ხელს ჰკიდებს ამ საქმეს, სრულიად არ არის უდიოსი, კარგი ცოდნა ჰქონდეს თითოეული ამბის შესახებ და შორს იდგეს, საერთოდ, იმ საქმეებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ შეიჭრება ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში: ამათგან, ჩემის აზრით, არც ერთი არა გვაქვს ჩვენ.

მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სრულიად გავუჩუმდეთ იმ საქმეებს, რომლებიც ჩვენს საუკუნეში მოხდა; უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენს განკარგულებაში მოხვედრილი კარგი შემთხვევა არ გავუშვათ ხელიდან.

კარგი იქნება, თუ ჩვენ სრულიად განზე დავტოვებთ თხრობას ყველაფერ სხვაზე, რაც აღამიანთა საზოგადო ცხოვრებას ეხება და ორი მეფის მოღვაწეობას გამოვავლენთ, რომელთაგან ერთმა თავისი სიცოცხლე დაამთავრა, ვიდრე ჩვენ დავიბადებოდით, ხოლო მეორე ჩვენ დროს ყვა-

τήν βασιλείαν ἀνήβη λιπών τῷ παιδί. Ἰωάννης οὗτοι καὶ Μανουήλ οἱ Κομνηνοί (CB, p. 3—4).

ვოდა და გარდაცვალების შემდეგ სამეფო დაუტოვა თავის მცირეწლოვან ვაჟს. ეს მეფეები არიან ითანე და მანუელ კომნენოსები.

იბერიელები ბიზანტიის ჯარში

IV, 13. Ταῦτα μὲν δὴ τῆδε ἐπράσσετο· Γιλίελμος δὲ ἄρας ἐκ Μυζίας παντὶ τῷ στρατῷ ἄς ἐπὶ Βρεντέσιον ἐπορεύετο, ὃ τε στόλος αὐτῷ ἐπὶ τῆς ἀντιπόρθμου τῷ Βρεντεσίῳ νησίδος ὀλίγων ἀπὸ σταδίων ὄρμισάμενος ἴστατο. Κατὰ ταῦτόν γάρ ἀμφοτέρωθεν Ῥωμαίοις τὴν προσβολὴν ποιεῖσθαι διενοεῖτο.

ლი იყო რომაელებისათვის შეეტიათ ორივე მხრით.

Ἄλλὰ Ῥωμαίους τὸ μὲν αὐτίκα διαναυμαχῆσαι πρὶν ἢ καὶ Γιλίελμον αὐτοῖς ἐπιστῆναι, δυσβουλία τις καὶ τὸ χρῆναι οἶμαι κακῶς αὐτοὺς πεπονθῆναι παρείλετο· πρὸς δὲ ἀμφοτέρους τὴν μάχην διενεγκόντες τὰ βασιλείας διέφθειρον πράγματα.

Στρατὸν γὰρ ἦκειν ἐκ Βυζαντίου καταδοκῶντες ἦδη, ἐς τὴν ἐκείνου τάχα παρουσίαν τὴν προσβολὴν ἀπετίθειντο.¹ Ὡς δὲ ἦδη ἐγγὺς εἶναι ἠγγέλλετο Γιλίελμος, τότε δὴ τὴν ἀμφοτέρων ἄκοντες ἀνεδέχοντο μάχην. Ἄνδ-

აი, ეს ხდებოდა იქ¹. ხოლო გილიელმი დაიძრა მუზიიდან მთელი თავისი ჯარით და გაემართა ბრინდიზიუმისაკენ; მისმა ფლოტმა კი ლუზა ჩაუშვა და დადგა ერთ პატარა კუნძულთან, რომელიც ბრინდიზიუმის პირდაპირ სრუტის გადაღმა მდებარეობდა რამდენიმე სტადიონის მოშორებით. ამის მიხედვით განზრახული იყო ორივე მხრით.

მაგრამ, რომ რომაელებს მაშინვე გაემართათ საზღვაო ბრძოლა მანამ, სანამ გილიელმი მათ თავზე წამოადგებოდა, ამაში ვეთქვოდ, რალაც მიუხედავდროულად შეუშალა ხელი, რის გამოც მათ განიცადეს უბედურება: ორივე მხრიდან რომ ბრძოლაში ჩაებნენ, ამით მეფის საქმე ჩაფუშეს.

იმის მოლოდინში, რომ ბიზანტიონიდან ჯარი მოვიდოდა, მათ, მისი მალე მოსვლის იმედით, შეტევა გადადევს. ხოლო როდესაც მათ ეუწყათ გილიელმი ახლოს არისო, მაშინ ძალა-უნებურად უნდა მიეღოთ ბრძოლა

¹ ამის წინ ლაპარაკია რომაელების (ე. ი. ბიზანტიელების) საზღვაო და სახმელეთო ბრძოლაზე გილიელმთან (ვილჰელმთან), სიცილის მეფის, როგორის (როყერის), შვილთან, ბრინდიზიუმის გარემოცვაზე და მის აღებაზე.

ρε τοίνυν δύο δοκίμα τὰ εἰς τὰς
μάχας ἐπιλεξάμενοι, Ἰωαννάκιον
τὸν Κριτόπλην καὶ Παιρά-
μην Πέρσην γένος, ἅμα Ἰβήρσι
καὶ Μισσαγέταις ἐφ' ᾧ ἀκροβोलί-
σεσθαι ἐπεμψαν· οἱ καὶ ἐπειδὴ
τάχιστα τοῖς πολεμίοις συνέμιξαν
πρὸ πέντε πού καὶ τεσσαράκοντα
σταδίων τὸν χάρακα πηξάμενοι,
ἐν τῇ ἐγγύθειν ἀποπορεύει· κατὰ
νῶτον αὐτοῖς ἐπιπέμενοι πολλοὺς
τε τῶν ἐπὶ τῆς οὐραγίας ἔκτει-
ναν καὶ ἔππους τῶν σκευοφόρων
συγκοῦς ἤλασαν, σημεῖόν τε σφᾶς
ἀφελόμενοι ἐπὶ Βρεντέσιον ἡλίθιον
(CB, p. 166, 13 — 167, 12).

ორივე მხრიდან, და, აი, გამო-
არჩიეს საბრძოლო საქმეებში გა-
მოცდილი ვაჟაკი, ვინმე იოანაკი
კრიტოპლენი და პერამი, წარ-
მოშობით სპარსელი, და იბე-
რიელებთან და მსაგეტებ-
თან ერთად გაგზავნეს ისრების
სატყორცნელად. ისინი სასწრა-
ფოდ შეებნენ მტერს, რომელიც
დამანაკებული იყო ორმოცდა-
ხუთი სტადიონის მოშორებით,
და დაეკრდნენ რა იმას, რომ
ახლოს იყო უკანდახევის გზა,
ზურგიდან დაესხნენ მათ, ბევრი
ამოკლიტეს მტრის ზურგის ნაწი-
ლებში, ბევრი ტვირთმზიდავი
ცხენიც წაართვეს მათ და ბრინდიზიუმში მივიდნენ.

იბერიელთა და აბაზგთა ელჩები

[IV, 18. ამ თავში ლაპარაკია იმაზე, რომ კეისარი მანუელ კომ-
ნენოსი აწყობს ლაშქრობას აზიაში სომხეთის მთავრის ტოროსის
(Τερόζης) და ანტიოქიის მთავრის რენალდის (Ρενάλδος) წინააღმ-
დეგ. ანტიოქიის მთავარი, ფრანგი რაინდი რენალდ შატილო-
ნელი (Renaud de Chatillon) დამნაშავედ გრძნობდა თავს კეისრის
წინაშე იმის გამო, რომ მან კვიპროსის წინააღმდეგ მოაწყო თავ-
დასხმა, დაამარცხა ბიზანტიის ჯარი, რომელსაც სარდლობდა მიხეილ
ვრანა, კუნძული დაარბია და გაძარცვა. ამიტომ ის წინადადებას
უთვლის კეისარ მანუელს, რომ მზად არის ჩააბაროს მას ანტიო-
ქიის აკროპოლისი, თუ აპატიებს ჩადენილ ბოროტებას. კეისარი
არ თანხმდება; მაშინ ის თვითონ მიდის კეისრის ბანაკში მუზარად-
მობდილი, ფეხშიშველა და კისერში გამობმული თოკით და მახვი-
ლით მარცხენა ხელში].

IV, 18. Εἰσελθόντι δὲ τρόπῳ
τῷ εἰρημένῳ ἐπικαμφθεῖς ἀφ᾽ ἕνθεν
αὐτῷ τὸ ἐμπαροίνγημα, ὄρκους
ἄλλα τε πολλὰ πιστῶσαμένῳ, ὅσα
νηλονότ: βᾶσιλεῖ βουλομένῳ ἐτύγ-

ასეთნაირად დამცირებული
რომ შევიდა კეისართან, ამას
გული აუჩუყდა და აპატია მას
შეტრაცხყოფელი საქციელი, ხო-
ლო რენალდმა ფიცით დაუდას-

χανε και δὴ και ἀρχιερέα ἐκ Βυζαντίου εἰς Ἀγτιόχειαν κατὰ ἐθὺς πέμπεσθαι τὸ παλαιόν. Ὅτε δὴ και θάυμα κατειχε τοὺς ἄσοι τηγνιάδε ἐτύγγανον πρέσβεις ἐνταυθία παρατυχόντες τῶν κατὰ τὴν Ἀσίαν ἐθνῶν, Χωρασμίων τε και Σουσίων και Ἐκβατάνων, Μηδικῆς τε τῆς ἀπάσης και Βαβυλῶνος, ὧν δὴ τὸν ἀρχοντα μέγαν ἐκείνοι κλειζουσι σουλτάν, Νουραδίν τε τοῦ Βερροιαίου σατράπου και Ἰαγουπασάν τοῦ Περσῶν φυλάρχου, και Ἀβασγῶν και Ἰβήρων, ἔτι δὲ και Παλαιστινῶν και Ἀρμενίων τῶν ἐπέκεινα Ἰσαύρων.

მდნიელთა, რომლებიც ისავრიელთა 19. Ταῦτα μὲν οὖν τῆδε ἐπράσσετο (CB, p. 183, 2—14).

ტურა ბევრი რამ, რაც მეფეს სურდა, და აგრეთვე ისიც, რომ არქიელი ბიზანტიონიდან იგზავნებოდეს ანტიოქიაში ძველი ჩვეულებისდა მიხედვით. საკვირველებად ეჩვენა ეს ყველას, ვინც კი მაშინ ჩამოსული იყვნენ იქ ელჩებად აზიის ხალხებისა: ხვარაზმელებისა და სუსიელებისა და ეკბატანელებისა, მთელი მიდიისა და ბაბილონისა, რომელთა დიდ მთავარს ისინი სულტანს ეძახიან,—აგრეთვე ნურადინ ბეროელისა და სპარსთა ტომის მთავარ იაგუპასანისა, აბაზგებისა და იბერიელებისა, აგრეთვე პალესტინელთა და არ-

გადაღმა ცხოვრობენ. 19. აი, ეს მოხდა აქ.

რიზე — 'Ριτζιον¹

IV, 23. Ἄλλ' ἄρτι μὲν ἡ κατὰ Βιθυνίαν εἶχε τοῦτον πολίχνη, ἔνθα τοὺς ἐκ Φιλομυλίου δεσμώτας Ῥωμαίων ἐνοικισάμενος ἔφθη (Πύλαι ταύτη τὸ ὄνομα), και πρέσβεισιν ἐκ τοῦ σουλτάν ἀφικομένοις ἐνταυθά που χρηματίσας, ἐπειδὴ μηδὲν ἤγεις αὐτοὺς ἀπαγγέλλοντας ἔγνω, αὐτοὺς μὲν ἀπεπέμφατο ἀπειλησάμενος, ὅτι γε μὴ κατὰ γνῶμην

მავრამ ახალი მოსული იყო ეს (ე. ი. მანუელი) ბითონიის ერთ დაბაში, სადაც მან ფილომილიონიდან რომაელთა ტყვეები დაასახლა (ამის სახელია პილე), და იქ მოსულ სულტნის ელჩებს ელაპარაკებოდა, და, როდესაც მან გაიგო, რომ ისინი არაფითარი სალი ცნობების მაუწყებელი არ იყვნენ, ისინი უკან გაგზავნა და დაემუქრა: თუ ჩემი

¹ ვთავსებთ ამ ნაწიყვეტს, თუმცა აქ ტრაპეზუნტის მხარის ცნობილი რიზე ('Ριζαιον, 'Ριζιον, 'Ριζιος, 'Ριζοσς) კი არ იგულისხმება, არამედ რომელიღაც, ლიდიისა თუ ფრიგიის მიდამოებში მდებარე, რიზეზეა ლაპარაკი. საყურადღებოა თვით სახელწოდება ('Ριτζιον).

αὐτῶ ποιούντων οὐκ εἰς μακρὰν ἢ Ῥωμαίων τῆς σφετέρας καταδραμεῖται ἵππος καὶ ληΐσονται πάντα πολλῶ μᾶλλον ἢ νῦν.

‘Ο δὲ ἐπ’ ὀλίγον τῆ Αὐγούστη συνδιατρίψας χρόνον, εἶτα ἐκείθεν μεταβὰς (εἶχε γὰρ αὐτὸν χωρίον τηνηκάδε ἐς τὴν περαιῖαν διαβάντα ‘Ριτζίον πρὸς τῶν ἐγγχωρίων κεκλημένων), ἐπὶ τὴν ἀντιπορθμον ἦλθεν, ἐκείθεν τε ὁδῶ πρῶτων διὰ τῶν ἀγχιάλων πόλεων ἐπὶ τὴν Φιλαδέλφου καταλαμβάνει, ὅθεν συσκευασάμενος ἐμβάλλει τῆ Περσικῆ (CB, p. 194, 6 — 18).

ნების მიხედვით არ მოიქცევით, მოკლე ხანში რომელითა ცხენოსანი ჯარი თქვენს ქვეყანას დაესხმის და ყველაფერს დაარბევს უფრო მეტად, ვიდრე ახლათ.

მან (კეისარმა) ცოტა ხანს დაჰყო დედოფალთან და იქიდან, შემდეგ, გადავიდა სრუტის გადაღმა (რამეთუ ის ცხოვრობდა მაშინ იმ სოფელში, გადაღმა მხარეში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ეძახიან რიფიონს), იქიდან კი გაიარა გზა სანაპირო ქალაქებით და მივიდა ფილადელფოს ქალაქში, საიდანაც სათანადო მომზადების შემდეგ შეიჭრა სპარსეთში.

მიხეილ გაბრა¹

V, 13. Βασιλεὺς δὲ, ἐπειδὴ μῆδέπω τὰ πρὸς τὴν παρὰ πόδας ἐξαρτυσάμενος ἔτυχε μάχην, δέσσης περὶ τῆ πόλει Ζεύγημ ἐπὶ πλείστον ἦδη πρὸς τοῦ Στεφάνου πυργηρουμένη, πρὸ τοῦ τὸν ὑπὲρ τῶν ὄλων ἐκρήξαι πόλεμον, στρατευμα λόγου ἄξιον βοηθῆσον αὐτῆ ἔστειλεν, ὑπὸ στρατηγοῖς Μιχαήλ τε τῶ Γαβρᾶ καὶ τῶ Βρυενίφ Ἰωσήφ, ὑφ’ οὗς ἐτέλουν ἄλλοι τε τῶν ἐν Ῥωμαίοις ἐπιφανεστέρων, καὶ Ἰωάννης δν Ἀγγελον ἐπεκάλουν, ἀγῆρ ἐμπειροπόλεμος,

ხოლო მეფემ, რადგან ის ჯერ კიდევ კარგად არ იყო მზად ბრძოლისათვის და რადგან ეშინოდა ქალაქ ზევგემის გამო, რომელიც სტეფანეს მიერ ალყაშემორტყმული იყო და ამით ძალიან შევიწროებული მანამ, სანამ ომს გაშლიდა მთელი სიძლიერით, საქმათ რაოდენობის დამხმარე ჯარი გაგზავნა სტრატეგოსების მიხეილ გაბრას და იოსებ ვრიენიოსის სარდლობით, რომელთა მძღოლობით სხვა, რომელთა შორის გამოჩენილი პი-

¹ მიხეილ გაბრანე ცნობებს ვათავსებთ დაკავშირებით გაბრას გვარეულობასთან, რომლის მოღვაწეობა უკავშირდება ხალდიის თემს. იხ. ზემოთ. გვ. 110—111.

καὶ Ἰωάννης ὁ Ἰσῆς, Πέρσης
 μὲν τὸ γένος τροφῆς δὲ καὶ διαί-
 της μεταλαχῶν Ῥωμαϊκῆς (CB,
 238, 6—14).
 წარმოშობით სპარსელი, ხოლო

რობიც მსახურობდნენ — იოანე
 რომელსაც ანგელოსს ეძახდნენ,
 კაცი საომარ საქმეებში ძალიან
 გამოცდილი, და იოანე ისესი,
 რომელს ალზრდასა და განათლე-

VI, 3. Ὁ δὲ τῶν Οὐγγῶν ῥήξ
 τὰ καθ'εστῶτα πάλιν κινήσας Διο-
 νύσιόν τινα τῶν παρ' αὐτῷ ἐπι-
 φανῶν, ἀνδρῶν πολέμων πολλῶν
 ἔμπειρον, στρατεύματι μεγάλῳ
 Σιρμιῦ καὶ πάλιν ἀντιποτηθῆναι
 ἔπεμψεν. Ὁ πυθόμενοι οἱ τῶν
 Ῥωμαίων στρατηγοὶ βουλευτέα
 σφίσι περὶ τούτου ἐποίησαν. Προῦ-
 βαινε μὲν τὰ τῆς βουλῆς, οὐκ
 ἐπὶ τὸ Ῥωμαίοις ξυνοίσειον, ἑρώ-
 των τῶν βουλευτῶν, ἀλλ' ὡς ἂν
 τις παραλογίσαιτο τὸν ἕτερον,
 μάλιστα μέντοι ἄμφω τῷ Μιχαήλ,
 ὃς τε Ἰαβρᾶς ἐπεκέκλητο δοῦξ
 τῆς τῆδε χώρας τελῶν, καὶ ὁ
 Βρανᾶς στρατεύματος ἰδίᾳ κα-
 τάρχων καὶ αὐτός, ἀμφοτέρω μὲν
 πολεμικωτάτῳ, ἀλλ' ὁ Βρανᾶς
 ἐκράτει μάλλον.

ბრძოლები იყვნენ, მაგრამ ვრანა

Βουλευομένοις τοίνυν ἐπειδή-
 περ ἔδῳκει νύκτωρ ἐπιθέσθαι Διο-
 νυσίῳ, ἄραντες πανστρατεὶ πρόσω
 ἐχώρουν. Γεγονότες δ' ἔνθα Διο-
 νύσιον στρατοπεδεύεσθαι συνέβαι-
 νεν, ἐπειδὴ παντάπασιν ἀνδρῶν
 ἔρημον τὸ στρατόπεδον εὔρον,
 ὑποδειλιᾶν ἤρξαντο. Ἰκανὸν γὰρ
 εἶπερ τι χῶρος ἔρημος καὶ ἀήθης
 διατριβῆ ψυχῆν ἐπὶ πολεμίας κα-
 τασεῖσθαι στρατιωτικῆν. Ἰχνοσκο-

ჭუნთა მეციმ კვლავ დაარღვია
 დაწესებული ვითარება და გაგ-
 ზავნა ვინმე დიონისე, მასთან
 მყოფ წარჩინებულ კაცთაგანი,
 მრავალ ომში გამოცდილი, დიდ-
 ძალი ჯარით და დაავალა კვლავ
 აელო სირმიონი. ეს რომ შეიტ-
 ყვეს რომაელთა სარდლებმა, გა-
 მართეს ბჭობა ამის შესახებ.
 თათბირი ჩატარდა, მაგრამ რომ-
 მაელებისათვის არ იყო სასარ-
 გებლო, რადგან მოთათბირენი
 იმას უცქეროდნენ, თუ ერთს
 მეორე როგორ მოეტყუებინა, გან-
 საკუთრებით გამოირჩეოდა ორი
 მიხეილი, ერთი — გაბრა, რომე-
 ლიც ამ მხარის დუქსად მსახუ-
 რომდა, მეორე — ვრანა, რომე-
 ლიც თვითონ ედგა სათავეში
 ჯარს; ორივენი საუკეთესო მე-
 უფრო აღმატებოდა ვაბრას.

რადგან თათბირის შედეგად
 დაადგინეს ლამით დასხმოდნენ
 თავს დიონისეს, მთელი ჯარით
 აიყარნენ და წინ გასწიეს. იქ
 რომ მივიდნენ, სადაც დიონისე
 ბანაკად დამდგარიყო, და ნა-
 ხეს, რომ ეს ბანაკი კაცთაგან
 სრულიად დაცარიელებული იყო,
 ისინი შიშმა შეიპყრო. რამეთუ,
 ცნობილია, რომ უდაბური ადგი-
 ლი და უჩვეულო ცხოვრება

πρὸντες δ' ὅμως ἐπαρῆοντο, καὶ τὰ γὰρ ἂν τι καὶ ἔπραξαν, εἴ γε πρωταίτερον τοῖς Οὐννοῖς ἐπέθειντο.

აღწევდნენ საწადელს, რომ ცოტა უფრო აღრე დასხმოდნენ ჰუნებს.

Τότε δὲ ἐπεὶ ἡμέρα ἦδη διαφανῶς ἦν, αἰσιθόμενοι Οὐννοὶ τοὺς τε Ἴππους εἰσελάσκειν ἐπὶ τὸ στρατόπεδον ἤρξαντο (ἐτύγγανον γὰρ ἐπὶ νομίην ἀναθίνετες) καὶ τοὺς πρὸ τῶν σκηπῶν ἐξ ἔθους ἀεὶ ἐστῶσιν ἐπιβαίνοντες φαλαγγηδὸν ἐτάττοντο, Ῥωμαίους τε σὺν ἀκοσμίᾳ πολλῇ φερομένους ἰδόντες (τοὺς γὰρ τὴν Ἴππον ἐλάσουσαν ἐπιπέμεινοι Οὐννοὶς οἱ πλείους ἐσκαδᾶσθησαν) ἐπήλασάν τε αὐτοῖς καὶ τρεψάμενοι εἰς τοὺς κατόπιν ἰόντας τῆς Ῥωμαϊκῆς φάλαγγος συνελάσσα: Ἰσχυσαν. Ἐφ' οἷς συνταραχθέντες ἔκαινοι: ἐς ὑπαγωγὴν ἔκλιναν. Καὶ τὸ λοιπὸν ἀνά κράτος Ῥωμαῖοι: ἔφρουγον, οἴηθέντες πολλὰ πλείονα τῆς δρωμένης ἐπιπέσθαι σφίσι: στρατιᾶς.

ბით უფრო მეტი ჯარი დაესხა მათ, ვიდრე ისინი ჰხედავდნენ. Ἰὴν γὰρ τοῦ ἀληθοῦς γυνῶσιν τε καὶ διάκρισιν κομιδῆ ὀλίγοις ἀνθρώπων ἐν τοῖς τοιοῦτοις ἔστιν ἐρεῖν. Ὄθεν καὶ ταχὺ πάντων ἀπαγορευσάντων μέχρι μὲν τινος ἔστατον ἀμφοτέρω τῷ στρατηγῷ σὺν τοῖς σημείοις καὶ ὀλίγοις τῶν ἀμφ' αὐτούς, οἰομένω ἐπισυστήσασθαι αὐτῶν Ῥωμαίων τινάς: ἴς δὲ οὐδεὶς οὐδαμῶθεν

მტრის მიწაწყალზე მებრძოლის სულს შეარყევს ხოლმე. ისინი მაინც მტრის კვალს ეძებდნენ და ისე მიიწევდნენ, და მალეც მი-

აღწევდნენ საწადელს, რომ ცოტა უფრო აღრე დასხმოდნენ

ხოლო რადგან მაშინ უკვე გათენებული იყო, ჰუნებმა, ეს რომ შეამჩნიეს, დაიწყეს ცხენების შერევა ბანაკში (ვინაიდან ისინი მაშინ საძოვარში იყვნენ) და შესხდნენ, ჩვეულებისამებრ, მუდამ კარაგების წინ მდგომ ცხენებზე და დაეწყვენ ფალანგ-ფალანგ; და როდესაც დაინახეს, რომ რომაელები ძალიან იყვნენ არეულ-დარეული (ვინაიდან, ცხენების შერევის დროს ჰუნებს რომ შეუტიეს, ბევრი მართლა დაიფანტნენ), შეუტიეს მათ, აოტეს და შესძლეს მიეგდოთ ისინი უკან მომავალ რომაულ ფალანგამდე. ამით შემოთე-ბულმა რომაელებმა უკან დაიხიეს. და, შემდეგ, რომაელები გაიქცნენ, რაც ძალა ჰქონდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ გაცილებით უფრო მეტი ჯარი დაესხა მათ, ვიდრე ისინი ჰხედავდნენ.

ჰეშმარიტების შეცნობა და ზედმიწევნით განსჯა მხოლოდ ზოგიერთ ადამიანს შეუძლია ასეთ პირობებში. როდესაც, ამრიგად, ყველანი სასწრაფოდ გაიკრიფნენ, ცოტა ხანს დარჩნენ სარდლები, ორივენი, აღმებით და მცირეოდენი ამალით, და ფიქრობდნენ, რომ ზოგიერთი რომაელიც შეჩერდებოდა. ხოლო

συνίστατο τούτοις, γῶτα λοιπὸν ἔδωσαν καὶ αὐτοί.

Ἄλλ' ὁ μὲν Βρανᾶς μεταξὺ ἐπιστραφεῖς τῶν τινα πολεμίων δόρατι ἔπαισεν, ἄτερος δὲ ἀπήει. Ὅτε δὴ καταφανῶς ἔγνωστο τῆς ἐν βουλήν πρότερον αὐτοῖς διαφοράς. Ὁ γάρ τοι Βρανᾶς ἐπειδὴ φεύγοντι ἀνθις συνέμιξε τῷ Γαβρᾶ, ἐπιτωθᾶζων μάλα καὶ ἐνδιᾶθρυπτος „ἄρα, ἔφη, συνεβάλου με, ὦ σεβαστέ, ὅπως ἐσαῦθις τοῖς πολεμίοις ἀντεκατέστην, ἀπὸ δόρατός τε αὐτοῖς προσηνέχθην“; τοῦ δὲ καταφήσαντος, „ἀλλ' ἔγωγε, εἶπεν, οὐ μὰ τὴν βασιλέως εἰδὸν σε κεφαλὴν ἕτι μὴ ἀπιόντα“.

Οὕτως οἱ γὰρ Ῥωμαῖοι οὐκ ἐπὶ τῷ κοινῇ συμφέροντι οὐδὲν πεπραγμάτευται ἕκαστος, ἀλλ' ὡς ἂν τις αὐτὸς καλὸς καὶ ἀγαθὸς εἶναι δόξῃ, πάντα ἀναδέχεται πόνον (CB, 257, 17—259, 14).

[VII, 1. ამ თავში ისტორიკოსი ლაპარაკობს ბიზანტიის კეისარ მანუელ I კომნენოსისა და იკონის სულტან კლიჩესტლანის (Κλησις-εσθλάν)¹ ურთიერთობაზე. კეისარი უკმაყოფილოა სულტნის საქციელით და აპირებს მის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობას. სულტანი, ამას რომ გაიგებს, ელჩებს უგზავნის მას და ჰპირდება, რომ მოიქცევა ისე, როგორც მას, მეფეს, სურს. მიუხედავად ამ დაპირებისა, სულტანი მაინც აგრესიულ ზომებს ღებულობს მანუელის წინააღმდეგ.]

რადგან არავინ არსაიდან არ შეუერთდა მათ, იმათ ზურგი უჩვენეს.

ვრანამ, მაინც, ამასობაში უკან მოიხედა და ერთი მოწინააღმდეგეთაგანი შუბით განგმირა, მეორე კი (ე. ი. გამრა) გაიქცა. აი, ახლა ნათელი გახდა საბჭოში ამასწინათ მათი უთანხმოების ამბავი. როდესაც ვრანა კვლავ შეეყარა გაქცეულ ვაზრას, დაცინებით და აგდებით უთხრა: „განა შენ, სევასტოსო, ხედავდი, როდესაც კიდევ ერთხელ მოწინააღმდეგეებს შევებდი და მათ შუბი ვესროლე?“ როდესაც მან დაუდასტურა, უთხრა: „მე კი, ვფიცავ მეფის თავს, დავინახე, თუ არა გაქცეული“.

ამგვარად, ახლანდელი რომაელები საზოგადო სარგებლობისათვის არათერს აკეთებენ; თითოეული მათგანი მთელ თავის შრომას იქით მიმართავს, რომ გამოჩნდეს კარგ და ვაჟკაც ადამიანად.

¹ ნიკეტა ხონიატეს მიხედვით *Κλησιςθλάν*.

VII, 1. 'Εφ' οἷς ἤγανάκται: μὲν βασιλεὺς καὶ αὐτίκα ἐπὶ μάχην καθίστασθαι: διανοεῖτο τῶν πραγμάτων δὲ αὐτῷ μηδαμῆ συγχωροῦντων... τούτων δὴ ἕνεκα κατὰ τὰδε ἐποίει. Μιχαὴλ μὲν ὃ ἐπὶ κλησὶς Γαβρᾶς ἦν, ἀνδρῶς μοι πολλάκις ἐρρήθη ἕς τε τὸ τῶν στραστῶν ἀξίωμα ἦγοντα καὶ πολεμίων ἱκανῶς ἔμπειρον ἔργων, ἐπὶ τὴν Παφλαγόνων ἐξέστειλε, στρατεύμα δὲ μὲν αὐτίκα ἐπαγόμενον, δὲ δὲ καὶ ἐκ τῶν τῆδε χωρίων ἀθροίσοντα, ὅσοι τε ἀμφὶ Τραπεζοῦντι καὶ Οἰνάῳ πόλεσιν ᾤκηγνται. Ποντικαῖς, καὶ τούτους δὲ μεταπεμφάμενον, ἐκέλευεν οὕτω ἐς Ἀμάσειαν παρελθεῖν.

ესეხეც დიდბარებინა და უბრძანა

VII, 2. 'Αλλ' ὅπερ ἐλέγομεν, Μιχαὴλ μὲν ἐπὶ Ἀμάσειαν ἐπεμφεν: ὁ δὲ τὸν Δαμάλεως πορθημὸν διαβᾶς εὐθὺς Μελαργείων ἐχώρει. Ἐνθα ἐκ τε Βυθυνίας καὶ τοῦ Ῥυνδακῶν χωρίων στρατεύμα ἀγείρας ἱκανὸν ἐξήει: ἐπὶ τὰ Δορυλαίου πεδία, τὰ ἐκεῖσε Ῥωμαίων φρούρια εἰρήνης κατεχούσης ἔτι τῶν ἐπιτηδείων ἐμπλησόμενος καὶ τοῖς τῷ σουλτᾶν δυσμεναίνουσι: ἡ ἄρσας ἔτι μᾶλλον ἐμπροσθέντων, πρὸς δὲ καὶ Δορυλαίων ἀνοικοδομητῶν...

Μιχαὴλ δὲ ὁ Γαβρᾶς σὺν τῷ στρατεύματι: ἐς Ἀμάσειαν ἦλθε, παρακαλούμενός τε πρὸς τὴν πό-

ამაზე ძალიან ვაჯავრდა მეფე და განიზრახა მაშინვე დაეწყოს ბრძოლა; ხოლო, რადგან პირობები მას არავითარ შემთხვევაში ხელს არ უწყობდა, ... ამის გამო შემდეგი გააკეთა. მან გაგზავნა პაფლაგონთა ქვეყანაში მიხეილი, რომლის მეტსახელი იყო გაბრას, კაცი, როგორც მე არაერთხელ მითქვამს, სევასტოსთა პატივში აღზევებული და ომის საქმეებში საკმაოდ გამოცდილი, იმ დავალებით, რომ შეეკრიბა გარდა იმ ჯარისა, რომელიც იქ იყო მოყვანილი, აგრეთვე ის ჯარები იქაური მხარეებიდან, რომელიც დაბინავებული იყვნენ ტრაპეზუნტის მიდამოებში და ოინაოს პონტიურ ქალაქებში, ამასიაში გამართულიყო.

როგორც ვთქვით, მიხეილი ამასიისკენ გაგზავნა მეფემ; იმანაც გადალახა დამალისის სრუტე და პირდაპირ მელანგიისკენ გაემართა, აქ ბითონიისა და რინდაკის მხარეებიდან საკმაო რაოდენობის ჯარი შეაგროვა და დორილეონის დაბლობისკენ გაემართა, რათა იქ, სანამ საზავო მდგომარეობა სუფევდა, რომელიც ციხე-სიმაგრეები შეევსო სურსათით, სულტანის მიმართ მტრულად განწყობილნი კიდევ უფრო წაეჭებებინა და, გარდა ამისა, დორილეონიც აღედგინა...

მიხეილ გაბრას თავისი ჯარით მოვიდა ამასიაში და, როდესაც შესთავაზეს ქალაქის მიმდებ-

λιν ἐχόντων αὐτίκα ὁῆ ἐπὶ τὰς-
την παριέναι, ἐπειδὴ καὶ ὄνυα-
μὺς παρὰ Κλιτζεσθλάν¹ ἐπὶ τοῖς
αὐτοῖς ἀφικυμένη οὐ μακρὰν ἀπο-
φεν τῆς πόλεως ἐσκήνου, οὐδ' αὖτις
ἐθάρρει τὴν εἰσοδον.

Ἐποψία γὰρ πολλῆ εἰς τοὺς
ἔνδοον ἐχρήτο μὴ προδοσίαν ὁῆ-
που κατ' αὐτοῦ μίμλεστηκότες
εἶησαν. Οἱ δὲ καὶ ὁμήρους τού-
του ὁῆ ἔνεκα παρ' αὐτὸν ἔπεμ-
ψαν τὴν τε ἀκρόπολιν Ἰωμαίοις
κατ' ἐξουσίαν ἔδωσαν. Ἄλλὰ
ὀρθωδία τις καθάπαξ παραλα-
βούσα τὸν ἀνθρωπον ἐπὶ σκήψεις

მაშინვე შესულიყო ქალაქში, ვე-
რასგზით ვერ ვაბედა შესვლა,
რადგან კლიჩესთლანის ჯაროც
ამავე მიზნით მოსულიყო და ქა-
ლაქის მახლობლად, არც თუ
ძალიან შორს, დაბანაკებულიყო.

ის დიდი ეჭვით უყურებდა
ქალაქის შიგნით მყოფთ — ხომ
ღალატი არა აქვთ რამენაირად
ჩემს წინააღმდეგ დაგეგმილიო.
ხოლო იმათ (ე. ი. ქალაქის მა-
მეშმა) მძევლებიც გამოუგზავნეს
იმის გულისთვის და აკროპოლი-
სიც გადასცეს რომაელებს მფლო-
ბელობაში. მაგრამ რაღაც შიშმა

¹ ეს სახელი *Κλιτζεσθλάν* (ნიკეტა ხონიატესთან *Κλιτζεσθλάν*) უნდა უდრი-
დეს ქართული წყაროების „ყიხილ-არსლან“-ს და რუსულ ლიტერატურაში მიღე-
ბულ Кылич-Арслан-ს (თურქულად Qılıç Arslan; იხ. G. Moravesik, *Byzantinoturcica II*, 161). ამ სახელით ცნობილია ორი სულტანი სელჯუკებისა:

ა) ყიხილ-არსლან I, რომელიც 1092—1106 წლებში მართავდა და

ბ) ყიხილ-არსლან II, რომლის მოღვაწეობა (1156—1192 წ.წ.) ხვდება მანუელ I
კეისრის (1143—1180) ხანას.

ქართულ წყაროებში (თამარ მეფის ისტორიაში) მოთხრობილი, ყიხილ-არს-
ლანთან დაკავშირებული ამბები შეიძლება ენებოდეს ყიხილ-არსლან მეორეს, რო-
მელმაც 1191 წელს სულტანად გამოაცხადა თავისი თავი, მაგრამ მალე მოკლულ
იქმნა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტორია II, 1965, გვ. 266; ისტორიანი
და აზმანი შარავანდედთანი: ამაჰს ჟამსა მოიკლა ყიხილ-არსლან ათაბაგი, და აწ
გასულტნებული, მუჰლიდთა მიერა — ქ. ცხ. II, 1959, გვ. 62, 13).

მისი ერთი ვაჟი თამარ მეფის ეტრფოდა (ასულტნისა ყიხილ-არსლანის შვილ-
თავანი ერთი, ამბებისა სმენითა ხელ-ქმნილი, ძლითლა-სამე დაიშვირა მამამან
სჯულისა დაგდებისა შიშითა) — ქ. ცხ. II, 1959, გვ. 42, 11). მ. ბ რ ო ს ე ფ ი ქ-
რობს, რომ ეს ყიხილ-არსლანი არის სწორედ „ყოლიჯ-არსლანი“, რომლის ერთი
ვაჟი ჰყავს მხედველობაში თამარ მეფის ისტორიკოსს. «En lisant Qilidj-
Arslan — წერს ბროსე, — on pourrait encore supposer que l'Analiste a
eu en vue un fils du second des sultans de ce nom, regnant à Icone: ce
sultan ne mourut qu'en 1192» (M. Brosset, *Histoire de la Géorgie I*,
1849, გვ. 418, შენიშვნა 1; იხ. აგრეთვე იქვე გვ. 435).

იონანე კინამოსის მიერ აქ მოთხრობილი ლაშქრობა „კლიჩესთლანისა“ ჰგუ-
ლისხმობს მანუელ კეისრის დროს 1146 წელს მოწყობილ ლაშქრობას და მის
მომდევნო ამბებს. იხ. Ф. Успенский. История Византийской империи, т. III
(1948), გვ. 274 შლდ.

ἄλλοτε ἄλλας ἀναχωρεῖν ἐποίει, ἕως οἱ ἐπὶ τῆς πόλεως ἐννοησάμενοι μὴ ταῖς μακραῖς Ῥωμαίων ἀναβόλαις παρὰ Κλιτῆϊσεθλάν τῆς πόλεως ἐλούσης ἐς ἀπέχθειαν αἰῶνα τὸν πάντα δεσπότη ἐσομένῳ καθίσταντο, τοῦ παρὰ σφίσιον ἄρχοντος οὐδὲν ξυνειδότες τοῖς εἰρημένους ταύτην παρέδοσαν.

(ე. ი. ქალაქის თავმა) არაფერი იცოდა ამის შესახებ.

Ἦδη δὲ καὶ Μιχαήλ ἄρας ἐκεῖθεν ἐπὶ γῆν τὴν Ῥωμαίων ἦλθεν, οὔτε τῶν ἐπὶ τῆς ἀκροπόλεως, ὧς μοι ἐρρήθη, Ῥωμαίων, οὔτε του τῶν ἄλλων λόγον πεποιημένος οὐδένα. Καὶ τὰ μὲν Ἀμασειας πόλεως ἐν τῷδε ἐτελεύτα (CB 293, 1 — 296, 18).

შეიპყრო მთლიანად ეს ადამიანი და ის სხვადასხვა საბაბით ფეხს ითრევდა, ვიდრე ქალაქის უფროსებმა, ვაითუ, რომეელთა დიდხანს დაყოვნების გამო, კლიჩიესთლანის მიერ ქალაქი აღებულ იქნეს და ამის გამო საზღუდამო სიძულვილი დავიმსახუროთ მომავალი ბატონისო, ჩააბარეს მას ქალაქი ისე, რომ მათმა არქონტმა

მაშინ მიხეილი აიყარა იქიდან და რომეელთა საზღვრებთან მივიდა: არც აკროპოლისში მყოფ რომეელებს, როგორც ვთქვი, შეატყობინა, არც სხვა ვინმეს აცნობა რამე. აი, ასე დაბოლოვდა ამასიის საქმეები.

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსია გაიმართა XII საუკუნის ორი ისტორიკოსის, ნიკეტა ხონიატეს და იოანე კინამოსის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარშემო.

თ. უსპენსკიმ თავის მონოგრაფიაში „Византийский писатель Никита Акоминат из Хон“ (СПБ 1874) აღნიშნა მთელი რიგი ეპიზოდები, რომლებიც ნიკეტა ხონიატეს იოანე კინამოსის „ისტორიიდან“ უნდა ჰქონდეს ამოღებული.

ვ. ვასილევსკი არ დაეთანხმა თ. უსპენსკის და ამბობდა: „ნიკეტა აკომინატე, როგორც ყველაფრიდან ჩანს, არ იცნობდა თავისი წინამორბედის (ე. ი. იოანე კინამოსის) შრომასო“¹.

ბევრმა სპეციალისტმა, მათ შორის გ. ოსტროგორსკიმ (თავის წიგნში *Geschichte des Byzantinischen Staates. München 1940*, გვ. 249) მიიღო დებულება იმის შესახებ, რომ ხონიატე და

¹ კ. კოტეშხვიცი იმ აზრის იყო, რომ ნიკეტა ხონიატე არც კი იცნობდა კინამოსის „ისტორიას“ (GBL¹, 285: sicher ist aber, dass er das Werk des Kinnamos nicht kannte).

კინამოსი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სწერენ. თუ გ. მორავსიკი თავის *Byzantinoturcica*-ს პირველ გამოცემაში (1942 წელს) თავს იკავებდა საბოლოოდ ეთქვა ხონიატე-კინამოსის ურთიერთობის შესახებ (თუმცა მაინც აღნიშნავდა, რომ ხონიატემ ისარგებლა კინამოსის ცნობებით ბიზანტიელთა და უნგრელთა ურთიერთობაზე), ახალ გამოცემაში (1958 წ.) მან გარკვევით დაუჭირა მხარი იმათ, ვინც კინამოსს მიიჩნევს ნიკეტა ხონიატეს წყაროდ და ექვა: „უახლეს გამოკვლევებს¹ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ორივე ისტორიკოსის ნაშრომებში გამონათქვამთა ისეთი მსგავსებაა, რომ არასგზით არ შეიძლება ეს უბრალო დამთხვევას მიეწეროს. ამის მიხედვით ჩვენ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ ნიკეტა ხონიატემ კინამოსის გამოუქვეყნებელი შრომა გამოიყენა როგორც წყარო, თუმცა ზოგიერთი მონაკვეთები, რომლებიც კინამოსმა დაწვრილებით განიხილა, ნიკეტამ უფრო მოკლედ წარმოადგინა; აირიქითაც, ზოგიერთი მოვლენები, რომლებსაც კინამოსი მოკლედ შეეხო, ნიკეტამ სხვა წყაროების მოშველიებით უფრო დაწვრილებით განიხილა².

3. გრეკუს მიერ ხელახლა წამოყენებული დებულება (იხ. შენიშვნა 1. ამავე გვერდზე), რომ ნიკეტა ხონიატემ გამოიყენა კინამოსის „ისტორია“, სათანადო მაგალითებით ნათელ-ყო. ა. ჭაჭიდანმა³.

¹ აქ პირველ რიგში მოსახსენებელია ის, რომ 1950 წელს რუმინელმა ბიზანტინოლოგმა V. Grecu-მ ხელახლა დასვა საკითხი ხონიატე-კინამოსისა და იმ დასკვნას დაადგა, რომ ხონიატემ ისარგებლა კინამოსის ისტორიით. თ. უსპენსკის შრომა მას არ გამოუყენებია.

² „Man muss... annehmen, dass Niketas Choniates das unveröffentlichte Werk des Kinnamos als Quelle benutzt hat, jedoch gewisse Teile, die Kinnamos ausführlich behandelte, kürzer abtät; dagegen Dinge, welche Kinnamos kurz oder nicht erwähnt, unter Benutzung anderer Quellen ausführlicher behandelte“ (G. Moravcsik, *Byzantinoturcica* I³ [1958], 446).

³ А. П. Каждан, Еще раз о Киннаме и Никите Хоннате: *Byzantinoslavica* XXIV, 1 (1963), გვ. 4—31.

გიორგი კოდინე

გიორგი კოდინეს სახელით მოღწეულია ორი შრომა.

1. ერთი არის *Patria* (ხელნაწერებში ჩვეულებრივ ეწოდება *Πάτρια Κωνσταντινουπόλεως*), რომელშიც არის სხვადასხვა ტრაქტატი. ეს კრებული *Patria* უნდა იყოს შეთხზული ბასილ II-ის დროს (976—1025), უფრო საფიქრებელია, რომ ის XI—XII საუკუნეში იყოს შეთხზული¹.

2. მეორე თხზულება წარმოადგენს კრებულს თანამდებობათა შესახებ (*Περὶ τῶν ὀφθαίτων τῶν παλαιῶν Κωνσταντινουπόλεως καὶ τῶν ὀφθαίτων τῆς μεγάλης ἐκκλησίας*). ამის ავტორი უცნობია, ხოლო მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ ის 1347—1354 წლებში უნდა იყოს დაწერილი, იოანე VI კანტაკუზენეს დროს. ამდენად გამართლებულია, როდესაც ამ უალრესად მნიშვნელოვან ტრაქტატს სამეფო კარის ცერემონიათა და თანამდებობის პირთა შესახებ უწოდებენ ფსევდო-კოდინეს ნაწარმოებს².

ზაც შეეხება პირველ შრომას, სწორედ მის ავტორად თვლიან კოდინეს. ამ შრომის ერთ ადგილას მოხსენიებული თარიღი, რომ, სახელდობრ, წმ. სოფიოს ტაძრის აშენების დროიდან (537 წ.) გასულია 458 წელით, მიუთითებს იმაზე, რომ ეს კრებული 995 წელს (537+459) უნდა იყოს შედგენილი. მეორე მხრით, ამავე კრებულში მოხსენიებული ყველაზე გვიანი მოვლენაა ძოწეული სვეტების დახვრევა³, რასაც ადგილი აქონდა 1106 წელს.

Patria-ში შეტანილია ხუთი სხვადასხვა ტრაქტატი:

1) ცნობები კონსტანტინეპოლის დაარსების შესახებ (*Παραρτήματα ἐκ τῆς βίβλου τῶν χρονιαῶν περὶ τῶν πατριαῶν τῆς Κ-πόλεως*).

¹ განთქმულია: CB 1813 — Georgii Codini Excerpta de antiquitatibus Constantinopolitanis. Ex recognitione Immanueli Bekkeri.

² ამ შრომის გამოცემა იხ. Migne PG, ტ. 157.

³ დაპარაკია იმ «ძოწეულსა და ბრწყინვალე სვეტზე» (ὁ πορφύρεος καὶ περιλάμπρος κίτος), რომელზედაც აღმართული იყო კონსტანტინეს ქანდაკება. კოდინეს თქმით ეს მოხდა 6614 წელს (6614—5508=1106). იხ. Georgii Codini excerpta. Bonnæ 1813, გვ. 15.

2) კონსტანტინეპოლის ტობოგრაფია (Περὶ τῆς σχηματογραφίας Κ-πόλεως).

3) კონსტანტინეპოლში არსებული ქანდაკებებისა და სხვა ძეგლების აღწერა (Περὶ ἀγάλματων...).

4) კონსტანტინეპოლის შენობათა აღწერა (Περὶ κτισμάτων τῆς Κ-πόλεως): სასახლეების, მონასტრების, საყდრების, საავადმყოფოების და სხვათა შესახებ.

5) ტრაქტატი წმ. სოფიოს ტაძრის აღშენების შესახებ (Περὶ τῆς οἰκοδομῆς τοῦ ναοῦ τῆς ἁγίας Σοφίας).

უკანასკნელი თხზულება („სოფია-წმინდის ტაძრის აღშენების შესახებ“) შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობას მაშინდელ ტექნიკურ საშუალებათა შესახებ, მაგრამ სხვა მხრივ უმეტესად ლეგენდარული ხასიათისაა. ეს თხზულება ქართულადაც არის გადმოთარგმნილი და გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ (აუწყება და თხრობა აღშენებისათვის დიდებულისა სიბრძნისა ღრისა აია სოფიას ტაძრისაა)¹.

ლიტერატურა:

К. Кrumbacher², BLG, გვ. 422—427 (იქვე დაწვრილებით გამოცემებზე და გამოკვლევებზე).

G. Moravesik², Byzantinoturcica. I (1958), 276—278 (იქვე ლიტერატურა).

Г. Таскин, Георгий Кодин о древностях Константинополя, Киев 1905.

მარიამ დედოფალი

Ἀνηγορεύθη δὲ βασιλεὺς ὁ ἄριστος Μιχαὴλ ὁ Δούκας, καὶ ἐκράτησε τῆς βασιλείας ἅμα τῆ μητρὶ αὐτοῦ Ἐὐδοκίᾳ, καὶ συνεβασίλευσε ταύτῃ μῆνα ἁ'. Κατεβίβασε δὲ πάντας² καὶ ἀπέχειρε, μόναρχος αὐτὸς κληθεὶς.

ხოლო მეფედ იქმნა გამოცხადებული უფალი მიხეილ დუკა: და მართავდა სახელმწიფოს თავის დედასთან ევდოკიასთან ერთად, და მასთან თანამეფობდა ერთი თვე. მერე სრულიად გადააყენა ის და გაამოლოზნა, თვითონ კი მარტო დარჩა მეფედ.

¹ Е. Такайшвили, Описание рукописей общества распространения грамотности, т. I, Тб. 1902—1904, გვ. 585—600. ტექსტი გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ XIX საუკუნის ხელნაწერის მიხედვით (ხელნაწერი S — 745). არსებობს ძველი ხელნაწერი XIII საუკუნისა (ხელნაწერი A — 70), საკმაოდ განსხვავებული ტექსტით.

² იქნება აქ უნდა ყოფილიყო პირობა,

Ὁ οὖν κύριος Μιχαὴλ ὁ Δού-
κας, ὁ υἱὸς τοῦ κυρίου Κωνσταν-
τίνου καὶ τῆς Μακρεμβολίτισσης
κυραῖς Εὐδοκίας, μετὰ Μαρίας
τῆς γυναικὸς αὐτοῦ, ἔτη ε' καὶ
ἡμισυ. Καταβίβασθεις δὲ παρὰ
τοῦ Βοτανιάτου ἀπὸ προδο-
σίας τῆς συμβίου αὐτοῦ,
καὶ τὸ μοναχικὸν σχῆμα ἐνδυ-
θεις, ἀπεστάλη εἰς τὴν μονὴν τῶν
Στουδίου. Ἰστέρον δὲ γέγονε καὶ
μητροπολίτης Ἐφέσου (CB 158;
Migne PG 157, 644—645).

უფალი მიხეილ დუკა, მამ,
ვაჟი უფალ კონსტანტინესი და
ქალბატონ ვედოკია მაკრემბო-
ლიტისასი, თავის მეუღლესთან,
მარიამთან ერთად მეფობდა
ექვსწელიწად ნახევარს¹. ხოლო
ტახტიდან ჩამოგდებულ იქმნა
ბოტანიატის მიერ მისი მეუღ-
ლის ლალატის წყალობით, მო-
ნაზონის სქიმით გამოწყობილი
გაიგზავნა სტუდიელთა მონას-
ტერში, უფრო გვიან ეფესოს
მიტროპოლიტობა მიიღო².

სამეფო წალა

Ἡ μέντοι παθήη τοῦ βασι-
λέως ἀεὶ εἰς τὸ ρουχαρεῖον ἐνρί-
σκεται, τὰ δὲ ὑποδήματα εἰς τὸ
βεστιάριον.

Ἔστι δὲ καὶ ἕτερον εἶδος
ὑποδημάτων, ἃ καλοῦνται τζαγ-
γία, ἔχοντα ἐκ πλαγίων κατὰ
τὰς κνήμας καὶ ἐπὶ τῶν παρσῶν
ἀετούς διὰ λίθων καὶ μαργάρων,
ἄτινα καὶ φορεῖ ὁ βασιλεὺς εἰς
τε τοὺς περιπάτους καὶ τὰς προ-
κύψεις. Καὶ ὁ ταῦτά ποιῶν οὐ

მეტის მახვილი მუდამ ინა-
ხება რუხარაიონში, ხოლო ფეხ-
საცმელები — სატანსაცმელოში.

არის სხვაგვარი ფეხსაცმელები,
რომელთაც ეწოდება წა-
ლები (წალია); გვერდებზე, წვი-
ვების გასწვრივ და ქუსლებთან
აქვს არწივები ქვებისაგან და
მარგალიტებისაგან; მათ ატარებს
მეფე სეირნობის დროს და აღ-
ლუმის დროს (ad ostentationes)-

¹ მიხეილ VII დუკა პარაპინაკი მეფობდა 1071—1078 წლებში.

² უფალი მიხეილ დუკა ... ტახტიდან ჩამოგდებულ იქმნა ბოტანიატის მიერ... და მონაზონის სქიმით გამოწყობილი გაიგზავნა სტუდიელთა მონასტერში, უფრო გვიან ეფესოს მიტროპოლიტობა მიიღო — ასე წერს გიორგი კოდინე: ხოლო ანნა კომნენეს ცნობით: «როდესაც მიხეილ დუკა ტახტიდან გადააყენეს. და, ნაცვლად სამეფო გვირგვინისა და ძოწეულისა, პოდირი და არქიეპისკოპოსის (ὁὖν ποδηγήη καὶ τὴν ἐπαμίδα τὴν ἀρχιερατικὴν) სამხრე ჩაიცვა, სამეფო საქმეების მართვას შეუდგა სამეფო ტახტზე ასული ბოტანიატე» (იხ. ზემოთ გვ. 37). ანნა კომნენე მეთრე ადგილასაც წერს: «მიხეილი ...ტახტიდან ჩამოაგდო მის წინააღმდეგ აჯანყებულმა ბოტანიატემ, რის შემდეგაც ბერად აღიკვეცა, ხოლო მერე არქიეპისკოპოსი (ἀρχιερατικὸν ποδηγήη) ჩაიცვა (იხ. ზემოთ გვ. 41)

τῆς ἀγγαρίου, ὡς οἱ ἕτεροι, ἀλλὰ
τῆς ἀγγαρίου ὀνομαζέται.

Ὁπιηγίκα γοῦν δεήσει τὸν βα-
σιλέα καβαλλικεῦσαι, φέρει τὰ
ὑποδήματα παιδῶπουλον τοῦ βεσ-
ταρίου ἐκτός, οὕτω κεινῶς ὀνο-
μαζομένου ἀλλαξιμαρίου (Codi-
ni Curopalatae De offi-
ciis constantionopolitanis: Migne, PG 157, 49—52).

ამათ მკეთებელს წანგარიოსი
კი არა ჰქვია, როგორც სხვებს,
არამედ მეწაღე (წალასი).

როდესაც კი საჭიროა მე-
ფე აღმხედრდეს, ფეხსაცმელე-
ბი მოაქვს ბიჭს სატანსაცმელო-
დან, რომელსაც, ამრიგად, საზო-
გადოდ „ალაქსიმარიონს“ ეძა-
ნიან.

ეს ნაწყვეტი მოგვყავს იმ დებულების განსავითარებლად, რომე-
ლიც ჩვენ წამოვყენეთ ჯერ კიდევ 1936 წელს (იხ. გეორგიკა,
ტ. III, 265—266): ჩვენ ვამბობდით, რომ ბიზანტიურ-ბერძნულში
ხმარებული *τῆς ἀγγαρίου*, *τῆς ἀγγαρίου*, *τῆς ἀγγαρίου* მომდინარეობს ქართული
სიტყვისაგან წაღა. ჩვენი მსჯელობა ემყარება საშუალო საუკუნეთა
ბერძნულის შემდეგი თვისებების გათვალისწინებას:

1) VI საუკუნისათვის, როდესაც ეს სიტყვა პირველად გვხვდება
(იოანე მალალას „ქრონოგრაფიაში“), ეს მხოლოდ უცხო სიტყვათა,
კერძოდ ქართულ და სომხურ სიტყვათა საჭიროებისათვის იხმარება
და გადმოგვცემს ბერებზე: **ც რ წ ჰ ძ ჯ**, მაგალითად:

Βασισβατζέ ვარახვაჩე

Τξοδ ჰორ (ქორ). *ჯორ* (ჯორ)

Τξιβος ჯიბო

Τξάνοι ჰანები

Τξμισακης ციმისხი, ჩიმიშკი («ქრონოგრაფია... ჩიმიშკისა [ვარიანტი:
წამიშკისა] ბოძებული იოანესდა)

Τξαγγαριος საწანგრო.

სანამ ბერძნულ-ბიზანტიურში *τῆς*-კომპლექსი შემოვიღოდა, იმავე
ბერებზე გადმოსაცემად იხმარებოდა *σ* (*Σιτταჯ*—*Τξιτταჯ*, *σαγγა-
რიος*—*τῆς ἀγγαρίου*).

2) პირველად ეს სიტყვა ნახმარია ფორმით *τῆς ἀγγαρίου* (*τῆς ἀγγαρίου*,
იხ. მალალა: გეორგიკა III, 265), რომლის მხოლოდითი რიცხვი
იქნება *τῆς ἀγγαρίου* || *τῆς ἀγγαρίου* || *τῆς ἀγγαρίου*. აქ ინფიქსური „ნ“ (γγ) გამოწ-
ვეულია იმით, რომ უიმისოდ მარტივი γ გუტურალად ვერ დარჩე-
ბოდა *ს*-ს წინ: ის პალატალიზაციის გზით სრულიად გაქრებოდა
(შდრ. *Ἀγία Σοφία*, რომელიც გამოთქმაში ვეძებდეთ „აია სოფია“-ს).
ორი „გამმა“ კი (γγ) იმას იწვევს, რომ უნარჩუნებს გუტურალობას.

ამით აიხსნება ის, რომ *რეკონსტრუქციის*, *რეკონსტრუქციის* ერთადერთი შესაძლებელი ხერხია *წალა-ს* გადმოსაცემად.

3) ვინც არ იცოდა, რომ *რეკონსტრუქციის*-ს დანიშნულება იყო ქართული *წალა-ს* გადმოცემა და მხოლოდ ბერძნულზე დაყრდნობით წაიკითხავდა მას, მიიღებდა გამოთქმას „წანგი“. და რომ ეს ასეც იყო, ჩანს იქიდან, რომ: ა) ჭანურმა ისესხა ის ბერძნულიდან და გამოთქვა „წანგი“ (H. Mapp, Γραμματική τανσского языка 218) და ბ) საბერძნეთში მყოფმა ქართველებმა წალების სახელოსნოს, ანუ ბერძნულად *რეკონსტრუქციის*-ს, უწოდეს „საწანგრო“, (ახლო საპაროკონომოსო და საწანგრო და საჯორს და სამჭედლო და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენაქნი და მენავენი — ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ. 1946, გვ. 43—44).

ეს ჩვენი დაკვირვება, თითქოს, მისაღებად მიიჩნია აკად. აკაკი შანიძემ, რომელმაც „იოანე და ეფთჳმე“ მთაწმიდელების ცხოვრებისათვის დართულ ლექსიკონში თქვა: „საწანგრო — სახარაზო. ფესხაცმელების სახელოსნო (რეკონსტრუქციის წალა, რეკონსტრუქციის ან რეკონსტრუქციის მეწაღე). ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ სიტყვა რეკონსტრუქციის ბერძნულში ქართულიდან არის შესული და იქიდან შემდეგ ქართულსა და ჭანურს დაჰბრუნებია ბერძნული ფორმით: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, 1936, გვ. 265—266“. იხ. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ. 1946, გვ. 133.

კოდინეს ტექსტში აღწერილი წალები ჰგავს მალალას მიერ აღწერილებს:

მ ა ლ ა ლ ა

წალები, რომელთაც ატარებდა (წათე), თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით (*μαργαρίτας*) იყო შემკული.

კ ო დ ი ნ ე

არის სხვაგვარი ფესხაცმელებიც, რომელთაც ეწოდება წალები; გვერდებზე წვივების გასწვრივ და ქუსლებთან აქვს არწივები ქვებისაგან და მარგალიტებისაგან (*ὄρθο λίθων καὶ μαργαρίτων*).

კოდინეს ტექსტში ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება. კოდინე წერს, რომ „წალების“ მკერავს ეწოდება რეკონსტრუქციის და არა რეკონსტრუქციის. როგორც ჩანს, „წანგარის“ ეწოდება საზოგადოდ „მეწაღეს“. ე. ი. ჩვეულებრივი ფესხაცმელების მკერავს, ხოლო იმას, ვინც მკერავს მარგალიტებით მორთულ „წალებს“, მას ჰქვია რეკონსტრუქციის. აი, ეს დამატებითი ცნობა შემოაქვს კოდინეს ტექსტს „წალების“ საკითხის გარკვევისათვის.

იოველის ქრონოგრაფია

იოველის (Ἰωήλ) ბიოგრაფია უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ლათინთა ბატონობის ხანაში (1204—1261) დასწერა „მოკლე ქრონოგრაფია“ (Χρονογραφία ἐν συνόψει), რომელშიც აღწერილია ამბები ადამიდან ვიდრე 1204 წლამდე. ამბები 948 წლამდე ვადმოცემულია გიორგი ამართლის „ქრონოგრაფიის“ მიხედვით, ხოლო გვიანი დროისათვის ავტორი სარგებლობს სკილიცეს შრომით.

იოველის „ქრონოგრაფიიდან“ მოგვეყავს მხოლოდ მისი ბოლო ნაწილი, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი მარიამ მართა-ყოფილის თავგადასავალი.

გამოცემანი: 1) Ioelis chronographia compendiaria, rec. I. Bekkerus, Bonnae 1856 (CB).

2) Migne, Patrologia Graeca, 139, 223—288.

მიხეილ VII ღუკა, მისი მეუღლე მარიამი და მათი ვაჟი კონსტანტინე

Διεδέξατο τὴν βασιλείαν ὁ τοῦ Δούκα σὺν δὲ Μιχαὴλ ὁ λεγόμενος Παραπυλάκης. Τοῦ δὲ πατριάρχου Ἰωάννου τοῦ Ἐπιφύλιου κειμήλιον, ὁ βασιλεὺς ἕτερόν τινα προεχειρίσατο Κοσμάν μοναχόν, τῆς ἀγίας μὲν πόλεως ἀφικόμενον, μεγίστη δὲ τιμῇ διὰ τὴν αὐτοῦ ἀρετὴν παρὰ βασιλεὺς τιμώμενον.

სამეფო ტახტზე ავიდა ღუკას ვაჟი მიხეილი, რომელსაც პარაპინაკი ეწოდებოდა. როდესაც პატრიარქი იოანე ქსიფილინოსი გარდაიცვალა¹, მეფემ სხვა ვინმე აკურთხა, კონსტანტინე, რომელიც წმინდა ქალაქიდან წამოსულიყო და მისი სათნოების გამო უდიდესი პატივით ილიღებოდა მეფის მიერ.

¹ პატრიარქი იოანე VIII ქსიფილინოსი 1064—1075 წლებში მღვდელმთავრობდა. მის შემდეგ პატრიარქად იყო კონსტანტინე I იერუსალიმელი (1075—1081 წ.წ.).

Ὁὲ δὲ πολιτεία διὰ τὸν Βοτανειάτην ἐξ ἀνατολῆς ἦδη ἀναγορευθῆναι τὰ τε ἀνάτορα κατασχόντες καὶ φύλακας αὐτοῖς ἐπιτήσαντες, καὶ τὸν βασιλεύοντα Μιχαὴλ καθαιρήσαντες¹ πρὸς τὴν τοῦ Στουδίου μονὴν παραπέμπουσιν μετ' εὐτελοῦς ὑποζυγίου σὺν τῇ Ἀγροσύτῃ Μαρίᾳ² τῇ ἐξ Ἀλανῶν καὶ τῷ τούτου παιδὶ Κωνσταντίνῳ τῷ Πορφυρογεννητῷ, καὶ πρὸς τὸν μονήρη μεταλλάττουσι βίον κατὰ τὸ σάββατον τοῦ ἁγίου Λαζάρου, βασιλεύσαντα χρόνους ἕ'.

Ὅντως οὖν ὁ Βοτανειάτης Νικηφόρος παρὰ πᾶσαν προσδοκίαν ἀναίμακτον ἀπέλαβε τὴν ἀυτοκράτορα ἀρχὴν κατ' αὐτὴν τὴν μεγάλην Τρίτην, καὶ ταῖς τοῦ πατριάρχου χερσὶ τῷ βασιλικῷ ταινιοῦται διαδήματι, καὶ γυναικὶ συζεύγνυται τῇ ἐξ Ἀλανῶν³ Μαρίᾳ, τῇ τοῦ Μιχαὴλ συμβίῳ. Ἐβασίλευσε δὲ ἕτη γ' (Ioëlis Chronographia compendiaria, CB 65—66).

¹ უკრადლებას ვაქცევთ სიტყვას *καθαιρήσαντες*. ფორმის მიხედვით ეს არის Part. aoristi activi ზმნისაგან *καθαίρω*, რომელსაც ძველი ბერძნულის მიხედვით აორისტი აქვს *καθίρειν*, ხოლო მიმღეობა — *καθίστημι* (და არა *καθαίρωσαντες*. როგორც ეს უზნარია ბიზანტიელ ისტორიკოსს).

² ეს არის მარიამ მართა-ყოფილი, ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ შეცდომით აღწერილი მიხედვით. მარიამ დედოფალი აქ მოხსენებულია პატივით *Ἀγροσύτα*. ამავე პატივით მოხსენებულია იგი რუმის-ურბნისის «ძველის წერაში», სადაც სწერია: «კეთილად მსახურისა და ღმრთის მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა [ავღუსტი ნიანი] მრავალმცა არიან წილნი და ჟამნი» (იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 117).

³ ყველა გამოცემაში სწერია *Ἀλαμανῶν*, რაც აშკარა შეცდომას წარმოადგენს. იგივე იოველი ხომ აქვე, ცოტა ზემოთ წერს: *Μαρία τῇ ἐξ Ἀλανῶν*.

⁴ დიდი სამშაბათი — ასე ეწოდებოდა ვნების კვირის სამშაბათი (იხ. Sophokles s. v. *ιρίος*).

მოქალაქეებმა იმის გამო, რომ ბოტანიატე აღმოსავლეთში მეფედ გამოაცხადეს, სასახლე აიღეს და იქ მცველები ჩააყენეს, მეფე მიხეილი გადააყენეს და სტუდიის მონასტერში გაგზავნეს, უბრალო სახედარით, მასთან ერთად მეუღლე ავგუსტა მარიამი, წარმოშობით ალანთაგანი და მისი ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი; და მარტომყოფ ცხოვრებად შეუცვალეს წმინდა ლაზარეს შაბათის მიხედვით. იმეფა შვიდო წელი.

ამგვარად, ნიკეთორე ბოტანიატემ ყოველგვარი მოლოდინის გარეშე სისხლის დაუღვრელად მიიღო თვითმპყრობელი ძალაუფლება თვით დიდ სამშაბათს⁴, პატრიარქის ხელით დაიდგა სამეფო გვირგვინი და ცოლად შეირთო მარიამ ალანთაგანი, მიხეილის მეუღლე. იმეფა სამ წელს.

იოანე სკილიცეს გამგრძელებელი

იოანე სკილიცე (Ἰωάννης Σκυλίτζης) იყო მცირე აზიიდან, თრაკესიონის თემიდან. ამიტომ უწოდებს მას გიორგი კედრენე Ἰωάννης ὁ Θρακῆσιος τὸ ξάτυμαον. თვითონაც თავის თავს უწოდებს შიქელ პსელოსის თანამედროვეს, მაშასადამე, იგი, იოანე სკილიცე, XI საუკუნის მოღვაწეა.

„გეორგიკის“ V ტომში, სადაც მოთავსებულია გიორგი კედრენე, ნათქვამი გვაქვს: „გარდა გიორგი კედრენეს, იოანე სკილიცედან მომდინარე „ქრონოგრაფიისა“, რომელიც აგვიწერს ამბებს დასაბამითგან ვიდრე 1057 წლამდე (ისააკ კომნენოსის მეფობამდე), მოღწეულია 1057—1079 წლების „ისტორია“, რომელიც ეკუთვნის იოანე სკილიცეს. მაგრამ იოანე სკილიცეს მართო ამ ოცი წლის „ისტორია“ კი არ დაუწერია, არამედ მის მიერ დაწერილი საისტორიო თხზულება მოიცავდა 811—1079 წლების ამბებს“¹.

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ნათელ-ჰყო, რომ გაგრძელება (1057—1079 წლების „ისტორიის“ შემცველი) ეკუთვნის არა იოანე სკილიცეს, არამედ ვინღაც უცნობი ავტორის ნაშრომს წარმოადგენს; ამიტომ ამ ნაშრომს უნდა დაერქვას Skylitzes Continuatus („სკილიცეს გაგრძელება“). იმის საბუთი, რომ 1057—1079 წლების ისტორია არ ეკუთვნის იოანე სკილიცეს, ეს არის, რომ მრავალ ხელნაწერში გარკვევით არის ნათქვამი, რომ სკილიცეს ნაშრომი მხოლოდ ისააკ კომნენოსის მეფობამდე (1057 წ.) აღწევდა და რომ, ამისდა კვალად, გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიის“ მეორე ნაწილი, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა იოანე სკილიცეს „ისტორიას“, მხოლოდ 1057 წლამდეა მოტანილი. მაშასადამე, გიორგი კედრენე ამ „ისტორიის“ გაგრძელებას (1057—1079 წლების ისტორიას) არც კი იცნობდა².

„სკილიცეს გაგრძელება“ მოთავსებულია ბონის კორპუსის იმ II ტომში. სადაც გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფია“ არის დაბეჭდილი: CB 1839. II. 636—744; გადაბეჭდილია Migne PG 122 (1889), 368—476.

¹ იხ. გეორგიკა, ტ. V (1963), გვ. 8.

² G. Moravcsik, Byzantinoturcica II (1958), 340.

იბერიის — მდიდარი ქვეყანაა

Προσκειμένου δὲ αὐτοῦ τοῖς τοιαύτοις διηγεσῶς, τῶν δὲ στρατιωτικῶν ἡμεληκότος καὶ ῥαθυμῆσαντος, τὰ τῆς ἀνατολῆς, καὶ μάλλον τὰ ἐν τοῖς τέρμασι τῶν μερῶν τῶν Ῥωμαϊκῶν, ὑπὸ τῶν πολεμίων ἐφέροντό τε καὶ ἤγοντο, καὶ ἐλητίζοντο καὶ διεφθείροντο ἅπαντα τῆ τε τῶν Τοὔρκων ἐπιδρομῆ καὶ κατισχύσει καὶ τῆ βιαίᾳ ὑποχωρήσει καὶ ὀφθαλμῶσι τῶν ἡμελημένων στρατιωτῶν συνεχεῖς γὰρ ὑπῆρχον ἐκδρομαὶ καὶ λεηλασίαι συχναί, ἀφανίζομένου τοῦ προστυχόντος παντός. Διὸ καὶ ἡ εὐδαιμονία τῆς Ἰβηρίας ἡρίπρωτο παντελῶς καὶ ἠφάνιστο, ἥδη προκατειργασμένα καὶ ἡσθινηκῆ καὶ κατὰ μικρὸν ἐπιλείπουσά τε καὶ φθίνουσα, συμμεταλαμβανομένου δὲ τοῦ δεινοῦ καὶ ὄσαι ταύτη παρέκλειντο, Μεσοποταμία τε καὶ Χαλδαία, πρὸς δὲ Μελιτηνῆ καὶ Κολώνεια καὶ τὰ τῆς Ἐβφράτης συγκείμενα ποταμῶ (CB II 652, 20—653, 9).

რადგან ის¹ ასეთ საქმეებზე იყო გადაყოლილი, ხოლო სამხედრო საქმეებზე სრულიად არ ზრუნავდა, აღმოსავლეთის მხარეები, განსაკუთრებით კი რომაული ქვეყნის მოსაზღვრე მხარეები მტრის ლუკმად იყო გამხდარი, ყველაფერი ირბეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმებისა და ძალადობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ აღვირახსნილი ჯარისკაცები ძალმომრეობას ხმარობდნენ და თავზარს სცემდნენ ხალხს: განუწყვეტელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო ყველაფერი ნადგურდებოდა. ამიტომ იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდა, მასთან ერთად საფრთხე განიცადეს იმ მხარეებმა, რომლებიც მას (ე. ი. იბერიას) აკრავდნენ: მესოპოტამიამ და ხალიდიამ, აგრეთვე მელიტენემ და კოლონიამ და მდინარე ეფრატის გაყოლებით მდებარე მხარეებმა².

მწვალებლობა იბერიაში

Ἦσαντα τοιγαροῦν ἐπιδηγηθῆντα πολλῆν ἐνήκαν τὴν ἀθύσιαν ἡμῖν, λογιζομένοις φεισημίαν εἶναι

ასე რომ ამ მოთხრობილმა ამბებმა დიდი მწუხარება მოგვაცენეს ჩვენ, რომლებიც ვფიქ-

¹ იგულისხმება კონსტანტინე X დუკა (1059—1067).

² ამ ნაწილებში სკილიცეს გამგროძელებელი იმეორებს მიხეილ ატალიატეს. იხ. ზემოთ გვ. 31.

τὸ γεγονός καὶ μῆνιν καὶ χόλον
θεοῦ, ἄς μὴ μόνον τῶν πολεμίων,
ἀλλὰ τῶν στοιχείων ἀντιμαχομέ-
γων ἦμιν.

წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სტიქიონებიც¹.

Πρότερον γὰρ ἦ τοσαύτη τῶν
ἔθνῶν ὄρμη καὶ ἐπαρσις καὶ τῶν
ὑπὸ Ῥωμαίους τελούντων κατα-
κοπή ὄργη μὲν τοῦ θεοῦ, κατὰ
τῶν αἰρετικῶν δέ, οἱ τὴν Ἰβη-
ρίαν καὶ Μεσοποταμίαν μέχρι
Λυκανδοῦ καὶ Μελιτηνῆς καὶ τὴν
παρὰχειμένην οἰκοῦσιν Ἀρμενίαν,
καὶ οἱ τὴν Ἰουδαϊκὴν τοῦ Νεσ-
τορίου καὶ τῶν Ἀκροάλων²
ἔρησεν αἵρεσιν· καὶ γὰρ
πλήθουσιν αἶδε αἱ χῶραι τῆς
τοιαύτης κακοδοξίας (CB II,
687, 5—14).

რობდით, რომ ღვთიური საკვირ-
ველება იყო რაც მოხდა, რისხვა
და ბოღმა ღვთისა, რადგან არა
მხოლოდ მტერი იბრძოდა ჩვენ

რამეთუ ჯერ ამხელა მოხლა-
ვება ხალხებისა და აღელვება,
და იმათი განდგომა, რომელნიც
რომაელთა ხელქვეითნი იყვნენ,
ღვთის რისხვას წარმოადგენდა,
ხოლო შემდეგ [განრისხდა ღმერ-
თი] მწვალებელთა წინააღმდეგ,
რომელნიც ცხოვრობენ იბე-
რიაში, ვიდრე ლიკანდემდე და
მელიტენემდე, მეზობელ არმენი-
ში და იუდეაში და რომელნიც
აღიარებენ ნესტორიოსის
და უთავოთა² მწვალებლობას,
და ეს მხარეები სავსე არიან ამ-
გვარი ბოროტი აზრებით.

მარიამ მართა-ყოფილი

Ὁ δὲ βασιλεὺς τῆς γυναικὸς
αὐτοῦ τελευτησάσης τῆς Βερθη-
νῆς ἄμα τῆ ἀναρρήσει ἀναγορευ-

მეფემ, მისი ცოლი ბერდენე
რომ გარდაიცვალა, რომელიც
დედოფლად იქმნა აღიარებულ

¹ უნდა იგულისხმებოდეს შინაგანი ვითარება ქვეყნისა, შინაური განხეთქი-
ლება.

² „უთავონი“ — Ἀκροάλοι, ასე ეწოდებოდათ მწვალებლებს. რომლებიც
არ სცნობდნენ ქალკედონის კრების დადგენილებებს ქრისტეს ბუნების შესახებ.
ასე ეწოდებოდა მათ, რადგან მეთაური („ეპისკოპოსი“) არა ჰყავდათ: Ἀζέφα-
λοι δὲ ἐκλήθησαν διὰ τὸ μὴ ἔχειν ἀπὸ τοῦ ἐπισκόπου. — ნესტორის მწვა-
ლებლობა, რომელიც აღიარებდა „ქრისტეს აღამიანური ბუნების დამოუკიდე-
ბელ არსებობას“ და რომელმაც (სირიაში წარმოშობილმა) ფეხი მოიკიდა ძველ
აღმოსავლეთში, საქართველოშიც იყო ცნობილი. „სპარსეთში ქრისტიანების დევ-
ნისას არა ერთ და ორ ნესტორიანს უპოვნია ჩვენში თავშესაფარი და, ალბათ,
მიმდევარნიც“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურა: ისტორია I [1962],
482). ძველ ქართულ მწერლობაში მოიპოვება რამდენიმე ძველი, მიმართული
ნესტორიანთა მოძღვრების წინააღმდეგ, მათ შორის იოანე დამასკელისა «სიტყუაჲ
დასამზობელი ნესტორიანთაჲ» (იქვე, 483).

θείσης και αὐτῆς, ἐτέραν ἡγάγετο.

Πολλοὶ μὲν γὰρ αὐτῷ ἐμνηστέοντο· Ζωὴ τε γὰρ ἡ τοῦ βασιλέως τοῦ Δούκα θυγάτηρ, παρθένος οὖσα καὶ τῷ εἶδει εὐπρεπῆς, ἀλλὰ καὶ τῶν συγκλητικῶν θυγατέρες πολλαί, ἦσαν ἔχουσαι γάμου· ὁ δὲ μίαν ἤρειτο τῶν δύο, ἡ τὴν τοῦ Δούκα σύζυγον καὶ αὐτὴς τοῦ Διογένους Εὐδοκίαν ἡ τοῦ ἑναγχοῦ βασιλεύοντος Μιχαὴλ Μαρίαν τὴν ἐξ Ἀλανῶν.

Στέλλει γοῦν ληψόμενος τὴν Εὐδοκίαν· ἡ δὲ ἠκολούθει περιχαρῶς. Ὅπερ γοῦς ὁ τηρικαῦτα ἐπ' ἀρετῆ διαβροημένος μοναχός, ἐν δὴ καὶ πανάγιον ἀντ' ἄλλου παντὸς ἐκάλουν ὀνόματος, παντὶ τρόπῳ διακωλύειν ἐσπούδασε τὸ ἀτόπημα, πολλῶν ὑπομνήσας αὐτὴν τῶν δυνάμεων κωλύσασθαι τῆς προθυμίας.

და მთავრნა მას (ი. ი. ევდოკიას) მრავალი რამ, რასაც შეეძლო მისი შეყენება ამ სურვილისაგან.

Ἄγεται τοίνυν τὴν Μαρίαν ἀπηρυστρασμένως ὁ βασιλεύς, καὶ ἐρολογεῖται αὐτῇ, καὶ παραυτίκα καθαιρεῖται ὁ ἐρεῦς ὡς προφανοῦς μοιχείας τετελεσμένης.

Ὁ δὲ Μιχαὴλ τὴν τρίχα κειράμενος φήψω τοῦ πατριάρχου καὶ τῶν μητροπολιτῶν χειροτονεῖται Ἐφέσου ἀρχιερέως. Ἀπαξ μὲντοι μόνον ἐν ἐκείνῃ ἐφοιτησε, καὶ ὑποστρέψας ἔμεινεν ἐν τῇ

მისი ტახტზე ასელის-თანავე, მეორე ცოლი მოიყვანა.

ბევრნი ეძლეოდნენ მას: ზოგი, მეფის დუქას ასული, რომელიც გაუთხოვარი იყო და გარეგნობით ლამაზი, და დარბაზის-ერთა ასულები. ბევრნი, რომლებიც გასათხოვარნი იყვნენ; ხოლო ის არჩევანში იყო, რომელი ორთაგან ერთოვა: დუქას მეუღლე, მეორედ დიოგენეზე გათხოვილი ევდოკია, თუ ახლახან მმეფობი მიხეილის მეუღლე მარიამ ალანელი.

გზავნის კაცებს რომ მოჰგვარონ ევდოკია: ისიც დიდი სიხარულით მოჰყვა მათ. ეს რომ შეიტყო მონაზონმა, რომელიც მაშინ თავისი სათნოებით სახელგანთქმული იყო და რომელსაც ყოვლად-წმინდას ეძახდნენ, ყოველგვარი სხვა სახელის მაგიერ, მან ყოველნაირად სცადა დაებრკოლებინა ეს უმსგავსი საქციელი

და, აი, მეფეს მოჰყავს, ყოვლად უსიბრცხელოდ, მარიამი და ეუღლედა მას წმინდა ქორწინებით, და ის მღვდელი მაშინვე შერისხულ იქმნა, რადგან აშკარა მეძავობა დააკნონა.

ხოლო მიხელი, პატრიარქის დადგენილებით, გაკრიჭეს და მიტროპოლიტად ხელთდასხმული ეფესოს არქიელად დაინიშნა. მხოლოდ ერთხელ ჩავიდა იმ ქალაქში (ი. ი. ეფესოში) და, უკან

τοῦ Μανουήλ μονῆ, χερσὶν ἰδίας ἐργαζόμενος. Ἐπιμήθη δὲ διαφέροντως ὑπὸ τοῦ μετὰ ταῦτα βασιλεύσαντος Ἀλεξίου τοῦ Κομνηνοῦ, ἐφ' οὗ δὴ καὶ ἐκοιμήθη, τὴν ἑαυτοῦ σύζυγον Μαρίαν μετὰ τὴν τοῦ Βοτανειάτου καθαιρέσιν μοναχὴν γενομένην συμπαιδείας τῶν εἰς αὐτὴν ἐπαισιμένων ἄξιώσας ἐκ τῆς τελευτῆς (CB II 738, 5 — 739, 4).

ლებით თანაგრძნობა დაიმსახურა

რომ დაბრუნდა, დარჩა მანუელის სახელობის მონასტერში და საკუთარი ხელებით მუშაობდა. მას განსაკუთრებულად სცემდა პატივს ალექსი კომნენოსი, რომელიც ამ ამბების შემდეგ მეფობდა და რომლიც დროსაც იგი გარდაიცვალა, ხოლო თავისი (ე. ი. მისი) მეუღლე მარიამი ბოტანიატეს ჩამოგდების შემდეგ მოლოზან-იქმნა და თავისი გარდაცვალებისათვის, რაც კი ჩაუდენია.

მარიამის ვაჟი კონსტანტინე

Ἀποστείλας δὲ πρὸς τὸν τὴν Δογγιδαρδίαν κατέχοντα Φράγγον Ῥουμπέρτον καλούμενον τὴν αὐτοῦ θυγατέρα τῷ σὺν Κωνσταντίνῳ γυναῖκα ἡγάγετο, Ἐλένην μετονομάσας αὐτὴν (CB II, 720).

კაცები გაგზავნა (მიხეილმა) ლონგიბარდიის მფლობელ ფრანგთან, რომელსაც რომბერტი ერქვა, და მოიყვანა თავისი ვაჟისთვის, კონსტანტინესთვის, ცოლად რომბერტის ასული, რომელსაც სახელი შეუცვალეს და ელენე უწოდეს¹.

მიხეილ VII, მარიამი და კონსტანტინე

[დღედაქალაქი კონსტანტინეპოლი, ყველა დიდებული, ვინც კი ქალაქებსა და დაბებში იყვნენ, აგრეთვე ეკლესიის მეთაურები შეიკრიბნენ აიხნოფის ტაძარში და ბოტანიატე გამოაცხადეს მეფედ;

¹ ნიკიფორე ვრიენიოსის გადმოცემული აქვს თავის „ისტორიაში“ ის ეპიზოდი, რომელიც ეხება ნიკიფორე ბოტანიატეს და მარიამის ჯვრის წერას. ვრიენიოსიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რამდენადაც მარიამის პირველი ქმარი მიხეილ VII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, აგრეთვე ცოცხალი იყო ნიკიფორე ბოტანიატეს მეორე ცოლი, ამდენად ის მღვდელი «ცოდვას ჩაიდენდა მეძაობისა (μοιχείαν) და სამცოლიანობის კურთხევით» (იხ. გეორგიკა, ტ. V [1963], გვ. 311—312).

² ანა კომნენეს დაწვრილებით აქვს მოთხრობილი რომბერტის ასულის, ელენეს, დანიშნვის შესახებ კონსტანტინეზე. იხ. ზემოთ გვ. 39 — 42. კონსტანტინე 1074 წელს დაიბადა და, მასასადამე, ის რომ მიხეილ VII-ის დროს (1071—1079 წ.წ.) დანიშნეს ელენეზე, მთლად ბავშვი იქნებოდა, ოთხი-ხუთი წლისა.

ამათ მეთაურობდნენ ანტიოქიის პატრიარქი ემილიანე და იკონიის მიტროპოლიტი.]

Συννεύει τε πᾶς ὁ κληρὸς αὐτοῖς καὶ ὁ σύγκλητος καὶ ἡ πόλις σχεδὸν ἅπασα.

Καὶ διαιρεθέντες κατὰ φατρίας¹ οἱ τῆς πολιτείας ἐπῶνυμοι συνταγματάρχαι τε προβάλλονται καὶ λόχους ἐπιφανεῖς συνεστήσαντο.

Κυριεύουσι δὲ καὶ τῶν ἀνακτόρων ἐξ ἐφόδου καὶ στρατιώτας ἐφιστῶσι, τοὺς τοῦ βασιλέως Μιχαὴλ ἐκδιώξαντες, πολέμῳ τὸ μισθοφορικὸν καταγωνισάμενοι.

Καθαιροῦσι δὲ καὶ τὸν βασιλεύοντα Μιχαὴλ φυγόντα εἰς τὰ ἐν Βλαχέρναις ἀνάκτορα σὺν τῇ Ἀυγούστη Μαρίᾳ τῇ ἐξ Ἀλάνων καὶ τῷ τούτου παιδί Κωνσταντίνῳ τῷ Πορφυρογεννήτῳ, καὶ πρὸς τὸν μονήρη μεταλλάτουσι βίον, τῇ τοῦ Στουδίου μετ' εὐτελοῦς τοῦ ὑποζυγίου παραπεμπαντες μονῆ, μοναρχήσαντα χρόνους ἕξ, ἐν αὐτῷ τῷ Σαββάτῳ ᾧ ἡ ἐπὶ Λαζάρῳ θαυματουργία παρὰ τῶν πιστῶν ἐορτάζεται (CB II, 734).

ფარესმანე იბერი

Ὁ δὲ βασιλεὺς ἐπανελθὼν εἰς τὸν χάρακα μετὰ τὴν τῶν ἐχθρῶν ἀποσέβησιν ἔγνω τὴν ἀκρόπολιν τῆς Ἱεραπόλεως ἐνοικῆσαι. Κατα-

მათ შეუერთდა მთელი სამღვდელეობა და დარბაზის-ერი და თითქმის მთელი ქალაქი.

და ფრატრიებად დაიყვნენ სახელმწიფოს დიდებულნი, წამოყენეს ერისმთავარნი და ბრწყინვალე სარდლები დააყენეს.

ერთბაშად დაეუფლნენ აგრეთვე სასახლეებს, ჯარისკაცები ჩააყენეს. მიხეილ მეფის კაცები გააძევეს და საბრძოლველად დაქირავებული ჯარი დაიმორჩილეს.

მეფე მიხეილი გადააყენეს და ის გაიქცა ვლახერხნის სასახლეში, მასთან ერთად მეუღლე ავგუსტა ალანთავანი და მისი ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი; და მარტომყოფ ცხოვრებად შეუცვალეს, გაგზავნეს რა სტუდიელთა მონასტერში უბრალო სახეღარით, მის შემდეგ რაც იმეფა ექვსი წელი, იმავე შაბათს, როდესაც მორწმუნენი დღესასწაულობენ ლაზარეს საკვირველებას².

ხოლო მეფე მანაქში რომ დაბრუნდა მტრის უკუქცევის შემდეგ, გადაწყვიტა აეგო იერაპოლისის აკროპოლისი და, აი, მან

¹ ე. ი. ფაატრიას.

² სკილიცეს გამგზობელელის ეს ნაწყვეტი მთლიანად შესულია იოველის „ქრონოგრაფიაში“. იხ. ზემოთ გვ. 160.

στῆσας οὖν τὸν Φαρσμάνην
 ἐκείνον βέστην τὸν Ἀποκάπης
 ἐξ Ἰβήρων τὸ γένος ἔλκοντα,
 χῶραν δέδωκε τοῖς ἐναντίοις ἀνα-
 καλέσασθαι τε τὴν ἦρταν καὶ
 ἀντίπαλον φέρεσθαι. (CB II,
 675, 21—676, 3).

დანისზნა ამ აკროპოლისის უფრო-
 სად ის ფარესმანე, ვესტი
 აპოკაპისა, ტომით იბერი და
 მოწინააღმდეგეებს საშუალება
 მისცა ზარალიც აენაზლაურები-
 ნათ და საწინააღმდეგოსთვისაც
 მიეღწიათ (ე. ი. გამარჯვებაც
 აღეღებინათ).

[„სკილიცეს გამგრობელებელს“ ეს ცნობა ამოღებული აქვს მიხეილ ატალია-
 ტეს „ისტორიიდან“, ხოლო აქ ტექსტი ცოტა განსხვავებულია „სკილიცეს გამ-
 გრობელებლის“ ტექსტისაგან].

Ἐπαλεθῶν δ' ὁ βασιλεὺς εἰς
 τὸν χάρακα μετὰ τὴν τῶν ἐχθρῶν
 ἀποσόβησιν, ἔγνω τὴν ἀκρόπολιν
 τῆς Ἱεραπόλεως ἐνοικίσαι καὶ
 στρατηγὸν ἀποδείξει αὐτῆς, ἐφ'
 ᾧ κατὰ μικρὸν καὶ τὴν ἄλλην
 πόλιν Ῥωμαίων γενέσθαι καὶ
 Ἀρμενίων κατοικητήριον.

ხოლო მეფე ბანაკში რომ და-
 ბრუნდა მტრის უკუქცევის შემ-
 დგე, გადაწყვიტა აეგო იერაპო-
 ლის აკროპოლისი და მისი სტრა-
 ტეგოსიც დანიშნა, რათა მოკლე
 ხანში ის რომაელთა მეორე ქა-
 ლაქი ყოფილიყო და არმენიელთა
 სადგომი.

Καὶ διὰ τοῦτο χρονίσας ἐκεί-
 σε, καὶ φρουρὰν, ὅση τις ἐδόκει
 πρὸς φυλακὴν αὐτάρχης, καὶ
 στρατηγὸν ἐπιστήσας Φαρσ-
 μάτιον ἐκείνον βέστην τὸν Ἀπο-
 κάπην, ἐξ Ἀρμενίων τὸ γέ-
 νος ἔλκοντα, χῶραν δέδωκε τοῖς
 ἐναντίοις ἀνακαλέσασθαι τε τὴν
 ἦρταν καὶ ἀντίπαλα φέρεσθαι
 (CB 116, 4—13).

და ამიტომ დააყოვნა მან იქ,
 და მეციხოვნენი, რამდენიც კი
 მას საკმარისად მიაჩნდა დასაცა-
 ვად, და სარდალი ფარასმა-
 ტი ჩააყენა, ის ვესტი აპოკაპი,
 წარმოშობით არმენიელთაგან,
 რითაც საშუალება მისცა მტერს,
 რათა ზარალი აენაზლაურებინა
 და მდგომარეობა გაეთანაბრე-
 ბინა.

ზემომოყვანილ ნაწყვეტში გადმოცემულია 1068 — 1069 წლის
 ამბები. კეისარმა რომანოზ დიოგენემ (1067 — 1071) გადაწყვიტა
 ელაშქრა მტრის წინააღმდეგ, რომელსაც დაეპყრა და გაენადგურე-
 ბინა კვლი-სირია, კილიკია და თვით ანტიოქია. რომანოზმა ალყა

შემოართყა იერაპოლისის (მისი ძველი სახელია Βαμψάκη, არაბულად „მანბიჯ“, Μένπειτζე) და 1068 წლის 20 ნოემბერს მტერი დაამარცხა. იერაპოლისის ალების შემდეგ მან ჩააყენა იქ გარნიზონი ფარსმანის მეთაურობით¹.

ფარსმანი² მიხეილ ატალიატეს „ისტორიაში“ მოხსენებულია როგორც არმენიელი (ξῆ Ἀρμενίαν τὸ γένος ἔλαγοντα), ხოლო სკილიცეს გამგრძელბედი, რომელიც, როგორც ცნობილია, თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოიწერს ხოლმე მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ტექსტს, გარკვევით ამბობს ξῆ Ἰβήρων τὸ γένος ἔλαγοντα. აქედან ჩანს, რომ სკილიცეს გამგრძელბედი ბრმად კი არ იწერდა ატალიატეს ტექსტს, არამედ მას ჰქონია აგრეთვე სხვა წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც ამოწმებდა მიხეილ ატალიატეს ცნობებს.

¹ E. Honigsmann, Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches. Bruxelles 1935, გვ 119.

² მისი სახელის ვარიანტებია: ა) მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ხელნაწერებში *Φαρσάμνιον* და *Φαρσამένιον*; ბ) სკილიცეს გამგრძელბედის ტექსტში *Φαρσάμνιον*, ხოლო გ) მიხეილ ატალიატეს გამომცემელს (CB) უწერია *Φαρσάμνιον*. იხ. H. Thurn. Textgeschichtliches zu Michael Attaleiates: BZ 57 (1964), გვ. 297.

კონსტანტინე მანასე

კონსტანტინე მანასე (Κωνσταντίνος Μανασής) XII საუკუნის მოღვაწეა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია შემდეგი ფაქტები: 1) იგი ნავპაქტის მიტროპოლიტი იყო და ამ თანამდებობაზე იყო, რომ 1187 წელს გარდაიცვალა. 2) მანუელ I კეისრის (1143—1180) რძლის (მისი ძმის სევასტოკრატ ანდრონიკეს ცოლის) ირინეს დავალებით დაუწერია თავისი „ქრონიკა“, რასაც მოწმობს ზოგიერთ ხელნაწერში არსებული ლემმა-სათაური: 'Εξεφαγήθη δὲ πρὸς τὴν σεβαστοκαρατέρισσιν Εἰρήνην τὴν ὑμίφην τὸν βασιλέα· κερὸν Μαγυσὴλ σὺν τῷ ἀνταδῆλφῳ ἀβτοῦ κερῷ Ἀνδρονίκῳ.

კონსტანტინე მანასეს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო შრომა:

1. „ქრონიკა“, *Σύνοψις ἱστορικῆ*, რომელიც დაწერილია ე. წ. პოლიტიკური ლექსით, თხუთმეტმარცვლოვანათი, და მოიცავს ამბებს „დასაბამითგან ქვეყნისა“ ვიდრე ნიკიფორე ბოტანიატამდე, 1081 წლამდე. როგორც ზემოთ ითქვა, „ქრონიკა“ შეადგინა კონსტანტინე მანასემ მანუელის რძლის, ირინეს დავალებით. ზოგიერთ ხელნაწერში მისი სათაურია: *Τὸν κερὸν Κωνσταντίνου τὸν Μανασῆ* *«Σύνοψις Χροικῆ», ἀρχομένη ἀπὸ κοσμοποιίας μέχρι τὸν κερὸν Νικηφόρου τὸν Βοτανειάτου.* სხვა ხელნაწერებში კიდევ სწერია: *Τὸν φιλοσόφου κερὸν Κωνσταντίνου τὸν Μανασῆ «Σύνοψις χροικῆ» διὰ στίχων, ἀπὸ κτίσεως κόσμου τὴν ἀρχὴν ποιουμένη καὶ διήγησασα μέχρι τῆς βασιλείας κερὸν Νικηφόρου τὸν Βοτανειάτου* (და შემდეგ მოსდევს ზემოთ მოყვანილი ლემმა ირინეს შესახებ).

2. რომანი „არისტანდრეს და კალითეას სიყვარულის ცხრა წიგნი“. ამ რომანის არც ერთი ხელნაწერი ჯერ აღმოჩენილი არაა; ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი (საქმაოდ ვრცელი), რომლებიც შეუტანია XIV საუკუნის მწერალს მაკარი ხრისოკეფალეს თავის კრებულში *Ῥομῶν* („ვარდის ბალი“, „ვარდფანჯები“); ამ რომანის რამდენიმე ფრაგმენტი მოიპოვება აგრეთვე უსახელოდ გადმოცემულ ერთ „ანთოლოგიაში“ (იხ. R. Hercher-ის გამოცემაში: *Scriptores erotici graeci, vol. II. Leipzig, BT, 1859*). იმ დროს როდესაც XII საუკუნის სხვა რომანისტები ხმარობენ

იამბუზ ტრიმეტრს, კონსტანტინე მანასეს ეს რომანი დაწერილი ჰქონია ხალხური საზომით, თხუთმეტმარცვლიანი ლექსით.

მოგვყავს ნიმუში ასეთი ლექსისა:

Τὸν εἰς παροργίαις Ἐρωτος ὑπηρετεῖν τὸν οἶνον.

Ἐντεσθῆεν οἶνός λέγεται γάλα τῆς Ἀφροδίτης¹.

„ღვინო ემსახურება ეროსის საღვზნებო საქმეებს.

„ამიტომ ამბობენ, რომ ღვინო აფროდიტეს რძე არისო“.

პ. სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული 1173 წელს ნიკიფორე კომნენოსის გარდაცვალების გამო.

ნიკიფორე კომნენოსი იყო ანნა კომნენეს და კესაროს ნიკიფორე ვრიენიოსის შვილიშვილი. მას სჭერია თანამდებობა ὁ ἐπὶ τῶν δεήσεων, რომლის მოვალეობას შეადგენდა მეფის სახელზე შემოსული განცხადებების მოვლა, აგრეთვე იმ განცხადებებისა, რომლებშიც უჩიოდნენ თანამდებობის პირებს². ნიკიფორე კომნენოსი გარდაცვლილა ჯერ კიდევ ახალგაზრდა.

კონსტანტინე მანასეს ეს სიტყვა გამოსცა ე. კურცმა (Ἀθύος ἐπικηΐθειος τῶν φιλοσόφου κερὸν Κωνσταντίνου τῶν Μανασσῆ πρὸς τὸν ἀποιχόμενον ἐπὶ τῶν δεήσεων κερὸν Νικηφόρον τὸν Κομνηνὸν τὸν ἔκχονον τῶν καίσαρος — „ფილოსოფოს უფალ კონსტანტინე მანასეს სამგლოვიარო სიტყვა, შედგენილი თხოვნათა მიმღებ მოხელის, კესაროს ვრიენიოსის შვილიშვილის ნიკიფორე კომნენოსის გარდაცვალების გამო“)³.

კონსტანტინე მანასეს ეკუთვნის რამდენიმე სხვა ნაშრომიც (სიტყვები, წერილები და სხვ.)⁴.

ლიტერატურა:

Constantini Manassis Breviarium historiae metricum. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnæ 1837.

¹ იხ. *Erotici scriptores graeci. Recognovit Rudolphus Hercher, Tomus alter. Lipsiae 1859*, გვ. 567. ჰერხერის ამ გამოცემის 553—577 გვერდებზე დაბეჭდილია კონსტანტინე მანასეს რომანის მოღწეული ფრაგმენტები: Ἐκ τῶν κατὰ Ἀρίσταρδου καὶ Καλλιμάχου ἐνυκία λόγοι. მოღწეულია პირველი წიგნის 68 ტავი: II—95 ტავი; III—72; IV—76; V—54; VI—65; VII—51; VIII—42; IX. 84.

² Н. Скабаланович, *Византийское государство и церковь в XI веке. СПб 1884*, გვ. 175.

³ იხ. *Виз. Временник XVII (1911)*, გვ. 302.

⁴ К. Kumbacher *GBL*³, 376—380; G. Moravscik, *Byzantinoturcica II*², 353—386.

Migne, Patrologia graeca, t. 127, 219—472.

R. Hercher, Erotici scriptores graeci, tomus alter, L. 1859, 553—577.

Э. Курц, Евстафия Фессалоникского и Константина Манасси монодии на кончину Никифора Комнина: В. Вр. 17 (1911), 283—322.

ბარდას აჯანყება და იბერები

Καὶ Βάρδας μὲν ὑπέκυψε τῇ τοῦ χρατοῦντος βάρβδω,	და ბარდა მოიდრიკა ხელმწიფის ჯონის ქვეშ,
Καὶ πάντες ὑπεστάλησαν λάθρα βασιλειῶντες,	და ყველანი, ფარულად მეფობის მამიებელნი, იოტნენ,
Ἔιχε δ' ἐμφύς Βασίλειον Ἀρράβων ἐθναρχία	და არაბთა სამთლობელომ მაშინვე ბასილი მიიქუა,
Καὶ Φάσιδος τὸ πόντιμον ἰβηρο- τρόφον ῥέθιρον	და ფაზისის იბერთ-მკვებავმა მტენარმა მდინარებამ,
Καὶ γῆ Φοινίκων βλάβασα ταυτὸν ἴσσεῖ πρηστῆρα.	და ფინიკიელთა ქვეყანამ, რომე- ლიც უყურებდა მას როგორც გრიგალს.
Ἐφριζῶν τοῦτον Ἰβηρες, ἔπτηξαν Ταυροσάνθαι.	იბერებს მისი შეეშინდათ, ტავ- რო-სკვითები შედრკნენ.
Ὁ γὰρ ὁ εἰδραπέτευσεν ἐκείνος Ἰβηράρχης.	ის ამაცი იბერთ-მთავარი წავიდა.
Οὕτως δὲξάσας ἀπασαν ἐπέδραμεν Ἀσίαν.	ასე სწრაფად მთელი აზია და- ლაშქრა ¹ . (ტ. 5962—5969)

¹ ამ ნაწყვეტში, თითქოს, იმაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომ ბარდა სკლია-როსის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბასილ II-მ მკაცრ პოლიტიკას მიმართა. «ყველანი, ფარულად მეფობის მამიებელნი, იოტნენო» რომ ამბობს კონსტანტინე მანასე, იგულისხმებინ, ალბათ, ჯერ ბარდა სკლიაროსი და მერე ბარდა ფოკა. 987 წელს აჯანყებულ ბარდა ფოკას მიეშველა დავით კუროპალატი, რამაც გამოიწვია ბასილის რისხვა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტორია II [1965], 128): «ამაცი იბერთ-მთავარი (Ἰβηράρχης)», საფიქრებელია ჰგულისხმობდეს დავით კუროპალატს. ბასილ კეისარს ავტორი ადარებს გრიგალს, რომელმაც «სწრაფად მთელი აზია დალაშქრა».

ამის შემდეგ კონსტანტინე მანასე ლაპარაკობს დანარჩენ მხარეებზედაც, სადაც ბასილ II-მ ილაშქრა.

Καὶ τὴν τεκοῦσαν στένουσαν πολλὰ καὶ γοωμένην τῶν περιβόλων τῆς ἀρχῆς ἀκούσαν ἀπελαύνει.	და მშობელი დედა ¹ , დიდად მკვნესარი და მტირალი სახელისუფლო ბჭეთაგან ძალით გააგლო
Καὶ τίθησι μοναστήριον... Μαθῶν δὲ καὶ τὸν Ῥωμανὸν πάλιν βασιλειῶντα, Καὶ πάλιν ἤς ἐκπέπτωκεν ἀρχῆς ὄρεχτιῶντα...	და შეამოლოზნა... როდესაც შეიტყო, რომ რომა- ნოზი კვლავ მეფობას აპირებდა, და კვლავ ისწრაფოდა ტახტის- კენ, საიდანაც ჩამოვარდა... გავზაგენა მიხეილმა მის წინააღმ- დეგ სამორად და შესაპყრობად ² . როდესაც მიხეილი გადაურჩა ჩა- მოწოლილ საშიშროებას და ჩაიბარა სამეფოს უშიშარი ხომალდი, საომარ არევ-ღარევას და აბ- ჯართ-ჟღარაუნს, მსახრავ ბრძოლებს, უბედურე- ბებს და ხიფათს სიზმარშიც კი ვერ წარმოიდ- გენდა...
Πέμπει τοὺς πολεμήσοντας καὶ τοὺς συλληφισμένους... Ἀπαλλαγεῖς δὲ Μιχαὴλ τῶν πα- ρεστώτων φόβων Ἀχείμαστον ³ τε τῆς ἀρχῆς παρα- λαβὼν τὸ σκάφος, Θορύβους μὲν ἀρεῖκούς καὶ θωρα- κοφορίας Καὶ θροῦν τὸν ἐνυάλιον καὶ μόχ- θους καὶ κινδύνους Οὐδ' ὄναρ ἐφαντάζετο...	მაგრამ ერთი ვინმე დიდგვარიიანი და პირველთუძიანთაგანი, საკმაოდ ხანდაზმული, მეორე პი- ლოსელი ნესტორი (ანე ეძახდნენ ნიკიფორე ბოტა- ნიატეს)... ხელთ იგდებს ნიკეას, უზაგვის ხელმწიფეს
Εἰς δὲ τις μεγαλογενῆς καὶ τῶν ἐκ πρώτης ρίζης, Γεραίτερος μακρόβιος, Πύλιος ἄλλος Νέστωρ (Βοτανειάτην ἔλεγον ἐκεῖνον Νικη- φόρον)... Καταλαμβάνει Νίκαιαν, πέμπει πρὸς τὸν κρατοῦντα	

¹ ვედოკია იყო მიხეილ დუკას მშობელი დედა და საკვირველია, რომ ზ. გელცერის „მოკლე ისტორიაში“, რომელიც კ. კრუმბახერის GBL-ს აქვს დართული, სწერია: Eudokia und ihr ältester Stiefsohn Michael Dukas (GBL, 1011; და რუსულ თარგმანშიც: Евдокия и ее старший пасынок — Бенешевич, Очерки I, 124). კონსტანტინე მანასეს (და სხვებსაც) გარკვევით უწერია; *τὴν τεκοῦσαν* „მშობელი დედა“.

² რომანოზი შეიპყრეს, თვალეზი დასთხარეს და პირქუშ კუნძულზე გადა-
კარგეს.

³ უფრო მოკვლილით: *ἀχείμαστον* ან *ἀχείμαντον*.

Γράμμα παραινετήριον ὀηθῆεν, დამრიგებლობითს წერილს და
 αὐτὸν συμπεῖθον ურჩევს მას
 Ἄναιματὶ τῷ γέροντι τῶν σκήπ- სისხლის დაუღვრელად დაუთმოს
 τρων ὑπεκστῆναι, მოხუცს სკიპტრა,
 Αὐτὸν δ' ὡς ἀπειρόμαχον ζῆς ἐν თვითონ კი ბრძოლებისაგან თა-
 ἀπραγμοσύνη. ვისუფალ ცხოვრებას მიეცეს.
 Καὶ τί πολλὰ καὶ περιττά; φθάνει ამაზე მეტი რა გავიხსენო? მოდის
 τὴν βασιλίδα, სამეფო ქალაქში
 Καὶ πορφυρίδι μὲν αὐτὸς κοσ- ძოწვეულით და ოქრომკელით შე-
 μεῖται χρυσοπάστω, მკული,
 Ὁ πρὶν δὲ κράτωρ Μιχαὴλ γίνε- ხოლო წინანდელი ხელმწიფე მი-
 ται μελαμφόρος, ხელი შავი ანათორით იმოსება,
 Ἔτεσιν ἕξ γευσάμενος τοῦ βασι- ექვს წელიწადს სამეფო ძალა-
 λείου κράτους. უფლების მგემებელი.
 Ἄλλὰ γὰρ ἐκλαθόμενοι αὐτοῦ τε მაგრამ თვითონ მას ავიწყდება
 καὶ τοῦ γήρωσ თავისი სიბერე
 Ὁ γέρων ὁ παλαιγενῆς οὐτος ὁ და მიხრწნილი ბებერი ნიკიფორე
 Νικηφόρος მიხეილის მეუღლეს შეეუღლა კა-
 Τῆ γαμετῆ τοῦ Μιχαὴλ ζεύγυσται ნონიერი ქორწინებით.
 νόμφ γάμου, და მიხრწნილი მოხუცი ამ ნახ
 Καὶ ταῦτα γέρων τρυφερῶ, πέμ- ახალგაზრდას დაეუფლა;
 πελος νεαζούσῃ· თვით იგი კი დამწუხრებელი და
 Αὐτὸν δὲ βαρυνόμενον καὶ δυσ- დაჯავროიანებული
 ανασχετοῦντα ეფესელთა ქალაქის მწყემსად
 Τῆς Ἐφεσίων πόλεως ποιμένα დააყენა¹. (ტ 6613—6684)
 καθίστάγει.

¹ რომ მიხეილ დუკა ეფესოს მწყემსად (მიტროპოლიტად) იქმნა დაყენებული. ამას სხვა მისტორიენიც გადმოგვცემენ. იხ. ზემოთ გვ. 156, შენ. 2.

ილანე ზონარა

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსაცემად დაამზადა.

და გამოკვლევა დაურთო

მიხეილ კახაძემ

იოანე ზონარას ცნობები საქართველოს შესახებ 1954—1955 წლებში დაამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთა პუბლიკაციის განყოფილების დავალებით ამ განყოფილების უფროსმა მეცნ. თანამშრომელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა და ჩვენში კარგად ცნობილმა ბიზანტინისტიმა მიხეილ კახაძემ. მან ამოკრიფა ნაწყვეტები ბერძნული ტექსტის გამოცემებიდან, შეადარა სხვადასხვა გამოცემაში მოყვანილი ვარიანტები, ბერძნული ტექსტი თარგმნა ქართულად და შესავალი ნარკვევიც დაურთო. ამჟამად დროს თავისი შრომის ხელნაწერის აშიებზე საშენიშვნო მითითებები იყო მიწერილი და, რასაკვირველია, ამ მითითებების მიხედვით განზრახული ჰქონდა დაერთო შინაარსობლივი კომენტარები, რომლებიც ბერძნული ტექსტის გაცემაში უთუოდ ნათელს შეიტანდა.

მ. კახაძე უდროოდ გარდაიცვალა 1959 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ და, ზოგიერთი მისი ნაშრომი, მათ შორის „იოანე ზონარაც“ საბოლოოდ გამართული არ აღმოჩნდა. ჩვენ თავის დროზედაც დაგვემილი გეჰქონდა, რომ მ. კახაძის „იოანე ზონარა“ შევიდოდა ჩვენი „გეორგიკის“ სათანადო ტომში, ისევე როგორც დოქ. ალ. გამყრელიძის „ამიანე მარცელინე“ შევიდა „გეორგიკის“ I ტომში. და როდესაც ახლა „გეორგიკის“ VI ტომი იბეჭდებოდა, სადაც ქრონოლოგიურად „იოანე ზონარაც“ უნდა შესულიყო, წინათ შედგენილი გეგმა არ შეეცვალეთ და ვათავსებთ აქ მ. კახაძის ნაშრომს.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ბერძნული ტექსტის სწორად გაცემისათვის აუცილებელია შინაარსობლივი კვლევა-ძიების ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობა დაიბადოს.

ამის საილუსტრაციოდ შეგვეძლო მოგვეყვანა შემდეგი შემთხვევა. თავისი „ისტორიის“ XV,1-ში იოანე ზონარა მოგვითხრობს ლეონ სპათარზე, რომელსაც იუსტინიანე II გზავნის აბაზგების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ზონარას აგონდება პროკოპი კესარიელის „ისტორიის“ ის თავი, სადაც ლაპარაკია აბაზგებზე. თუ როგორ ასაქურთისებდნენ ისინი ბავშვებს და ჰყიდდნენ «რომაელებზე აუარებელ ვერცხლად», თუ როგორ მოათვინიერა იუსტინიანემ აბაზგები მათში ქრისტიანობის გავრცელებით და სხვ. და ყველაფერ ამის შემდეგ ისტორიკოსი განაგრძობს: «ამოტომ აბაზგების დასასჯელად ცხვირმოჭირილმა იუსტინიანემ... გაგზავნა სპათარი ლეონი»-ო (იხ. გვ. 238—231). მკითხველს ეგონება, რომ აქ ერთსა და იმავე იუსტინიანეზეა საუბარი, იმ დროს როდესაც ამ მოთხრობის პირველ ნახევარში VI საუკუნის ამბებია გადმოცემული (იუსტინიანე I), ხოლო მეორე ნახევარში — VIII საუკუნის დასაწყისი იგულისხმება.

სამწუხაროდ, მ. კახაძეს არ დასცალდა საბოლოო რედაქცია გაეკეთებინა თავისი ნაშრომისათვის და დამეშუავებინა ის საკითხები, რომელთა შესახებაც თავისი დედნის აშიებზე მითითებული ჰქონდა სათანადო წყაროები. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, შევამოწმეთ მ. კახაძის მითითებების მხედველობაში მიღებით თარგმანის შინაარსობლივი მხარე და, სადაც კი შევნიშნეთ უზუსტობა ან ხარვეზიანობა, შევავსეთ და შევასწორეთ. შესაძლებელია ზოგი რამე ჩვენც გამოგვჩანდეს. მაგრამ მკითხველს გვერდში ექნება ბერძნული ტექსტი, რომელიც ჩვენ დიდის უურაღლებით შევამოწმეთ.

ს. ყაუხჩიშვილი

იოანე ზონარა

იოანე ზონარა ერისკაცობაში დიდი სახელმწიფო მოხელე ყოფილა: ბიზანტიის მეფის კარზე მას სკერია, ჩვენში მიღებული სა-
მოხელეო ტერმინებით რომ ვთქვათ, ქეშიკთ-უხუცესისა (ყორჩიბა-
შის) და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობანი (μῆγας ἑπισυγχαριος
αἰς βίβλην καὶ πρωτοαποκριτής)¹. ბოლოს, მოხუცებულობის დროს,
ბერად აღკვეცილა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები
წმინდა გლიკერიას კუნძულზე არსებულ მონასტერში გაუტარებია².
მიზეზი მისი შემონაზვნებისა ყოფილა მისთვის ძვირფასი და საყვა-
რელი ცოლშვილის ამოწყვეტა. უცხოვრია იოანე ზონარას XI საუ-
კუნის დასასრულსა და XII საუკუნის პირველ ნახევარში³. სამწერ-
ლო მოღვაწეობა, ალბათ, ბერობაში დაუწყია (ერობაში, როგორც
მაღალი რანგის მოხელე, მწერლობისათვის დროს ვერ იშოვიდა).

იოანე ზონარას ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდიცაა და
მრავალფეროვანიც: მის კალამს ეკუთვნის ეგზეგეტიკური თხზულე-
ბანი, ცხოვრებები, სიტყვები, მოსახსენებლები და „მსოფლიო ქრო-
ნიკა“ (ἐπιτομή ἱστοριῶν)⁴. სპეციალურ ლიტერატურაში დავა იყო

¹ ასე გადმოგვცემს ზემოაღნიშნულ ზეგონულ სამოხელეო ტერმინებს კ. კ რ უ მ -
ბ ა ხ გ რ ი (იხ. Очерки по истории Византии, под редакцией и с предисло-
вием В. Н. Бенешевича, вып. III, 113); მ. კ რ ა ს ნ ო ყ ო ნ ის თარგმანით
ი. ზ ო ნ ა რ ა ს ეკირა იმპერატორის ტრიბუნალის ვიცე-თავმჯდომარისა და მწიგ-
ნობართ-უხუცესის თანამდებობანი (იხ. Красножен М., Толкователи канонического кодекса восточной церкви: Аристин, Зонара и Вальсамон. М. 1892 г. გვ. 89).

² წმ. გლიკერიას კუნძული, როგორც პავლოვმა გამოარკვია, იყო ერთ-
ერთი საუფლისწულო კუნძულთაგანი მარმარილოს ზღვაში (იხ. П. О. Карпш-
ковский, Балканские войны Святослава в византийской литературе:
Византийский Временник № 6, 1953 წ. გვ. 59).

³ იქვე.

⁴ პავლოვის აზრით „მსოფლიო ქრონიკა“ ზონარას პირველი თხზულება
(იხ. А. Павлов, К вопросу о хронологическом отношении между Ари-
стином и Зонарой, как писателями толкований на церковные правила)
[ЖМНП. 1896, № 1, გვ. 173]. იოანე ზონარას მიეწერება აგრეთვე ლექსიკონი,
რომელიც სპეციალისტთა აზრით არავითარ შემთხვევაში მას არ ეკუთვნის (იხ.
ტიტმანის გამოცემა Ioannis Zonarae Lexicon, Лпц. 1805).

იმის შესახებ, რომ არის თუ არა ერთი და იგივე პიროვნება ჟამთააღმწერელი იოანე ზონარა და საეკლესიო თხზულებათა ავტორი ასკეტი-ზონარა, მაგრამ ჯერჯერობით მათი იგივეობა თუ დამტკიცებული არაა, არც უარყოფილია მეცნიერულად. ამ სადავო საკითხს, ჩვენის აზრით, გადასწყვეტს საპირისპირო ტექსტთა სტილისტიკური და ენობრივი ანალიზი, რომლის გაკეთება ჯერ არც ერთ მხარეს არ უკისრია. ჩვენ ეს საკითხი სრულებით არ გვანტერესებს და თუ ვახსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ იოანე ზონარას ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ორიოდ სიტყვის თქმა აუცილებელ საქიროებად მიგვაჩნია.

იოანე ზონარას ისტორია დიდი მოცულობის თხზულებაა და შეიცავს ამბებს ქვეყნის დასაბამიდან ვიდრე 1118 წლამდე, იოანე II კომნენოსის (1118—1143) ტახტზე ასვლის დრომდე¹. ამ უზარმაზარი წიგნის შედგენისას იოანე ზონარას ხელთ ჰქონია შემდეგი წყაროები: 1. იოსებ ფლავიოსის ა) იუდეელთა ომი და ბ) იუდეელთა სიძველენი. 2. ძველი აღთქმის წიგნები. 3. ევსებიოსის „ქრონიკა“. 4. თეოდორიტეს „ეკლესიის ისტორია“. 5. ქსენოფონტის „ქიროპედია“ (მთლიანად). 6. პლუტარქე. 7. ჰეროდოტე. 8. არიანე. 9. დიონ კასიოსი (რომის ისტორიისათვის). 10. თეოფანეს „ქრონოგრა“. 11. პროკოპი კესარიელი. 12. პატრიარქი ნიკიფორე. 13. კედრენე. 14. სიმეონ ლოგოთეტი და მაგისტროსი (სიმონ მეტაფრასტი), 15. სკილიცე. 16. ფსელოსი. 17. იოანე ქსიფილინოსი, 18. პეტრე პატრიკიოსი, 19. ნიკიფორე მონაზონი. 20. სკილიცეს გაგრძელება. 21. გიორგის გაგრძელება და 22. თეოფანეს გაგრძელება. (აქვე უნდა შევნიშნოთ: 1) რომ XIII წიგნიდან XVIII წიგნამდე ჯერჯერობით წყაროები მიკვლეული არაა და 2) I—XIII წიგნებშიაც კი გამოყენებული აქვს იოანე ზონარას, გარდა დასახელებული წყაროებისა, მრავალი უცნობი ავტორი).

იოანე ზონარას „მსოფლიო ქრონიკა“ ამ სახის ბიზანტიურ სხვა „ქრონიკებთან“ შედარებით მაღალი ღირსების თხზულებაა. ის სხვა ქრონიკებზე საფუძვლიანია და გარდა ამისა შეიცავს მრავალ ჩვენამდე მოულწეველ კარგ საისტორიო წყაროებს. მაშინ როცა

¹ მართალია იოანე ზონარას „ქრონიკაში“ გაბმული თხრობა 1118 წლამდე მოდის, მაგრამ კანტი-კუნტად ცნობები მას შემდეგდროინდელი წლების შესახებაც მოეპოვება. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მკვლევართ ივარაუდონ, რომ „ქრონიკა“ ზონარას დაუწერია იოანე II კომნენოსის მეფობაში (1118—1143), ხოლო დანარჩენი თხზულებები კი — მანუელის დროს (ე. ი. 1143—1180). (იხ. ა. პავლოვი О. с. გვ. 174).

სხვა ქამთაალმწერლები კმაყოფილდებოდნენ ძველი ბიზანტიური კრებულებით, როგორცაა, მაგალითად, იოანე ანტიოქიელისა, თეოფანე ქამთაალმწერელისა და გიორგი ამარტოლის თხზულებები. იოანე ზონარა, პირიქით, პოულობს უფრო ვრცელ ძველ საისტორიო შრომებს და იქიდან ლებულობს ახალსა და საინტერესო მასალებს.

იოანე ზონარას „ისტორია“ არა მარტო მაღალი ღირსების მასალათა სიუხვით სჯობია სხვა ქამთაალმწერლებისას, არამედ გადმოცემის ფორმითაც, ერთ. მაშინ როდესაც სხვა ავტორები თავს არ იწუხებენ მასალათა გადამუშავებაზე და პირდაპირ გადმოიწერენ ამათუ იმ წყაროს, იოანე ზონარა ასე როდი იქცევა: ის ცდილობს, რამდენადაც კი მოსახერხებელია, მოკლედ და თავისი ერთ გადმოსცეს მის ხელთ არსებული წყარო¹. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იოანე ზონარა, ძალიან ხშირად, მისდა უნებურად წყაროს გავლენის ქვეშ ექცევა და მის ისტორიაში ენისა და სტილის სიჭრელე იგრძნობა. ხშირად მის ისტორიაში შეხვდებით წინააღმდეგობებსაც, რასაც თვითონაც კარგად გრძნობს, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს². რომ ეს ნაკლი თავიდან აეცილებინა, მაშინ ის ყველა წყაროს კრიტიკულად უნდა მიდგომოდა და თავიდან ბოლომდე ეს უზარმაზარი საისტორიო მასალა საკუთარი გონების ბრძმედში გაეტარებინა. ეს საქმე კი იმდენად ძნელია, რომ დაჩაჩანაკებული ბერის ენერგიას, ალბათ, აღემატებოდა. ისტორიის ორიგინალურ ნაწილში იოანე ზონარას თხრობა არის ნარნარა, მწყობრი, რომელსაც არ აფერხებს არავითარი მოულოდნელობა ელფერით გამოწვეულია შენიშნავს კ. კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი. (იხ. *Очерки по истории Византии* вып. III, 116). ასეთ ორიგინალურ ნაწილად ზონარას „ისტორიისა“ მიაჩნიათ ალექსი კომნენოსის მეფობის პერიოდი, ე. ი. ის ამბები, რომლებიც აღწერილია 1080—1118 წლების ქვეშ (იხ. *Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в.*). მაგრამ საკითხი ისმის: განა ეს ნაწილი კი არის ორიგინალური? მთლიანად ზონარას წყაროები ხომ მიკვლეული არაა ჯერჯერობით? ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIII წიგნიდან XVIII წიგნამდე ზონარას წყაროების კვლევაზე

¹ ამის დასამტკიცებლად იხ. ქვემოთ ორი მაგალითი: 1) იაფეტის მოდგმა და 2) წათე I-ის გამეფება.

² იხ. ქვემოთ «იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილი იოანე ზონარას მიხედვით».

არავის უმუშავია და ალექსი კომნენოსის მეფობის ხანაც ხომ სწორედ ისტორიის ამ ნაწილშია?

ზემოჩამოთვლილი ღირსებების გარდა იოანე ზონარას „ისტორიის“ მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შემოგვინახა მრავალი ძვირფასი საისტორიო წყარო, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ასე, მაგალითად, ზონარამ და იოანე ქსიფილინოსმა აღუდგინეს ისტორიას დიონ კასიოსის 1—21 წიგნები, რომელთა დედნები დღემდე დაკარგულად ითვლება¹. იოანე ქსიფილინოსისა და იოანე ზონარას „ისტორიები“ ერთად-ერთი წყაროა ამ ძვირფასი საისტორიო წიგნების აღსადგენად. ამას გარდა ზონარამ შემოგვინახა რომელიღაც უცნობი საუკეთესო წყარო, რომელშიაც მოცემულია ბიზანტიის ისტორია ლეონ I დან იუსტინე II-დე (457—578 წლები) და სხვა.

მიუხედავად იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელიც იოანე ზონარას „ისტორიას“ აქვს, ის სათანადოდ არც შესწავლილია და არც გამოცემული. მთლიანი გამოცემა ზონარას ისტორიისა სამი არსებობს: Dindorfius BT (ლაიპციგი, 1868—1875 წლებში) ექვს ნაკვეთად (წიგნად), რომელთაგან I—IV-ში მოთავსებულია ისტორიის ტექსტი, ხოლო V—VI-ში ვარიანტები ორი ხელნაწერის მიხედვით. 2) PG 134, 135 ტომები და 3) პარიზის კორპუსში გამოქვეყნებული 1715 წელს (I, II ტ.). არც ერთი ეს გამოცემა დღევანდელ მეცნიერული მოთხოვნილების სიმაღლეზე არ დგას. შედარებით ამ გამოცემებთან უფრო მაღლა დგას ბიუტნერ ვობსტის გამოცემა (ბონი, 1897), რომელშიაც გათვალისწინებულია მრავალი ხელნაწერი ზონარას „ისტორიისა“, მაგრამ ის მთლიანი გამოცემა არაა, მასში მხოლოდ XIII—XVIII წიგნებია გამოქვეყნებული.

რაც შეეხება იოანე ზონარას „ისტორიის“ თარგმანებს, არც აქაა სახარბიელო მდგომარეობა: არსებობს ზონარას „ისტორიის“ თარგმანები ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ახალბერძნულ ენებზე.

სლავურ ქვეყნებში ზონარას ბედმა არ გაუღიმა; სლავი ქრონოგრაფოსები მხოლოდ კომპილაციებით დაკმაყოფილდნენ, ერთი ასეთი კომპილაცია დაბეჭდა პროფ. ბოდრიანსკიმ 1847 წელს სათაურით „Паралипомен Зонары“. მეორე კომპილაცია იპოვა პ. ლავროვმა ათონის მთაზე არსებულ ზოგრაფის მონასტერში

¹ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დიონ კასიოსის „ისტორიები“ ჩვენამდე, ასე თუ ისე მთლიანი სახით, მოაღწია მხოლოდ 37—54 წიგნებში.

1894 წელს და ცნობესი მისი ურთიერთობისა ზონარას ცნობილ რუსულ კომპილაციებთან¹ დაბეჭდა В. Вр. 1897 წ. № 4-ში.

ბ. ლავროვის ცნობით რუმინელების მუზეუმის უნდოლსკის კრებულში მოიპოვება ზონარას ტექსტის სრული (არა კომპილირებული, არა შემოკლებული) ნუსხა. სხვათა შორის, იოანე ზონარას ისტორიის ნუსხათა სიმცირე სლავურ ენებზე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ის მაინცადამაინც მოწონებული ავტორი არ ყოფილა სლავთა საისტორიო მწერლობაში².

დასასრულ, ერთი საკითხიც: არის თუ არა გამოყენებული იოანე ზონარას „ისტორია“ ქართულ ისტორიოგრაფიაში? ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა: არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ზონარას ცნობებით არ უსარგებლია³; მიზეზი ამისა ალბათ ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსები კედრენე-სკილიცეთი სარგებლობდნენ და რადგანაც ამ ჟამთააღმწერლებს იმეორებს ზონარაც X—XI საუკუნეების საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემისას, ამიტომ ჩვენმა ისტორიკოსებმა, სამართლიანად, პირველ წყაროს გამოყენება ამჯობინეს. მაგრამ ასეთი საქციელი ქართველი ისტორიკოსებისა სამართლიანი არაა: ზონარა, როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვა-სიტყვით არც ერთ წყაროს არ იმეორებს და, ამას გარდა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რამე მას რომელიმე

¹ ა. პოტაპოვი ბევრი იმეზავა რუსულ მატინათა შედგენილობის გამოკრევაზე და იგი იმ დასკვნაზე მივიდა, რომ დიდი უნეტესობა რუსული მატინებისა წარმოადგენს ოთხი ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის — იოანე მალალას, გიორგი ამართლის, კონსტანტინე მანასესა და იოანე ზონარას ქრონიკების კომპილაციას (იხ. Терповский Ф. А., Изучение византийской истории в древней Руси, вып. 1, Киев, 1875, გვ. 4).

² არსებობს ზონარას „ქრონიკის“ სრული რედაქციის ოთხიოდე ნუსხა სერბულ ენაზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთი დედნიდან მომდინარე პირებს (იხ. Потапов П. О., Судьба хроник Зонары в славяно-русской литературе) [ИОРЯС, т. XXII, 1917, кн. 2, გვ. 157]. რაც შეეხება მოკლე რედაქციას, ე. წ. „პარალიპომენს“ — ის ვრცელი რედაქციის მხოლოდ მექანიკურ შემოკლებას წარმოადგენს (იქვე, გვ. 161). პ. პოტაპოვი უგულვებელ ჰყოფს მის მიერვე მოყვანილ ფაქტებს და მაინც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თითქოს ზონარა დიდი პოპულარობით სარგებლობდა სლავურ ქვეყნებში! (იხ. с. გვ. 141). ამას გარდა მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ზონარას ტექსტი სერბულ ვრცელ რედაქციაში ბოლომდე, 1118 წლამდე, კი არაა თარგმნილი, არამედ კონსტანტინე პორფიროგენეტის (913—969) დრომდე. ეს ფაქტიც, ჩვენის აზრით, იოანე ზონარას არაპოპულარობაზე უნდა მიჭითებდეს.

³ მხედველობაში არაა მისაღები დ. ბაქრაძის მიერ ზონარას სახელის ლიტონი ხსენება კედრენესთან ერთად (იხ. ისტორია საქართველოსი I, 238).

უცნობ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელია სხვა კონიექტურაც ჰქონდეს მოცემული. ზონარას ცნობების რაობა სხვა ჟამთააღმწერელთა ცნობებთან მიმართებით ჩვენ მომავალში უნდა შევისწავლოთ, ხოლო ამჟამად კი, მისი ცნობების თარგმანით შემოვიფარგლებით. გავეცნოთ მისი ტექსტების ნიმუშებს ქართულ თარგმანში:

1. იოანე ზონარას დამოკიდებულება წყაროებისადმი

ბერძნული ბიბლია:

ბიბლიის ქართ. თარგ. ვულგატით:

წეს. 10,2: *Ἦιοι Ἰάφεθ Γαμέρ, και Μαγώ, και Μαδαί, και Ἰάβαν, και Ἐλισά, και Θοβέλ, και Μοσόχ, και Θείραζ. Καὶ υἱοὶ Γαμέρ Ἀσχαράζ, και Ἰυράν, και Θεργαμά. Καὶ υἱοὶ Ἰάβαν Ἐλισά, και Θάριζ...*

ძენი იაფეთისნი, ღამერ და მაგოგ, და მადაიმ, და იოვან: და ელისა. და თობელ, და მოსოქ და თირის და ძენი ღამერისნი, ასქანახ, რიფათ და თორღამა, და ძენი იოვანისნი, ელისა და თარზის...

Iosephti Ant. 1, 4—6.

ი ა ფ ე ტ ი ს მ ო დ გ მ ა

იოსებ ფლავიოსი

(იოანე პეტრიწის თარგმანი)

იოანე ზონარა 1, 5

ხოლო იაფეთოას უკუშ ნოხოს ყრმისა იყვნეს ძენი შუდნი. და მკვდრ არიან ისინი ტავროას და ამანოას მთაგან დამწყებელნი და შთამოვლენ ასიად ვიდრე მდინარედმდე ტანაასა. ხოლო ევროპეს შინა ვიდრე ღადირთადმდე მიწვენილნი. ქუეყანასა, რომელი დამთხვა და არა ვიეთისა მკვდრობისათჳს წარმართნი სახელითა მათითა უწოდანეს. რამეთუ აწ ელინთა მიერ ღალატად წოდებულნი. ხოლო ღომარად სახელდებულნი მალოგნი და ამკვდრნა. ხოლო სკუთას მის მიერ სახელდებულნი და იაფეთოას უკუშ ყრმათაგან იოვანოასა და ნადოასა. ნადოას ვიდრემე მიერ მადელნი იქმნებიან წარმართნი, რომელნიცა ელინთა მიერ მიღად იწოდებიან. ხოლო იოვანოასგან იონაჲ და ყოველი ელიონი იქმნებიან. დაამკვდრებს უკუშ თოვილოცა — თოვილოთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი მესხიოას მიერ აღშენებულნი

იაფეტს ჰყავდა შვიდი ძე, რომლგებიც ტავროსა და ამანის მთებიდან გამოვიდნენ და [დასახლდნენ] — აზიაში ტანაისის მდინარემდე, ხოლო ევროპაში — ღადირთა [ქვეყნამდე]; მათი სახელების მიხედვით წოდებულ იქმნენ ხალხები: გომარისაგან — გომარელნი, რომლებიც აწ გალატელებად იწოდებიან: მაგოგისაგან — მაგოგელნი, ამჟამად სკვიტებად წოდებულნი, იობასაგან — იონები და ყველა ელინნი არიან სახელდებულნი, მადაისგან — მადელნი, რომელთაც ანლა მიდიელები ჰქვიათ. თობელისაგან — თობელნი დაერქვათ, ესენი იბერები არიან. მოსოხისაგან წარმოიშვა მესხინთა ტომი, ესენი აწ კაპადოკიელებად სახელიდებიან; თირასაგან — თირელნი, ბოლოს თრაკიელებად შეეცვალათ მათ სახელი. იაფეტის ძის ასხანაქსისაგან — ასხანაქსები, ამჟამად რეგენები რომ ეწოდებათ, წარმოიშვნენ, ხოლო რიფათელთა ტომს რიფათისაგან მომდინარეუ ვარაუდობენ, წინათ მათ პაფლაგონიელებს

აწ კაპადაღუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამით განისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუწნებვის. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მახაკაეცხად მყოფელი გულისკმის ყოფად შემძლებელთა ესრეთ ოდესმე სახელის-დებასა ყოველისა ნათესავისა-სა. ხოლო თირას — თირად ეწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა — თრაკად გარდასახელნეს იგინი. და ესოდენი ვიდრემე ნათესავნი იაფეთოას ყრმათაგან დაემკვდრებიან. ხოლო ლომაროფსგან სამთა ძეთა ქმნილთა ასხნაზოს ვიდრემე ასხანაზნი დაამკვდრნა, რომელნი აწ რიგინად ელლინთა მიერ იწოდებიან. ხოლო რიფათის — რიფათელნი, პაფლადონად სახელდებულნი; და თორლამოს უკუშ თორლამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთაჲსა ფრჯიად იწოდნეს. [ხოლო] იოჯანოფსგან იაფეთოფსამის მიერცა სამთა ყრმათა ქმნილთა სა, ელისას ვიდრემე ელისელ, რომელთა ემთავრა, ხოლო აწ ეოლნი არიან. ხოლო თარსოს — თარსთა, რამეთუ ესრეთ იწოდებოდა ძუშლად კილიკიაჲ [და] მომასწავებელ უკუშ ესე, რამეთუ ტარსოდ მათ მიერ ქალაქთა უპატიოსნეჲსი იწოდების დედა-ქალაქად [მყოფი გარდამღებელთაგან ტარისათა წოდებისა მიმართ თანისა¹;

ეძახდნენ; თორგამელნი თავიანთ თავს თელიან თორგამის შემეკვიდრებად, რომელთაც შემდეგ ფრიგიელები ეწოდათ: ელისელნი — რომლებსაც მთაწრობდა ელისე, ამჟამად ეოლიელნი არიან; თარსისაგან თარსელთ მიიკუთვნეს სახელი, ძველად კილიკიელები იწოდებოდნენ თარსელებად, [მაგრამ ვინიდან] მათ ქვეყანაში არსებულ ყველაზე უპატიოსნეს ქალაქს ტარსოსი ერქვა, ჯ შესცვა-ლეს რ-თი (*Θαρσός* → *Ταρσός*).

¹ „პასქალური ქრონიკის“ ავტორი (VII ს.) და გიორგი სინგელოზი (VIII—IX ს. ს.) სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენენ იაფეტის მოდგმის სურათს:

პასქალური ქრონიკა

გიორგი სინგელოზი

ნოეს მესამე ვაჟის, იაფეთის, შვილები თოთხმეტია, ამდენივეა მათი მოდგმა: გამბრი, რომლისაგანაც წარმოშობილნი არიან კელტები. მაგოგი, რომლისაგანაც არიან აკირტანები. ზოგიერთები ამბობენ, რომ მაგოგისაგან არიან წარმოშობილი გუთები, სარმატები და სკითები. მადაი, რომლისაგა-

ნოეს მესამე ვაჟისაგან, იაფეთისაგან წარმოდგა თხუთმეტი ასეთი ტომი: ნოეს მესამე ვაჟის, იაფეთის, ვაჟები: ა) გამბერი, რომლისაგან წარმოშობილნი არიან კაპადაოკიელები. ბ) მაგოგი, რომლისაგანაც არიან კელტები ანუ გალატელები. გ) მადაი, რომლისაგანაც არიან მადიელები. დ) იოუმი, რომლისაგანაც

იოსებ ფლავიოსისა და ზონარას პარალელურ ტექსტთა შედარებიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენად ამოკლებდა იოანე ზონარა; მასთან, ე. ი. ზონარასთან ტექსტების შეიარისპირებით გამოტოვებულია: «*ὁ οὐρανὸς ὑπέστη*» (ვისი ძეა იაფეტი, ზონარა არას ამბობს), «*და იაფეთოჯს უკუჲ ყრმათაგან», «რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუწნების. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკაჲ ცხადმყოფელი გულისქმის ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმე სახელის-დებასა ყოველისა ნათესავისასა», ხოლო ღომაროჯგან სამთა ძეთა ქმნილთა», «ხოლო იაფეთოჯსა მის მიერცა სამთა ძეთა ყრმათა ქმნილობას. ანდა ავილოთ მეორე მაგალითი: წათე I-ის გამეფება ლაზიკაში თეოფანე ქამთალმწერლისა და იოანე ზონარას მიხედვით:*

2. წათე I-ის გამეფება ლაზიკაში¹

თეოფანე ქამთალმწერელი

იოანე ზონარა

*Τούτου τῶ ἐτει Τζδθιου ὁ τῶν
Αἰζῶν βασιλευς ἀποστατήσας τῆς τῶν
Περσῶν βασιλείας, καθάδου βασιλεῦ-*

ნაც არიან ბრეტანიელები. იოია, მისგან არიან ესპანელები, რომლებსაც აგრეთვე ტირანიელები ეწოდებათ. ელისა, რომლისაგანაც არიან მავრები. იობელი, რომლისაგანაც არიან მაკუაკები. მოსოხი, რომლისაგანაც არიან გეტულები. თერასი, რომლისაგანაც არიან აფრები, ასქანათი, რომლისაგანაც არიან მაზიკები. რიფათი, რომლისაგანაც არიან გარეგანი ტარამანტები. თორგარმა, რომლისაგანაც არიან ბორადები. ჰერკა, რომლისაგანაც არიან ბელტონები. თარსები, საიდანაც არიან შინაგანი ტარამანტები. როდიელები, საიდანაც არიან რომაელები, რომლებსაც აგრეთვე ლატინები ეწოდებათ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა IV, 1, 6).

*XIV, 5: Ὁ μέντοι Αἰζῶν ἀγοχηῶς
Τζδθιου ἀποστατήσας Περσῶν πρῶσεβ-
τήη τῶ Ἰουστινῶ, καὶ βαπτισθεὶς, ἰδὲ*

არიან ჰელლინები ანუ იონიელები. ე) თობელი, რომლისაგანაც არიან თეტალიელები. ვ) მოსოხი, რომლისაგანაც არიან ილლირიელები. ზ) თერასი, რომლისაგანაც არიან თრაკიელები. ლ) კეტტაემი, რომლისაგანაც არიან მაკედონიელები. იაფეთის ვაჟის გამეფის ვაჟები: თ) ასქანაზი, რომლისაგანაც არიან რეგინები. ი) რიქათი, რომლისაგანაც არიან სავრომანტები. ია) თორგარმა, რომლისაგანაც არიან არმენიელები. იოჯანის ვაჟები: იბ) ელისა, მისგან სიკელიელები. ივ) თარსები, საიდანაც არიან იბერიელები. იდ) კიტეები, საიდანაც არიან ლატინები ანუ რომაელები. იე) როდიოსი, საიდანაც არიან როდიელები (ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა IV, 1, 61—62).

¹ წათე I-ის მონათვისისა და ლაზიკაში გამეფების ამბავს გადმოგვცემენ „პასქალური ქრონიკა“ და იოანე მაღალა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა IV, 1, 11; გეორგიკა III, 264), მაგრამ ისინი არ უნდა იყვნენ ზონარას წყარო, ამ წლებისათვის (VI ს.) ლიტერატურაში ზონარას წყაროდ მიჩნეულია თეოფანე ქამთალმწერელი.

ონτος, και φιλοῦντος τὸν Τζάθιου, ὡς και αὐτοῦ προβαλλομένου αὐτὸν βασιλέα, τῶν Λαζῶν, ἦλθε πρὸς Ἰουστίνον εἰς τὸ Βυζάντιον, και παρεκάλεσε τὸν βασιλέα γενέσθαι αὐτὸν χριστιανὸν και ὑπ' αὐτοῦ ἀναγορευθῆναι βασιλέα τῶν Λαζῶν ὁ δὲ βασιλεὺς μετὰ χαρᾶς αὐτὸν δεξάμενος ἐφώτισεν αὐτόν, και υἱὸν ἀνηγόρευσε. ἐγγυε δὲ και γυναῖκα Ῥωμαίαν, τὴν ἐγγόνην Νόμου τοῦ παιριζίου και ἀποκοροπαλάτου, Οθαλέριστην τινα, και εἰς τὴν ἰδίαν χώραν ἔλαβεν, προχειρισθεὶς παρὰ Ἰουστίνου βασιλεὺς τῶν Λαζῶν, φορέσας στέφανον και χλανίδα βασιλικὴν ἄσπρον ἔχουσαν ταβλὴν χρυσοῦν, ἐν ᾧ ἐκ κεντητοῦ ἐνεξεχάρακτο ἡ εἰκὼν τοῦ βασιλέως Ἰουστίνου, και στιχάρην ἄσπρον ἔχον πλουμία χρυσᾶ, και εἰκόνα τοῦ βασιλέως. Τὰ γὰρ τζαγρία αὐτοῦ ῥούσια ἦσαν ἔχοντα μαργαρίτας Περσικῶ σχήματι ὁμοίως και ἡ ζώνη αὐτοῦ ἦν χρυσοῦ διὰ μαργαριτῶν. ἔλαβε δὲ παρὰ τοῦ βασιλέως δῶρα πολλά, και μετὰ χαρᾶς ἀπῆλθεν εἰς τὴν ἰδία...

Τῷ δ' αὐτῷ ἔτει ὁ βασιλεὺς Περσὸν ἐπολέμησε τῷ Λაζῶ Τζაθიუ, ὡς προορευέντι Ῥωμαίους...

ამ დროს ლაზთა მეფე წათი გადაუღდა სპარსელთა სამეფოს, რომელსაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი მივიდა ბიზანტიონში იუსტინესთან და სთხოვა მეფეს, რათა მას გაეჭრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მეფემ სიხარულით მიიღო ის, მონათლა და შევილად გამოაცხადა. წათიმ შეირთო რომელი ქალი, პატრიკიოს და აპოკურობალატ ნომოსის შვილი-შვილი, სახელად ვალერიანე, რომელიც წაიყვანა თავის საკუთარ ქვეყანაში, როდესაც იუსტინეს მიერ ლაზთა მეფედ იქნა ნაკურთხი. მას ემოსა გვირგვინი

te τοῦ βασιλέως ὀνομασθεὶς, και βασιλεὺς Λαζῶν ἀναγορευθεὶς γυναικί τε συζευχθεὶς ἐνὸς τῶν συγκλητικῶν θυγατρὶ, εἰς τὴν ἑαυτοῦ χώραν ἐπανελήλυθε. Τοῦτο αἴτιον αὐθις μάχης Ῥωμαίους και Πέρσους ἐγένετο, ὡς τοῦ βασιλέως Ῥωμαίων τοὺς αὐτοῖς ὑπέικοντας σφετεριζομένου.

ლაზების მთავარი წათე სპარსელებს გადაუღდა და იუსტინეს (ე. ი. რომაელებს) მიემხრო, ის [ბიზანტიონში, იუსტინეს სასახლეში ყოფნისას] მონათლა, მეფის ძედ იწოდდა, ლაზთა მეფედ იქმნა გამოცხადებული საჯაროდ, ერთი სენატორის (სენიკლიტიკოსის) ქალი შეირთო ცოლად და თავის ქვეყანაში დაბრუნდა; ეს შეიქმნა მიზეზი იმ ომისა, რომელიც კვლავ დაიწყო რომაელებსა და სპარსელებს შორის. [თუმცა] რომაელთა მეფე [წათეს მონათლავაში] თავის მონაწილეობას უარყოფდა.

და თეთრი სამეფო კლანიდი, რომელსაც ჰქონდა ჩაელებული ოქროს ზოლი, სადაც იუსტინე მეფის სურათი იყო ამოჭარგული; აგრეთვე თეთრი სტიქარი ოქრომკედლი ნაქსოვი და მეფის სურათით. მისი წაღები წითელი იყო და მარგალიტებით შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც ოქროსი იყო და მარგალიტებით შემკული. მეფისაგან ბევრი საჩუქრები მიიღო მან და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა თავის ქვეყანაში...

ამავე წელს სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლახთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა...

(ს. ყაუზჩიშვილი, გეორგიკა IV. 1. 77—79).

თეოფანე ჟამთააღმწერლის ტექსტი ზონარასთან ძალზე შემოკლებულია: იოანე ზონარა წათეს მეუღლის ვინაობა გამოტოვებული აქვს, გამოტოვებული აქვს ტექსტის მოზრდილი ნაწილი, სადაც წათეს ჩაცმულობაზეა საუბარი თეოფანესთან, ელჩების გაგზავნა ორივე მოპირდაპირე მხარეთაგან—სპარსეთის მეფის კავადის ბრალდება და ბიზანტიის მეფის დიპლომატიური თავისმართლება წათეს მონათვლისა გამო და სხვა.

როგორც ზემოთ ითქვა იოანე ზონარა სიტყვა-სიტყვით კი არ იწერს წყაროდან ტექსტს, არამედ მას საკუთარი ენით გადმოსცემს. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამაში იმავე წათე I-ის გამეფების პარალელური ტექსტების ლექსიკური მასალის შედარება ცხადყოფს:

ჰ. იოანე ზონარას მიერ წყაროს ენის გათავისებულება

ლექსიკური მასალა

თეოფანე ჟამთააღმწერელი:

იოანე ზონარა:

βασίλεις მეფე
ἵππε (ზმნიდან ἑξιπαι) მივიდა

ἄρχηρος მთავარი
πρωσεβέρη (ზმნიდან πρωσεβέρω) მივიდა

ἐπιστολή (ზმნიდან ἐπιστλή) მონათლა

βασίσις (ზმნიდან βασις) მონათლა

ἀσχυρῆσσι (ἀσχυρῆσσι) გამოცხადება

θυσιασθῆσσι (ზმნიდან θυσιασθῆσσι) წოდება

ἐγὼ (ზმნიდან *γὰρ*) შეერთო,
იქორწინა
ἐν τῇ ἐκκλησίᾳ თავის

σὺν ἑαυτῆς (ზმნიდან *σὺν ἑαυτῆς*) შე-
ერთო, *ἑσθ.* შეეუღლა.
ἐν τῇ ἐκκλησίᾳ თავის.

ამ მცირე საილუსტრაციო მასალიდან კარგად ჩანს იოანე ზონარას რედაქტორული მუშაობა საისტორიო წყაროზე. მას, ამ შემთხვევაში, თეოფანე ჟამთააღმწერლის ვულგარული ენა არ მოსწონს და ცდილობს შეარჩიოს უფრო ლიტერატურული სიტყვები და ამის შედეგად იძლევა დედნისაგან განსხვავებულ, სტილისტიკურად და ენობრივად შეცვლილ ახალ რედაქციას.

დასასრულ, ზონარას მასალათა გაცნობის მიზნით მოვიყვანოთ ორი ადგილი მისი ტექსტიდან:

4. იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილი ზონარას მიხედვით

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ იოანე ოქროპირი მისი პირადი მტრების დაბეზღებითა, და კერძოდ, ევდოქსიას დაჟინებითი მოთხოვნით თეოდოსი დიდმა გადაასახლა სომხეთის მიყრუებულ პროვინციაში, კუქუსოში. სამი წელიწადი იცხოვრა დიდ სიღიწროვესა და გაჭირვებაში აქ იოანემ და შემდეგ მისმა მტრებმა განიზრახეს მისი კიდევ უფრო შორს გადაკარგვა: აფხაზეთის განაპირა კუთხეში, ბიჭვინთაში. სამი თვის განმავლობაში საშინელ პირობებში მოგზაურობის შემდეგ, არაქათ გამოცლილი იოანე გარდაიცვალა კომანაში და იქვე დაასაფლავეს.

καὶ ὁ τῶν Ἀβασγῶν ἡγεμῶν
Γεώργιος εἰς τὰ τῆς Ἰβηρίας
ἀπέδρα βασιῦτερα, καὶ μετὰ βρα-
χὺς σπονδὰς αἰτήσας ἐξέστη τῷ
βασιλεῖ χώρας ἑπόσης ὁ αὐτο-
κράτωρ ἐβούλετο, εἰς ἡμερείαν

დაკმაყოფილებულიყო, მძევლად წამოიყვანა მისი ძე (ე. ი. ბაგრატი IV)¹ და ფინიკიისაკენ გამგზავრა. ტრიპოლის, დამასკოს

და ბეირუთის მთავრებს, რომელთაც ხელშეკრულება დაერღვიათ და ანტიოქიაში არსებულ დაფნესათვის თავის მხრივ ვნება მიეყენებინათ, შეებრძოლა, რომაელთა მორჩილების ქვეშ მოაქცია. მათგანაც მძევლები წაიყვანა და უკან გაბრუნდა. აი, ასე მოხდა ეს.

მერმე აბაზგიის წინააღმდეგ გაილაშქრა მეფემ იმიტომ, რომ მისმა მპყრობელმა (ე. ი. გიორგი I-მა) დაარღვია [მიზანტისთან დადებული] ხელშეკრულება. მისი იქ ყოფნის დროს ამბოხება მოაწყვეს ქსიფიამ² და ნიკიფორემ, ბარდა ფოკას ძემ, რომლებიც პატრიკიოსები იყვნენ, მაგრამ ეს შეთქმულება სასწრაფოდ იქნა ჩაქრობილი იმიტომ, რომ ქსიფიამ მოკლა ფოკა, ხოლო თვით ქსიფია შეპყრობილ იქმნა და შებოროკილი მიიყვანეს სამეფო ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში). იმ დროს როდესაც მეფე სახელმწიფოსათვის ამ საზრუნავში იყო, აბაზგებმა დაიწყეს შეტევები და ამ ფიცხელ ომში ბევრი ამოწყდა ორივე მხრიდან, იბრძოდნენ ერთნაირი თავგამოდებით, მაგრამ ამჯერადაც ომში გამარჯვება ხვდათ რომაელებს და აბაზგიის მთავარი გიორგი შიდა იბერიისაკენ გაიქცა; მცირე ხნის შემ-

¹ ბასილი II-მ მძევლად წაიყვანა ბაგრატ IV 1023—1024 წწ. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ერის ისტორია II², 134).

² ქსიფესა და ფოკას დამარცხება უნდა მომხდარიყო 1023 წლის მახლობლად.

παρασχών Παγκράτιον τὸν υἱὸν αὐτοῦ, καὶ ταῦτα διαγύσας ὁ βασιλεὺς ἐπανέζησεν.

ოთხოვდა და მძევლად მისცა თვისი ძე—ბაგრატი. აი ასე მოაგვარა საქმე და მძიმე უღელი მოიხსნა ქელიდან მეფემ.

XVII, 11. Τοῦ μέντοι τῆς Ἀβασγίας ἡγεμονεύοντος Γεωργίου Φανόντος ἡ τούτου σὺζυγος σπονδὰς ἐζήτησε καὶ σὺνοικον τῷ υἱῷ. Καὶ ὁ βασιλεὺς τὰς τε σπονδὰς ἀνεκαίνισε καὶ τὴν παιδα Βασιλείου τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ τὴν Ἐλένην γάμφῃν εἰς Ἀβασγίαν ἀπέστειλε, τὸν γυμφίον Παγκράτιον κουροπαλάτην τετιμηχῶς.

XVII, 14. Παγκράτιος δὲ ὁ ἄρχων Ἀβασγίας, ὃν τὴν οὐκείαν ἀνεψιὰν ὁ βασιλεὺς ἡγάσσατο Ῥωμανός, τὰς τε πρὸς Ῥωμαίους σπονδὰς ἔλυσε καὶ ὧν παρεχώρησε πρὶν Ῥωμαίοις φρούριων καὶ πόλεων ἐπελάβετο πάλιν, ἄς τάχα οὐκίας Ῥωμαίους πραττόμενος ὑπὲρ τοῦ βασιλέως καὶ θείου τῆς αὐτοῦ δμεινέτιδος.

დეგ გიორგიმ ითხოვა ზავი, დაუთმო თვითმპყრობელს ყველა ის ქვეყნები, რომლებსაც იგი მოითხოვდა და მძევლად მისცა თვისი ძე—ბაგრატი. აი ასე მოაგვარა საქმე და მძიმე უღელი მოიხსნა ქელიდან მეფემ.

ვინაიდან მაშინ აბაზგიის მთავარი გიორგი მომკვდარიყო, მისი მეუღლე ეძიებდა ზავსა და საცოლეს თავისი ვაჟისათვის¹. მეფემ ზავი განუახლა, და თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი ელენე აბაზგიაში გაგზავნა დედოფლად და მისი საქმრო ბაგრატი კურაპალატობის პატივში აიყვანა².

ხოლო აბაზგიის მთავარმა ბაგრატმა, რომელიც მეფე რომანოზის³ მოკეთე და ნათესავი იყო, რომაელებთან დადებული ზავი დაარღვია, რომაელებმა აღმოსავლეთის ციხეები და ქალაქები კვლავ სწორათად დაიბრუნეს უკან იმიტომ, რომ სიმართლე მეფისა⁴ და ღვთისნიერი დედოფლის მხარეზე იყო.

¹ სკილიცე-კედრენეს მიხედვით გიორგი I-ის მეუღლეს (ე. ი. მარიამ დედოფალს) მეფისთვის (ბასილი II-ისათვის) გაუგზავნია ელჩები საქუქრებით და უთხოვია ზავი და მშვიდობა და საცოლე ბაგრატი IV-ისათვის (ჟ) ὃς τοῦτου σὺνοικος πρέσβεις εἰς βασιλέα στείλασα μετὰ δάρου σπονδὰς τε εἰρηυιακὰς ἐζήτηε καὶ τῷ ταύτης υἱῷ Παγκρατίῳ τὴν συνοικήσουσαν).

² ბაგრატი IV-ის დედა, მარიამ დედოფალი, ბიზანტიაში წავიდა, ქვეყნისთვის ზავი ითხოვა, შვილს კურთპალატობა მოუპოვა და ცოლი მოჰგვარა 1029—1030 წწ. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ორ. ციტ. II², 137). ამ დროს ბიზანტიაში მეფობდა რომანოზ III არგირი (1028—1034) მის ცოლთან ზოიასთან (1028—1050) ერთად.

³ რომანოზ III (არგირი) ბიზანტიის კეისარი, უფრო სწორად თანამმართველი დედოფალ ზოიასთან ერთად (1028—1034).

⁴ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII (1025—1028) და მისი ლაშქრობა საქართველოში 1028 წელს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, II², 135),

XVII, 25. Καὶ ὅς τῷ Λιπαρίτῃ δυνάστη μοίρας τῶν Ἰβήρων τυγχάνοντι ἐπέστειλε συνελθεῖν τοῖς Ῥωμαίοις καὶ ἐπαρῆξαι κατὰ τῶν Τούρκων. Τῶν Τούρκων δὲ ἐπιστάντων ἦδη, οἱ Ῥωμαῖοι πολεμήσαι σφίσιν οὐκ ἔκριναν, εἰ μὴ ἐνωθεῖεν κατὰ τὴν βασιλικὴν ἐντολὴν καὶ τοῖς Ἰβήρῃσιν. Ἀτρεμούντων δὲ τῶν στρατιωτῶν, μὴ δυνάμενος αὐτοῖς ὁ Ἀλιμ συμβαλεῖν εἰς δχύρωμά τι προσκαθημένοις; ἔπεισι τῷ Ἄρτζε, κωμόπολις δ' ἦν τοῦτο πληθὺς δ' ἐνῶκει αὐτῷ ἴν' οὕτως εἰποίμῃ, καὶ ἀριθμόν ὑπερβαίνουσα, ἔμποροι δ' ἦσαν οἱ ἀνθρώποι, καὶ πλοῦτος ἦν αὐτοῖς περιττός. Ὡς γοῦν ἀτείχιστον τὴν κωμόπολιν ἐξ ἐφόδου ἔλειν αὐτὴν οἱ βάρβαροι ἠλπίζον, ἀλλ' ἔγνωσαν παραβουκολούμενοι ταῖς ἐπίσιν, ἐπεὶ περ ταύτη προσέβηλον. სეგბი იმედოვნებდნენ, რომ მას ჩაოგდებდნენ ხელში; ეს ამბავი მოხერხებით გაიგეს და არკეს თავს დაესხნენ.

Ταῖς γὰρ δισόδοις ὕλας ἐπαγαθόντες οἱ ταύτης κάτοικοι, καὶ ταύταις αὐτὰς ἀποφράξαντες, ἐκ τῶν δαμάτων ἔβαλλον τοὺς ἐναντίους καὶ ἀνῆρουν πολλοὺς, καὶ τοῦτο ἐφ' ἡμέραις ἐγίνετο ἐξ. Ὡς δ' ἔγνω ὁ τῶν Τούρκων στρατηγὸς ὁ Ἀλιμ ἐρρωμενέστατα τοὺς Ἄρτζηνοὺς ἀντεχομένους καὶ πολιορκία ῥᾶστα μὴ ἄλωτους, πρὶ τῶν ἀνδρῶν περιγεγέσθαι δ' ἐγνώκεν· αὐτίκα τοῖσιν

და მას შემდეგ რაც ლიპარიტმა დიდი ნაწილი იბერიისა იგდო ხელთ, გაგზავნა რომაელთა მიმართ [მოციქულები] და დახმარება აღუთქვა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქების ჯარი იდგა ერთ ადგილას და რომაელები მათთან შებრძოლებას ვერ ბედავდნენ მანამ, ვიდრე მათ, მეფის ბრძანებისაებრ, არ შეერთდებოდა იბერიელთა ჯარი. ვინაიდან რომაელთა სანხედრო ნაწილები უმოძრაოდ იდგნენ, ალიმმა ვერ შესძლო თავს დასხმოდა იმ ნაწილებს, სადაც ისინი იყვნენ გამაგრებულნი და ამიტომ გაემართა არკესაკენ; ეს იყო დაბა, ასე ვთქვათ. მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რიცხვჭარბით; ვაჭრები იყვნენ იქაურები და ქონებაც აუარებელი ჰქონდათ. ხოლო ვინაიდან დაბა დაუცველი იყო, ბარბარო-გაუჭირვებლივ, გზად ჩაეღოთ. დაბა დაუცველი იყო, ბარბარო-გაუჭირვებლივ, გზად ჩაეღოთ.

დაბის მცხოვრებლებმა ხეები მოზიდეს, შესასვლელი გზები ჩახერგეს, სახლებიდან ესროდნენ მტერს და ბევრიც ამოელიტეს. ასეთი ბრძოლა წარმოებდა ო დღის განმავლობაში. შეიტყო თუ არა თურქთა მხედართმთავარმა ალიმმა არქელების მელგარი თავდაცვის შესახებ, დარწმუნდა. რომ ალყის შემორტყმით მიზანს აღვილად ვერ მიაღწევდა და გადაწყვიტა ცეცხლით დაენარცხ-

ἀνήκτο τοῦτο καὶ τοῖς οἰκήμασιν ὑπεβάλλετο. Ὡς δ' ἐξήφθη πανταχόθεν πυρκαϊά, τρέπονται μὲν οἱ ἐγχώριοι, οἱ δὲ βάρβαροι κρητῶσι τῆς κωμοπόλεως καὶ πολὺν ἐν αὐτῇ χρυσὸν καὶ ἄλλον πλοῦτον εὐρήκασιν, ὅσος μὴ κατηγάλωτο πυρὶ.

Ἐντεῦθεν ἀπὸς κατὰ τῆς Ῥωμαϊκῆς ὠρμήκασιν στρατιᾶς. Ἦδη δὲ Λιπαρίτου σὺν τοῖς Ἰβηρσι παραγεγονότος, συμβολῆ τῶν στρατευμάτων ἐγένετο περὶ βουλυτόν. Ὁ μὲν οὖν Ἀλιμ καὶ Χοροσάνης, ἕτερος δ' οὗτος ἦν στρατηγὸς τῶν βαρβάρων, μετὰ τῶν ὑπ' αὐτοὺς τραπέντες ἐνέκλιναν εἰς φυγῆν, καὶ σφᾶς οἱ ἀγνιτεταγμένοι Ῥωμαῖοι μέχρι πόρρω νυκτῶν κατεδίωκον.

Ὁ δὲ Λιπαρίτης κατ' ἄλλο κέρας μαχόμενος ἑάλω τοῖς ἐναντίοις. Ὅς δ' ἐπαύσαντο τῆς διώξεως οἱ Ῥωμαῖοι, τὸν Λιπαρίτην προσέμενον, μὴ εἰδότες δὲ περὶ ἔκλεινον συμβέβηκεν. Ἐν τοσοῦτῳ δὲ τις αὐτοῖς ἀγγέλλει τοῦ Λιπαρίτου τὴν ἄλωσιν, καὶ ὅτι λαβόντες αὐτόν οἱ ἐλόγτες ἀπίασιν σὺν σπουδῇ. Οἱ μὲν οὖν Ῥωμαῖοι ταῦτα μαθόντες ἐν ἀπιστίας ἦσαν.

კილი] სასწრაფოდ გავზავნის [ამბავი]. რომაელები ამის გავებით ძალზე ნაწყენი დარჩნენ.

ბინა მცხოვრებნი; ამრიგად, დაუყოვნებლივ აანთეს ცეცხლები და სახლებს დააყარეს. როცა ყველგან გაჩნდა ცეცხლის კერები, ადგილობრივი მცხოვრებნი გაიქცნენ და ბარბაროსებმა ხელთ იგდეს დაბა, აუარებელი ოქრო და სხვა სიმდიდრე იპოვეს, რაც კი ცეცხლს არ გაენადგურებინა.

აქედან კვლავ რომაელთა ჯარის წინააღმდეგ გაემართნენ [ბარბაროსები]. უკვე ლიპარიტიც მოსულიყო იბერიელთა ჯარით, შეტაკება [მოწინააღმდეგე] ჯარებისა მოხდა სალამოს უამს. ალიმმა და ხოროსანმა (ეს ბარბაროსთა მეთრე მხედართმთავარი იყო) ამის გამო პირი იბრუნეს გასაქცევად და რომაელთა რაზმებმა მათ სდიეს მანამ, სანამ ძალზე არ დაბნელდა.

ხოლო ლიპარიტი, რომელიც მეთრე ფრთაზე იბრძოდა, მტრების მიერ იქმნა დატყვევებული¹. როდესაც რომაელებმა [ბარბაროსების] დევნა შეწყვიტეს, ლიპარიტს დაელოდნენ, მაგრამ ვერავინ ნახეს ისეთი, რომელიც ლიპარიტს შეხვედროდეს. ამ მდგომარეობაში რომ იყვნენ, ერთმა [პიროვნებამ] აუწყა მათ ლიპარიტის დატყვევება, ხელში ჩაგდება და მტერთა მიერ მისი [შეპო-

¹ ლიპარიტის დატყვევება თურქთა მიერ მოხდა 1043 წ. (იხ. ივ. ჯავახიშვილი II³, 145 და Cedrenus II, 575—580).

Οἱ βάρβαροι δὲ τῷ Σουλτάν τὸν Αἰπαρίτην ἐκόμισαν. Ὁ μὲν τοι βασιλεὺς μαθὼν τοῦ Αἰπαρίτου τὴν ἄλωσιν, πέμπει πρὸς τὸν Σουλτάν, ἐλευθερίας ἀξιώσας τὸν Αἰπαρίτην ζητῶν, καὶ λύτρα τούτου πέμψας πολλὰ καὶ ὄωρα δὲ τῷ Σουλτάν, καὶ σπονδὰς μέσον Ῥωμαίων καὶ Τούρκων ζητῶν γενέσθαι. Ὁ δὲ Σουλτάν τὸν μὲν Αἰπαρίτην ὄωρον στέλλει, τὰ δὲ γε λύτρα πάντα τῷ ὑπὲρ οὗ ἐπεπόμφεισαν δέδωκε, καὶ μηκέτι ὄπλα κατὰ Τούρκων ἀρασθαι παρηγγύησεν. Ἐκπέπομφε δὲ ἀκχεῖνος· πρέσβυν πρὸς βασιλέα, ὃν ἐκάλουν ἐκείνοι σερίφην. Οὗτος δ' ἐστὶ παρ' αὐτοῖς ὄπερ πάλαι ἦν παρ' ἡμῖν ὁ λεγόμενος σύγκελλος· ὡς γὰρ ὁ σύγκελλος τοῦ πατριάρχου θανόντος εἰς τὸν ἐκείνου τόπον ἀντικαθίστατο, οὕτω καὶ ὁ σερίφης τοῦ Χελιφᾶ φθαρέντος ἐκείνος τὸν τελευταίαντα διεδέχετο.

Ἐἰσελθὼν οὖν εἰς τὴν μεγάλην πόλιν ὁ σερίφης καὶ εἰς ἑμίλιαν τῷ κρατοῦντι ἐλθὼν καὶ ἑμίλῃσας ὑπερηφάνως φόρους τε τελεῖν ἀπαιτῶν τῷ Σουλτάν, ἀπέπεμφθη.

ბარბაროსებმა ლიპარიტი სულტანს¹ მიჰგვარეს. მაგრამ მეფემ (ე. ო. კეისარმა) შეიტყო თუ არა ლიპარიტის დატყვევება, კაცები გაუგზავნა სულტანს დიდი გამოსასყიდი თანხითა და საჩუქრებით, ითხოვა ლიპარიტის განთავისუფლება და რომაელებს და თურქებს შორის ზავის დადება. სულტანმაც თავის მხრივ ლიპარიტის ხელით საჩუქარიც გაუგზავნა მეფეს და მისთვის გაგზავნილი თანხაც უკან დაუბრუნა და ბრძანება გასცა, რომ არც ერთ თურქ ჯარისკაცთაგანს მისთვის ხელი არ ეხლო. და იქიდან (ე. ო. თურქებიდან) გამოგზავნილ იქნა მეფის მიმართ უხუცესი, რომელსაც სერიფეს ეძახიან; ეს არის იმათი ისეთივე [მოხელე] უძველეს დროიდან, როგორიცაა ჩვენში სინკლოზი. და როგორც სინკლოზი პატრიარქის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს დაიჭირს, ასევე სერიფიც — ხალიფას გარდაცვალების შემდეგ გარდაცვლილის მოვალეობას ასრულებდა.

გამომართა სერიფი დიდი ქალაქისაკენ (ე. ო. კონსტანტინეპოლისაკენ), მეფის სანახავად მოვიდა, წარუდგინა მას დიდი გადასახადი, სულტანი რომ ითხოვდა [რომაელებიდან], და უკან გაბრუნდა.

¹ სულტან ტოღრუღბეგს მიჰგვარეს ლიპარიტი 1048 წელს. კონსტანტინე IX-მ, ბიზანტიის კეისარმა (1042—1054) საჩუქრები და ფული გაუგზავნა სულტანს და 1051 წელს ლიპარიტი განათავისუფლეს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ვრთი ისტორია II², 146).

Ἐντεῦθεν βαρυσμῆσας ὁ Σουλτάν αὐτὸς κατὰ Ῥωμαίων ἐχώρησε, καὶ ἔκτοτε προχωροῦν τὸ τῶν Τούρκων ἔθνος τῆς ἐράδας πάσης ἐκράτησε καὶ μέχρι τῆς ἀντιπύρριμου τῆ Βυζαντίδος ἡπειρου κατήντησε. Ἐὰ μὲν οὖν τῶν Τούρκων τοῦτον ἔσχε τὸν τρόπον.

XVIII, 28. Ἄρτι δ' ἐξεληθόντι τὸν τῶν Μαγγάνων περίβολον προσυπαντώσιον οἱ Ἄβασγοί· οὗτοι δ' ἦσαν οἱ τῆ ἐξ Ἄβασγίας κομισθείση παιδί καὶ νυμφευομένη τῷ μείζονι τῶν υἱέων τοῦ Καίσαρος ἐκεῖθεν συναπεστάλησαν, καὶ ὑπηντηχότες ἐπηγάλαζάν τε καὶ προσεκνήνησαν. Τότε φασὶ τὴν βασιλίδαν τῷ θνήσκοντι βασιλεῖ περιπαθῶς ἀπαγγεῖλαι τὴν τοῦ υἱέος ἀπέλευσιν, τὸν δὲ φθιέξασθαι μὲν πρὸς τοῦτο μηδέν, ἢ μὴ βουλόμενον ἢ μὴ θυνάμενον, διαῖραι δὲ τὰς χεῖρας ὑψοῦ οὐκ οἶδ' ὑπερευχόμενον τοῦ υἱοῦ εἶτε μὴν κατευχόμενον. Ἄλλοι δὲ φασὶ μὴ τὰς χεῖρας διαῖραι τὸν θνήσκοντα, μηδὲ γάρ οἶον τ' εἶναι ἤδη ἐκλείποντα, τῆς δὲ βασιλίδος πολλάκις ἀνακραγούσης. Ὡς „ἀπεισιον ὁ υἱός σου ἔτι ζῶντά σε τὴν βασιλείαν ἀφαιρησόμενος“ ἐκεῖνον ὑπομειδιᾶσαι βραχὺ τι καὶ ἀμυδρόν, ἢ τῶν λεγομένων καταγελῶντα, εἰ νομίζοιτο περὶ τῆς βασιλείας φροντίζειν ἐκπνέων ἤδη καὶ τῶν γεηρῶν ἀφιστάμενος, ἢ τὴν τῆς ψυ-

ამ დროიდან განრისხდა სულტანი რომაელებზე და გაემართა მათ წინააღმდეგ, ამიერიდანვე დაიძრა თურქთა ტომი აღმოსავლეთიდან, დაიპყრეს ყველა ადგილი და ბიზანტიდის გაღმა მდებარე ქვეყნებამდე მიიღწიეს. აი, ამნაირად დაეუფლნენ თურქები ამ ადგილებს.

მანგანის კარიბჭიდან ვამოსვლისთანავე მას შემოხვდნენ აბაზგები; ესენი იყვნენ აბაზგიიდან წამოყოლილი მხლებლები იმ ქალიშვილისა, რომელიც დანიშნული იყო კესაროსის უფროს ვაჟზე. შემოხვედრილმა [აუზაზებმა] მიიზინეს [მეფესთან] და თავყანი სცეს მას. მაშინ ამბობენ, რომ დედოფალმა მომაკვდავ მეფეს აუწყა მისი ვაჟის წასვლა. ხოლო მას (ე. ი. მეფეს) ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს: ან არ სურდა ეთქვა რამე, ან არ შეეძლო. ხელები აღაპყროო მაღლა ამბობდნენ, მაგრამ არ იცოდნენ უნდა დაეწყევლა თუ დაელოცა თავისი ვაჟი. ხოლო სხვები მომაკვდავის მიერ ხელეების აპყრობაზე არათერს ამბობენ და არც დანარჩენ სხვა რაიმეს; ამბობდნენ მხოლოდ იმას, რომ დედოფალმა არაერთგზის ჩაიბუტბუტაო, რომ «დაიღუპოს შენი ძე, თუ კი იგი შენს სიცოცხლეში მეფობას მოგტაცებსო»; ამ დროს მას (ე. ი. მეფეს) მცირედ ჩაეცინა გაურკვეველი მისამართით, შესაძლოა თქმუ-

χῆς ἐπὶ τῷ πραττομένῳ διαθέσειν ὑπεμφαίνοντα. Ἐλέγετο γὰρ τοι καὶ παρ' ἄλλων καὶ παρ' ἐκείνου τοῦ πορφυρογενοῦς αὐτοκράτορος μὴ γνώμης ἄτερ πατρικῆς θέσθαι τὴν εἰς τὰ βασιλεία παροῦσαν, ἀλλὰ παρ' ἐκείνου ἐπιτετραφῆναι οἱ τὴν ἕξοδον καὶ σύνθημα ταύτης ἔκ τοῦ πατρὸς λαβεῖν τὸν ἐκείνου ὀακτύλιον· ταῦτα δὲ μὴ παρούσης γενέσθαι τῆς βασιλίδος καὶ ἀγνοούσης ὅτι γέγονασιν. Ὁ μὲν οὖν ἀπήει. Τῆς φήμης δὲ κηρυξάσης ταχὺ τὸ πραχθῆναι, τῷ βασιλεῖ τοῦτῳ καὶ τὸ συγγενὲς προσήει καὶ τῶν στρατιωτικῶν ἀρχόντων πολλοὶ καὶ τῶν τῆς συγκλήτου βουλευτῆς. ἡ ἀσπὴ ἡσασα. სწრაფად გავრცელდა ხმები ამ მეფის საქმეთა შესახებ და შეიკრიბნენ მეფის ნათესავები, მრავალი სამხედრო არქონტი და სენატის წევრები.

ლის გამო, რომ განა შეუძლია მომაკვდავს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდვას, იზრუნოს სახელმწიფოსათვის, ან და გამოიჩინოს ასეთი საქმიანი განწყობილება სულისა. ამ მოწითომოსილ თვითმპყრობელზე ითქვა სხვათა მიერ სხვა რამეებიც: უაზრობა არისო მამისეული მემკვიდრეობის დაგდებისა და სახელმწიფოსაგან გასვლის [ამბავი]; ბიროქიოთ, თვით მისგან (ე. ი. მეფისაგან) იქნაო, დასასრულ, ხელდასხმული და მამისგან მიიღოთ სამეფო ბეჭედი მისმა ძემ; ეს არ იცოდნენ დედოფლის ფარეშებმა (პაროსთეს = თანადამსწრეებმა) რომ მოხლო. ამ ამბავმა ასე ჩაიარა. სწრაფად გავრცელდა ხმები ამ მეფის საქმეთა შესახებ და შეიკრიბნენ მეფის ნათესავები, მრავალი სამხედრო არქონტი

მიქედ ჰსედოსის ორი ტრაქტატი

- ა) განმარტებაჲ დღესასწაულთათჳს
- ბ) ჰირმშოხსათჳს

I*

მიქელ პანუჟერტიმოსისა მონაზონისა კსელოსისა
თქმული განმარტებაჲ სადუმლოსა საუფლოსა
წმიდათა დღესასწაულთასა

წინადათან ჯეროვანისა გალობისა თანა და კითხვისა თუთოეულისა სადმართოჲსა წერილისა მეცნიერებაჲ გზღირს დღესასწაულისაჲ და ამისისა სადუმლოსაჲ მედლ(19b)ესასწაულთა, რაჲთა ამისნი¹ მეცნიერნი და პალისა მისისა მიმართ თავთა თუსთა მიმუყანებელნი ჰუმარიტებით ზიარ ვიქმნებოდით აღსრულებულისა სადმართოჲსა სადუმლოჲსა და ნებისაებრ ღმრთისა შემკრებელისა ჩუენ ამისა მიმართ მედღესასწაულნი ვიპოვნეთ. საჭიროდ შევჭრაცხე აწ მცირედისა მიერ გამოჩინებს(?) რომელსამე და სახესა დღესასწაულისგან ცხად ყოფაჲ და რაჲთა პუელთა დღესასწაულთაგან ვიწყო.

რაჲ შაბათი და რაჲ ახალთთუე²

შაბათი არს ბოროტთაგან უქმებაჲ და განუენებაჲ, ხოლო ახალთთუე განახლებაჲ კეთილთა საქმეთა შინა³ და სადმართოჲთა მცნებითა და სარწმუნოებითა და ახალსა კაცსა ხატებრივსა დამბადებლისა მისისა ღმრთისსა თავსა შორის თუსსა ჩუენებად ამათ მიერ. ხოლო ვინაჲთგან პასხაჲსათუს და ერგასისა მაშინ ითქუას, რაჲჲამს ყოველთა დღესასწაულთა ჩუენ კაცთათუს ვთქუათ.

* იბეჭდება პირველად.

¹ ამინის.

² ახალთთუე.

³ ლამბროსის კატალოგში (I, 324, s. № 3599) ვკითხულობთ, რომ XIV ს. ხელნაწერს № 3599, რომელიც შეიცავს დავითნს (*ψαλτήριον*), წინ უძღვის უსათაურო ძეგლი, რომელიც ასე იწეება:

*Σάββατον μὲν ἔστιν ἀπὸ τῶν κακῶν
ἔργων καὶ ἀποχῆ. [N]εομηνία δὲ τὸ
ἀεὶ θεάξω τοὺς ἀγαθῶν ἔργων.*

რაც სიტყვა-სიტყვით უდრის ქართული ტექსტის სიტყვებს

«შაბათი არს—კეთილთა საქმეთა შინა».

ლამბროსის აღწერილობაში სხვა არაფერია მოყვანილი, და არც ის სჩანს, თუ ეს ძეგლი რამხელაა. მაგრამ იმავე ხელნაწერში ორი სტატიის შემდეგ მოიპოვება მიქელ პსელოსის *Στοιχιδά ἐν τῷ 89' ψαλμῶν*, და იქნებ პირველი ძეგლიც პსელოსისავე იყოს.

რახსა მოასწავებს კრებად

წუ უკუე სადღუმლოდ მოსწავებული კარვობისა მიერ არს კაცობ-
რივთა სხეულთა შემტკიცებად აღდგომისა მიერ უხრწნელობითა და
უკ[უ]დავებითა, ანუთუ სავანენი ზეცისა სამეფოსანი, რომელნიცა წმიდათა
ვითარ რიტორთა მიერ ფინიკთა სულიერთაჲსა და ძეწნისა და ყოვ-
ლისავე ხისა სულნელისა თავსა თუსთა აღჰმართნეს. და ძეწნი ვიდ-
რემე მოასწავებს უნაყოფობასა ბოროტთასა, რამეთუ უნაყოფოდ არს
ნერგი ესე. ხოლო ყოვლისგან ხისა სულნელნი რტონი სულნელებ[ა]სა¹
ცხად ჰყოფენ საღმრთოთა² სათნოებათასა. ხოლო რტონი ფინიკთან
მოასწავებენ სიწმიდესა გულისსა, ესე იგი არს გონებისასა, და სიწმი-
დესა მეცნიერებისასა, და ბოროტისა მიმართ ძღვევისასა, რამეთუ სიწ-
მიდისა და სიმაღლისა და ძღვევისასა ხედ ი(20ა)ტყუან ფინიკსა მამანი.
ამათ მიერისა უკუე წარმართებისა და კეთილის ყოფისგან ზენათა
სავანეთა მოუგებს ვინმე თავსა თუსსა და კ[ა]რვობასა საუკუნესა და
ღმრთისა სათნოსა დღესასწაულობს. არა უკუე ესრეთ, ვითარ აწ
იუღელთა ჰგონიეს მეკარვეობისა ყოფაჲ. და ესენი ვიდრემე ძუელთა
დღესასწაულთათუს.

წმიდისა ქრისტეს-შობისათუს

ხოლო იწყებოდენ ჩუენთუსცა და პირველად ვიდრემე უთესლოჲსა³
მიდგომილებისათუს ჩუენთუს მუცლად მღებლისა ღმრთისა, სიტყუსა
საშოსა შინა ღმრთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა,
ვთქუათ აწ უკუე ყოვლისა ქორციელისა გემოვნებისგან განყენებული
და ყოვლისა სიწმიდისა თანამსმენე-ქმნილი საღმრთოჲსა სიტყუსაჲ.
და ამისი ყოვლისა შიშისა თანა გონებასა შინა თუსსა მოქონებული და
კეთილთა საქმეთა მიერ ამისი სრულ-მყოფელი წერილისაებრ «ამისთუს
შიში შენი უფალო მუცლად ვიდეთ და ვიღმეთ» ნანდულ კეთილად
ღმრთისა სიტყუსა მუცლად ღებასა საშოსა შინა ქალწულისასა, ესე
იგი არს ხარებასა წმიდისა ღმრთისა მშობელისასა დღესასწაულობს.
ხოლო საქმით სრულ-მყოფელსა და ვითარ სხეულსა შინა სათნოებათა
მიერ სულიერთა ჰუმმართისა მეცნიერებისა მიერ უვნებელითა სარწ-
მუნოებით სმენითა მუცლად უღებიეს გონებასა შინა თუსსა საღმრთოდ

¹ სლნლბსა.

² სლთთთა.

³ უთესლოსაჲ.

სიტყუაჲ, და საჩინო-ყოფელსა ამისა მოუკლებელისა სათნოებისა მიერ აღუსრულებიეს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ თქემული: «და გუელმოდა და ვშვით სული მაცხოვარებისა შენისა: ვუაჲ მიწასა ზედა და ჯერონად უკუე ჭეშმარიტებით ჩუენთჲს წმიდისა ღმრთის-მშობელისგან ჯორციელად შობილისა ღმრთისა სიტყუსა შობასა დღესასწაულოჲს. ხოლო დაწესებულნი მწყემსნი შობილისა ქრისტეს სიტყუერ(20b)ისა სამწყუსოსანი, უკუეთუ კეთილად და მეცნიერად მღვძარებით სცვიდენ თჲსთა საცავთა თქემულსა სამწყუსოსა ღამესა შინა ამის ცხორებისასა, ესევეთარნი იგი არა კაცთაგან, არამედ ზეციერთა ძალოთაგან ისწავებენ შობილსა საადუმლოჲსა¹ ვიდრედა ნეშტად თ[უა]ლით მხილველ იქმნენ ესენი და სხუათა ახარებდენ ამას.

წინადაცუეთისათჲს

ხოლო მოქმედებისა მიერ და უმახვლესისა ყოველისა მახვლისა ორპირისა საღმრთოჲსა სიტყუსა ყოველსა ბიწსა და ჯორციელსა გულისთქემასა თავთა თჲსთაგან მომკუეთელნი და შობითგანსა საჭურველსა უმეცრებისასა მთავარებრივისგან თავთა თჲსთაჲს განმგდებელნი, ესევეთარნი ესე კეთილად მერვესა დღესა უფლისა წინადაცუეთისასა სრულ-ჰყოფენ, რამეთუ ჩუენ ვართ წინადაცუეთილნი სულიერთა წინადაცუეთითა ქრისტესითა. და კუალადწინადაცუეთაჲ გულისა სულითა არა წერილითა, რომლისა ქებაჲ არა კაცთაგან, არამედ ღმრთისგან.

წმიდათა ღმრთის გამოჩინებისათჲს

ხოლო ბიწსა სზნდისისასა მადლითა სულისა წმიდისათა განბანიდნი და ვითარ მომკუდარნი სოფელი² და ქრისტეს თანა დაფლულნი ნათლისღებისა³ მიერ სიკუდილისა მისისა მიმართ, ვითარცა იტყუს მოციქული: ესენი წმიდათა ღმრთის გამოჩინებათა დღესასწაულსა სათნოდ ღმრთისა დღესასწაულობენ და განათლდებიან გონებითა ესევეთარნი გამოჩინებითა მით და უხილ[აჲ]დ ნათლისა განმანათლებელისათა, ყოველსა კაცსა მომავალსა არა ამაღ სოფლად, არამედ სოფლად სათნობათა და საღმრთოჲსა მეცნიერებისა. რამეთუ მრავალნი მოვიდეს ამაღ სოფლად გ(21a)რძნობადად და არა განათლდეს საღმრთოჲთა ნათლითა, არამედ ბნელსა შინა უმეცრებისა და ურწმუნოებისა წარვიდეს. ხოლო

¹ საადუმლოჲსა.

² სფლო.

სიღრმისგან საღმრთოთა¹ წერილთაჲსა მეცნიერებასა საღმრთოთა განწესებათასა და გუართა სათნოებათასა, ვითარ წყალსა სულიერსა კეთილისა გამოძიებასა მიერ აღმომავსებელნი. ესენი კეთილად წმიდათა ღმრთის გამოჩინებათა წყალსა წყაროთაგან ცხორებისათა სულიერითა სიხარულითა აღმოავსებენ წერილისაებრ: «აღმოავსეთ² წყალი მხიარულემით წყაროთაგან ცხორებისათა»,

მიგებებისათჳს

ბა მეორმოცესა დღესა შინა უფლისა შობისასა ქმნილთა მისთვის ლუკაჲს წმიდასა სახარებასა შინა და სუმეონისთვის, რომლისა ძლით მიგებებად ესევითარი ესე დღე იწოდა. ჯერ არს სააღუშლოდ განგონებაჲ, რაჲთა მეცნიერნი ამათისა გონებისანი ძალისაებრ და მიერ მოსწავებულთა სააღუშლოთანი ესრეთ ვაღვსასწაულობდეთ და სააღუშლოდ მივეგებნეთ უფალსა. რამეთუ წერილ არიან თქმულსა სახარებასა შინა ესენი: «და რაჲჲმს აღივსნეს დღენი განწმედისა მათისანი სჯულისაებრ მოსესისა, აღიყვანეს იგი იერუსალჳმად წარდგინებად უფლისა; ვითარცა წერილ არს სჯულსა შინა უფლისასა, ვითარმედ «ყოფელი წული განმღებელი საშოჲსა³ წმიდაჲ უფლისა იწოდოს». და შეწირვად მსხუერპლსა თქმულისაებრ სჯულსა შინა უფლისასა: უღლეულსა გურიტთასა ანუ ორთა მართუეთა ტრედთასა, და ამათ ვიდრემე წმიდაჲ სახარებაჲ. ხოლო ესრეთ ცხორებად მნებებელი ეძიებს ნანდულ გონებასა მას შინა წერილთასა, რაჲთა არა განვარდეს ჭეშმარიტებისგან სხუათა ნაცვლად სხუათასა⁴ შემრაცხელი. იძიებოდედ უკუე პირველად ვიდრემე ვისთვის წერილ არს განწმედისა მათისანო. ხოლო მეორედ წარდგინებისათჳს ამისისა უფლისა და მესამედ რაჲ ჰნებაჲს შეწირვასა უღ(21b)ლეულთა გურიტთასა და ორთა მართუეთა ტრედთასა. რამეთუ უკუეთუ ვინმე ჰგონოს თქმუად აღივსნესო დღენი განწმედისა მათისანი წმიდისა ღმრთის-მშობლისათჳს ანუ სანატრელისა იოსებისთვის⁵, განვარდეს ჭეშმარიტებისგან ესევითარი იგი, და მგმობელ იქმნეს მრავალთად. რამეთუ არცა იოსებ⁶ იცნა ქალწული, არცა ამან უხრწნელმან და მარადის ქალწულმან უსჯულოებათა შინა მუცლად ილო და უთესლოდ შვა მისგან განჯორციელებული ღმრთისა სიტყუაჲ. არცა თუთ მის უფლისათჳს უხრწნელისა და უხეშთაჲს ყოვლისა სიწმიდისა

¹ ს'ღთოჲთა.

² აღმოავსეთ.

³ ს'შოჲსა.

⁴ სხუ'ათასა.

⁵ ის'ბისთ'ს.

⁶ ის'ბ.

მყოფისა თქუმაღ ესევეთარი რაჲმე: «მოგოს ვინ არა თუმცა თქუ-
მაჲ იკარაჲ». და უკუეთუ ესეცა თუ წარდგინებად მისა უფლისა თუთ
მის უფლისათჳს ვინმე ჰგონოს და ესრეთცა განვარდეს ჯეროვნისგან,
რამეთუ ოდეს მიეფარა უფალი თუალთაგან მამისათა, რაჲთამცა ვერ
შესაძლებელი იყო მის მიერ ხილვად ანუ რომელი ადგილი არს გარეშე
მეფობისა მისისა, რაჲთა მუნ მყოფი არა იყოს მამისა თანა, გარნა
თუ რამეთუ იერუსალჳმს აღუყვანებულ იქმნა და ტაძრად შეიყვანა¹.
ხოლო ვითარ სახის დამსახველთა მსხუერპლთა მისთჳს (მისთჳს) მი-
იღებდეს, ვინაჲთგან თუთ იგი ჰეშმარიტებაჲ იყო, ნუსადა უკუე ამათსა
ესრეთ ქუნებულობასა არა მისთჳს, არამედ ჩუენთჳს ქმნად და დაწე-
რად ჯერ არს შერაცხვაჲ. რამეთუ ვითარცა ღმერთად მყოფი არა
თავისა თჳსისათჳს ბუნებით კაც იქმნების უქცეველად და ჯორცითა.
წინა დაიცუეთს², და ნათელს იღებს, და ჯუარს ეცუმის, და აღდგე-
ბის, არამედ ჩუენთჳს, რაჲთა ჩუენ კაცად მყოფნი დადებულებით
მადლისა მიერ ღმერთ ვიქმნეთ, და წინა დავიცუთოთ სულიერად, არა
სჯულიერად, და ბიწი განვიბნ[ი]ოთ ცოდვისაჲ ნათლის ღებისა მიერ, და
ჯუარს ვეცუნეთ სოფელსა და აღვდგეთ ღმრთისა. ესრეთ და აქაცა
შინა განწმედისა მათისა და წარდგინე(22a)ბად მისა უფლისა და სახის
დამსახველთა მსხუერპლთათჳს არა მისთჳს, არამედ ჩუენთჳს ქმნილ
არიანცა და დაწერილ, რაჲთა ვისწაოთ განწმედაჲ და წარდგინებაჲ
თავთა თჳსთაჲ ღმრთისა სადღუმლოდ შემწირველთა მისა სულიერადცა
უღლეულთა გურიტთასა, ანუ ორთა მართუეთა ტრედთასა, რაჲ სას-
წაული იყო გურიტი ანუ რაჲ სასწაული მართუენი, და გურიტი ვიდ-
რემე სიწმიდისა დამყარებისა სახე არს. რამეთუ იტყუნ³ უდაბნოჲსა
მოუუარედ ყოფასა ესევეთარისა ცხოველისასა, და წმიდად ვიდრედა
მოკუდესლა თუ მამალი გინა დედალი, არცა ერთი მათგანი შეეუღლე-
ბის სხუასა⁴. მართუენი უმანკობისა და სიმშუდისა სახენი არიან: რაო-
დენნი უკუე სიწმიდისა მიერ განსწმედენ თავთა თჳსთა ჯორციელთა
ვემოფენბათა და გულისთქუმათაგან და უმანკობისა მიერ და სიმშუდისა
განეყენებიან გულის-წყრომასა და რისხვასა. ჰეშმარიტად კეთილთა
მსხუერპლთა და ღმრთისა სათნოთა შემწირველნი ეჩუენებიან მას და
წარმოუდგებიან ზეცისა იერუსალჳმსა შინა, და ტ[ა]ძარსა წმიდასა
მისსა, სადა ყოველთა მხიარულთა მკვდრობაჲ. რამეთუ არა რაჲ
ესრეთ საუუარელ ღმრთისა და სათნო ვითარ უმანკო[ე]ბაჲ და სიმშუდე-
ამისთჳს ესე ოდენ ჰნებაჲს წმიდაჲ ყოფა ჩუენი უფალსა ვიდრედა

¹ შეიყვანა.² დაიცუეთს.³ იტყუნ.⁴ სხუასა.

არცა მიხედვად დედაკაცისა ვიდრე გულისთქუმამდეცა გვბრძანებს. ხოლო უმანკოებისათჳს დამსახველი იტყჳს, ვითარმედ «უკუეთუ არა იქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა». და არა სხეულისა ქცევაჲ თქუა და ქმნაჲ, ვითარ ყრმათა¹ უფალსა², რამეთუ არა ვინ ოდეს ესე ქმნა. რამეთუ, არცა დადათუ მნებებელ იყოს³, შემძლებელ არს ამას, არამედ უმანკოებასა ყრმათა მიერ მასწავებელი წინა დამდებელ(22b)ი მოძღურობს⁴ მეტყუელი: «ისწავეთ ჩემგან რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულითა თქუენთაჲ». ხოლო უკუეთუ ვინმე სწავლის მოყუ[ა]რედ მყოფმან თქუას რასა მნებებელმან მოსწავებად სიტყუაჲ, მან ორთა და ორთაჲ თქუა შეწირვაჲ. და რაჲ არიან თქუმულნი მფრინველნი და რომელნიმე სრულნი, ხოლო რომელნიმე მართუენი ვიტყჳ, ვითარმედ «ვინაჲთგან კაცი ორკეცი არს, ესე იგი არს სულისა და სხეულისა, მრჩობლსა ეძიებს» ჩუენგან ქრისტე ღმერთი: თანად სიწმიდესა და უმანკოებასა და სიმშუდესა, რაჲთა მრჩობლ კერძო სულითა ვიტყჳ და სხეულითა; წმიდაჲ იყოს მგულებელისა სათნო-ყოფად ღმრთისა და სხეულითა ვიდრემე განყენებულ იყოს კორციელთაგან გემოვნებათა. ხოლო სულითა ამათისა გულისთქუმისა მიმართ აღუძრველ⁵ უფლისა მიერ თქმულისაებრ, ვითარმედ მიმხედველი დედაკაცისაჲ გულისთქუმად მისსა აწვე იმრუშა გულსა შინა თჳსსა. და კუალად რომელიცა საჩინოდ საგონებელ იყოს მშუდად და უმანკოდ არა მშუდი არს, არამედ მჩემებელი, მქონებელი დაფარულისა სიბოროტისა, საბურველსა ხილულსა და საეჭუელსა უმანკოქებასა⁶, რომელთაცა დამსახველი წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს, ვითარმედ «პირითა მათითა აკურთხედეს და გულითა მათითა სწყევდეს». და მეტყუელნი მშუდობასა მახლობელთა მათ თანა, ხოლო ბოროტთა გულთა შინა მათთა, რაჲთა უკუე სხეულითა და სულითა წმიდანი და უმანკონი და მშუდნი ვიყვნეთ. მრჩობლნი პირველ თქუმულნი, მფრინველნი სჯულის-მდებელმან ღმერთმან შეწირვად ბრძანნა, ვითარ სახედ ესე ვითართა და ესე-ოდენტა მფრინველთაჲსა ჰეშმარიტებასა და სისრულესა შეწირვად მისსა მნ(23a)ებებელმან, ხოლო რომელთამე სრულთა და რომელთამე მართუეთა შეწირვისა ბრძანებაჲ განგვცხადებს, ვითარმედ «გვღირს ჩუენ გონიერებითა და სიწინდითა სრულ-ქმნაჲ, ხოლო სრულ ბოროტ

¹ ყრმათა.

² უფალსა | ოა.

³ მნებებელი ყოს.

⁴ მოძღრბს.

⁵ აღუძრვლ.

⁶ უმანკობასა.

ტითა ჩულ-ქმნაჲ», ვითარ და მოციქულიცა ამას მოძღურობს მეტყუელი: ნუ ყრმა იქმნებით გონებითა, არამედ სიბოროტითა ჩულ იყვენით, ხოლო გონიერებით სრულ იქმნებით და საჩინო. ვისწრაფოთ უკუე და ჩუენცა ესევითართა შეწირვაჲ ძღუენთა და მსხუერპლთა სულიერთა, რაათა და ჩუენცა ვერუ[ე]ნნეთ მას იერუსალჳმსა მას შინა ზეცისასა, და ტაძარსა წმიდასა მისსა. და ესენი ვიდრემე ამათუჯს. ხოლო წერილთათუჯ სანატრელისა სუმიონისთუჯ: უკუეთუ ვითარ ჰნებაჲს სულსა წმიდასა და ამათცა განვიხილვიდეთ. მრავალსა სარგებელსა ღირს ვიქმნეთ და აღშენებასა, ვითარმედ უკუე ასოთა მიწის ზედათა მომაკუდინებელნი, ვითარცა იტყუს მოციქული და სიკუდილსა ქრისტესსა სხეულსა შინა მომღებელნი, და მც(ე)ცოვნებითა¹ გონიერებისა და სიბრძნისაჲთა შემკობილნი და მორჩილ-ქმნილნი საღმრთოჲთა მცნებათანი² და გონიერსა დამკვდრებულნი იერუსალჳმსა ვიტყუ: ვითარმედ: შემღებელ ვიქმნეთ უშოთელსა და მშუდობითა ცხოვრებასა მკვდრობისა მიერ მოგებად.

რასა მოასწავებს იერუსალჳმი

ხოლო იერუსალჳმი ხილვად გამოჲთარგმნანებისა³ მშუდობისა და საღმრთოთა სიტყუესა არა შეურაცხებით განმკდელნი, არამედ საქმიერებითისა მიერ სახლუმლოდ მკლავთა ზედა შემწყნარებელნი. რამეთუ სახენი არიან საქმისანი ჳელნი და მკლავნი. და ესევითართა და ესეოდენტა წარმართებათა თანა განმშხადებელნი თავთა თუჯსთანი მიგებებად მომავლ(23b)ისა ვითარ დამკვდრებად ტაძარსა შინა სოფელსა ამას განსჯად ცხოველთა და მკუდართა. ესრეთ ესენი საღმრთოჲსა ნებისაებრ მიგებებასა უფლისასა დღესასწაულობენ წერილისაებრ სახარებასა უფლისასა სანატრელისა. სუმიონისთუჯ ქმნილნი და იგინიცა სუმიონად სულიერად, ესე იგი არს მორჩილნი საღმრთოთა ბრძანებათანი, რამეთუ სუმიონ მორჩილად გამოჲთარგმანების. და უოველთავე ზემოთქუულთა წარმმართველნი მართლიად და ჳემმართად მარადის დღესა შინა განსლვისა მათისასა თქუმულნი თქუნენ ნეტარისა სუმიონისებრ: აწ განუტყევე მონაჲ⁴ მეფეთ თქუმულთაებრ მშუდობით. რამეთუ იხილეს თუჯალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი რომელი განუმზადე წინაშე პირსა უოველთა ერთასა ნათელი გამოჩინებისათუჯ წარ-

¹ მკეცოვნებითა.

² მცნებათანი.

³ გამოჲთარგმნების.

⁴ მნ-ჲ მწო.

მართლაცაა¹, დადებად ერისა შენისა ისრაჴლისა, ხოლო არა ამით თქუმულთაებრ ცხორებულთა, არამედ შფოთთა² შინა და ჳლომათა და განსაცდელთა ცხორებრივთა მქცეველთა, და ჳორციელთა გემოვნებათა და მიწიერთა საქმეთა თანა შეკრულთა, ვითარ სადმე თქუნ³, ვითარმედ: იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაა შენი, რომელი განჳმზადე წინაშე პირსა უოველთა ერთასა ნათელი გამიჩინებისათჳს წარმართთასა, დადებად ერისა შენისა ისრაჴლისა მარადის თანა გრძნობადთა და თანად გონიერთა თუალთა მათთა საოცრებათა მიმართ მსოფლიოთა და სახილავთა უშუერთა და გულისთქუმათა უძღებთა მიმართ მოცალე-ქმნასა შინა. ანუ ვითარ ჳგონიეს ესევეთართა ამით მიგებებასა უფლისასა დღესასწაულობაჲ მუცლისა და გემოვნებისა, და ნეშტთა საცთურთა სხეულისათა შემსჳუალულთა, არა არს ესრეთ დღესასწაულობაჲ უფლისა, არა არს არცა ესევეთართა საქმეთა მინდობაჲ და სასოებაჲ⁴ მგებად. არამედ მ(24a)ნებებელსა კანდიერებით მიგებებად უფლისა ზემო თქმულისაებრ სათნოებითა და სარწმუნოებითა და მეცნიერებითა უცთომელითა თანაც შემკობაჲ თავისა თჳსისაჲ, რაჲთა საკუთრად და ჳეშმარიტებით მინდობილობდეს მოციქულისა თანა თქუმად, ვითარმედ ჩუენ ცხოველნი დაშთომილნი აღვიტაცენით ღრუბლითა⁵ მიგებებად უფლისა ჳაერთამდინ. და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფვოდით.

ბაჲ[ა]თათჳს

ხოლო უკუეთუ დღესა ბაჲათასა დღესასწაულობაჲ გუნებაჲ უფლისა გჳდირს სადღუმლოჲსა სრულ ქმნილისაებრ, ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა ესევეთარისა დღისათჳს განსწავლაჲ თავთა თჳსთა, რაჲთა ჳეშმარიტებით დღე ბაჲათაჲ აღვასრულოთ. წერილ არიან უკუე სახარებასა შინა ესენი: «და რაჲამს მიეახლნეს იერუსალჴმად და მივიდეს ვითსფაგიდ⁶ და ვითანიად მთასა ზეთის-ხილთასა. მაშინ წარავლინნა იესუ ორნი მოწაფენი მეტყუელმან მათმან: წარვედით ქალაქსა რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჳპოოთ ვიწი დაბმული და კიცჳ მის თანა, აღმჳსნელთა მოჲყვანეთ ჩემდა. და უკუეთუ ვინმე გრქუაჲ რაჲ თქუენ, არქუთ თქუენ ვითარმედ უფალსა მათი საჳმარებაჲ აქჳს». და მეყსეულად წარმოავლინნეს იგინი

¹ წარმართთასა. ² შფოთთა.
 თქნ. ⁴ სწოებაჲ.
³ ღრუბლითა. ⁶ ვითსჳგიდ.

წარსრულთა უკუე მოწაფეთა და მოქმედთა ვითარცა უბრძანა მათ ი⁷. მოაფუანეს ვირი და კიცუ, და დასხნეს მათ ზედა სამოსელნი მათნი და აღსუეს იგი მათ ზედა, ხოლო უმრავლესი ერი დაუფენდა გზასა ზედა. ხოლო ერნი წარმავალნი და უკუან შედგომილნი ემობდეს მეტყუელნი: «ოსანნა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, უსანნა მაღალთა შინა». და ესენი ვიდრემე საღმრთოთა სახარებათანი. ხოლო მე გლახაკი და უღონო გონებითა და საფსებულსა¹ არა მქონებელი, ესე იგი არს ძალსა მისაწდ(24b)ომელსა თქუმულთასა², ვინაჲთგან ღრმა არს ჯურღმული საღმრთოთა³ მოგონებათაჲ, ვითარ სადმე შემძლებელ ვიქმნე აღმოვსებად და სუმევიად წყურიელთა სულიერსა წყალსა საღმრთოთა წერილთასა, არამედ ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა, რომელი მოანიჭებს უშურველად წყალსა ცხოველსა მოქენეთა მისთა მომწოდებელმან შემწედ ძალი-საებრ გონებასა შინა ჩემსა მყოფისა მცირედთა მიერ. რამეთუ არა შევინდობვი გარეშემცველთა ჩემთა საკრველთაგან უმრავლესთა მიერ თქუმად, ვთქუა განზრახვისა და წადიერებისა შენისათჳს: მონაო საკუთარო ღმრთისაო წინამდებარეთა სახარებისა სიტყუათა ძალი და პირველ ვიდრემე ჯერ არს თქუმაჲ თუ რაჲსა მოასწავებს თითოეული სიტყუაჲ და სახე მოაქუს, რაჲთა იქმნეს გონებათა და საქმეთა მოსწავებაჲ. და შემდგომად ამისა ყოველსა გონებასა და ნებასა თქმულთა მოსწავებულთასა ერთად შემკრებელმან ცხადი ძალი ყოველისა სააღუმ-ლოდსა წერილთაჲ მოგცე შენ.

რასა მოასწავებს ვითსუფაგი

ითსუფაგი უკუე სახლად⁴ დაწუთა გამოფთარგმანების. ხოლო დაწუნი სახედ მოადებვიან სიტყუათა მოძღურებისათა:

რაჲ ვითანია

ხოლო ვითანიაჲ სახლად მორჩილებისა გამოფთარგმანების: და იერუსალჳმი ხილვად მშჳდობისად, ვითარ და ზემოცა თქმულ არს: წარვლინებულნი უფლისა მიერ მოწაფენი მოასწავებენ მოციქულობასა და ქუეშე მეტყუელებასა, რამეთუ მოწაფე სიტყუსა და ქუეშე⁵ მეტყუელ იქმნეს, რომლისა ძლით არა ვინ მახარებელთაგანმან სახელნი წარვლინებულთანი განაცხადნნა.

¹ დასაფსებულსა.

² მისაწდომელ სათქუმულთასა.

³ სღმრთა.

⁴ სხლად.

⁵ აღბათ: სიტყუსადა ქუეშე-მეტყუელ.

ვინ წარვლინებულნი მოწაფენი

ჰოლო ორნი წარვლინებულნი ცხად ჰყოფენ ორთა აღთქმათა: ახალსა ვიტყუ და ძუელსა.

რად არს დაბაჲ წინა-კერძო

(25a)ჰოლო დაბაჲ, რომლისა მიმართ წარივლინნეს უფლისა მიმართ, რომლისაჲ არცა სახელი თქუეს მახარებელთა, ვითარ ვისთფაგისა და ვითანიაჲსაჲ, არამედ და წინაჲშე წარვლინებულთასაცა ყოფა, ესე-ვითარისა დაბისაჲ სოფელსა ამას დასახაკს, რამეთუ ნაცვალ მდებარეობს ჰეშმარიტებით შემდგომად და დამოწაფებად უფლისა მნებებელთათჳს სოფლისა ამის სიუჲარული წერილისაებრ, რამეთუ სიუჲარული სოფლისაჲ მტერობაჲ¹ ღმრთისა არს.

რად არს ვირი და კიცჳ

ჰოლო ვირი დაბმული ესევითარსა დაბასა და კიცჳ მოასწაფებს ყოფელსა ბუნებასა კაცთა აღწსნილსა ვიდრემე ეშმაკისგან და ვითარ განპარულსა სამოთხისაგან ცთუნებისა მიერ და გარდასლვისა საღმრთოჲსა მცნებისგან. ხოლო დაბმულსა საცთურითა სოფლისაჲთა² და საოცრებითა³ და მსახურებითა კერპთაჲთა. და ჯორციელთა გულის-თქუშითა და გემოვნებითა და ნეშტითა ცოდვისა საცთურითა, რომელიცა ორთა ერთა მათგან იყო, ესე იგი არს იუდაებრივისა ნათესავისა და წარმართთა, და ვირისა მიერ ვიდრემე დასახავს ერსა იუდეელთასა. ხოლო კიცჳსა მიერ ახალსა ერსა წარმართთასა, რომელთაცა უფალსა⁴ კაცთ-მოუჲარებით თჳსთა მოწაფეთა და წინაჲსწარმეტყუელთა და სახარებისა სიტყუთა მოძღურებისა მიერ ჰნებაჲს პირველ თქუმულისა დაბისა⁵ და მისთა საკრველთაგან გამოჳსნა, და მიყვანებად თაჲვად თჳსად.

ჰოლო ქუეშე დაფენა სამოსელთა მათთაჲ მოასწაფებს ჩუ[ეუ]ლებითსა წურთილობთსა.

¹ მტერობაჲ.

² სოფლისაჲთა.

³ საუცრებითა.

⁴ უფალსა] ოა.

⁵ დაბისა] დაბისა.

რად არს დაფენა სამოსელთა

ჰოლო მოკუეთაჲ რტოთაჲ და ქუეშე დაფენაჲ ცხად ჰყოფს ურწმუნოებისგან¹ მოკუეთასა, ვითარ ველურისა ზეთის-ხილისგან, და სარწმუნოებისა² მართლისა მიერ დამორჩილებასა უფლისასა.

რად რტოთა ბაჲათა ფინიკისათაჲ

ჰოლო ბაჲასა ფინიკთა სატურთაფი დასახავს ძლევასა, რომელი(25b) ჩუენთს სძლო უფალმან სოფელსა, ვითარცა იტყუს მინდობილობით, რამეთუ მე მიძლევია სოფლისათს, რამეთუ სასწაულ ძლევისა ბაჲანი არიან. უსანნა გამოთარგმანებისა სიხარულად ანუ დიდებად³ ვიდრეა არს ესე ვითარად თქმული, ვითარმედ: მადლობაჲ და დიდებაჲ⁴ ძესა დავითისსა. ამისთსცა წმიდაჲ ლუკა ვითარ გამოთარგმანებელი უსანნა მაღალთა შინაჲსაჲ ნაცვლად დიდებაჲ მაღალთა შინაჲსაჲ⁵ იტყუს მისსა სახარებასა შინა შემკობით.

ვინ წინამავალნი და უკ[უ]ანა შედგომილნი

ჰოლო წინამავალნი და უკუანა შედგომილნი ერნი 'ცხად ჰყოფენ ერთკობასა და მართალ⁶ აღსარებასა მართლისა სარწმუნოებისასა უწინარეს კორციელად მოსლვისა მისისასა და შემდგომად ამათსა მისსა მიმართ მართლიად მრწმუნებელთასა, და წინა მავალთაგან ვიდრემე დაჲსახვიან აბელისნი და ენუქისნი და ნოესნი, აბრაჰამისნი თანად და იისუჲსნი და წინაჲსწარმეტყუელთა ყოველთანი და მსგავსად მათსა უფლისათს სათნო-ყოფილთანი სარწმუნოებისა მიერ. ჰოლო უკუანა შედგომილთა ერთაგან მოჲსწავემიან შემდგომად კორციელისა განგებულები მისისა ჩუენდა მომართ⁷ მოსლვაჲ სარწმუნოებისა მიერ და საქმისა და მეცნიერებისა სათნო-ყოფილნი მისა მოციქულნი თანად და მოწამენი და მოძღუარნი, და რაოდენნი კუალთა მისთა შეუდგეს და შედგომილ არიან ამათსა ესრეთ თქმულობასა. და მცირედ სახარებისა სიტყუთა გონებასა და ბაჲათთად სახელდებულისა დღესასწაულისა, ცხად გექმნასა: ერთად შემოკლებული ყოველსავე გონებასა

¹ ურწმუნოებისგან.

² სარწმუნოებისა.

³ დ'ბდ.

⁴ და დ'ბა.

⁵ შინასაჲ.

⁶ მრ'თლ (=მართლ).

⁷ ჩუენდა მომართ] დანსდა მიმართ.

თქმულთასა ვიტყუ, ვითარმედ ვინათგან ღმრთისა მიერ შექმნილი კაცი და სამოთხესა შინა მის მიერ დაღებული ხოლო ეშმაკისა¹ მიერ ცთუნებული. და ვითარ აღქსნილი ამის მიერ სამოთხისგან საღმრთოდასა მეცნიერებისა დაქსნისათჳს. და დაბმული (ბმული) ბოროტად სიყუარულითა ნივთიერთთა და ჯორციელთა გემოვნე(26a)ბათათა დაბაა წინაშე სამოთხისა და ბაბადასა, ხოლო ამას იტყუს: სოფელსა მოვიდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯორციელად მოსლვისა მიერ სათნო-ყოფითა მამისათა სულითა წმიდითა განქსნად მრავალსახეთა ეშმაკისა საკრველთაგან. ხოლო უსიტყუთა ცხოველთა მიაშგავსა² კაცი სიტყუამან განჯადისა(?) ვიდრემე საღმრთოჲ სიტყუსა. ხოლო უსიტყუად ცხოვრებისათჳს და ამის ძლით პირუტყუ-ქმნისათჳს ცნობითა წერილისაებრ, ვითარმედ პატივისა შინა იყო და არა გულის-წამაჲ ყო, ჰბაძვიდა პირუტყუთა უგუნურთა და მიემგავსა³ მათ. ხოლო ორობაჲ, ვითარცა თქმულ არს, ორთა ერთა წარმართთა [და] იუდეელთასა ეშმაკისა მიერ პურობასა ცხად ჰყოფს. და მიმოვიდოდა ვიდრემე უფალი მქადაგებელი სახარებასა ცათა სასუფეველისასა. განმკურნებელი ყოველსა სენსა და ყოველსა უძღურებასა, გონიერსა თანად და გრძნობადსა. ხოლო ვინათგან ვიდრე ჯოჯოხეთამდე მცოდველობითისა სიკუდილისა მიერ შთაჲყვანა კაცობრივი ბუნებაჲ ეშმაკმან, ვიდრე მიერ ჯოჯოხეთამდე შთავიდა ნეფსითისა ვნებისა მიერ უფალი. და მუნ მბრძოლმან ძლევისა და მძლეველმან და მომაკუდინებელმან ბოროტთა დასაბამისა ვეშაპისამან. და ყოველსა ძალსა მისსა ვითარ ბჭეთა რვალისათა შემუსრველმან და მოქლონთა რკინისათა შემეჭველმან და სიკუდილისა საკრველთა განმხეთქელმან განჰქსნა მიერ და გამოჲყვანა სამოთხისგან მიპარული ეშმაკისა მიერ და წარტყუენული⁴ კაცი. და ვითარცა ქუენასა იერუსალიმსა ბაბათა შევიდა, ვითარცა იტყუს მოციქული, ვითარმედ «არა ჯელით ქმნულთა სიწმიდეთა შე[ი]ვიდა ქრისტე ნაცვალსახესა ჰეშმარიტთა, არამედ თუთ მას ცასა აწ მდგომარეობად წინაშე პირსა ღმრთისსა ჩუენთჳს. ხოლო შევიდენ მის თანა რაოდენნი უწინარეს ჯორციელად ჩუენდა მიმართ მოსლვისა მისისა. და რაოდენნი შემდგომად ამათსა სარწმუნოებისა მიერ და ყოველისა სათნოებისა სათნო ეყენეს მას. და სათნო-ყოფილნი საცნაურ[რ] იქმნეს ქონებად გონიერ(26b)თა ბაბათა, ესე იგი არს ძლევისა მიმართ, ვინაჲ უკუე ყოველთა დამტევებელნი და სიტყუასა ღმრთისასა შედგომილნი, ვითარ

¹ ეშმაკისა.

² მიაშგავსა.

³ მიემგავსა.

⁴ წრტყუენული.

წმიდანი მოწაფენი მიიწევიან, ვითარ ვითანიად და ვითსფაგიდ გონიერად, ესე იგი არს მორჩილებად და გულსმოღვინებად საღმრთოთა ბრძანებათა. და ესევეითარისა კეთილისა წარმმართველნი მიწევიან¹ (?) შემძლებლობისა მიმართ სხუათაცა მოძღურებად. და მაშინ წარივლინებიან სიტყუსა მიერ პირუტყუ²-ქმნილთა მიმართ უსიტყუებისგან და ვითარ უსიტყუთა ცხოველთა ნეფსით თჳსით ქმნილთა, და სიყუარულითა ჯორციელთა გემოვნებაათაათა, და მიწიერთა და ნივთიერთა საქმეთა მიერ და ნეშტითა სოფლისა ამის საცთურისათა, ვითარ დაბასა რომელსამე შინა წინაშე ყოვლისა კეთილისა დაბმულთა სიტყუათა მიერ ძუელისა და ახლისა აღთქუმისათა ჳელოვნებით აღჯსნად. და უფლისა მიყვანებად მქონებელისა საჯმარებასა ცხორებისა ჩუენისასა. რამეთუ თქუა, ვითარმედ უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲ თქუენ არქუთ, ვითარმედ «უფალსა წმარებაჲ აქუს მათი», ესე იგი არს, ვითარმედ საჯმარებაჲ აქუს ცხორებისა ჩუენისაჲ, რაჲთა და ჩუენცა შემძლებელ ვიყვენით სხუათა ცხოვნებასა, ვითარ სახედ თქუ[ა] ტიმოთე ჰავლე მოაქცია³ ამაოებისგან ამის სოფლისა. და კუალად ტიმოთე წარავლინა გამოჯსნად სხუათა. და მის მიერ გამოჯსნილთა ამის სოფლისგან და ღმრთისა მიმყვანებელთა კუალად ამათ გამოჯსნენეს სხუანი და უფლისა მიიყვანენეს საჯმარებასა ჩუენსა მოქონებულისა ურთიერთარისისა ცხორებისა მოურნეობისათჳს. ხოლო ესევეითარნი ესე პირველად ვიდრემე თჳსთა სამოსელთა დაჰყენენ მათ მიერ აღჯსნილთა ზედა. ამისსა შემდგომად უფალსა აღიყვანებენ და აღსუმენ მათ ზედა, ესე იგი არს განსწურთიან მათ პირველად ჩუეულებათა კეთილთა შინა მტკიცე-ქმნად და არა უწურთელ და თავვედ ყოფად. და შემდგომად ამისსა მაღალსა და ზე აღსრულსა სიტყუსასა დაამტკიცებენ მათ შორის, (27a)რაჲთა ამისნი თავთა შორის მჯდომარედ მქონებელნი ჯეროვნად იტყოდიან: აგამადლო შენ, უფალო ღმერთო ჩემო, მეფეო ჩემო. ხოლო სხუათა ვითარ ველურისა ზეთის-ხილისა ურწმუნოებისა რტოთა მომკუეთელნი და კეთილ ზეთის-ხილად მართლ-მაღიდებლობისა გარდამცვლებელნი ქუეშე დაუფენენ, ესე იგი არს დაუმორჩილებენ უფალსა. ხოლო სხუათა კუალად ღონეთა მიმართ ეშმაკისათა კეთილად აღჭურვენ, ვითარცა სანატრელი მოციქული ჰავლე ეფესოელთა მიწერილი იტყუს: შეამოსეთ ყოვლად საჭურველი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ თქუენ დადგომად ღონეთა მიმართ ეშმაკისათა. რამეთუ არა არს ჩუენდა ბრძოლაჲ სისხლისა მიმართ და ჳორცისა, არამედ

¹ მიწევიან.

² პირუტყუ.

³ მოაქცია.

მთავრობათა მიმართ, კელმწიფეებათა მიმართ, სოფლის-მპყრობელთა მიმართ ამის სოფლისათა, სულთა მიმართ სიბოროტისათა, ამათ ბოროტთა ძალთა მიმართ კეთილად აღმკურნელნი და განმამტკიცებელნი. და ვითარ ჯერ არს ძლევა მასწავლელნი მიაართუმენ ამათ მაცხოვარსა ყოველთასა, ვითარ ბაათა სულიერთა და ღმრთისა სათნოთა ეშმაკისა მიმართსა ძლევისა მქონებელთა. და ყოველნივე წინა მავალნი და უკან შედგომილნი პირველ თქუმულისა სახისაებრა ერთითა სარწმუნოებითა ერთგმობით მადიდებელნი და მაქებელნი ცხორებისათჳს ნათესავისა ჩუენისა მოსრულისა ქრისტეს ღმრთისნი შევლენ ზენასა იერუსალიმსა, სადა ყოველთა მოხარულთა¹ მკვლრობაჲ არს ქრისტეს მიმართ. ესე სადღუმლონი კიცჳსა და ბაათათჳს წმიდათა მამათა მიერ მოძღურებულ იქმნეს, ესრეთ უკუე დღესასწაულობად, უხრეთ იპყრობდ ბაათა, რაათა და შენცა ძლევის მომღებლად ხილულ ქრისტეს ღმრთისა თანა ზენასა იერუსალიმს შეხვდე, მაქებელი და მადიდებელი მისი ამინ.

სერობისათჳს

სერობაჲ სადღუმლოჲ დაფარულთა სწავლათა არს. ხოლო ამათ არა ვინ სხუაჲ ღირს იქმნების გარნა მხოლოდ სიტყ(27b)ჳსა შედგომილნი, ვიღრე დღესასწაულამდე. რამეთუ იხილედა ვითარ მრავალთა თანა ჳამა და ისერა უფალმან. ხოლო მაშინ მხოლოთა მოწაფეთა თანა ოდეს და ფერწნიცა მათნი დაჳბანნა. რამეთუ სურვიელთა ჳემმარტებით მიმთხუევად მეცნიერებასა საღმრთოთა და გამოუთქმელთა წესთასა უღირს ყოვლითურთ შედგომაჲ ჳემმარტისა სიტყჳსაჲ. და შემდგომად განბანისა ბიწსა ცოდვისასა ყოვლისა სულისა მათისგან უღირს სიტყჳსა მიერ და თავისა თჳსისა განბანაჲ ბოროტთა გულის-სიტყუათა, რაათა ესრეთ აქუნდეს ნაწილი უფლისა თანა. რამეთუ ესე არს მის მიერ ჰავლეს მიერ თქმული, ვითარმედ: უკუეთუ არა დაგბანე ფერწნი შენნი, არა გაქუნდეს ნაწილი თქუენ თანა. და ვითარ განბანილსა სხეულითა არა აქუს საჳმარებაჲ. გარნა თუ ფერწთა განბანისაჲ, ესე იგი არს, ვითარმედ: ბიწსა შინა ცოდვისასა სულისა თჳსისგან ყოვლითურთ განმბანელსა თანა აც სუნდისისაცა ბიწისა განბანაჲ, რაათა ყოვლითურთ წმიდა-მყოფი ღირს იქმნეს მიმთხუევად დაფარულსა სადღუმლოსა შინა საღმრთოთა სიტყუთა და უფლისა თანა ნაწილსა. ესრეთვე უკუე ვისწრაფოთ სადღუმლოჲსა სერსა აღსრუ-

¹ მხარ'ლთა.

ლებად და ურთიერთასა ფერკთა დაბანაჲ, მეცნიერებისაებრ ღმრთისა ვისწრაფოთ. რამეთუ ვითარცა დაბანა ფერკთაჲ მახლობელისა სხეულისათა სიმდაბლისა კერძოჲ არს. ესრეთ სიტყვსა მიერ განბანაჲ: ბიწსა ცოდვისასა გინა ბოროტთა გულის-სიტყუათაჲ სულისგან ძმის-თვისა სიყუარული სახე არს. მრჩობლ კერძო უკუე მივემსგავსნეთ უფალსა. ვინაჲთგან მრჩობლნივე ჩუენთს ქმნნა და თქუა, ვითარმედ სახე მოგცე თქუენ, რაჲთა, ვითარცა მე გიყავ თქუენ, და თქუენცა ჰყოფდეთ განსაცდელთა და ჰკირთა და დევნულემათა და საკრველთა სიყმილისა თანად, და წყურილსა, და მიღებასა მონაგებთასა, და სხუათა ბოროტთა სათნოებისათს და სარწმუნოებისა მართლისა მომთმენელ(28a)ნი მოღუაწებისა თანა, და მღუძარებისა ნებსითისა, და გალობისა მოცალე ქმნილნი. ესე წუალობათა და სიკუდილსა ქრისტესსა თსსა სხეულსა შინა მოაღებენ ყოვლისა სიხარულისა და გულს-ვიოდვინებისა თანა. საქმით სიტყუასა¹ უფლოსასა სრულ-ყოფელნი მეტყუელსა: «აღიდე ჯუარი ჩემი დღითი-დღე და შემომიდეგ მე». ხოლო გულისკმა ყვეს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ: შენთს მოვეუდებით ყოველსა დღესა. შევრაცხენით, ვითარცა ცხოვარნი კლვისანი. ხოლო საქმით და ჰეშმარიტებით მოციქულისა მიერ თქუმულსა ჰყოფენ: «ჩემდა სოფელი ჯუარცუმულ არს და მე სოფლისა. და ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ გარნა ჯუართა ქრისტესითა». რამეთუ არა რომელსა მქონებელნი სოფლისასა არცა რას სოფლისაებრ მოქმედნი, არამედ² მსგავსთა, რომელნი ქრისტემან მოითმინნა ჯუარსა ზედა, მენებელნი მისსა მიმართ მართლისა სარწმუნოებისა და სათნო-ყოფისათს ნანდულ საქმით და სიტყუთ და ჰეშმარიტებით აჩუენებენ თქუმულთა, და ესე ვითარნი-იგი არა ერთგზის წელიწადსა შინა, არამედ ყოველსა შინა ცხოვრებასა მათსა სააღუმლოჲსა უფლისა ჯუარცუმისა და აღდგომისა მისისასა, რომელი სახელიდების ჰასხად, აღასრულებენ. რამეთუ პასხად ითარგმანების უკუეთუ უკუე სიბოროტისგან სათნოებისა მიმართ და ბნელისა უმეტრებისგან ნათლისა მიმართ მეცნიერებისა და წვალებისაგან მართლ-მადიდებლობისა მიმართ და სოფლისაგან ზეციერისა იერუსალიმისა მიმართ ყოვლისა მოსწრაფებისა თანა წიაღვლენ. რამეთუ ჭამეთო, იტყუს, პას[ს]ხაჲ ყოვლისა თანა მოსწრაფებისა. ამისთს განსაცდელთა და ჰკირთა და ნეშტთა ყოველთა მომთმენელნი ჰეშმარიტებით პასხასა სრულ ჰყოფენ, ღმერთსა ჰნებავეს და სათნო უჩნს. აწ უკუე შენ ყოველთაჲვე მსგავსთა თქმულთაჲსა მავნებელი, მონაო ღმრთისაო და

¹ სიტყუასა.² არამედ] ა.

შეყუარებულ, ვითარ რომელთაგანმე მონასტრისა შენისა და მას. შინა ყოველთა ავაზაკებრ წარტაცებისათს და სხუათაგან სხუათა, ვითარ და უფლისა მაკუდინებელთაცა, სამოსელნი(28b) უფლისანი მიიხუნეს და თავთა თუსთა განუყვნეს. იხარებდ და მხიარულ იყავ, რამეთუ ქრისტეს თანა და ქრისტესთს ამათი მომთმენელი მის თანა და მის მიერ იდილო.

ზეცად ამაღლებისათს უფლისა

ნა ზეცად ამაღლებისათსცა უფლისა ძალისაებრ ჩემისა მცირედთა მიერ განვაცხადო სადღუმლოჲ, რაათა ძალისა მისისა მეცნიერთა ვისწრაფოთ მისსა მიმართ მიწევნად ძალისაებრ აწ უკუე ცოდვისა. მიერ წარმწყმედელისა კაცისა ცხოვნებად მოსრული უფალი: კაც იქმნა, ვითარცა კაცთ-მოყუარე ყოველსავე კაცობრისა თავისა თუსისა შემეგრთებელი გუამოვნებით და სრულ-ყოფელი თავისა თუსისა მიერ ყოველთავე საცხოვრებელთა ჩუენთაჲ და მარგებელთაჲ¹. შემდგომად ორმეოცთა დღეთასაჲ აღდგომისა მისისა აღვიდა ზეცად, ვინათგან კაც იქმნა არაოდეს დამტევებელი ცათაჲ, ვითარცა ღმერთი, და თავისა მიერ თუსისა, და თავსა შორის თუსსა შესწირავს, ვითარ მსხუერპლსა ცხორებისა ჩუენისასა ღმრთისა და მამისა სულითა წმიდითა კაცებასა², რაათა სადაცა იყოს მსხუერპლთა დასაბამ ნათეს[ა]ვისა ჩუენისაჲ, მუნ ნეშტიცა შეუდგეს შესუალულებაჲ. განზრახვაჲ უკუე არს ცხორებისა ჩუენისა მოქმედისა ქრისტესი, რაათა მის თანა და სადაცა იგი არს, ვიყვნეთ და ჩუენცა. რამეთუ იტყუს, ვითარმედ «მნებაჲს სადაცა მე ვიყო და იგინიცა იყვნენ ჩემ თანა. და კუალად იტყუს: სადაცა იყოს მძორები, მუნცა შეკრბიან ორბნი. ხოლო გონიერნი ორბნი არიან, არაოდეს მოკუდაფებითისა ცოდვისა ზიარნი, არცა ქუემეთრეფთა საქმეთა შემსჭუ[ა]ლულნი, არამედ მაღლად მფრინველნი სათნოებითა და მეცნიერებითა. და სულისა თუალსა წმიდად მქონებელნი საღმრთოჲსა ნათლისა შარავანდისა მიმართ უვნებელად აღხედვად. რამეთუ იტყუნა გრძნობადთა ორბთათს, ვითარმედ: «მარჯუედ მქონებელ არიან აღხედვად გრძნობადისა მზისა შარავანდელთა მი(29a)მართ» და ვითარმედ «მაღალთა შინა ფრინვენ მარადის». და არაოდეს საზრდელ თუსად ჰყოფენ³ მომკუდარსა რასავე, არამედ ცოცხალსა ნაცვლად უკუე გრძნობადთა ორბთასა. გონიერნი ორბნი არიან, ვითარცა თქუმულ არს, რომელნი არა მკუდარსა და მკუდარ-მოქმედსა

¹ და მრგელთაჲ.

² კცებასა.

³ ჰყოფენ ჰყვენ.

ცოდვასა, არამედ მარადის ცხოველსა სიტყუასა საღმრთოდ საზრდე-
ლად სულისა მოქმედნი და სიმაღლესა სათნოებისა და საღმრთოხსა
ბრწყინვალესა მეცნიერებისასა მაძიებელნი და ყოველსა მზისა სიმაღ-
ლისა შარავანდსა შემწყურებელნი სიწმიდითა გონებისაჲთა. ესევეთარნი
უკუე მუნ შეკრბენ, სადაცა იყოს მსხუერპლად დასაბამი სხეულისა
ჩუენისაჲ. და ესენი მარადის უფლისა თანა იყვენენ. ვისწრაფოთ უკუე
და ჩუენცა ესევეთარად ქუეყნად, რაჲთა მარადის ზენისა მეძიებელთა
სიმაღლედ საღმრთოხსა სათნოებისა და მეცნიერებისა აღსრულთა
და არა რომელსა მოკუდავისა ცოდვისასა მქონებელთა საკუთრად და
ჭეშმარიტებით ამაღლებაჲ ჩუენთუს კაც-ქმნილისაჲ აღვასრულოთ.

მარტვლიისათუს

ჴოლო დასასრულ ყოველთა ჩუენთა დღესასწაულთა არს წმი-
დაჲ ერგასისი, რომელსა შინა წმიდისა სულისა მოსლვაჲ კაცთა
მიმართ იქმნა. რამეთუ ჩუენი რაჲ მსხუერპლ¹ დასაბამი ქრისტეს მიერ
საუკუნეთა კეთილთაჲ მოსლვითა წმიდისა სულისათა ჩუენცა მოვი-
დეთ. და იქნნა ესევეთარი საღმრთოჲ დაგებაჲ შუამდგომელობითა
იესუ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა. ერგასისი უკუე არს დასაბამი
დასასრული ყოვლისა კეთილისაჲ საკუთრად და ჭეშმარიტებით იგი
ღმერთი. დასაბამ ვიდრემე, რამეთუ მის მიერ ყოვლისა კეთილისა
დასაბამი არს. ხოლო დასასრულ, რამეთუ შემდგომად ყოვლისა
აღსლვისა დასასრულ ქმნისა ყოვლისავე სათნოებითისა და მეცნიერე-
ბითისა კეთილისა მას შინა განვისუენებთ. რამეთუ იგი არს თუთუა-
მოვანი სათნოებაჲ და მეცნიერებაჲ. რამეთუ ვითარცა ერთისგან და-
მწყებელნი და შუღზის შუღსა რიცხუსა მომმრგულებელნი, ორმოცდა-
ცხრასა რიცხუსა შევადგინებთ. ამისა შემდგომად ზედ (29b) დაძენითა
ერთისა[ჲ]თა, რომლისგან ვიწყეთ, ორმოცდა ათსა სრულ ვჰყოფთ
რიცხუსა ესრეთ ღმრთისა მიერ ყოვლისა კეთილისა დამწყებელსა და
აღსლვითა ყოვლისა სათნოებისა და მეცნიერებისათა მარადის მოქ-
მელსა ღმრთისა მიმართ აქუნდეს დასასრული და განსუენებაჲ თანა-
მემწყობრსა და თანამოსარულსა ანგელოზთა და წმიდათასა დაუსრუ-
ლებელთა საუკუნეთა, რომელთა თანა-ჰმემწყობრებდე და თანა-
მიხუენე საუკუნონი კეთილნი თქმულთაებრ და უზეშთაეს თქმულთა
მარადის მედღესასწაულემან ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა,
რომლისა თანა ღმერთსა და მამასა თანა წმიდითურთ დიდებაჲ, (დიდე-
